გრიგოლ რობაქიძე

მცველნი გრალისა

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველნი გრალისა“ (Die Hüter des Grals) 1937 წელს გერმანულ ენაზე იენაში, დიდერიხის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ქართული საზოგადოება რომანს მხოლოდ ნაწილობრივ გაეცნო 1989 წელს ნაირა გელაშვილის პიესის – „გრაალის მცველნი“ – სახით, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე რეჟისორმა დავით ანდღულაძემ დადგა.

რომანის მოქმედება ვითარდება საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, თუმცა სამშობლოს ბედის უღრმესი განცდითა და შთაგონებით განმსჭვალული პერსონაჟის, ლევან ორბელის ხილვებში წარმოგვიდგება საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა, ცოცხლდება ქვეყნისა და ხალხისათვის სანუკვარი თქმულებები და მისტერიები.

„მცველნი გრალისა“ მოდერნისტური მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, მაღალესთეტიკური, უაღრესად შთამბეჭდავი სახეებითაა სავსე და ჭეშმარიტად ნიცშეანური პათოსითა და სიტყვაკაზმულობით გადმოსცემს უმნიშვნელოვანეს სათქმელს.

წინამდებარე გამოცემა საშუალებას აძლევს მკითხველს, პირველად გაეცნოს რომანის სრულ ტექსტს ქართულ ენაზე. მასში შენარჩუნებულია ავტორისეული დასათაურება, რომელიც დასტურდება გრიგოლ რობაქიძის არაერთი პირადი წერილითა და თანამედროვეთა მოგონებებით.

პრომეთეული თავდავიწყება

საწერ მაგიდაზე ყველა წერილი მოაწესრიგა. ხელში გაყვითლებული კონვერტი შერჩა: მამაჩემის წერილი, გაიფიქრა. კონვერტი გახსნა და თავიდან მხოლოდ უბრალო, თითქმის ბავშვურ ხელწერას გადაავლო თვალი, შემდეგ ისე შეუდგა წერილის კითხვას, თითქოს პირველად კითხულობდესო. უბრალო, სადა სიტყვები. „ჩემს ოთახში ჩიტი შემოფრინდა. უცნაური აღელვებით ჭიკჭიკებდა, თითქოს რაღაცას მამცნობდა. ძველი წესისამებრ, ასეთ ჩიტს მუდამ ამ სიტყვებით ვეგებები: ჩიტო ჩიორა, ოქროს ნისკარტი შენ, კაი ამბავი მე. ამჯერად კი არაფერი მითქვამს ჩიტისთვის. ნირწახდენილივით გაფრინდა გარეთ და ლაჟვარდში გაუჩინარდა. მაშ, მხოლოდ ავისმომასწავებელი უნდა ყოფილიყო ამ ჩიტის შემოფრენა. ბებერ ტანს ტკივილი მიხრავს. მზის სხივებს გავყურებ და ვერც ისინი მახარებს ძველებურად“.

სულგანაბული განაგრძობდა კითხვას: წერილის უბრალო, სადა სიტყვებში მოახლოვებული სიკვდილის სუნთქვა ესმოდა. გრძნობდა, სიცოცხლის ჟინი თანდათან როგორ ცხრებოდა, მისი ხმა სულ უფრო სუსტდებოდა, ტკივილი კი ლოკოკინას საცეცივით კრთოდა და ილეოდა. წერილი 1910 წლის 21 სექტემბრით იყო დათარიღებული. სულ რამდენიმე დღის შემდეგ მამა გარდაიცვალა. კაცი გაყუჩდა, სიკვდილზე ფიქრმა გული შეუკუმშა. 1924 წლის 27 აპრილი იყო. ცამეტ წელიწადზე მეტმა განვლო და მამის გარდაცვალებას დღესაც ისეთივე ტკივილით განიცდიდა, თითქოს დღეს მომხდარიყო. წერილი გვერდზე გადასდო და თვალი გაუშტერა სიცარიელეს. შემდეგ მამის პატარა სურათს დასწვდა, მაგიდაზე რომ ედო. ჩააკვირდა გარდაცვლილის სახეს: თითქოს უცხო ნაღველი გადაჰფარვოდა. შიშმა მოიცვა: როგორ? სიკვდილის შემდეგ კიდევ ნაღვლობს? ეგონა, თითქოს მამა ახლა, ამ წუთშიც კვდებოდა. ამ განცდამ შეძრა. სურათი მოცახცახე ხელით თავის ადგილზე დააბრუნა. უხმოდ დაიწყო ლოცვა და თან მამაზე ფიქრობდა, ნაზად, სათუთად.

წუთები იწურებოდა. შემდეგ – კარზე კაკუნი. „მობრძანდით!“ შინა-მოსამსახურემ ფოსტა შემოიტანა. კაცმა სწრაფად გადაავლო თვალი გა-ზეთებსა და კონვერტებს. ერთ-ერთი წერილი მოხვდა თვალში: ბერლი-ნის შტემპელი ერტყა. სხვა სამყაროდან მოწვდენილმა ამბავმა სიხარუ-ლი მოჰგვარა. მეგობარი სწერდა და, სხვათა შორის, იმ უცნაურ განცდა-ზეც მოუთხრობდა, ოდესღაც რომ დაეუფლა. „ოცდაერთი წლისა რომ შევსრულდი, პილოტის წოდების მისაღებად გამოცდა უნდა ჩამებარები-ნა: დამოუკიდებლად, თანამგზავრების გარეშე უნდა გავფრენილიყავი საჰაერო ბუშტით და უეცრად აუხსნელი რამ ვიგრძენი: ჩემი არსება – წარსული, აწმყო და მომავალი – მთლიანად გაწონასწორებული და სრულყოფილი მეჩვენა. უსაზღვრო, ზეპიროვნულმა სიყვარულმა მთლიანად გამჭოლა და ჩემგან იმ ყოველივეს ეღვრებოდა, რაც კი ოდესმე შემოსულა ჩემს ცხოვრებაში. ყველა იმ ადამიანსა თუ არსებას-თან, ცოცხალთან თუ აწ გარდაცვლილთან, სიახლოვეს ვგრძნობდი იმ წუთას, ვისაც შევხვედრივარ. ჩემთვის ყველანი გათანაბრებულიყვნენ და გამოუთქმელი სულიერი მშვიდობა დამეუფლა, თითოეულს ვნებისა და სირთულის გარეშე შევერწყე, უპიროვნოდ და, ამავე დროს, მხურვა-ლე სიყვარულით. ძნელია ამ მდგომარეობის გადმოცემა, მაგრამ მსურს, სიკვდილის წუთებში ის მთელი სიმძაფრით კვლავ განვიცადო“.

გაოცებით აკვირდებოდა ამ სტრიქონებს. აგერ, ფიქრობდა, ესაა მა-რადისობის ზღვარი. ვინც კი მას ერთხელ მიუახლოვდა, ძალუძს შეაბი-ჯოს ნეტართა სამყოფელში, ზედროულ აწმყოში. კარგია, რომ ეს განცდა დასავლელ ადამიანსაც დაეუფლა, გაიფიქრა სიხარულით; აღმოსავ-ლეთში ის საკმარისად ხშირია და თვითონაც არაერთხელ სწვევია. წე-რილი გვერდზე გადასდო და კვლავაც მამაზე ფიქრს დაუბრუნდა. უეცრ-ად იგრძნო, მის შიგნით როგორ გაღვივდა უცნაური ნათება. ისევ შეხე-და მამის სურათს და ახლა სევდიანი აღარ ეჩვენა. საოცარიაო, გაიფიქ-რა. მაგრამ სიშორის ძახილი კვლავაც ჩაესმოდა, თუმცა ახლა უკვე – ლბილად და საამოდ. ამის შემდგომ ქალაქში გავიდა: უკვე ორის ნახევა-რი იყო.

ლევან ორბელი საკმაოდ ტანმაღალი, მხარბეჭიანი და მძლავრი აღნაგობისა იყო, ორმოციოდე წლის. მშვიდად, აუჩქარებლად ვიდოდა ქუჩაზე, მაგრამ ამ სიმშვიდის მიღმა შინაგანი ფორიაქი იგრძნობოდა. მეტეორის ავისმომასწავებელი უძრაობა ხომ არაფრითა ჰგავს იმ ლოდის უძრაობას, მის გვერდით მინდორზე რომ ძევს: მის შემხედვარეს ეგონება, თითქოს, ციდან ჩამოვარდნილი, გაფაციცებით კვლავ ციდან მოელის იდუმალ ნიშანს. მისი ალი სრულად ჩაიწვა, უნაშთოდ, ფერფლისა და ნაცრის გარეშე. და, მოულოდნელად, შავი ნამსხვრევი შეიძლება კვლავაც აალდეს. კაცის იერი, განსაკუთრებით, სახე, ამის მსგავს გაფაციცებულ მზადყოფნას გამოხატავდა. თითქმის შავი, დიდრონი თვალები ისე უელავდა, რომ შესაძლოა ფოლადისფერი მოგჩვენებოდათ. ბინდისას მოცისფროდაც კი უნათებდა. მათ სიღრმეში გამოუთქმელი ნაღველი ჩაგუბებულიყო, სოლისებრ მოკუმულ ტუჩის კუთხეები კი ურყევ ნებაზე მიუთითებდა. პირქუშად თვლიდნენ და ასეც იყო, მაგრამ ცივი არ ეთქმოდა: სახე ღიმილით რომ გაუნათდებოდა, წამსვე გულის სილბოს ამჟღავნებდა. პირქუში და მხურვალე იყო ერთდროულად. მშრალ და ცეცხლოვან სულს უწოდებდა მას ალბათ ჰერაკლიტე. უკიდურეს ზიზღს იწვევდა მასში ხელის ჩამორთმევისას სხვისი ცხელი ოფლის შეგრძნება. შეხვედრისას უცხო, შეუვალ კაცად მოგევლინებოდათ, საუბრისას კი რიდი და კდემა დაგეუფლებოდათ. კილოსა თუ თავდაჭერაში ვერც მედიდურობას შეატყობდით, ვერც კადნიერებას, და მაინც გეგონებოდათ, მისმა არსებამ ყოველწამს შეიძლება ცეცხლი გამოსტყორცნოსო. საცა ჩნდებოდა, ყველგან ავისმომასწავებელი დაძაბულობა დაისადგურებდა, რომელიც მასაც და გარშემო მყოფთაც უქმნიდა საფრთხეს. ერთხელ, 1920 წელს, ხალხით სავსე ყავახანაში იჯდა. გვერდით შეზარხოშებულმა ახალგაზრდებმა საქართველოს ჰიმნი წამოიწყეს. იმხანად საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის აღდგენას ზეიმობდა. „ადექით ფეხზე!“ – ბრძანა ერთ-ერთმა. ყველა სტუმარი წამოდგა, მხოლოდ ლევან ორბელი არ შერხეულა. „ფეხზე-მეთქი!“ ლევანი კვლავაც მშვიდად იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. ჰიმნის ჰანგები ტალღები-

ვით მაღლდებოდა. უსიამო დაძაბულობა ჩამოვარდა. ყველანი ლევანს შეჰყურებდნენ, ზოგიერთ მზერაში აღშფოთება და რისხვა იკითხებოდა, ცოტაც და, სასტიკად გაუსწორდებოდნენ. და უეცრად მეხივით გავარდა მისი სიტყვა: „სამარცხვინოა, როდესაც ამ ჰიმნს მთვრალები მღერიან!“ შერცხვენილმა ახალგაზრდებმა წამსვე დატოვეს იქაურობა, ყველა თანდათან დამშვიდდა, მხოლოდ თვითონ იჯდა გაფითრებული და ცახცახებდა. იცოდა, ამგვარი სიფიცხე რომ სჭირდა: ეს მისი შავბნელი დემონი იყო, ვერაფრით რომ ვერ დაეოკებინა. უსასრულო ნეტარებას ჰგვრიდა სულიერ ძალთა უმაღლეს ზღვრამდე აყვანა, ასეთ წუთებში თავდავიწყებით ტკბებოდა, მაგრამ თავდავიწყებას მუდამ გაბრუებამდე მიჰყავდა და საბოლოოდ გარდუვალი ხიფათისკენ მიექანებოდა შეუჩერებლად: ეს შეუზღუდავი, თავაშვებული ძალაუფლების ხიფათი იყო. ტყუილად როდი მიაჯაჭვეს პრომეთე კავკასიონის ქედზე: დღესაც უკორტნის ღვიძლს არწივი.

გოროზად მოაბიჯებდა ქუჩაში, გარშემო თითქოს ვერავის ამჩნევდა. საამოდ ეალერსებოდა აპრილის მზის სხივები. ლურჯი, კრიალა ჰაერი გაზაფხულით სუნთქავდა. მზე კვლავაც თავის განახლებულ სიჭაბუკეს ზეიმობდა. ერთ მცირე დუქანს მიადგა, სადაც ჩვეულებრივ ბოჰემა იკრიბებოდა, თუმცა იგი საკუთარ თავს მათ რიცხვს არ მიაკუთვნებდა. ეს პოეტების, მხატვრების, კინოსა და თეატრის მოღვაწეთა შეკრების ადგილი გახლდათ, თუმცა აქ ერთ-ორ ისეთ ბოლშევიკსაც შეხვდებოდით, ვისაც ბოჰემური ცხოვრება იტაცებდა. თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული იყო და ლევანი კარის გვერდით, პატარა მაგიდას მიუჯდა. მწვადი და ერთი ბოთლი მწკლარტე კახური ღვინო შეუკვეთა, თავისი საყვარელი ჯიშის: გრძნობებს კი არ აჩლუნგებდა, არამედ, პირიქით, ამძაფრებდა. მის პირისპირ ვიღაც ქართველი, გ.პ.უ.-ს თანამშრომელი იჯდა მავან უცხოელთან ერთად. ქართველმა ლევანს ჯიქურ შეხედა. უმალ იცნო, თუმცა ერთმანეთს არ იცნობდნენ, მისი ვინაობა მაინც იცოდა და ახლა მის დანახვაზე საკბენად გამზადებული გველივით მრისხანედ წამოიმართა. წამიერი ხილვა იყო, მაგრამ წარუშლელი: ასპიტის თავი, თითქმის უთ-

მო და უწარბო, თვალები – ვიწრო, ოდნავ წყლიანი და მაინც გესლიანი, მზერა – ალმაცერი და მოუსვენარი, რომელსაც პენსნე კიდევ უფრო უცნაურსა და შემზარავს ხდიდა. კიდევ ერთი ამაზრზენი უცნაურობა სჭირდა: სიგამხდრის მიუხედავად, სახე თითქოს ცხიმისაგან ულაპლაპებდა. ლევანი ზუსტად ისევე სძულდა, როგორც ლევანს სძულდა ეს კაცი, ოღონდაც ამ უკანასკნელის სიძულვილს შიშიც ემატებოდა. ეს ორივემ იცოდა, მაგრამ წარბის ოდნავი შერხევითაც კი არ ამჟღავნებდა. ლევანს მადა წაუხდა.

ლევანმა ახლა გ.პ.უ.-ელის თანამოსაუბრეს გადახედა და გაოგნდა: ნუთუ შეიძლება, სიზმრად ნანახი ასეთი სიზუსტით იხილო ცხადშიც? ერთი წლის წინათ შემზარავ კოშმარში ესიზმრა კაცი, რომელიც კვლავ იხილა აქ, ამ დუქანში. ლევანს ნერვები დაეძაბა. უცხოელი გ.პ.უ.-ს თანამშრომელს რუსულად ესაუბრებოდა, თუმცა რუსი აშკარად არ იყო. პირველ რიგში მისი უცნაური, ძალზე ხშირი და წითური თმა გეცემოდათ თვალში, შემდგომ ამისა – კანის ფერი: მკრთალ ყვითელ სახეზე ჭორფლი ეყარა. ცხვირის მარჯვენა მხარეს უზარმაზარი, თითქოს ხავსმოდებული მეჭეჭი აჯდა. ყველაზე შემზარავი მაინც თვალები იყო: მოლურჯო-მოიისფრო, ერთურთს არაბუნებრივად დაშორებული, ირიბად გაჭრილი, ჩამუქებულ უპეებში ჩამჯდარი. თვალს ოდნავ აელმებდა. ლევანს მისი მზერა აუტანლად ეჩვენა, სამურაი უნდა ყოფილიყავი, ამგვარი მზერისთვის რომ გაგეძლო. უცნობი ნელა საუბრობდა, სიტყვები სათითაოდ, წვეთ-წვეთად სცილდებოდა მის ბაგეს. ტიბეტელი ჯადოქარივით ყრუ და მომნუსხველი ხმა ჰქონდა. სიზმარში ეს ურჩხული ლევანს ყელის გამოჭრას უპირებდა. ამის გახსენებაზე ახლა მთელ ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. თავი ხელში აიყვანა, მაგრამ შინაგანი მღელვარება სულ უფრო ძლიერად ეუფლებოდა. თითქოს ნაღმს დაადგა ფეხი და წამში უკანდახევით უშველა თავს, ისე იჯდა ახლა სულის სიღრმემდე შეძრული და შინაგან ძალთა შეხლას განიცდიდა. თითქოს სამანი გადალახა და სახიფათო არეში შეაბიჯაო.

საქართველოში სადღეგრძელოს გარეშე სუფრას ვერ ნახავთ, თუნდაც ამგვარ დუქანში. აქაც კი ერთურთს მოკლე და მძაფრს სიტყვას გადასძახებდნენ. ბოლოს და ბოლოს წითურიც წამოდგა, აშკარა სიამით გადახედა მაგიდებს და ყველას გასაგონად წარმოსთქვა: – საქართველოს გაუმარჯოს საბჭოთას! – ზოგიერთმა ეს სადღეგრძელო სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, ბევრმა შეჰყვირა, გაუმარჯოსო, სხვამ

საძულველი სიტყვა „საბჭოთა“ გამოტოვა და ქვეყნის სადღეგრძელო შესვა. წითურს ეს არ გამოჰპარვია, მრისხანედ ჩასცხო მაგიდას მუშტი. ლევანმა ღიად შეხედა სახეში წითურს და თითქმის გამომწვევად წარმოსთქვა ის სიტყვები, რასაც ხალხი საუკუნო სიწმინდედ ინახავდა: „გაუმარჯოს საქართველოს!“ უცნობისათვის ეს უკანასკნელი წვეთი იყო. ბრაზისაგან გაფითრდა, თუმცა თავის შეკავება შეძლო და მხოლოდ ზიზღით, დამცინავად აემრიზა ტუჩები. დარბაზში ერთხანს დაძაბული სიჩუმე სუფევდა. წითურმა გვერდით მჯდომს გადაუჩურჩულა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო: – ჰმ, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოეთის გარეშე? – მაგრამ ეს რეპლიკა ლევანისთვის იყო განკუთვნილი, მით უმეტეს, რომ უცნობი სწორედ მას უყურებდა. ლევანის წუთიც დადგა, უკვე მზად იყო მრისხანედ წამოეძახა, თქვენ რა საქმე გაქვთ საქართველოსთანო, მაგრამ წამსვე დაიოკა რისხვა, სიტყვები ყელში გაეჩხირა. ამ კაცს მიაშტერდა, მის წინაშე რომ იჯდა ზღაპრულ მოჩვენებასავით, ამაოდ ეცადა, მისთვის თვალი გაესწორებინა და საკუთარი ნებისათვის დაექვემდებარებინა: უცნობი მოუხელთებელი აჩრდილივით იყო, თავხედურად და მაინც მფრთხალად იცქირებოდა და მზერას არიდებდა. ლევანმა იგრძნო, როგორ ჩაექცა სისხლში ბალღამი. კიდევ კარგი, უცნობი უძლიერეს ზიზღს აღუძრავდა: ამის მოთმენა ვეღარ შეძლო, ადგა და ქუჩაში გავიდა.

კვლავ პირქუშად მიაბიჯებდა. მაინც რა გახდა მიზეზი ამ უკანდახევისა? თავშეკავება? მაგრამ თავს ღრმად შეურაცხყოფილად გრძნობდა. იქნებ შიში? ნამდვილად შიში უნდა იყოსო, გულწრფელად გამოუტყდა საკუთარ თავს. მერე თავისივე მოსაზრება ჩაასწორა: უფრო შიში, ვიდრე

თავშეკავება. მაგრამ ამან ვერ დააშოშმინა: სულს შეძრულად და შელახულად გრძნობდა. ასე დარაჯობს ულმობელი ხიფათი ადამიანის არსებას, – ასე განაგრძო ფიქრი ლევანმა. უკანასკნელი სამი წელიწადია, ამ ტვირთს ატარებდა, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არასოდეს გადახდენია: ეს წითური აჩრდილი საბჭოეთის ყოვლად შემზარავ განსხეულებად გამოეცხადა. ამ ფიქრებში იყო, აიშას რომ გადაეყარა, იეზიდი მეეზოვის პატარა გოგონას, სულში ჩამწვდომი, კრიალა თვალებით. ბავშვი მისკენ გამოექანა და სიხარულით მოეხვია.

– ლევან! ძია ლევან!

– სალამი, აიშა! როგორ ხარ? – თავზე ხელი გადაუსვა ლევანმა.

– კარგად, – უპასუხა პატარამ და სახეში ჩახედა, – აი, შენ კი კარგად არ გამოიყურები. ავად ხარ?

– არა!

– თვალები გაქვს ამღვრეული.

– თვალებიო? – ხელი სახეზე გადაისვა და უცნაურად მოეჩვენა, თითქოს შემზარავი ხილვა გაეფანტა.

– აი, ახლა სულ სხვა ამბავია, – აღტაცებით შეჰყვირა გოგონამ, – ნისლი გაიფანტა და ახლა გხედავ.

ლევანი გაოგნებული უმზერდა.

– მითხარი, კვირაში რამდენს შოულობ? – აიშა ხშირად მათხოვრობდა.

– ასე, ხუთიოდე მანეთს.

– ეს გამომართვი! – უთხრა ლევანმა და ათმანეთიანი გაუწოდა.

– ასე ბევრი? – სიხარულითა და, უფრო მეტად, გაოცებით შეჰყვირა გოგონამ.

– ახლა შეგიძლია ორი კვირა შინ დარჩე და არ იწანწალო, – უთხრა კაცმა.

აიშა იმედგაცრუებული ჩანდა.

– რაო, შინ ჯდომა მოსაწყენია? – იკითხა კაცმა.

– ორი კვირა რომ სახლიდან არ გავიდე, ძალიან მომენატრები!

– ჰოო, ასე ძლიერ გიყვარვარ?

– ძალიან.

– ასე რატომ გიყვარვარ?

– ისეთი საყვარელი ხარ, სხვას არავის გავხარ.

– კარგი, ამ დღეებშიც გამოდი, ოღონდ ნუღარ იმათხოვრებ.

– კარგია! – გაეღიმა გოგონას და გაბრწყინებული გამოეთხოვა.

ლევანმა თვალი გააყოლა. ნუთუ მართალია ის, რასაც ამტკიცებენ: იეზიდები სატანას ეთაყვანებიანო? წარმოუდგენელიაო, გაიფიქრა: ამ გოგონას ვინც კი შეხედავს, უმალ დარწმუნდება, რომ ეს ასე არ არის.

თბილისის ძველი უბნისაკენ გასწია: აქ მუდამ შეიგრძნობდა წარსულის შეუდარებელ სურნელს. თითოეული სახლი ხისგან სათუთად გამოკვეთილ უმშვენიერეს ქმნილებას წარმოადგენდა და გამვლელს თითქოს გამჭოლი სევდით უმზერდა. მდუმარედ ჩამწკრივებული სახლები შებინდებისას ქანდარაზე

ჩათვლემილ ქათმებსა ჰგავდნენ. ყველა თავისთვის დგას, განცალკევებით, და მაინც ერთი სივრცე აქვთ, თითოეული სახლი მეზობელი სახლების ცხოვრებას აკვირდება. როდესაც ერთ-ერთს მოულოდნელი სიხარული ესტუმრება, მისი სხივები მაშინვე სხვა სახლებსაც აცისკროვნებს. ერთგან თუ მიცვალებული ასვენია, გარშემო ყველა სახლი მგლოვიარეა. ოთახში მომყუდროებული, აქ მშვიდად მოისმენთ სახლების გაბმულ დიალოგს. აქ მეორეხარისხოვან შენობას ვერ ნახავთ, ყველა თანაბარია, ერთიმეორესთან თბილი მეგობრობა აკავშირებთ, თითოეულ სახლს ცოცხალი გული უცემს და თან მეგობრების გულისძგერას აყურადებს. აქა-იქ ნახავთ სახლებთან მჭიდროდ მომდგარ მომცრო ეკლესიას, რომელიც მაინც შორი და მიუწვდომელი, სიწმინდის შარავანდით დაცული და ხელშეუხებელი მოგეჩვენებათ. სადად ნაკვეთი მისი ლოდები გაქვავებული ლოცვებია. ეკლესია თითქოს ეს-ესაა აიტაცებს ამ ძველ სახლებს, დაარწევს და ყოველდღიური საზრუნავისაგან შორს, სიზმარეულ სივრცეში გააქროლებს. ამ ვიწრო შუკებში გარდასულ საუკუნეთა ლანდები სახლობენ. ქალაქი საფეხურებად შეფენილა ფერდობზე და

მდინარეს გადაჰყურებს. ყველა სახლიდან უშორესი გადასახედი იშლება, რაც უფრო მაღლაა სახლი, ხედიც მით უფრო წარმტაცია. თანაც, სახლების ზედა რიგები ქვედას იცავს და ზურგს უმაგრებს.

ლევანმა ფერდობი აიარა და მონუსხულმა ქალაქს ზევიდან გადახედა. ხეობაში ღრმა სოლად შეჭრილი, აღმოსავლეთისაკენ მიქცეულიყო ვეება საოცნებო ხომალდივით, აღუწერლად მშვენიერი და საბედისწერო. იქნებ ამ საარაკო ქალაქის მომნუსხველი ჯადო იზიდავდა საუკუნეების მანძილზე ამდენი ჯურის მტერსა და მომხდურს, როგორც პატარძალს, გარს რომ ეხვეოდნენ და მის მოხელთებას ესწრაფოდნენ? ლევანი რეტდასხმულივით უმზერდა საღამოს ჩრდილების აღზევებას, ქალაქის მიღმა შორი ტრამალები ბინდში მორუხო-მოიისფროდ გაწოლილიყო. წუთები ილეოდა და ასე ეგონა, მთელი არსებით ქალაქს შევეზარდეო. შინაგანი სმენით გაიგონა ხმა, თბილისის დაარსების თქმულებას რომ უამბობდა. თითქოს მიწის ბნელი საშოდან წამოიშალნენ მოგონებები.

თქმულება ქალაქზე

ხელმწიფემ აფრენილ ხოხობს შევარდენი დაადევნა. ვიდრე შევარდენი ფრინველს მისდევს, ხელმწიფე იცდის. უკვირს, ამდენ ხანს რად არ ჩანს მისი შევარდენი. მის საძებნად გაემართება და ერთ ხევში ჭალას მიადგება, სადაც გოგირდოვანი ცხელი ნაკადი ჩაედინება. ხედავს, ხოხობიც და შევარდენიც წყაროში დამხრჩვალან. ამ ადგილას საფუძველს უყრის ქალაქს და, რაკიღა თბილ წყაროს მიაგნო, სახელად თბილისს არქმევს. ასეთია თბილისის შესახებ თქმულება. თუ როდის მოხდა ეს, დაზუსტებით არც ერთი მატიანე არ იუწყება. ეს არაა მნიშვნელოვანი, მთავარი ისაა, რომ ამ ადგილას ორივე დაიღუპა: მდევარიცა და მსხვერპლიც. საუკუნეთა მანძილზე მეორდება ამ საარაკო ქალაქის სინამდვილეში შევარდენისა და ხოხბის თქმულება.

ჯერ კიდევ უხსოვარ დროს შეუტიეს თბილისს სპარსებმა: მეექვსე საუკუნის დასასრულამდე ქალაქს სასანიდთა დანიშნული მმართველები განაგებდნენ, მაგრამ ქართველთა შეუპოვრობა წლიდან წლამდე სულ უფრო მძლავრობდა, ვიდრე ქალაქი მომხვდურთაგან არ განთავისუფლდა. მალე, 626 წელს ქალაქის გალავანს ჩრდილოეთიდან მოსული, ბებერი და ცბიერი ბიზანტიის მიერ შეგულიანებული ხაზართა ბრბო შეესია. როდესაც მსოფლიოს ისლამის ტალღამ გადაუარა, ხალიფა ომარის მხედართმთავარმა, მურვან ყრუმ, მიწასთან გაასწორა ამდენი უცხოელისათვის სანატრელი ქალაქი. დიდი დრო არ გასულა, კვლაც ხაზარები რომ დაეუფლნენ თბილისს. მათ არაბები ჩაენაცვლნენ, ამჯერად დიდი ხნით: თითქმის სამას წელიწადს გაგრძელდა მათი ბატონობა. მაგრამ საქართველოს ამასობაში როდი სძინავს, მეათე საუკუნის დასასრულს არაბთა თარეშს ბოლო მოეღო. მეფე ბაგრატ III მძლავრი ხელით აერთიანებს ქვეყანას. მის სატახტო ქალაქში, ქუთაისში აგებული დიდებული ტაძარი, რომლის მშენებლობაც 1003 წელს დასრულდა, გუმბათის ტრადიციული ფორმის მიუხედავად, პორტალის წაწვეტებული მოყვანილობით გოთური სტილის ყველაზე ადრეულ ნიმუშად გვევლინება.

განვლო საუკუნეებმა და იმხანად, როცა ევროპა ოცდაათწლიანმა ომმა ნანგრევებად აქცია, ეს დიდებული ქმნილება თურქებმა შემუსრეს. დღეს მისგან მხოლოდ გოლიათური და მაინც მოხდენილი კედლებიღა შემორჩა, მაგრამ ამ ნაშთებშიც სასწაული დავანებულა. 1073 თბილისი კვლავ მომხვდურთა, ამჯერად სელჩუკთა, ხელშია. ქვეყნის ხანმოკლე აღორძინება კვლავ შეწყდა. მაგრამ გამოჩნდა კაცი, ძლევითა და ღვთის მადლით შემოსილი, მეფე დავითი, ვისაც აღმაშენებელი უწოდა ხალხმა – ანრი IV-ის თანამედროვე. იგი უბადლო მხედართმთავარიცაა და წმინდანიც. გამარჯვების ჟინით ატანილი, ლაშქრობაში მიემგზავრება, მაგრამ არც ის ავიწყდება, თან ახალი აღთქმა წაიღოს. ბრძოლების შუალედებში ლოცვას აღავლენს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, სანამ გარინდული იჯდა, მისი ლაშქარი ლამის დამარცხდა, მაგრამ უკანასკნელ წამს გამოერკვა, ბრძოლაში გაიჭრა და ხიფათი ააცილა ქვეყანას. ამ კაცმა სელჩუკები განდევნა, მეტიც, უკან დაედევნა და სახელგანთქმული სომხური ქალაქი ანი გაანთავისუფლა. აღმაშენებელი გზას უმზადებს თამარის ოქროს ხანას, რომელიც ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და ბარბაროსთა მიერ იმპერიალისტური იდეის განხორციელებას ემთხვევა დროში. და აი, საქართველოს ისტორიის ბუნიობის ხანა დგება. თამარი ისლამურ სახელმწიფოებზე იმარჯვებს და ბევრ მათგანს ხარკის გადახდას აკისრებს. საქართველოს

საზღვრები ახლა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გაფართოვდა, კავკასიის კარიბჭედან დარუბანდიდან, მდინარე არაქსამდე. თამარ მეფემ დააარსა ტრაპიზონის სახელმწიფო და, რათა მტრისგან მუდმივად ჰქონოდა საიმედო დაცვა, მისი ტახტი ალექსიოს კომნენოსს გადასცა. ააგო ურიცხვი ციხესიმაგრე, ქალაქი, ტაძარი. ვარძიის კლდეში გამოაკვეთინა ოთხსართულიანი საარაკო ქალაქი, ასობით საკნითა და მღვიმე-დარბაზით. ხალხის შემოქმედებითი აღზევება თავის მწვერვალს აღწევს, სათაყვანებელი დედოფალი საკუთარ არსებას გადალახავს და ცოცხალ მითოსად გარდაისახება, მაგრამ ვაი, რომ ამას დიდი დრო არ უწერია! აზიის ტრამალებში მონღოლთა საბედისწერო მოდგმა იღვიძებს. მათ

უკვე ხატაეთი წალეკეს, ხორეზმი ააოხრეს, დაიპყრეს სპარსეთი და ბოლოს, გამარჯვებისაგან მთვრალი ხროვა კავკასიას მიაწყდა. სულგანაბული ელოდა საქართველო ამ დიდ განსაცდელს. მისმა გულმა, თბილისმა, ცახცახი იწყო. თავდაპირველად მტრის ვეება ჩრდილი ეცემა მხოლოდ: ჯალალ ად-დინი, ხორეზმის დიდი მხედართმთავარი, მონღოლთაგან დამარცხებული, თბილისს დაეცა თავს და საკუთარი მარცხის ჯავრი ამ ქალაქზე იყარა. უკანასკნელი ძალებით ეხლება ხორეზმელთა ფოლადის მახვილები ქართველთა ტირიფის რტოებივით დრეკად ხმლებს. ქართველები ამ თავდასხმას არ ელოდნენ. თბილისი ეცემა. ჯალალ ად-დინი ავხორცი ნეტარებით ეწაფება ამ გამარჯვებას: სამეფო ტახტს ტაძრის დამხობილ გუმბათზე იდგამს. მალევე ტოვებს ქალაქს, მაგრამ ამასობაში თვით მონღოლებიც მოდიან. ასეთი მგზნებარე წინააღმდეგობა უძლეველ ურდოს ჯერ არსად დახვედრია. ქართველები თავდაუზოგავად იბრძვიან, მაგრამ ცბიერება აკლიათ და მონღოლებიც სწორედ ამით სარგებლობენ. ჯებე-ნოინი, ჩინგიზ ყაენის სახელოვანი მხედართმთავარი ლაშქარს ქალაქის მიმდებარე ვიწრო ხეობაში განათავსებს, ხოლო მეორე, ასევე სახელოვანი მხედართმთავარი სუბუდაი ბაჰადური მონღოლთა ნაცად ხრიკს მიმართავს: გაქცევის იმიტაცია მოახდინა. ამ ხრიკმა ამჯერადაც გაჭრა: ჯებე-ნოინის მოლაშქრეები მოულოდნელად ტოვებენ საფარს და ქართველთა ჯარს გვერდიდან უტევენ. მორჩა, თბილისი აღებულია. ქარიშხალივით გადაუქროლეს მონღოლებმა საქართველოს. საუკუნეზე მეტხანს იბატონეს, შემდეგ უკუგდებულ იქნენ, მაგრამ დიდი ხნით არა: მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს თბილისს მეორე მონღოლი დამპყრობელი, თემურ ლენგი მიადგა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. შვიდჯერ შეიჭრა ქალაქში და მხოლოდ ამის შემდგომ დაეპატრონა საბოლოოდ. გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისი კვლავ დაეცა. ახლა კი საქართველოს ფუძე აქვს გადატეხილი: ის სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაამსხვრიეს, ქვეყნის სიცოცხლის ჯერ კიდევ ჯანსაღ კერებს საფრთხე დაემუქრა. შემდგომში, როდესაც ევროპა რეფორმაციის წყალობით სრუ-

ლიად ახალ სამყაროდ გარდაიქმნება, თბილისი ჯერ მონაცვლეობით სპარსთა, თურქთა და ქართველთა ხელთ აღმოჩნდა. შეუჩერებლივ გრძელდება ბრძოლა ამ უმშვენიერესი ქალაქისათვის. 1616 წელს თბილისს ირანის ლომი, შაჰ-აბასი დაეუფლა. მასთან ბრძოლას ათიათასი ქართველი შეეწირა, ასიათასი ტყვედ წაასხეს და ფერეიდანში დაასახლეს.

თბილისის ჭირ-ვარამი ამით არ დასრულებულა. უსასტიკესი დარტყმა მას არა მტერმა, არამედ ქართველმა გიორგი სააკაძემ მიაყენა. დიახ, ერთ საბედისწერო დღეს დიდმა მოურავმა ალყა შემოარტყა თბილისს. გულით სურდა ქვეყნის დანაწევრებულის სხეული აღედგინა, მისი იარები განეკურნა, მაგრამ გამუდმებით შუბლით ეხლებოდა უზნეო ფეოდალთა თავკერძობას. სააკაძეს მარადიული საქართველო უყვარდა, თანამედროვე კი სძულდა. ეს გაორებული განცდა მის სულს ლამის დაღად დააჩნდა, მაგრამ მისი ზიდვა

ვერ შეძლო: მხედრულმა სულმა ვერ გაუძლო. საქართველო მიატოვა და სპარსეთში გადაიხვეწა. მაშ, სამშობლოს უღალატა? არამც და არამც. საფრთხემ, მისი სულის მთლიანობას რომ დაემუქრა, დაბინდა მასში ქართული არსი. იგი, პრომეთეს მსგავსად, მედიდურობას ემსხვერპლა. სამშობლოში დიდი სარდალი იყო და სპარსეთში კიდევ უფრო გაიწაფა და მომძლავრდა: აზიაში მის ყველა ლაშქრობას გამარჯვება ხვდა წილად. და აი, დიდი აბასი ამ კაცს საქართველოს წინააღმდეგ აგზავნის. თბილისი სუნთქვაშეკრული ელოდა. ერთმა გულმა ერთხმად ქნა რეჩხი: ერთი ქალაქის გული იყო, მეორე – სარდლის. ეს ერთადერთი რამ გამოდგა, რის წინაშეც უკან დაიხია თავზეხელაღებულმა ვაჟკაცმა: სააკაძე კვლავ ქართველების მხარეზე გადავიდა, ერთი მძლავრი დარტყმით შემუსრა წუთის წინ მის დაქვემდებარებაში მყოფი სპარსთა ლაშქარი. უგუნურ ფეოდალებს მაინც ვერაფერი შეაგნებინა, კვლავაც მიაწყდა ამ კაცის ნება გადაულახავ კლდეს. წმინდა რისხვამ აიტანა, იმავდროულად სიყვარულითა და სიძულვილით ჩაასო მახვილი ქართულ მიწას თბილისის მისადგომებთან, შემდეგ კი საბოლოოდ გადაიხვეწა თურქეთს,

სადაც კიდევ უფრო დიდი სარდალი შეიქნა, ვიდრე მუხანათურად არ მოკლეს მძინარე. ქალაქი ძრწოლით შეხვდა ამ ამბავს.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს მრავალნატანჯი თბილისი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა ლეკებმა დაანგრიეს. მეფე ვახტანგ IV-მ თანადგომისათვის პეტრე დიდს მიმართა და ოჯახითა და ამალით რუსეთს შეაფარა თავი. ამავდროულად, რუსეთსა და სპარსეთს შორის მტრობა გაჩაღდა. თურქები, რახანია ხელსაყრელ გარემოებას რომ სდარაჯობდნენ, ახლა თბილისს დაეპატრონენ, თუმცა არც ეს გაგრძელებულა დიდხანს. მათ შემდეგ თბილისი კვლავ სპარსთა ხელში გადავიდა. მეფე ერეკლე II ეკატერინე II-ს შველაზე ამყარებდა იმედებს, რამაც საჭურისი აღა-მაჰმად-ხანი განარისხა. 1795 წელს მან ქალაქი მიწასთან გაასწორა, სისხლში ბანაობდა, თბილისის სახელოვან აბანოებშიც იბანავა, როგორც ჩანს, ამით თავისი დაუძლურებული მამაკაცობის დაბრუნებას იმედოვნებდა. ახლა კი საქართველოს სრულიად გამოეცალა ძალღონე. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ღონემიხდილი ქვეყანა ხელშეკრულების საფუძველზე ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. მაგრამ რუსეთმა უმუხთლა: იმედგაცრუებულმა და აღშფოთებულმა საქართველომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გუბერნიის სახით გამოიღვიძა. ამბოხებებს უსასტიკესად ახშობდნენ. 1914-18 წლების მსოფლიო ომის ბოლოს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა მხოლოდ მოკლე ხნით. 1921 წლის თებერვალში თბილისი მეთერთმეტე ბოლშევიკურმა კოლონამ აიღო. საქართველო საბჭოეთის ნაწილი გახდა. და ამით ყველაფერი დასრულდა.

ასე მთავრდება თვით სინამდვილის მიერ შეთხზული თქმულება თბილისის შესახებ. შევარდენისა და ხოხბის აჩრდილები კი დღემდე დასტრიალებენ ქალაქს.

სიშორის მონატრება

ლევანი უკვე მთაწმინდაზე იდგა და ქალაქს მისი ყველაზე მაღალი წერტილიდან გადაჰყურებდა. თქმულების გამოძახილს კვლავაც ისმენდა შინაგანი სმენით, ბლანტი სისხლივით რომ უტოკავდა გონებაში. ლურჯ სიშორეში მშვიდი სიმძლავრით აღმართულიყვნენ მთები და უსასრულოდ გაწოლილიყვნენ შორი მინდვრები. ქალაქი გატრუნულიყო ხეობაში, თითქოს მოაჯადოვესო. ლევანს ხალხის უძველესი სიბრძნე მოაგონდა: ყოველ ალაგს საკუთარი კეთილი თუ უკეთური ძალა აქვსო. ნუთუ თბილისი დაწყევლილია? ეცადა ამ ფიქრის გაფანტვას, მაგრამ გულდამძიმებული, საკუთარ თავს შეეკითხა: განა არის ქვეყნად იმაზე უფრო საზარელი რამ, ვიდრე დაწყევლილი სახლი? მის წინ მთელი მიდამო უსასრულო შუქით იყო გაცისკროვნებული. გაიფიქრა, მსოფლიოს არც ერთ სხვა ქალაქს არ ადგას ასეთი ნათელი შარავანდედი. როგორღა ეთავსება ნათელი წყევლას? – კვლავ შეეკითხა საკუთარ თავს, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნო. ეგებ ბნელ ძალებს ამ სახიერი ნათელის ჩაქრობა სწადდათ? ლევანმა ეს ფიქრი ბოლომდე ვერ მიიყვანა. ერთ რამეს კი ჩახვდა გუმანით: ამ ადგილას რაღაც ხდებოდა იდუმალი, რისი წვდომაც სულიერი სფეროს უკიდურესი სიმაღლიდან შეიძლება მხოლოდ. საქართველოს ისტორია მშრალ ქრონიკად კი არ შეისწავლა, – მძიმე, სისხლიან, სანუკვარ მემკვიდრეობად გაითავისა. 25 თებერვლის იმ წყეულ ღამეს, როცა ბოლშევიკები ქალაქში შემოიჭრნენ, ლევანს თვალწინ ჩაუქროლა ამ ისტორიის სურათებმა ისევე, როგორც მომაკვდავი ხედავს თვალის დახამხამებაში განვლილ ცხოვრებას. ის ღამე ლახვრად ჩაესო სულში და მას შემდეგ საკუთარ თავსაც კი ვერ უტყდებოდა იმაში, თუ ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რა ტრიალებდა მის თავს, ან როგორ ცხოვრობდა: ის შინაგანი ღერძი და დვრიტა, ზეციური თვალი პატიოსანი, რაც გამჩენმა ჩაუდო სულში, ახლა დამსხვრეულიყო. ახლაღა ჩასწვდა იმას, რის გამოც შეძლო იმ წითურმა საფრთხობელამ მისი დაძაბუნება. გულდამძიმებულმა, ერთხელაც გადახედა ამ ლეგენდარულ ქა-

ლაქს, მის ბედისწერად რომ ქცეულიყო, მერე კი, გათანგულმა და სულ-დაფლეთილმა, მოარიდა მზერა. შინ წასვლა ახლა არ შეეძლო. გზააბ-ნეული მხეცივით კვლავ გზას გაუდგა. უეცრად მოაგონდა ნიცშეს სიტყვე-ბი: „დაე, იმან, რაც ვერ მანადგურებს, გამაძლიეროს“. ნუთუ ეს ჭეშმარი-ტება ჩემთვის დაკარგულია? – ჰკითხა საკუთარ თავს ლევანმა.

მთის სამხრეთ ფერდობს მიადგა, საიდანაც განიერ ტაფობში ჩამ-ჯდარი სოფელი ოქროყანა მოჩანდა. მის ირგვლივ უხვი სიმწვანით ბი-ბინებდა ფერდობები და მდელოები. – ოქროს ყანა, – ჩურჩულით წარ-მოსთქვა ლევანმა. გაიფიქრა: ახლა ნორჩია, ხასხასა მწვანე, ორი თვის შემდეგ კი სათიბის დრო მოუწევს და მქრქალი ოქროთი შეიმოსება. აქ უძრავი, დასაბამიერი სიმშვიდე დასადგურებულიყო: თვით მიწას ეზრუ-ნა იმაზე, რომ თბილისის ორომტრიალით დაღლილ კაცს აქვე, ქალაქის სიახლოვეს, მოესვენა. შორიახლოდან სიმღერის ხმა შემოესმა, გლეხი მღეროდა. ლბილ, უბოროტო სევდას განემსჭვალა მისი სიმღერა. ამგვა-რი სიმშვიდის წუთებშიც კი არ ტოვებს ქართველს დარდი, – გაუელვა გონებაში ლევანს. უხსოვარი დროიდან ისმენს აქაური მიწა ამ საგალო-ბელს, დღევანდელმა გლეხმა ძველი დარდით რომ ამოთქვა, ამოიკვნე-სა. მგალობელნი თვალს მიეფარებიან, სიმღერა კი რჩება, მარად უკვდა-ვი, მარადმჟღერი. მომავალში მას ვიღაც ჯერარდაბადებული ააჟღე-რებს. ნეტავ თუ ფიქრობს ეს გლეხი ყოველივე ამას? არა, მხოლოდ

ლევანი მიჰყვება ფიქრებით მის ხმას. სიმღერამ კიდევ უფრო და-აღონა სოფლის თავს, კლდეზე მჯდომარე, ემძიმა სიმარტოვე. უეცრად მოაგონდა, რომ ახლა ამ სოფელში მისი მეგობარი ავალა იმყოფებოდა. რა იქნება, მოულოდნელად რომ ვესტუმროო, გაიფიქრა. ოცი წუთიც არ გასულა, რომ უკვე მეგობართან იყო.

პოეტი ავალა, ასე, ოცდაოთხი წლის იქნებოდა; ქერა თმა და გაცის-კროვნებული, მეოცნებე თვალები ჰქონდა. როდესაც ლევანი ეზოში შე-მოვიდა, ავალა აივანზე იჯდა და სტუმარს ესაუბრებოდა, ის კი ხალისია-ნად უამბობდა რაღაცას. მეგობრის დანახვაზე პოეტმა სიხარულით შეს-ძახა: – აჰ, ლევან, შემობრძანდით! – ლევანმა აივნის კიბე აიარა, ავალას

სალამი მისცა და სტუმარს გაეცნო. ეს უკანასკნელი დიდებული გვარისა აღმოჩნდა, მის მამას დიდ გიორგის ეძახდა ყველა. ავალასთან ერთად თურმე მოსკოვში უსწავლია და იქ დამეგობრებულან. ახოვანი იყო, საოცრად მოხდენილი, მაგრამ მეტისმეტად განატიფებული ნაკვთები ჰქონდა.

– აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა ლევანმა ავალას და გულითადად გაუღიმა, – აქ მომაგრებულხარ, ნამდვილად მოგიხდა ოქროყანის ჰაერი.

– აქ მართლაც შესანიშნავია, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ხელახლა დავიბადე, – უპასუხა ავალამ, – რა კარგია, თქვენც რომ აქ გხედავთ.

– როგორ? ისევ თქვენობით მომმართავ? აგერ უკვე რვა წელიწადია, რაც ვმეგობრობთ. შენზე ბევრად უფროსი კი ვარ, მაგრამ არა იმდენად ხნიერი, შენობით საუბარი რომ ვერ გამიბედო.

– ეს ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ კი არა, – კრძალვით უთხრა ავალამ, – ვერ გეტყვით, რატომ ხდება ასე.

მართლაც უცნაური იყო, ლევანს მეტწილად თქვენობით რომ მიმართავდა, იშვიათად კი შენობით. ეს მხოლოდ ავალას მორიდებულობის ბრალი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თვით ლევანის ხასიათისაც, რადგან მეგობრობაშიაც კი მანძილს ინარჩუნებდა.

– იმედი მაქვს, მომავალში ისევ შევძლებ, შენობით მოგმართოთ, – ღიმილით ეცადა ავალა ამ საუბრისაგან თავის არიდებას.

– ახლავე სცადე, – არ მოეშვა ლევანი.

– შენ... უცნაურად აღელვებული ჩანხარ, – შენიშნა ავალამ და საკუთარი გაბედულობისაგან გახალისდა.

– აი, ასე არ ჯობია! – გაუხარდა ლევანსაც, – სწორად მიხვდი, მართლაც აღელვებული ვარ.

– რა დაგემართა?

– ავად ვარ.

– ავად?! – შეწუხდა მეგობარი.

– დიახ, თბილისით ვარ ავად. არის ასეთი ავადმყოფობაც.

სტუმარმა, კოსტამ, გაოცებით შეხედა ლევანს.

– თანაც საშინლად დავიღალე, – განაგრძო ლევანმა, – და, თუ ნებას დამრთავ, ერთი საათით მოსასვენებლად მივწვები.

– რა თქმა უნდა! – უპასუხა ავალამ და ოთახში შეუძღვა.

ლევანი ნეტარებით გაწვა რბილ და განიერ ტახტზე. მადლობა ღმერთს, ძილი – ძალთა აღდგენის ეს დასაბამიერი წყარო, ჯერაც არ მტოვებსო, გაიფიქრა. მალე ჩაეძინა. ავალა და კოსტა კი სასეირნოდ გავიდნენ.

– უცნაური კაცი ჩანს ეგ ლევანი, – წამოიწყო საუბარი კოსტამ, – შეფარვით რომ ვუმზერ, ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს შეშლილობის ზღვარზეა.

– ღვთაებრივი შეშლილობისა, – შეუსწორა ავალამ, – სიშორის მონატრება სტანჯავს.

– ეს დროდადრო ყველას გვემართება!

– მართალია, მაგრამ არა ასეთი სიმძლავრით. მისი მონატრება აპოკალიფსურია.

– კარგად არ მესმის, რას გულისხმობ.

– ლევანი ყოველწუთს ყოფიერების ზღვარზე დგას.

– მერე?

– წარმოიდგინე ასეთი რამ: კაცი სატრფოს დაბრუნებას ელოდება, დიდხანს უნახავი სატრფოსი: ვთქვათ, სამ თვეში რომ უნდა დაუბრუნდეს. როგორ წარიმართება მისი ყოფა ამ მოლოდინში? ის განაგრძობს ჭამა-სმას, ძილს, მუშაობას, ნაცნობ-მეგობრების მონახულებას, ერთი სიტყვით, ძველებურად ცხოვრობს, მაგრამ სინამდვილეში ვერავინ და ვერაფერი ააღელვებს, რადგან მხოლოდ მომავალი შეხვედრის წუთით სულდგმულობს.

– მაგრამ ეს წუთი ჯერჯერობით მხოლოდ მის წარმოსახვაშია.

– დიახ, წარმოსახვაში, მაგრამ ამის გამო არანაკლებ ხელშესახებია. რაც კი დროის ამ მონაკვეთში გადახდება თავს, მისთვის უმნიშვნელოა. ასეთი ადამიანი კი არ ცხოვრობს, ისხლეტს ცხოვრებას, მის შეხებას გაურბის. იმითაა ანთებული, რაც მიუწვდომელ სიშორეში ძევს, მაგრამ მი-

უწვდომელს გზნებით უახლოვდება და სუნთქვით თითქოს სწვდება კიდეც.

– და ამას უწოდებ სიშორის მონატრებას?

– რაც გითხარი, მარტივი მაგალითია, მაგრამ განმარტებად ივარგებს. აპოკალიპტიკოსი ყოფიერების აღსასრულს წინასწარ ჭვრეტს და მთელი არსებით ესწრაფვის ახალ ქვეყნიერებას. ოდესმე ხომ ქვეყნიერება ხელახლა, ამჯერად სრულყოფილად უნდა შეიქმნას. და ამ აღსრულების მოლოდინში ყველა სხვა ხდომილებას ისე უმზერს, როგორც უმნიშვნელოს, წარმავალს.

– მაშ, ყოველივე წარმავალი მისთვის მხოლოდ იგავ-ხატია, ჭეშმარიტის მსგავსება, როგორც გოეთემ თქვა.

– ეს მართლაც ზუსტი ნათქვამია.

– მაგრამ მარადიული ხომ სწორედ წარმავალით ისხამს ხორცს და მასაც საკუთარი საზრისით მსჭვალავს. ასე რომ, წარმავალი არ არის მხოლოდ მსგავსება.

– მართალია, სავსებით სწორია. ყველას როდი ძალუძს წონასწორობის დაცვა მარადიულსა და მის მიწიერ სახებას შორის. ქმედითი განსჯით ერთნი პირველს ანიჭებენ უპირატესობას, სხვანი – მეორეს. ადამიანთა ეს ორი ტიპი ერთურთში გადადის ურიცხვი ვარიაციით, შეუძლებელია ყველა გრადაციის აღრიცხვა.

– იმის თქმა გინდა, რომ ლევანისთვის, ვთქვათ, რომელიმე ყვავილი მხოლოდ მსგავსებაა?

– რა თქმა უნდა, იმდენად არა, როგორც აპოკალიფსის მომლოდინესთვის, მაგრამ, გარკვეულწილად, ასეა.

– მე კი დავაკვირდი, ყვავილი ხელში როგორ ეკავა: ის ცოცხალ არსებას ხედავდა მასში.

– ვიცი, მესმის. და მაინც: შეხედე ჩვენს გლეხს, ნიკოს, რთველში როგორ მუშაობს. უეჭველია: რთველი მისთვის ერთადერთი სინამდვილეა.

– და ლევანისთვის?

– მისთვის რთველი მჩქეფარე, ძარღვიანი სიცოცხლის გამოვლინება იქნებოდა, მაგრამ ამასთან, რაღაც უფრო დიდი საზრისითაც დაიტვირთებოდა.

– და ეს საზრისია სწორედ, რაც ლევანს ნიკოსაგან განასხვავებს?

– დიახ, სწორედ ასეა.

მოკლე ხანს დუმდნენ.

– ახლა ვხვდები, რას წარმოადგენს მისი სწრაფვა სიშორისაკენ, – განაგრძო კოსტამ, – მაგრამ შეშლილობის ზღვართან რამ მიიყვანა, მაინც არ მესმის.

– ნუ გავიწყდება, რომ საქმის კაცია; რასაც ხილვებში ჭვრეტს, იმის სინამდვილეში გადატანა სურს.

– ხომ თქვი, ხილვებში ნანახს წინდაწინ აღწევს და აგემოვნებსო!

– ასეა, მაგრამ ეს წინდაწინ დაგემოვნება სინამდვილის ტოლფასი მაინც არ არის.

– განა არ შეუძლია, ნატვრა სინამდვილედ აქციოს?

– საამისოდ წინასწარმეტყველი უნდა იყო. მისი ტრაგიზმიც სწორედ ისაა, რომ საკმარისი ძალა არ შესწევს.

კოსტა მეგობრის სიტყვებს ჩაუკვირდა.

– ალბათ ძლიერ უმძიმს ცხოვრება, – ჩაილაპარაკა ბოლოს, თითქოს თავისთვის.

– ძალიან, – დაუდასტურა ავალამ, – ნეტარი სიმსუბუქე სრულებით არ გააჩნია.

– მისი სიმკაცრეც ალბათ აქედან მოდის?

– უეჭველად, მაგრამ ეს სიმკაცრე სინამდვილეში ნათელი ბუნებისაა. თუმცა, მასთან ურთიერთობა ნამდვილად არ არის იოლი.

– წარმომიდგენია, – გაეღიმა კოსტას.

– მას ასევე აკლია დროის მკურნალი ძალის განცდა და ეს – სწორედ იმიტომ, რომ, რასაც ხილვებში

ჭვრეტს, იმას მხოლოდ წარმოსახვითად განიცდის. ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდმივ მოცემულობაშია, მისი არსება ერთხელ და სამუდა-

მოდაა სრულქმნილი. წეღან თქვა, თბილისით ვარ ავადო. იცი, რას ნიშნავს ეს? ეს იგივე სენია, მე და შენ რომ შეგვეყარა იმ ღამით, თბილისი როცა დაეცა, მაგრამ ლევანი მას ისეთივე სიმძაფრით განიცდის, როგორც მაშინ, თითქოს ეს სამი წელიწადი არ გასულიყოს.

– ეს ხომ წარმოუდგენელია.

– და მაინც ასეა.

– ახლა მასში ბევრ რამეს უკეთ ჩავწვდი.

– დიახ, ის გარდუვალისა და მარადიულის სულიერ სივრცეში სულდგმულობს. წარმავალს მაინც აჩრდილად აღიქვამს. ზოგჯერ კი, იშვიათად და სრულიად მოულოდნელად, უბრალო საგანში ჭვრეტს უზენაეს განზომილებებს, აი, თუნდაც ქვაში, ყვავილში, მცენარეში, ცხენში, ადამიანის სახესა თუ რაიმე უმნიშვნელო მოვლენაში უეცრად ხედავს ღვთაებრივი ნათელის გამობრწყინებას, მასში განზავებულსა და განსხეულებულს. ასეთ წუთებში მისი არსება მთლიანად ამოხეთქავს ხოლმე. ამას რომ ჩაწვდე, აუცილებელია, მსგავს წუთებს შეესწრო: ასეთ დროს მთლიანად, უნაშთოდ იხარჯება, შემდეგ კი გასაოცარი სიმშვიდე ეუფლება: ასეთ დროს მკაცრი კი აღარ არის, არამედ ლბილი, მქრქალი ნათელი ადგას და, მგონი, ხელდასხმით განკურნებასაც კი შეძლებდა.

ავალამ ღრმად ამოისუნთქა და დადუმდა. კოსტა გაფაციცებით უსმენდა.

– მაგრამ სწორედ ასეთ წუთებში, როცა ღვთაებრივ დინებას მიჰყვება, მის გულს სერიოზული საფრთხე ემუქრება, – დაასრულა ავალამ.

– როგორ? მართლა ავად არის? – იკითხა კოსტამ.

– არა, ფიზიკურად სრულიად ჯანსაღი გული აქვს. ესეც მისი ერთ-ერთი უცნაურობაა: როგორც ჩანს, იმ მომეტებული სილბოს წუთებში სულის სიღრმემდე დაუცველია და ლარივით დაძაბული; ამას ვეღარ უძლებს გული, გრძნობათა ფიზიკური ორგანო... ხოლო განრისხების წუთებში, რომლებიც ასევე არცთუ იშვიათად ეწვევა ხოლმე, მისი გული უროსავით ცემს.

– ძალიან უცნაურია...

ავალას აღარაფერი უთქვამს, ამაზე ზუსტი განმარტება არც მას შეეძლო.

– თუკი თავის ხილვებსა და შთაგონებას სინამდვილედ ვერ აქცევს, პოეტურ შემოქმედებად მაინც უნდა გადააქციოს, – შენიშნა კოსტამ დუმილის შემდეგ.

– ასეც იქცევა.

– კი მაგრამ, არა მგონია, ბევრს წერდეს, ყოველ შემთხვევაში, ბევრს არაფერს აქვეყნებს.

– ესეც – მისი ხასიათის გამო. არაფერს ისე არ უფრთხის, როგორც პროფესიას. იცი, ერთხელ ამასთან დაკავშირებით რა მითხრა? მხედარი ყველაფერთან ერთად ბაზიერის ხელობასაც უნდა ფლობდეს, მაგრამ ამას პროფესიას თუ დაარქმევს, ყოველივე გაუფასურდება.

შინ დაბრუნდნენ.

ამასობაში ლევანს გაუღვიძია და ახლა მებაღის პატარა ბიჭს, ლექსოს ეთამაშებოდა. დიდებს ბავშვებთან სამგვარი დამოკიდებულება აქვთ: ერთნი ბავშვს, როგორც ბავშვს, ისე ექცევიან და ეს პატარებს არ უყვართ. სხვანი თვითონაც ბავშვებად იქცევიან და ვერც ამით იგებენ პატარების გულს. ხოლო ვინც ბავშვს, როგორც თავის ტოლს, სერიოზულად და ხალისიანად ეპყრობა, მაშინვე მათ ნდობასა და კეთილგანწყობას იმსახურებს. ლევანი ისე ეთამაშებოდა ლექსოს, როგორც დიდს; პირველივე წუთებიდან დაუმეგობრდა. ერთად აცოცდნენ ბლის ხეზე, ბიჭუნა შიშისგან ცახცახებდა და თან თავისი უფროსი მეგობრის ხუმრობაზე ეცინებოდა. ავალა და კოსტა ამ დროს ეზოს მიუახლოვდნენ. ლევანმა ბავშვი აიტაცა და მასთან ერთად ტოტიდან მიწაზე ჩამოხტა. პატარა შიშის დასაფარად ხმამაღლა იცინოდა. იქვე, ხის ქვეშ ვეება მეცხვარე ძაღლი, მურა, გაწოლილიყო. განრისხებული წამოენთო, კბილები დაკრიჭა და შეუღრინა, მაგრამ ლევანმა წამსვე დააშოშმინა რაღაც უცნაური, საალერსო ბგერებით, რაც ადამიანურ მეტყველებას ნამდვილად არ ჰგავდა.

– ვხედავ, მურასთანაც კი გამოგინახავს საერთო ენა, – მიმართა ავალამ.

– რატომაც არა? – ლაღად მიუგო ლევანმა.

კოსტა გაოცებული შესცქეროდა: სულ სხვა კაცი იდგა მის წინაშე.

– დარწმუნებული ვარ, ჩემზე ბევრ უცნაურ რამეს მოგითხრობდათ, – ღიმილით მოუბრუნდა ლევანი კოსტას, – უყვარს ჩემზე ამგვარი საუბარი.

– დიახ, ცოტათი, – გაოგნებით უპასუხა კოსტამ. ავალამ უხერხულობისაგან თავი დახარა, – მაგრამ მხოლოდ კარგი, – დაუმატა კოსტამ.

– ესეც ვიცი, – გაიბადრა ლევანი.

კაკლის ხის ჩრდილში მერხზე ჩამოსხდნენ. ლექსო იქვე, შორიახლოს თამაშობდა.

– წეღან ავალას ვკითხე თქვენზე, ასე ცოტას რატომ წერს-მეთქი, – გათამამდა კოსტა.

– მერედა, რა გიპასუხათ?

– მითხრა, რომ ასეთი ხასიათი გაქვთ.

– დიახ, მართლაც ცოტას ვწერ, ალბათ იმიტომ, რომ პოეტი არ ვარ.

– თქვენ არ ხართ პოეტი?!

– დიახ, არ ვარ. უბრალოდ ადამიანი ვარ, რომელიც, სხვათა შორის, ლექსებსაც წერს, ესაა და ეს, – ლევანი უცებ დადინჯდა, – მე უშუალოდ ვტკბები ამქვეყნიური ყოფიერებით, არაფერს ვქმნი. ასეთად გამაჩინა მამა-ზეციერმა. ზოგჯერ ლექსებიც მებადება, მაგრამ ისინი მხოლოდ ყოფიერების ნამსხვრევებია, ისევე როგორც ლოცვები ან მახვილები. საგნებსა და მოვლენებს არ გავურბი, პოეტთა უმრავლესობა კი სწორედ ასე იქცევა: ნაცვლად იმისა, ბედისწერას საკუთარი სისხლით გაუმკლავდნენ, მათ ის წარმოსახვით სფეროში გადაჰყავთ. მართალია, ასე ცხოვრება ბევრად ადვილია, მაგრამ ყოფიერება, თუ კი სრულად არ იტვირთე, ადრე თუ გვიან, შურს იძიებს. თანაც, პოეზია სახიფათო საქმიანობად მიმაჩნია. ნათელმხილველი, რომელიც თავის ნიჭს ხელობად აქცევს, იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული: ერთ მშვენიერ დღეს საკუ-

თარ თავს გამოუტყდება, რომ მომავალს კი არა, საერთოდ ვეღარაფერს ხედავს, – ლევანი ერთბაშად დადუმდა.

– ავალაზე რას იტყვით? – იკითხა კოსტამ.

– ავალასთვის პოეზია ყველაფერია. მაგრამ, ამასთან, არც ის წერს ბევრს და ამით თავს იზღვევს.

ავალა უხმოდ იჯდა, თვალი ერთ წერტილზე გაეშტერებინა, თითქოს საკუთარ თავს შინაგანად ამოწმებსო.

– მართლა, – ლევანმა მზერა ავალაზე გადაიტანა, – შენ აქ ნამდვილად ახალ ლექსებს დაწერდი.

– ჰო, რამდენიმე, – ჩუმად წარმოსთქვა ავალამ.

– ხომ არ წაგვიკითხავდი?

– სიამოვნებით, – ავალა რვეულის გამოსატანად შევიდა.

თანდათან ჩამოწოლილიყო საღამოს სიმშვიდე, ყველა ბგერა შორს გაისმოდა, ჩამავალი მზის სხივები მთების ფერდობებს ნაზად ეფერებოდნენ.

ავალამ გრძელი, გრაგნილივით დახვეული რვეული გამოიტანა.

– ლექსების ციკლია, „ოქროყანის საღამოები“ დავარქვი, – მორცხვი გოგონასავით წარმოსთქვა ჩურჩულით.

სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ავალამ დაიწყო კითხვა. პირველივე სტროფებიდან მისი ხმა ყრუდ და მოუხეშავად აჟღერდა, გეგონებოდათ, ბგერებს გაჭირვებით ამოთქვამსო, მაგრამ ამ ბგერებს მაინც სათუთი და ტკბილხმოვანი სიღრმე ჰქონდათ. ლექსებს მოქნილობა აკლდა, მათი მელოდიაც მარტივი და გულუბრყვილო იყო, და მაინც შინაგანად წყაროსთვალივით ანკარა და კამკამა. კოსტა აღტაცებით უსმენდა, ლევანი – უფროს ძმასავით, მკაცრი და მზრუნველი იერით. ლექსების ციკლში სოფლის იდილიაც იგრძნობოდა და მის სიახლოვეს ჩასაფრებული ქალაქის უკეთური, ბნელი გუგუნიც. ლევანი დროდადრო, თითქოს თავისთვის, ჩურჩულებდა: „შესანიშნავია“, „მშვენიერია“, „არაჩვეულებრივია“. ავალას გამბედაობა მოეცა და გახარებული განაგრძობდა კითხვას.

ღამე შეუმჩნევლად შემოეპარა გარშემო ბორცვებს და მიდამო ერთბაშად წყვდიადში ჩაეფლო. ახლა აივანზე ისხდნენ. ცოტას საუბრობდნენ და მწირ ვახშამს შეექცეოდნენ.

უეცრად დადარდიანებული კოსტა წყვდიადს გაჰყურებდა.

– თქვენ თავად გიორგის ვაჟი ბრძანდებით? – ჰკითხა ლევანმა.

– დიახ, – მიუგო კოსტამ.

– მის შესახებ ბევრი საოცარი რამ მსმენია.

კოსტამ პასუხი არ გასცა.

– ძალიან მინდა მისი გაცნობა! – განაგრძო ლევანმა, – ეს უსაზღვროდ გამახარებდა.

– მამასაც გაუხარდებოდა, – უპასუხა კოსტამ.

– უეჭველად, – დაუდასტურა ავალამ.

სულმთლად დაღამებულიყო. დღისით ქალაქი ოქროყანიდან არ მოჩანდა, ღამით კი იგრძნობოდა მისი სიახლოვე: ქალაქის თავზე ცაში მქრქალი მოწითალო ნათება იდგა, როგორც ახლადჩასული მზის მომაკვდავი ციალი ზღვის ზედაპირზე. თითქოს ზღაპრული ზმანება მოირწეოდა ხევის სიღრმიდან.

– უცებ რამ დაგაღონა? – მიუბრუნდა ავალა კოსტას.

– ვშიშობ, დათას რაღაც უბედურება შეემთხვა, – ჩუმი ხმით უპასუხა კოსტამ.

დათა კოსტას ტყუპისცალი იყო. თითქოს ერთიმეორეში ფესვი გაედგათ, დიდხანს ვეღარ ძლებდნენ უერთმანეთოდ: წერილებსაც კი ერთობლივად წერდნენ. ერთხელ დათას სოხუმში კბილი მოსტყდა, მარჯვენა ეშვი, და, სწორედ იმ წუთში ქუთაისში კოსტას ზუსტად იგივე კბილი ამოსძვრა. ერთხელ კი კოსტა თბილისში ჩამოვიდა, ძმა სადგურში დახვდა. კოსტამ რაღაცის თხრობა წამოიწყო, დათამ კი სიტყვა ჩამოართვა და მისი წინადადება დაასრულა. ერთმანეთს ისე ძლიერ ჰგავდნენ, რომ, როდესაც ერთად იყვნენ, ვერ გაარჩევდით, ისე კი: დათა უფრო თვინიერი იყო, კოსტა – უფრო თამამი. ერთად სწავლობდნენ და ერთად ცხოვრობდნენ კიდეც. როდესაც კოსტამ რამდენიმე წლის წინათ ცოლი

ითხოვა, დათა გულნაკლული დარჩა. მამასთან დასახლდა სოფელში, მით უმეტეს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი იყო და მისთვის დახმარებას შეძლებდა. ყოველივე ეს ავალამ მოკლედ უამბო ლევანს.

– იქნებ მცდარია თქვენი წინათგრძნობა? – ფრთხილად შეეკითხა ლევანი.

– არა, გული აშკარად ცუდს მიგრძნობს, – უპასუხა კოსტამ.

ახლა ლევანიც დაღონდა.

– სამწუხაროდ უნდა დაგტოვო, – მოულოდნელად მიუბრუნდა იგი ავალას.

– მეც შინ წავალ, – თქვა კოსტამ.

– არადა, ჯერ თერთმეტი საათიც არ არის, – შეწუხდა ავალა, – ნება მომეცით, გაგაცილოთ.

ხილვა გრალისა

მდუმარედ მიდიოდნენ: კოსტა ნაღვლიანი ჩანდა, ლევანი – ჩაფიქრებული, ავალა – დაღვრემილი. კოჯრის გზატკეცილს რომ მიადგნენ, ლევანსა და კოსტას ავალასთან დამშვიდობება უნდოდათ, მაგრამ მან დაიჟინა, კიდევ ცოტას გაგაცილებთო. ისევე მდუმარედ ჩაუყვნენ გზატკეცილს. თვალწინ თანდათან ქალაქი გადაეშალათ, მთელი თავისი მშვენებით: ისე იყო განათებული, რომ ათას ერთი ღამის ზღაპრულ ზმანებას ჰგავდა. მის გარს წამომდგარ მთვლემარე ბორცვებს ღამე ეფარათ საბნად და თითქოს ძილში ბორგავდნენ.

– ეს მთები და ბორცვები კამეჩებს მაგონებენ, წარღვნის დროს წყალში მცურავ კამეჩებს, – ოცნებამორეული ხმით წარმოსთქვა ავალამ.

– საოცარია, – შენიშნა ლევანმა, – მთელი ეს მთაგრეხილი, თბილისს გარს რომ შემოხვევია, ისე ირხევა, თითქოს წყალდიდობის ზვირთებმა აიტაცეს და არწევენო.

– კამეჩებიც უხდება ამ სურათს, – თავის მხრივ ჩაურთო კოსტამ, – ქართული თქმულების თანახმად, კამეჩი ერთადერთი ცხოველი ყოფილა, ნოეს კიდობნის გარეთ რომ აღმოჩნდა და მაინც არ დამხრჩვალა. მის ყრუ ბღავილში უცნაური ბგერები ისმის, ნოეს სახელს რომ მოგვაგონებს: კამეჩი, როცა ბღავის, ბიბლიურ პატრიარქს მოუხმობსო, ასე იტყვის ხოლმე ქართველი.

გუნება გამოუკეთდათ.

იმ მოსახვევს მიადგნენ, საიდანაც ბილიკი ხევის გავლით ბოტანიკური ბაღისაკენ ჩადიოდა. ნაღვლიანად აღმართულიყო ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

– ახლა კი შინ უნდა დაბრუნდე, – მიუბრუნდა ლევანი ავალას.

– ჯერ არა, – მიუგო იმან, – ცოტა ხნით დავტკბეთ აქედან ქალაქით. ხომ აღუწერლად მშვენიერია, არა?

ციხის გალავნის კუთხეზე ჩამოსხდნენ.

– იმიტომ, რომ თბილისის ბედისწერა ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი, – ჩურჩულით წარმოსთქვა ლევანმა.

– როგორ? – ვერ მიხვდა გაოცებული კოსტა.

– უეჭველია, რომ საქართველოს აღმავლობის ხანა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქას ემთხვევა, – ისევ ჩაილაპარაკა ლევანმა.

მათ შორის დუმილი ჩამოწვა.

– გავიხსენოთ ის დრო, – განაგრძო ლევანმა ორიოდ წუთის შემდეგ, – 1099 წელს იერუსალიმი ჯვაროსანმა რაინდებმა აიღეს. სირიასა და პალესტინაში ქრისტიანული სამთავროები ჩნდება. ისლამური სამყარო, თითქოსდა სამუდამოდ წელში გადატეხილი, მაინც საპასუხო იერიშისათვის ემზადება. ერთი მცდელობა კიდეც გამოდგება იღბლიანი: ნეჯმ ად-დინ ილღაზი, ალეპოს სულთანი, 1119 წელს ამარცხებს როჟე ანტიოქიელს. ეს მხოლოდ ძალის მოსინჯვა იყო: მთავარ დარტყმას მომავლისათვის ინახავენ. უეცრად შეიტყობს მუსულმანური სამყარო, რომ ჩრდილოეთში დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით მომძლავრებულა ქრისტიანული სახელმწიფო: საქართველო. მუსლიმი ხელმწიფენი შეფიქრიანდნენ.

ლევანი დადუმდა და ღრმად ამოიოხრა.

– ესე იგი, სავარაუდოა, რომ ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის რაღაც იდუმალი, დღემდე გამოუცნობი კავშირი არსებულა, – თითქმის შეკითხვის კილოთი მიმართა ავალამ.

– მე ამას ვგრძნობ, – ხმადაბლა და მტკიცედ წარმოსთქვა ლევანმა. შემდეგ თხრობა განაგრძო. – მუსლიმთა საბოლოო მიზანი – ჯვაროსანთა განდევნა, მიუღწეველი დარჩებოდა, ვიდრე ჩრდილოეთიდან წამოსულ საფრთხეს არ გაუმკლავდებოდნენ. 1121 წელს წინა აზიის სამხრეთიდან დაიძრა უზარმაზარი, ექვსასიათასიანი ლაშქარი. სელჯუკები, თურქმენები, არაბები, მძლავრ ცხენებზე ამხედრებულნი, ნეჯმ ად-დინ ილღაზის სარდლობით გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს ხელმწიფე ბრძოლისათვის გაემზადა. საკუთარ თავს მონეტებზე ხან „ქრისტეს მონად“, ხანაც „ქრისტეს მახვი-

ლად“ იხსენიებდა. ამჟამად ოდენ „მახვილად“ ქცეულიყო. მაგრამ როგორ გამკლავებოდა ამ ძალას? სამოციათას მხედარზე მეტი არ ჰყავდა. თანაც, თბილისი ჯერ ისევ არაბი ამირას ხელში რჩებოდა, ხოლო სელჯუკი სულთანი თოღრული, სისხლს მოწყურებული მხეცივით რომ ჩასაფრებოდა საქართველოს, ბუნებრივია, ახლად შემოჭრილ მტრის ჯარს მოკავშირედ დაუხვდებოდა. სამჯერ ორი ორჯერ სამზე მეტიაო, იტყოდა მათემატიკოსი. ამ საიდუმლოს გუმანით გრძნობდა ყველა ჭეშმარიტი მხედართმთავარი. დიდი აღმაშენებელიც გრძნობდა ამას. რათა ძალები გაეთანაბრებინა, მოძრაობა აქცია ძალად. პირდაპირ შეტევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მით უმეტეს, მტრის ჯარისათვის ალყის შემორტყმაზე. ხელმწიფემ თავისი ლაშქარი არნახულად მოქნილი გახადა როგორც თავდაცვისათვის, ისე შეტევისთვისაც: მტრის იერიშის მოგერიებისას ხან მარჯვნივ შეეძლოთ გადაადგილება, ხანაც მარცხნივ. ზურგს ღობურებით გადახერგილი დიდი ტყე უმაგრებდათ. იქ მშვილდოსნები ჩასაფრებულიყვნენ, ოსტატურად რომ ისროდნენ. მოწინააღმდეგის ჯარი დიდგორის ველზე დაბანაკებულიყო. ხელმწიფის გეგმებსაც სწორედ ეს უხდებოდა საუკეთესოდ: ველის გარშემო მთების მთელი რკალი გულდაგულ იქნა შესწავლილი საბრძოლო პოზიციების განსალაგებლად. ბრძოლა აღმაშენებელმა დაიწყო. პირველი შეტევისას მისი რამდენიმე რაზმი გვერდიდან ეკვეთა მტერს. განრისხებული მტერი საპასუხო დარტყმისათვის გამოენთო, მაგრამ თავდამსხმელი უკვალოდ მიმალულიყო. მომხვდურთა ჯარი აირ-დაირია. ხელმწიფემ სხვადასხვა მხრიდან გაიმეორა მსგავსი შეტევები და ყოველ ჯერზე მოიერიშენი კვლავაც მარჯვედ უსხლტებოდნენ

მტერს. დაბნეული და გაოგნებული მტერი ალყაში მომწყდვეული ნადირივით შფოთავდა. აი, დადგა გადამწყვეტი დღეც, 14 აგვისტო. შეტევა კვლავ ქართველთა ხელმწიფემ დაიწყო. მისი ლაშქრის თითოეული ნაწილი ისე იბრძოდა, თითქოს მარტო ყოფილიყო მტრის პირისპირ. და, ამასთანავე, ყველა ერთსულოვნად მოქმედებდა: მთავარსარდლის უდრეკი ნება და გამარჯვების წყურვილი უხილავად და განუყრელად აძ-

ლიერებდათ. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ზუსტად საჭირო მომენტს დამთხვეოდა გაბედული სვლა. მტრის უზარმაზარ ლაშქარს უეცრად თითქოს საყრდენი გამოეცალა. ქართველთა ხელმწიფეს დიდ-გვაროვან მხედართა თავდამსხმელი რაზმი შეეშველა, ბოლო წუთამდე სამალავში რომ იმყოფებოდა. მსოფლიო ბრძოლა ქართველთა გამარ-ჯვებით აღსრულდა. ერთეულმა გენიამ მრავალთა ძალას სძლია. წი-ნააზიურმა ჯარმა უკან დაიხია და გაიქცა. ქართველებმა მას ანამდე სდი-ეს და გაანადგურეს. თავში მძიმედ დაჭრილი ნეჯმ ად-დინ ილღაზი შინ გაცამტვერებული დაბრუნდა. მალევე თბილისიც გაათავისუფლეს და ანიც საქართველოს შემოუერთეს.

ლევანი შეკავებული მღელვარებით ჰყვებოდა. ავალა და კოსტა მო-ნუსხულები უგდებდნენ ყურს, თუმცა ამ ბრძოლის შესახებ ბევრი რამ მა-ნამდეც იცოდნენ.

– ასე გვიამბობენ ქართველი ჟამთააღმწერლები, – შენიშნა კოსტამ.

– სომეხი ჟამთააღმწერელი მათეოს ედესელიც იგივეს ამბობს, – და-უმატა ავალამ.

– ასევე ასირიელი აბულ ფარაჯიც, – თქვა ლევანმა, – და არაბებიც: იბნ ალადირი, კემალ ედინი, იბნ ქალდუნი, – და ცოტა ხნის შემდეგ გა-ნაგრძო, – მაგრამ ყველაზე საუკეთესოდ 14 აგვისტოს მოვლენებს აღ-წერს ნორმანი გოტიე – ანტიოქიის სამთავროს კანცლერი – თავის „ბელ-ლა ანტიოცჰიცა“-ში.

ისტორიის ქალღმერთმა, კლიომ, მამაკაცებს თავისი მსუბუქი ფრთე-ბი გადააფარა და გარდასულ დროთა ლანდები ყრუ ჩურჩულით წამოი-შალნენ ქალაქის თავზე.

– მხოლოდ ახლა მივხვდი იმას, რაც ერთხელ მამაჩემმა მითხრა, – ჩაილაპარაკა დუმილის შემდეგ კოსტამ: – ჯვაროსნებმა აღმაშენებელი თავიანთ თანამებრძოლად აღიარესო.

– სავსებით მართალია, – მგზნებარედ დაუდასტურა ლევანმა, – 1109 წლის 30 ივლისს უფლის საფლავის კანტორი ანსელუსი იერუსალიმი-დან პარიზს გადასცემს ჯვარს, რომელზედაც მაცხოვარი მისტიური სიკ-

ვდილით აღესრულა. ეს ყოვლად მოულოდნელი ნეტარებაა მთელი საფრანგეთისათვის. ის საზეიმოდ დაასვენეს ბაზილიკაში, უბრალო სალოცავში, რომლის ადგილას მოგვიანებით პარიზის სახელგანთქმული ღვთისმშობლის ტაძარი აღიმართა. ჯვარს „კრუ-ანსელის“ სახელით იხსენიებდნენ. თითქმის შვიდი საუკუნე ესვენა იგი ღვთის სავანის ჩრდილში. 1793 წელს კი ღვთისმშობლის ტაძარი გაიძარცვა და შეირყვნა. მას შემდეგ ჯვრის ბედი ყველასათვის უცნობია, – ლევანი ერთხანს დუმდა, – არადა ეს ჯვარი ჯვაროსნებს საქართველოდან გადაეცათ, – ავალა და კოსტა გაოცდნენ, – ანსელუსი თავად მოწმობს ამას, –

განაგრძო ლევანმა, – თავის ეპისტოლეში პარიზის არქიეპისკოპოს გალონისა და არქიდიაკვან სტეფანესადმი: მისი თქმით, მას ეს ჯვარი საქართველოს მეფის, დავითის ქვრივმა გადასცა. მართალია, ქვრივის შესახებ ცნობა მცდარია, მაგრამ ამით არაფერი იცვლება: მთავარი ისაა, რომ ჯვარი აღმაშენებლის სამეფოდან წამოუღიათ. თავად მეფე ამ ეპისტოლეში უდიდესი მოწიწებითაა მოხსენიებული: „შემდგომ ამისა დავითი, მეფე ქართველთა, ჭეშმარიტად უდიდესი რუდუნებითა და სიხარულით ინახავდა ჯვარს, მანამ ცოცხალი იყო. ამ მეფეს, მის წინამორბედთა დარად, მტკიცე ხელით ეპყრა კასპიის კარიბჭე, რომლის მიღმა გოგი და მაგოგია გამომწყვდეული და სადაც ამჟამად მისი ვაჟი ახერხებს სპარსელთა და მიდიელთა მოდრეკას. მისი სახელმწიფო საგუშაგო ციხე-კოშკია ჩვენთვის“. – ლევანი მცირე ხნით დადუმდა, – განა შეიძლება ამაზე შთამბეჭდავად გამოხატო აღმაშენებლის მსოფლიო-ისტორიული სიდიადე? საგუშაგო ციხე-კოშკი – საოცარია, არა? მერედა, ეს მითიური სახელები: გოგი და მაგოგი, სულის საზარელ, ქაოტურ ძალებზე რომ მიგვანიშნებს, – ესეც ხომ შთამბეჭდავია? დიახ, მე ამას ვგრძნობ: საქართველოს უზენაესი დანიშნულებაა, გოგსა და მაგოგს შორის დაამკვიდროს რაღაც შეუდარებლად დიდი, რასაც ახლა სიტყვით ვერ განვმარტავ!

ლევანი გაყუჩდა. ერთთავად ცახცახებდა. სამივე მამაკაცი საქართველოს ისტორიულ სიმძლავრეს განემსჭვალა. უეცრად ავალა ალაპარაკდა.

– ამასწინათ ამბავი მომივიდა პარიზიდან, – დაიწყო მან: – იქ თურმე ახლახან აღმოუჩენიათ ერთი ჯვაროსანი რაინდის წერილი, ბეზანსონის ეპისკოპოს ამადეოსადმი მიწერილი. დათარიღებული არ არის, მაგრამ, რაკიღა ამადეო ეპისკოპოსის წოდებას 1195 წლიდან 1220 წლამდე ატარებდა, წერილიც, შესაბამისად, დროის ამ მონაკვეთს უნდა ემთხვეოდეს. რაინდი იწერება: „ქართულმა ლაშქარმა გამარჯვებით გადაიარა მთელი წინა აზია, აიღო სამასი ციხესიმაგრე და ცხრა დიდი ქალაქი. ჩვენკენ მოემართება თამარ მეფის ვაჟი, გასაოცარი ჭაბუკი, გარდაცვლილი დედის სანუკვარი სურვილისამებრ, იერუსალიმის აღება რომ განუზრახავს. აქ მას სულმოუთქმელად ელოდებიან. თავისი გვირგვინოსანი დედის მიწიერ ნეშტსაც თან მოასვენებს“.

ავალამ თხრობა შეწყვიტა. ლევანი და კოსტა არ იძვროდნენ. ლეგენდარული მეფე-ქალის ცხედარი, როგორც უწმინდესი გზისმკვლევი დროშა მისი ვაჟის ლაშქრისათვის, ჯვაროსანთა დასახმარებლად რომ მიიჩქარის, – ამ სურათმა ყველანი მონუსხა.

– საოცარი თქმულებაა! – ჩურჩულით აღმოხდა კოსტას.

– თქმულება, ოღონდაც ისტორიულ ფაქტზე უფრო რეალური, – შენიშნა ლევანმა, – სინამდვილის მასაზრდოებელი თქმულება, ჯვაროსანთა უძლიერესი ნატვრიდან ამოზრდილი, – აი, რა არის ეს.

მამაკაცებმა ქალაქის მარცხენა მხარეს, დიდუბეს მიაპყრეს თვალი, სადაც შვიდი საუკუნის წინათ სულმნათმა მეფე-ქალმა დაიწერა ჯვარი. ქალაქს თითქოს თამარის აჩრდილი დასტრიალებდა. ლევანმა

იგრძნო, როგორ შეიძრა რაღაც მისი არსების შიგნით.

– თბილისი მართლაც ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი, – თქვა ავალამ.

– ნუ დაგვავიწყდება, რომ წმინდა ნინოს ჯვარიც იქ ასვენია, – ჩუმად წარმოსთქვა კოსტამ და ხელი საკათედრო ტაძრისაკენ გაიშვირა.

ლევანი შეკრთა. იგი ახლა საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. თითქოს სრულად შესისხლხორცებოდა ამ წმინდა წამს – არა წარმავალ, არამედ მასთან ერთად გაუკვდავებულ უწმინდეს მომენტს. რამდენიმე კვირის წინათ ხილვა ჰქონდა, რომელიც მან პოეტურ ქმნილებად აქცია. ეს იყო ნანახის პირველი დაბადება სიტყვიერი ფორმით, ხოლო მეორე ახლა ერგო წილად. ფეხზე წამოდგა და ამღერდა: ის ლექსი აახმიანა, მისი სულის წიაღში რომ შეისხა ხორცი. მისი ხმა შორს მოეფინა მდუმარე მიდამოს. შორიახლო პატარა ურმით დაგვიანებულმა გლეხმა ჩამოიარა. სიმღერის ხმაზე სვლა შეაჩერა. ქალაქისაკენ მიმავალი სამი ბიჭიც შეჩერდა. ლევანი ვერაფერს ამჩევდა. თავდავიწყებით მღეროდა. სიტყვები ხან ფოთლოვანში გაჟღერებულ ფრინველის ჭიკჭიკს ჰგავდა, ხანაც შორეულ წყვდიადში გაჭენებული ცხენების თვალებივით ელავდა. თანდათან გამოიკვეთა ლექსის სათქმელი:

უფსკრულის პირას დამდგარან უკანასკნელი რაინდები თავიანთ ერთგულებთან ერთად, მტრის წინაშე ქედის მოდრეკას სიკვდილი ურჩევნიათ. თან მოაქვთ თავიანთი სიწმინდე: წმინდა ნინოს თმით გადაბმული ვაზის ჯვარი. მამაკაცები უფსკრულში ჩახტომას გადაწყვეტენ, მაგრამ ბოლო წუთში, თვალცრემლიანი ციცქნა გოგონა ხელით შეეხება ჯვარს და, ჰოი, საოცრებავ: ჯვრიდან ამოსკდება ყვავილოვანი ვაზის ყლორტები და, აი, უკვე ოქროსფერი მტევნებიც მწიფან მასზე. სასოწარკვეთილთ უსასრულო აღტაცება ეუფლებათ და ზეადამიანურ ძალას ანიჭებთ: ახლა მათ ვერავინ დაამარცხებთ.

ასე იწყებოდა ლექსი. ლევანი განაგრძობდა სიმღერას:

რაინდებმა სასწაულებრივ მტევანთა წვენი თასში შეაგროვეს, როგორც იოსებ არიმათიელმა შეაგროვა მაცხოვრის გოლგოთაზე დაღვრილი სისხლის წვეთები. თასი შინ მიიტანეს და წმიდათაწმიდაში ინახავდნენ. თასის გარშემო, წმინდა გრალის ორდენის მსგავსად, საიდუმლო საძმო შეიკრა. საუკუნეების მანძილზე მცველები მას ერთურთს გადასცემდნენ. იმ თასში გული იყო დაცული: საქართველოს მზე. მცველნი გრალისა მშობლიურ მიწას მტრისაგან იცავდნენ.

ლევანი თავდავიწყებით მღეროდა. კვლავაც და კვლავაც მეორდებოდა მისი მოძახილი: სადა ხარ, თასო? ავალა და კოსტა ცახცახებდნენ. სამივე ყოფიერების ზღვარზე იდგა. მათ წინაშე გადაშლილი ქალაქი საკუთარი თავის ხილვად ქცეულიყო. მაღლა, მის თავზე, წამით იელვა მახვილებივით გადაჭდობილმა სხივებმა და მათზე თითქოს უსპეტაკესი ნათელისაგან გამონაძერწი თასი ესვენა. ეს სურათი ისევე უცრად ჩაქრა, როგორც გამოჩნდა. ლევანი უძრავად იდგა წელგამართული, თითქოს თავად ქცეულიყო

ერთ-ერთ იმ სხივოსან მახვილად. ღვთაებრივმა სიტყვამ გაიჟღერა. და მის შემდეგ კაცს ვეღარ გაებედა სიტყვის წარმოთქმა. სამივე დუმდა. უეცრად გზის მოსახვევიდან ტლანქი სიცილი მოისმა.

– სადა ხარ, თასო? – სამი ბიჭიდან ერთმა ლევანის შეძახილს გააჯავრა. ეტყობოდათ, კომკავშირლები იყვნენ.

– პიტნავას დუქანში, – დამცინავადვე გაეპასუხა მეორე.

– ჰა-ჰა-ჰა, ჰი-ჰი-ჰი! – გამკივანი სიცილით დაიმანჭა მესამე.

ლევანისთვის ეს ზურგიდან ვერაგული დარტყმის ტოლფასი იყო. ავალა და კოსტაც განადგურებულები იდგნენ. სხვა დროს ლევანი ამ თავხედ ღლაპებს კისერს მოუგრეხდა, მაგრამ ახლა ეს არ შეეძლო. ფოლადივით მძლავრი ვაჟკაცი წამში მოეშვა და დაძაბუნდა. მიბრუნდა და ერთ-ერთი ბიჭი იცნო.

– მამაშენთან მიდი, – ჩუმად გასძახა ლევანმა, – და უამბე, რაც ნახე.

– ისიც იმ ძველ, აშმორებულ საქართველოზე ოცნებობს, ასე რომ აქებთ თქვენს სულელურ სიმღერაში, – მიუგო უზრდელმა ყმაწვილმა.

– მოწყდით აქედან, თქვე იქედნეს ნაშიერნო! – დასჭექა უეცრად მოხუცმა გლეხმა და ბიჭებს ნაჯახით დაემუქრა, – თქვე დედის საშოს წამბილწავებო!

ბიჭები შეკრთნენ. ხმის ამოღება ვეღარ გაბედეს. შეცბუნებულნი გაშორდნენ იქაურობას.

– არამზადები ესენი! – ჩაილაპარაკა გლეხმა და თავის გზას გაუდგა.

ლევანმა, ავალამ და კოსტამ თვალი გაადევნეს.

– არა, საქართველო დაღუპული არ არის, – თქვა კოსტამ.

– არ არის, – ჩაიჩურჩულა ავალამ.

ლევანი მონუსხული იდგა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

– ახლა ხომ წახვალ შინ? – მიუბრუნდა კოსტა ავალას.

– არა, – მიუგო იმან, – დღეს მარტო ვერ დავრჩები, შენთან გავათევ ღამეს.

– კეთილი, მაშინ ლევანი მივაცილოთ სახლამდე, – შესთავაზა კოსტამ.

სამმა მამაკაცმა ლანდებივით შეაბიჯეს ქალაქში. დამშვიდობებისას ავალამ გაუბედავად ჰკითხა ლევანს:

– ეს ყველაფერი შეთხზული ხომ არაა? – იმ თქმულებას გულისხმობდა, სიმღერაში რომ იყო გადმოცემული.

– არა, მე ეს თვალწინ მიდგას, – მტკიცედ, თითქოს სხვა, მიღმიერი სამყაროდან, მიუგო ლევანმა.

თავადი გიორგი

წინათგრძნობას კოსტასთვის არ უღალატია. შინ მისულს დათას წერილი დახვდა, რომელმაც გული დაუმძიმა. ძმა იწერებოდა, მამა ისევ დასნეულდა და სურს, ორივეს რაღაც გაგვიმხილოსო. დათას არ დაუზუსტებია, თუ რა იგულისხმა მამამ; ალბათ თვითონაც არ იცოდა. ტკივილმა კოსტას გულში დაუარა: მოახლოვებული აღსასრულის წინათგრძნობა თუ იყო? სასწრაფოდ გაემგზავრა მშობლიურ სოფელში, საირმეში.

თავად გიორგის მთელ საქართველოში იდუმალებით მოცული პიროვნების სახელი ჰქონდა. არგვეთის ბატონთა დიდებულ გვარს ეკუთვნოდა, მედგრად რომ გაუმკლავდნენ ხალიფა ომარის სარდლის, მურვანის შემოტევას. არგვეთის მთავრები, ძმები დავითი და კონსტანტინე ამ ბრძოლაში მოწამებრივად აღსრულდნენ. ცხადზე ცხადი იყო, თავადმა გიორგიმ ტყუპი ვაჟების, კოსტასა და დათას სახელები ხმოვანებით ამ გმირთა სახელებს მიამსგავსა. თავისი ძველი და კეთილშობილი გვარით დიდად ამაყობდა. ხალხი იმასაც ამბობდა, რუსეთის მთავრობამ ერთხელ განიზრახა, ქართველი თავადიშვილები, მათ შორის თავადი გიორგიც, მაღალი საპატიო წოდებით დაეჯილდოვებინა. ამ უკანასკნელის პასუხი ასეთი გახლდათ: ისეთი რა უნდა მიბოძოს რუსეთის მეფემ, რაც ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში არა მქონიაო?

მისი შემხედვარე იფიქრებდით, ქართულმა ჯიშმა ამ ადამიანში უმაღლეს სრულყოფილებას მიაღწიაო: მაღალი იყო, მძლავრი, მხარბეჭიანი, თეძოებში – თხელი და მოქნილი, ნატიფად მორკალული არწივის ცხვირითა და უძირო, თაფლისფერი, მშვიდი თვალებით. წაბლისფერი სწორი თმა კეთილშობილური მოყვანილობის თავზე რბილად ელაგა, სახეზე მუდამ ფაქიზი, საოცრად სუფთა ფერი ედო, მოოქროსფრო კანს რომ უმჭვირვალებდა. ყოველი მოძრაობით სიმშვიდესა და სილაღეს ასხივებდა. ნაბიჯი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ჰქონდა. თავი ისე ეჭირა, მასში წამსვე უშეცდომოდ ამოიცნობდით ბატონს. მისი მზერა უცნაურ გან-

ცდას ბადებდა: უძირო სიღრმიდან მშვიდად იღვრებოდა და, თითქოსდა, საგანთა მიღმა წვდებოდა. მასში შინაგანი სივრცე იკითხებოდა. სამოცდაჩვიდმეტ წელს მიტანებულს, გარეგნული იერი, სულის სრულყოფილ სარკედ რომ ქცეულიყო, ასაკთან ერთად სულ უფრო დაუმშვენდა.

უმაღლესი განათლება ევროპაში მიიღო და ჩინებულად ფლობდა ინგლისურსა და ფრანგულს. გერმანულადაც ლაპარაკობდა, რუსულადაც და არაბულადაც. თავის მშობლიურ სტიქიას – ქართულ ენას – პოეტური დიდოსტატობით აჟღერებდა. დროდადრო ლექსებსაც წერდა. ასე იტყოდა ხოლმე, რაინდი პოეზიაშიც ისევე უნდა იყოს გაწაფული, როგორც ჯირითშიო. მგზნებარედ უყვარდა ცხენები და თითოეული ცხენის თავისებურებას პირველივე შეხედვით ცნობდა. არაჩვეულებრივად ჯირითობდა, მაგრამ პროფესიონალ ჟოკეის არ ჰგავდა: ამ უკანასკნელს, მისივე თქმით, უნაგირზე ჯდომისას კეთილშობილური თავდაჭერა აკლია. მხოლოდ შევარდნები უყვარდა ცხენებზე უფრო მეტად. მათ ბუნებას კარგად იცნობდა და შევარდენით ნადირობის ყველა წვრილმანიც გულდაგულ შეესწავლა, ქართველ მეფეთა კარზე ხომ ოდითგან შევარდენთა სამინისტროც კი არსებობდა. ევროპული ლიტერატურა ისევე ჰქონდა გათავისებული, როგორც აღმოსავლეთის სიბრძნე.

ხშირად სთავაზობდნენ თავად-აზნაურობის წინამძღოლის წოდებას. მუდამ უარით პასუხობდა, ამბობდა, თავად-აზნაურობა დიდი ხანია აღარ არსებობს, მას დიდი ხნის წინათ წაერთვა რაინდული დანიშნულება. ეს მწარედ კი ჟღერდა, მაგრამ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა. თავისი ვრცელი მამულები ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გლეხებს დაურიგა. აღარ მჭირდებაო, ასე ამბობდა. თავისთვის მხოლოდ სამასიოდე დღიური დაიტოვა. ამასთან, სულაც არ იყო დემოკრატი, თუმცა ბევრი დემოკრატად თვლიდა. 1901 წელს ქართული თავად-აზნაურობა ზარ-ზეიმით აღნიშნავდა რუსეთთან გაერთიანების ასი წლის თავს. დიდად აღშფოთდა, როდესაც იმ ელჩობის წევრად დაასახელეს, საზეიმოდ რომ უნდა ხლებოდა რუსეთის იმპერატორს. განაცხადა, რუსეთმა საქართველოს უღალატა და ამ ღალატის ზეიმით აღნიშვნა სამარცხვინოაო. რუ-

სეთის იმპერიის ბედისწერასაც სრულებით უჩვეულო მხრიდან ხედავდა. რუსეთის მმართველები, მისი აზრით, დასაბამიდან მუდამ ერთსა და იმავე შეცდომას უშვებდნენ: ნაცვლად იმისა, რომ აღმოსავლური ქრისტიანობის ბურჯი დაემკვიდრებინათ, მუდამ იმას ცდილობდნენ, იმპერიის საზღვრები რაც შეიძლება, გაეფართოვებინათ. საამისოდ კი არც რომაელთა და არც ბრიტანელთა ნიჭი არ გააჩნდათ. საღვთო სამეფოს ფარგლებში საქართველოც, როგორც ქრისტიანობის ძირძველი სამკვიდრო, თავის კუთვნილ ადგილს მონახავდა. თავადი ნიადაგ ამას იმეორებდა: რუს დამპყრობელთა ეს საბედისწერო შეცდომა ერთხელაც საზარელი ძალით მათ საწინააღმდეგოდვე შებრუნდებაო. მის ამ მოსაზრებას მმართველი წრეები მცდარად განმარტავდნენ, როგორც რევოლუციურს, თვითონ კი ამის გაგონებაზე ეცინებოდა.

თავადი კარჩაკეტილი რაინდის ცხოვრებას ეწეოდა, თავის მამულში მშვიდად სახლობდა და საქართველოს გარდასული დროის მატიანეებს შეისწავლიდა. მათში ისტორია ცოცხალ მოგონებად იყო აღბეჭდილი და ყველას, ვისაც მისი წვდომა შეეძლო, უსასრულო ბედნიერებით ასაჩუქრებდა. თავადს სწამდა: ეს უძველესი ხელნაწერები რაღაც მსოფლიო საიდუმლოს ამოსახსნელ გასაღებს იტევენ. ვინ იცის? ქართულ მიწაზე დღესაც ხომ ცოცხლობს უხსოვარი დროის თქმულებები. ბევრი იმოგზაურა, ყველგან ესწრაფოდა მივიწყებული სიძველის სურნელში მარადიული ჭეშმარიტების ამოკითხვას. მოიარა ინდოეთი, ეგვიპტე, ირანი, ევროპა. უკანასკნელ საიდუმლოდ ერთადერთი სიტყვა – ღმერთი – ესახებოდა. ევროპაში უღრმესად შეძრა მაისტერ ეკჰარტის სიტყვებმა: „მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი სრულიად სხვაა, ის ჩემს საკუთარ თავზე უფრო ახლოა ჩემთან“. ეს სიტყვები თავადმა ღვთიური არსის უზუსტეს განსაზღვრებად მიიღო. ერთხელ, ინდოეთისა და ირანის საზღვარზე ერთ ყარიბს გადაეყარა. – რას დაეძებ? – ჰკითხა თავადმა, – ღმერთს, – მიუგო ყარიბმა, – ოდნავ მაინც თუ მიუახლოვდი? – რაც უფრო დიდხანს დავეძებ, ასე მგონია, მით უფრო ვშორდები, – და მაინც განაგრძობ ძებნას? – მე კი ვშორდები, მაგრამ, მჯერა, ის მიახლოვდება, – არავის ნათ-

ქვამს მანამდე ასე არ აუღელვებია თავადი: ეს ღმერთში განზავების უკანასკნელი ზღვარი უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთის სიბრძნეს ჩაუღრმავდა და როდესაც უკვე ამის შემდეგ გადახედა საუკუნეებში სახოვნად აღბეჭდილ საქართველოს ბედისწერას, სიხარულითა და გაოცებით აღმოაჩინა, რომ ამ სიბრძნის მრავალი მარგალიტი ჩვენშიც ყოფილა მიმოფანტული. დროის დინებისაგან წაშლილი ასო-ნიშნების ამოკითხვას შეეცადა. მითები, თქმულებები, რელიგიური ადათები თუ ეპოსის ნამსხვრევები, თვით ადამიანთა ხასიათიც კი – ყოველივე იმ უძველეს სიბრძნეზე მიანიშნებდა, რომელიც მშობლიურ ფესვებს ამოართვა და ლამის საკუთარ გამოცდილებად აქცია. ერთი რამ კი, როგორც

ჩანს, თავადური დაუფიქრებლობის გამო, გადაავიწყდა. მართალია, იცოდა, სიბრძნე რომ მხოლოდ ცოდნის გამო არ ეძლევა კაცს, მის არსებაში უნდა ჩაისახოს, მისგან ამოიზარდოს და ყოფიერებად იქცეს. თუ სიბრძნეს ცხოვრების ნაწილად არ ვაქცევთ, ამით ცხოვრებას ვუქმნით საფრთხეს. რას არგებს მონადირე ძაღლს ყნოსვა, თუკი არ გამოიყენა? ეს სენი განსაკუთრებულად ხშირად აღმოსავლეთში გვხვდება, თავადიც არაერთხელ ყოფილა მომსწრე ამგვარი შემთხვევისა და მეტიც: ის თვით მასაც შეყროდა. ერთხელ, ახალგაზრდა ხელოვანებს უგდებდა ყურს, სიურეალიზმის შესახებ ცხარედ რომ კამათობდნენ, და ბოლოს, ღრმად ჩაფიქრებულმა, ესღა თქვა: – ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, არსებობს შინაგანი სიმწიფის ისეთი ზღვარი, რომლის მიღმაც ადამიანი ნებისმიერ ქმედებას უკადრისობს, – ამაზე უკეთ თავად გიორგის ყველაზე ნიჭიერი პოეტიც კი ვერ დაახასიათებდა.

მაინც აკლდა ის, რასაც ალბათ სიღრმისეული სიმშვიდე უნდა ვუწოდოთ. შინაგანად გაწონასწორებული ჩანდა, მაგრამ უეცარი კაეშანი სჩვეოდა. სრულყოფილად აპოლონური ადამიანი იყო, მაგრამ მის მზიურ ბუნებას დროდადრო ჯოჯოხეთური ძრწოლა ეუფლებოდა. ამან განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში იჩინა თავი. მის შინაგან მზერას წამიერ გაელვებად რაღაც შემზარავი სახება გადაეფარებოდა და კვლავ წყვდიადს შეაფარებდა თავს. ეს იყო სიკვდილი, ხან ჭკუიდან შემშლელი

ფიქრის სახით რომ სტუმრობდა, ხან წამიერი ტკივილით უმსჭვალავდა სხეულს. ჯერ კიდევ შესწევდა ძალა, წამიერად გამკლავებოდა ძრწოლას. ასეთ წამებში ღმერთსა და არარას შორის იხლიჩებოდა და, რაკიღა ღმერთი უკიდურეს სინამდვილედ ესახებოდა, ამ დროს თითქოს არარას ჭუპრში გახლართულ-მომწყვდეული, უღონოდ იღუპებოდა. ასაკთან ერთად ავადმყოფობებმაც შემოუტია. სევდით შეჰყურებდა, როგორ იწრიტებოდა მისი მარწყულებელი წყარო. რამდენიმე წლის წინათ მოტეხა თავადი უფროსი ვაჟის, რევაზის დაღუპვამ, რომელსაც, ასე, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში ბოლშევიკებმა ბრალად შეთქმულებაში მონაწილეობა დასდეს და დახვრიტეს. თანაც ეს ვაჟი თავადს გარეგნობითაც და ხასიათითაც საოცრად ჩამოჰგავდა. მას შემდეგ უსისხლხორცო ლანდად ქცეულიყო. უდრტვინველად ელოდა სიცოცხლესთან გამოთხოვებას.

ახლა უწინდელზე ხშირად გამოაღებდა ხოლმე კარადას, სადაც სათუთად დაცულ რელიქვიას ინახავდა, პაპამ რომ გადასცა საიდუმლოდ და ასე დააბარა: – ვაჟკაცურად დაიცავი ეს სიწმინდე! რაც არ უნდა მოხდეს, ის უნდა გადარჩეს! – თავადი მას უსაზღვრო მოწიწებით ინახავდა, რადგანაც მასში სიმბოლურად საქართველოს გული ძგერდა. მაგრამ პაპის ანდერძის მეორე ნაწილი არ შეასრულა და ეს სტანჯავდა. ნუთუ თავის ამოცანას ვერ მოერია? არა, იცოდა: საამისო ძალა შესწევდა, მაგრამ მით უფრო მწარედ განიცდიდა თავის შეცდომას. დაუფიქრებლობისა თუ პირიქით, პასუხისმგებლობის მომეტებული განცდის გამო უღალატა ანდერძს, დიახ, მოღალატედ გრძნობდა თავს. ახლა კი, გამოთხოვების წინ, ერთადერთი ფიქრით იყო შეპყრობილი: ვისთვის გადაეცა ეს რელიქვია? იქნებ დათასა და კოსტასთვის? შესაძლოა, სწორედ ეს იგულისხმა, რადგან წერილში დათამ კოსტას შეატყობინა, მამას სურს, ჩვენ ორივეს აღსასრულის წინ რაღაც გადმოგვცესო.

სიხარული უპირველეს ყოვლისა

მეორე დილით კოსტა და ავალა რუსთაველის პროსპექტს მიუყვებოდნენ. კოსტას მძიმე დარდი შემოსწოლოდა და ავალაც ამის გამო იყო დამწუხრებული. მძიმედ, მგლოვიარედ მიაბიჯებდნენ. ამ დროს აქ ბევრი უსაქმოც იკრიბებოდა „მოკლე ხნით“ მეგობრებთან სასაუბროდ და სალაზღანდაროდ, თუმცა ეს მოკლე ხანი ზოგჯერ რამდენიმე საათით იწელებოდა. შესახვევის კუთხეში პოეტი ოდილიანი შემოხვდათ. გაიხარა და დიდის ამბით შეეგება, მაგრამ მათ რომ საპასუხო სიხარული ვერ შეატყო, გაშრა.

– რაიმე ცუდი ამბავი ხომ არ არის? – იკითხა შეშფოთებულმა.

– თავადი გიორგი ავად არის, – მიუგო კოსტამ.

– იმედია, სერიოზული არაფერია.

– დიახაც რომ სერიოზულია, – აღმოხდა კოსტას.

ერთად განაგრძეს გზა.

– კოსტა ერთ საათში მიემგზავრება, – თქვა ავალამ.

– მოდი, ჩვენც წავყვეთ, – ერთბაშად შესთავაზა ოდილიანმა.

– მამას ძალზე გაუხარდება, თუკი წამოხვალთ, – შენიშნა კოსტამ.

თეატრის შორიახლოს ერთ კაფეში შევიდნენ.

ოდილიანს ეტყობოდა, რაიმე სახალისოს გახსენებას ცდილობდა. იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, პირველი წუთებიდანვე ნებისმიერი საზოგადოების გულს რომ იგებენ. ცხოვრების ჟინი და გამბედაობა უხვად ჰქონდა მომადლებული და ასევე უხვად ხარჯავდა კიდეც. მაღალი და მძლავრი აღნაგობისა იყო, ყმაწვილურად უდარდელი და თავზეხელაღებული, ყველასთან იოლად პოულობდა საერთო ენას. ორბივით უბრწყინავდა თვალები და შუბლზე დარდის ერთი ნაოჭიც კი არ ემჩნეოდა. სახეზე დაყრილი ჭორფლი მზის წვეთებს მიუგავდა. ოდნავ მიდრეკილი იყო სიმსუქნისაკენ, რაც ცოტა არ იყოს აღიზიანებდა, თავისი ცხვირის შესახებ კი თვითონვე ხუმრობდა, კარტოფილივით არისო. ოდილიანს ყველაფერი ეადვილებოდა. ერთხელ დაგვიანებით გამოც-

ხადდა მწერალთა შეკრებაზე, გვარიანად შეზარხოშებული: აშკარა იყო, მუზების გარდა, ბახუსსაც ეთაყვანებოდა. მხიარულ გუნებაზე ჩანდა, მაგრამ უეცრად წამოხტა, შეშლილივით გავარდა ქუჩაში და დაიგრგვინა: – გამო, ჩეკა! – ჩეკას შენობა იქვე იდგა

და დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. ხელოვანთა სახლში შეკრებილ მის კოლეგებს შიშის ზარმა დაუარა. ნახევარი საათიც არ გასულა, მოუსვენარი ოდილიანი კვლავ მათთან რომ გაჩნდა და მშვიდად განუცხადა, ჩემი ფრაზა სიტყვიერ თამაშად წარმოვაჩინე, „გამო, ჩეკა!“ კი არა, „გამოჩეკა“ ვიყვირე-მეთქი. ყველამ შვებით გაიცინა. ამ ადამიანის უტყუარი ინტუიცია ცხოველის ინსტინქტს უფრო ჰგავდა. ლექსებს მსუბუქად წერდა და ისინი თითქოს მზის სხივებით იყო გაცისკროვნებული.

– იქნებ სხვა მეგობრებიც წამოვიყვანოთ? – უეცრად მოაფიქრდა ოდილიანს და კოსტას მიუბრუნდა, – თუმცა არ ვიცი, ამ მდგომარეობაში თავადი გიორგი თუ შეძლებს...

– ...ამდენი სტუმრის მიღებას? – დაასრულა კოსტამ.

– სწორედ ამის თქმა მინდოდა.

– ამაზე არ იდარდო. დღესაც ადვილად შეძლებს თხუთმეტი-ოცი მოულოდნელი სტუმრის მიღებას. ეგ არის, ვშიშობ, მეტისმეტმა მღელვარებამ მის ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო არ იმოქმედოს.

– დამშვიდდი, – უთხრა ოდილიანმა, – ჩემი აზრით, საქმე არც ისე სერიოზულად უნდა იყოს. თუმცა, ხომ შეგიძლია დეპეშით შეგვატყობინო.

– კარგი, ასე ვიზამ, – დაეთანხმა კოსტა და გამოემშვიდობა.

ავალა და ოდილიანი იმაზე ფიქრს შეუდგნენ, ვინ წაეყვანათ თან, რადგან ეს შეხვედრა აუცილებლად განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. ოდილიანი აქაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა: ორიოდ წუთში შეადგინა სტუმრების სია. ერთი სირთულე მაინც წამოიჭრა: სამი მსახიობის დაპატიჟება უნდოდათ, ამავდროულად შესანიშნავი მომღერლებიც რომ იყვნენ. მაგრამ ამ დღეებში მათ არ ეცალათ. თეატრალური პროგრამის შეცვლა მთავარი რეჟისორის, მარჯანის გარეშე

არავის შეეძლო. მასთან მოლაპარაკება კი რთული საქმე გახლდათ. – მე მაინც ჩემსას ვცდი, – გაიღიმა ოდილიანმა.

ავალამ საათს შეხედა: ორის ნახევარი იყო. ამ დროს მარჯანი ჩვეულებრივ მოდიოდა ხოლმე კაფეში. და მართლაც, დიდი ხანი არ გასულა, რომ რეჟისორიც გამოჩნდა რამდენიმე თანამშრომელთან ერთად. ოდილიანი და ავალა ხმამაღლა მიესალმნენ და თავიანთ მაგიდასთან მიიპატიჟეს. რეჟისორმა კონიაკი და ლორიანი ერბოკვერცხი შეუკვეთა. თუმცა ორმოცდაათს გადაცილებული იყო, საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. საშუალო სიმაღლისა, საკმარისად ჩასკვნილი იყო და გამოჩინებული გარეგნობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ სახეს თითქოს შიგნიდან რაღაც იდუმალი ალი უნათებდა. იგი მთლიანად ეძლეოდა ამწუთიერ ყოფას, მოთმინება და რაიმის გადადება მის ხასიათს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც ჰქონდა ფეთქებადი ხასიათი. დღეს უგუნებოდ იყო: საგმირო შინაარსის ერთ დრამაზე

მუშაობდა, რომელიც საკულტო წარმოდგენის სახით სურდა დაედგა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდებოდა.

– შეუძლებელია, შეუძლებელი, – ფიქრებში წასული, დროდადრო თავისთვის ბუზღუნებდა.

– რა არის შეუძლებელი? – მორიდებულად ჰკითხა ავალამ.

მარჯანიმ მოკლედ აუხსნა საქმის გარემოებები.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ სწორედ შეუძლებელზე ხართ შეყვარებული, – ჩაურთო ოდილიანიმ, რომელიც, რა ხანია, მისი გუნების ცვლილებებს სდარაჯობდა.

მარჯანი წამში გამოცოცხლდა და გაიბადრა.

– ესპანელივით, არა? – იკითხა მან.

– სწორედაც რომ, – დაუდასტურა ავალამ.

– ხოლო როდესაც ესპანური სულისკვეთების ადამიანი შეუძლებელშია შეყვარებული... – მტკიცედ წამოიწყო ოდილიანიმ.

– ...მაშ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ასეთი კაცი შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს? – დაასრულა რეჟისორმა მისი აზრი.

– ნამდვილად ასეა, – დაეთანხმა ოდილიანი.

მარჯანი წამიერად აენთო. ოდილიანმა იგრძნო, რომ გადამწყვეტი წამი დამდგარიყო.

– აბა, გაგვიმარჯოს! – წამოდგა და ჭიქა ასწია, – შეუძლებელს გაუმარჯოს!

– შეუძლებლობის გადალახვას გაუმარჯოს! – შეუსწორა მარჯანიმ.

– ასე იყოს! – შესძახეს ყველა მხრიდან.

ამის შემდეგ დუმილი ჩამოწვა. ოდნავ მაინც ნაადრევად რომ წამოეწყო, ან რომ დაეგვიანა, ოდილიანს არაფერი გამოუვიდოდა, მაგრამ დრო ზუსტად გამოთვალა და რეჟისორს მიუბრუნდა.

– ახლა კი შეუძლებელი უნდა გთხოვოთ.

– რა? – ცოტა არ იყოს, შეცბა მარჯანი. უკვე გრძნობდა, რომ მახე დაუგეს, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ თვითონაც ფრიად კმაყოფილი დარჩა.

ოდილიანიმ თავისი თხოვნა განუმარტა.

– ახლავე შეცვალეთ პროგრამა! – გამოუცხადა რეჟისორმა თავის თანამშრომლებს.

– გაუმარჯოს მარჯანის! – შეჰყვირეს ავალამ და ოდილიანმა.

– გაუმარჯოს მარჯანის! – გაისმა აქეთ-იქიდან.

– კი მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მსახიობები წამოსვლაზე დაგთანხმდებიან? – იკითხა ცოტა ხნის შემდეგ მარჯანიმ.

– ამაში ეჭვი არ მეპარება, – მიუგო ოდილიანმა, – ასეთ საზეიმო შემთხვევას არაფრის დიდებით არ გამოტოვებენ.

– თქვენც რომ წამობრძანებულიყავით..! – თითქმის შეევედრა ავალა.

– ეს შესანიშნავი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მთელი გულით ვისურვებდი თავად გიორგისთან შეხვედრას, მაგრამ ამ დღეებში ძალზე დაკავებული ვარ.

მეგობრები რეჟისორს მადლიერად დაემშვიდობნენ. ჯერ თეატრში მივიდნენ და სასურველი მსახიობების თანხმობაც მაშინვე მიიღეს. შემ-

დეგ ხელოვანთა სახლისკენ გაემართნენ. გზად ლევანი შეხვდათ, რომელიც ასევე დასთანხმდათ წამოსვლაზე, მაგრამ ჯერ სია გამოართვა და გადაამოწმა.

– ეს ამოშალეთ, – თითით მიანიშნა ერთ-ერთ სახელზე.

– რატომ? – გაოცდა ოდილიანი.

– ამ კაცის სისხლს მზის ერთი წვეთიც კი არ გააჩნია.

– შენ რა, ისეთი ხელსაწყო გაქვს, ამას ქიმიურად რომ ადასტურებდეს? – ჩაიცინა ოდილიანმა. მხოლოდ ის უბედავდა ლევანს ასეთი კილოთი საუბარს.

– საამისოდ არანაირი ხელსაწყო არ მჭირდება, – მკაცრად მოუჭრა ლევანმა.

– კი მაგრამ, ამ კაცს თავისებური ცეცხლი აქვს, – შეეცადა ავალა მის დარწმუნებას.

– ეს ნოტიო ცოცხლია.

– ნოტიო? რას იგონებ? – ისევ გაეცინა ოდილიანს.

– შენ არაფერი გესმის. ჭეშმარიტი ცეცხლი მშრალია, მძულს ეს ნელთბილი სინოტივე.

– მაგრამ ხშირად მინახავს ანთებული და მგზნებარე, – ფრთხილად გამოესარჩლა ავალა ზურგსუკან გაკიცხულ ნაცნობს.

– ეს მხოლოდ დროებითი ახირებაა, მისი აღტკინებული ხასიათის გამოხატვა.

მასთან კამათი შეუძლებელი გამოდგა: სახელი სიიდან ამოშალეს. ლევანი წავიდა. საღამოს თეატრში შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ოდილიანი და ავალა ხელოვანთა სახლში შეხვდნენ ზოგიერთ იმათგანს, ვისი დაპატიჟებაც სურდათ, ასევე სახელმწიფო გამომცემლობაში. საღამომდე ყველას დაპატიჟება მოასწრეს, ღამით კი კოსტას დეპეშა მოვიდა, ერთადერთი სიტყვით: „გელით!“ ყველამ გაიხარა.

რამდენიმე დღის შემდეგ გზაში იყვნენ, თორმეტნი, პოეტებს მოჰყვებოდნენ მხატვარი ვანო და მუდამ მათ გვერდში მყოფი სანდრო, საუ-

ბარს დუმილს რომ ამჯობინებდა, რადგან მისი ლექსი კავკასიური ცეკვა გახლდათ.

მატარებელმა დაიგვიანა და მხოლოდ საღამოსკენ მიაღწიეს ბოლო სადგურს: რიონს. კოსტა და დათა ცხენებითა და რამდენიმე ეტლით დახვდნენ. ბაქანზე იდგა ქუთაისელი მგზავრების ჯგუფი, ბათუმის მატარებელს რომ ელოდებოდნენ. ჩამოსულებმა მათ შორის მრავალი ნაცნობ-მეგობარი ნახეს. თურმე საჩქაროდ მიემგზავრებოდნენ დედაქალაქში რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ როდესაც თბილისელებმა სტუმრად წამოსვლა შესთავაზეს, მხოლოდ ერთი-ორი შეყოყმანდა: ერჩივნათ, საქმე გადაედოთ, ვიდრე ასეთ შეკრებას გამოჰკლებოდნენ. წამოსვლაზე დათანხმდნენ: ოდიშელი, ორმოცდაათს გადაცილებული, კეისრისპროფილიანი კაცი, ტუჩებზე უცვლელად მოთამაშე ტკბილი ღიმილით, რითაც კარის მოხელეს წააგავდა; ეს კაცი ხელოვნებასა და ლიტერატურაში დიდად განსწავლული გახლდათ. ასევე წაჰყვათ ქერათმიანი, სამოცს გადაცილებული მეფუტკრე მზისავარი, მზერაში მუდამ გამჭოლი ირონია რომ უელავდა; ეს მთელი ცხოვრება სოფლიდან სოფელში დადიოდა, უამრავი იგავ-არაკი თუ ამბავი ახსოვდა და, ჰომეროსის დარად, ენაწყლიანი თხრობაც იცოდა. ორმოცდაათი წლის ჰიდირი, საარაკო ძალის გოლიათი, დინჯი და ერთგული, მრავლისმთქმელი

ღიმილით თითქოს ამას რომ გეუბნებოდათ: „თუ შემეჯიბრები, ხომ კარგი“. მუშნი დადიანი, ასე, ოცდაჩვიდმეტი წლისა, ფოლადივით ჩამოსხმული, შოლტივით მოქნილი და დრეკადი, თავადურ-გოროზი, თუმცა არა გამომწვევი მიხვრა-მოხვრით – საჩინო შვილი ძველისძველი გვარისა. გარდა ამისა – ახალგაზრდა მოცეკვავე ყარანგოზი, თითქოს საჭრეთლით გამოქანდაკებული სხეულით, და ახალგაზრდა მფრინავი ზაქარა.

ცხრა საათი შესრულებულიყო, როდესაც ყველანი გზას გაუდგნენ – ზოგი ეტლებით, ზოგი ცხენით, ზოგიც ფეხით. მაისის თბილი, უშფოთველი საღამო იდგა და მთელი ეს მხიარული პროცესია მექორწინეთა

მაყრიონს წააგავდა. თანდათან გარშემო ფერდობები, ხეობები და სოფლები ბინდში გაეხვია. ახლა კი გამოჩნდა თავადის სასახლე მაღალი ბორცვის თავზე, ხეობას რომ კეტავდა: წყვდიადს მდუმარედ გადმოჰყურებდა იდუმალი შინაგანი ნათებით მოსილი. შორიდან მოჩანდა ერთ-ერთ ფანჯარაში სინათლის მკრთალი წერტილი. თორმეტის ნახევარი იყო, სასახლეს რომ მიაღწიეს.

შევარდენთა ფრთების შრიალი

ღია ცის ქვეშ რომ ისაუზმეს, კოსტა მამასთან შეუძღვა სტუმრებს. სასახლე ძველისძველ, დიდ, ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა, პირველი სართული ქვისა ჰქონდა, მეორე მუხის მძიმე მორებით იყო ნაშენი. თავადი ზედა სართულზე, მოგრძო, ნათელ ოთახში სახლობდა, უფრო დარბაზს რომ წააგავდა.

– შემობრძანდით! – გაისმა თავადის ხმა, – მომიტევეთ, საწოლში რომ გხვდებით.

– მალე გამოჯანმრთელდებით, – უპასუხა რამდენიმე სტუმარმა.

სტუმრები ავადმყოფის შორიახლოს რკალად ჩამოსხდნენ და კოსტამ ისინი თავადს წარუდგინა. ოდიშელს, მზისავარს, ჰიდირსა და დადიანს თავადი უკვე იცნობდა. მოხუცმა სიხარულით გადაავლო თვალი ამდენ სტუმარს.

– თმაში ჭაღარა გამოგრევია, მამია, – მიმართა თავადმა ოდიშელს, – რამდენი წელია, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს.

– ჰო, წლებს თან მოაქვთ ჭაღარა... – გაეღიმა სტუმარს, – როგორც ამბობენ, ჭაღარა თეთრი გიორგის მადლიაო.

საქართველოს მფარველი წმინდანის ხსენებამ, ამავდროულად მასპინძლის მფარველიც რომ იყო, მოხუცს საოცარი სიხარული მოჰგვარა.

– შენ კი, მზისავარ, – ახლა მას მიუბრუნდა მასპინძელი, – შენ არ იცვლები!

– თავადის გვარისა თუ არ ვარ, ღმერთების შთამომავალი ხომ მაინც ვარ! – იხუმრა მეფუტკრემ, – მე თვით მზის ღმერთი მწყალობს, მისი შვილი ტყვილად ხომ არ მქვია!

თავადს გაეცინა და ყველა აჰყვა, თანდათან ყველა ხალისიან გუნებაზე დადგა. თავადი სტუმრებს სათითაოდ გაესაუბრა, თბილად და უბრალოდ. მწერლებთან მით უფრო გაუადვილდა საუბარი, რომ ბევრი მათგანის ნაწარმოებებს იცნობდა. სტუმრებს გადახედა და უეცრად გოეთეს სიტყვები მოაგონდა: „ყოველი სახებიდან წმინდა ყოფიერება მიმ-

ზერდა მხოლოდ“. მაგრამ განსაკუთრებულად მაინც ლევანი მოხვდა თვალში: განაპირას იჯდა, მდუმარე, მაგრამ არა გულჩათხრობილი, გულის ყველა ნაკვთი თუ ნაკეცი გახსნილი ჰქონდა და თითოეულ სიტყვას ისრუტავდა. ეს მაშინვე იგრძნო თავადმა. იმასაც მიხვდა, რომ ამ უცნაურ კაცს რაღაც მძლავრი და იდუმალი სული დასტრიალებდა. ნეტავ რა შინაგან ჭიდილს განიცდის? თავადი ფარულად აკვირდებოდა სტუმარს.

მხატვარი ვანო გაოცებით ათვალიერებდა დარბაზის კედლებს: ხის მძლავრი კოჭებით გამაგრებული ოთახი მუხის ნატიფი ფიცრით მოეპირკეთებინათ, რომლის რბილი ყავისფერი შეფერილობა თითქოს ოთახის ჰაერშიც განზავებულიყო. ამ უცნაური განათების გამო ისეთი განცდა გეუფლებოდათ, თითქოს დარბაზში რაღაც მცენარე, დიდხანს და ნელა იზრდებაო. ფართო ფანჯრებში მზე ანათებდა, მისი სხივები ყოველ საგანს მსჭვალავდნენ.

– რა მშვენიერია ეს კედლები, – შენიშნა ვანომ, – განსაკუთრებით მზე როცა ასე დაჰნათის!

– მზეს უყვარს მუხა, – უეცრად ჩაილაპარაკა ლევანმა.

მისი ნათქვამი ყველას ეუცხოვა, გაოგნებულ სტუმრებს სიტყვა გაუწყდათ.

– დრუიდები ერთ მცენარეს სცემდნენ თაყვანს, მუხის ტანს გველივით რომ ეხვევა, – განუმარტა სტუმრებს თავადმა, – მუხა, მზე და გველი მითოსურად უკავშირდება ერთი მეორეს.

– მუხა ჩვენი ხეა, – განაგრძო ლევანმა, – ოქროს საწმისი, ანუ ვერძის ტყავი, არგონავტებმა რომ მოიტაცეს, ჩვენი წმინდა მუხის რტოებზე ეკიდა.

კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ამ დროს ოთახში უხმოდ შემოვიდა სამი ქალი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ჩქამიც კი არ ისმოდა. თავადმა ისინი სტუმრებს ასე წარუდგინა:

– ჩემი მეუღლე, ჩემი ქალიშვილი, ჩემი რძალი.

სტუმრები მოწიწებით მიესალმნენ ქალებს და კვლავ დასხდნენ. დუმილი ჩამოწვა. ორმოცდაათიოდე წლის კნეინას კეთილშობილი ნაკვთე-

ბი და მშვიდი თვალები ჰქონდა, თავშეკავებული ღირსების განსახიერება იყო თავად. ქალიშვილი თვრამეტი წლისაც არ იქნებოდა: ძალზე ლამაზი, მაგრამ იმდენად განატიფებული ნაკვთები ჰქონდა, ლამის უსიამო შესახედი იყო. რძალი – ოც წელს გადაცილებული, მაღალი, ქერათმიანი, მოხდენილად აშოლტილი, გრძელი და დახვეწილი კიდურებით. მომწვანო, დიდრონი თვალებით თითქოს შორეული ქვეყნიდან იმზირებოდა. მთელი არსებით იმავდროულად სათნოებასა და გაუცხოებას განასახიერებდა. მამაკაცები მონუსხულნი შესცქეროდნენ ახლად შემოსულთ, ყველაზე მეტად კი რძალს.

– წარმოშობით შვედია, – რძალზე მიუთითა სტუმრებს თავადმა, – ჩემი რევაზის ქვრივი...

მასპინძლის დახვრეტილი ვაჟის სახელმა სიჩუმე კიდევ მეტად დაამძიმა. ლევანი ხმას ვეღარ იღებდა. სწამდა, ნებისმიერ სახეზე შენიღბულ-წამიერად უზენაესის სახება გამოკრთის, მაგრამ აქ ღვთიური სხივის

სრული გამობრწყინება იხილა და ამან ღრმად შეძრა. ქალმა მამაკაცთა გაოცებას ნათელი მზერა შეაგება. ლევანს რომ გაუსწორა თვალი, უნებლიეთ შეკრთა, თითქოს წარსულიდან მოუხმესო, მაგრამ წამშივე თავი ხელში აიყვანა და არაფერი შეიმჩნია.

თანდათან ისევ გაიბა საუბარი.

ქალები მალევე გავიდნენ და სტუმრები კვლავ ოთახის თვალიერებას შეუდგნენ. აქ ყოველივეს მქრქალი ოქროსფერი გადაჰკრავდა: საწოლს, კარადებს, წიგნის თაროებს. ზოგი თარო წითელი ტირიფისაგან იყო ნაკვეთი, სხვები იმ ხისგან, რომლის მერქანიც აგრეთვე მოწითალო ფერისაა და რომელიც მიწაში არ ლპება. მინისსარქველიან მრგვალ მაგიდაზე ელაგა ოპალები, ზურმუხტები, ტოპაზები, ლალები, საფირონები, შავი ბრილიანტები, – პატიოსან თვალთა მთელი მთა იყო დახვავებული. სტუმრები გაოცებით შესცქეროდნენ ამ განძეულს. მართლაც თვალნი იყვნენ – უცხო სამყაროებში განხმული. თითოეულში ჩაქსოვი-

ლიყო ყოფიერების მთელი ნიაღვარი ისევე, როგორც სხივი მსჭვალავს კრისტალს. ლევანი ქვების თავისებურებათა შესახებ ალაპარაკდა.

– კოსტა! – მოუხმო თავადმა ვაჟს. კოსტა საწოლს მიუახლოვდა.

– წამოდგომა მინდა.

– მამა! – შესძახა შეწუხებულმა კოსტამ.

– ნუ გეშინია, ახლა თავს უკეთ ვგრძნობ.

კოსტამ საწოლს წინ შირმა მიუდგა. ორიოდ წუთის შემდეგ თავადი ქართულ სამოსში გამოწყობილი გამოეცხადათ. სტუმრებმა სიხარულით მიაპყრეს მზერა: დარბაისელსა და წელგამართულს, ჩოხა ძალზე უხდებოდა. გეგონებოდათ, სასწაულმა საქართველოს გმირული ხანიდან აწმყოში გადმოიყვანაო. აუჩქარებლად და უხმოდ მიუახლოვდა ლევანს, რომელიც ამ დროს სათითაოდ ყველა ქვას აღწერდა. ლევანი უნებლიედ დადუმდა.

– განაგრძეთ, გთხოვთ, – ჩუმი ხმით უთხრა თავადმა.

– დააკვირდით ამ შავ ბრილიანტს, – დაუბრუნდა ლევანი ქვებს, – მისი სუბსტანცია სხივებს აფრქვევს, მთლიანად ნათებადაა ქცეული და მაინც შავია. ეს მიწისმიერი ცეცხლის თვისებაა.

– მართალია, – დაუდასტურა თავადმა.

– ანდა ეს ქვა, – ლევანმა დამსწრეთ კაკლისოდენა ოპალზე მიუთითა, – შეხედეთ, რა უცნაურად ანათებს: მისი სხივი თითქოს საკუთარ თავშია ჩაბრუნებული. განა მდუმარე და გულჩათხრობილ ადამიანს არ გაგონებთ?

– საოცრად სწორი დაკვირვებაა, – გაუხარდა თავადს და ორიოდ წამის შემდეგ დაუმატა: – გთხოვთ, მიიღეთ ეს ოპალი ჩემგან საჩუქრად.

– არც კი ვიცი, როგორ გამოგიხატოთ მადლიერება! – ბედნიერი სახით უპასუხა ლევანმა.

– იმით, რომ, ამ ქვის მსგავსად, თქვენი საკუთარი სხივი შეინარჩუნოთ. მართალია, ითვლება, რომ ოპალს უბედურება მოაქვს, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც სუსტია, – იდუმალად ჩასჩურჩულა თავადმა.

ყველას ნათელი განწყობა დაეუფლა.

მეორე მაგიდასთან მხატვარი ვანო ზღვის სანაპიროზე შეგროვილ უბრალო ქვებს ათვალიერებდა, ზოგიერთს სრულიად უცნაური მოყვანილობა ჰქონდა.

– ბუნება უბადლო მოქანდაკეა, – თავისთვის ჩაილაპარაკა ვანომ.

– რომელიც მოგწონთ, ის შეგიძლიათ დაიტოვოთ სახსოვრად, – უთხრა თავადმა.

– მადლობელი ვარ!

შემდეგ თავადმა ერთი კარადა გამოაღო, სადაც უიშვიათეს ხელნაწერებს ინახავდა. უჩვენა სტუმრებს სქელტანიანი წიგნი, რომელშიც XII საუკუნის ეპოსი, „ვეფხისტყაოსანი“ იყო ჩაწერილი.

– ეს ხელნაწერი XIV საუკუნისაა, – განმარტა თავადმა, – ჩემს დიდ ბებიას მოჰყვა მზითვად.

– ეს ბევრს მეტყველებს როგორც ნაწარმოებზე, ისე ხალხზეც, – შენიშნა მზისავარმა.

– შენ ამ ფურცელს გჩუქნი, – გაუწოდა თავადმა XVIII საუკუნის ხელნაწერი: მეფე ერეკლე II-ის უსტარი.

– გმადლობ, – უთხრა მეფუტკრემ.

ასე გაგრძელდა, თითოეულმა განსაკუთრებული და ძვირფასი საჩუქარი მიიღო: ოდილიანს ძველი მონეტა ერგო, მუშნის – სარაცინური ხმალი, ავალას – ტოპაზი, ოდიშელს – ამორძალთა ნაჯახი, ჰიდირს – იშვიათი

სახეობის ხისაგან გამოჭრილი ჯვარი. არავინ დარჩენილა საჩუქრის გარეშე. აშკარა იყო, თავადს უხვად გაცემაც მეფურად შეეძლო. სტუმრებმაც გაიხარეს და მასპინძელმაც.

ამის შემდგომ სტუმრების ნაწილმა ბიბლიოთეკაში გადაინაცვლა. იქ, თუმცა არა ბევრი, მაგრამ ნარჩევი წიგნები ინახებოდა: ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ, რუსულ ენებზე. მაგიდაზე მრავალი ახალი ავტორის თხზულებები ეწყო, მათ შორის: პოლ კლოდელის, რენე გენონის, ლეო ფრობენიუსის, გრაფ ჰერმან კაიზერლინგის, პოლ ვალერისა და ლეოპოლდ ციგლერისა.

ყველა გააოცა თავადის განსწავლულობამ როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურაში.

ხალისიანი და დაუძაბავი საუბარი გაიბა. უკვე თორმეტი საათი შესრულებულიყო, როცა ოთახში მსახურები შემოვიდნენ.

– ნება მიბოძეთ, ჩემი მსახურები წარმოგიდგინოთ, – განუცხადა თავადმა შეკრებილთ, – მე მათ არა მხოლოდ მსახურებად, არამედ ჩემ სახლიკაცებადაც ვთვლი. ესაა, რაც დღევანდელ მთავრობას არ ესმის, – დაუმატა ღიმილით.

მათ წინაშე იდგნენ ჯმუხი, მხარბეჭიანი გლეხი ბესო და მისი მეუღლე, ვის იერ-სახეშიც თითქოსდა დიადი დედა განაგრძობდა სიცოცხლეს მთელი თავისი უხვი ბუნებით; მათ გვერდით იყო ჭაბუკი ბასილა, ტანმაღალი და ცეცხლოვანთვალებიანი – ღარიბი ქვრივის ერთადერთი ვაჟი და სვანი ყანსავი, ცხენის გამხედნავივით ბრგე და ძლიერი.

– აბა, როგორ მოგწონს ჩემი სვანი, – ღიმილით შეეკითხა თავადი ღონიერ ჰიდირს.

– კარგია, კარგი, – გაეღიმა იმასაც.

– რას იტყვი, ფალავნობაში შენც კი შეგეჯიბრებოდა, არა?

– ნამდვილად.

ყანსავი, პირადი მცველი, აღმოსავლეთსა და ევროპაში მოგზაურობისას განუყრელად თან ახლდა თავადს.

– ყანსავი მუდამ მზადაა მემსახუროს, მცირესა თუ დიდში, – თბილად შეხედა ბატონმა მსახურს.

– ასეა, – მორიდებით დახარა თავი სვანმა.

– ხოლო ეს ჭაბუკი ყველაზე მეტად თქვენს გულს მოიგებს, ამაში დარწმუნებული ვარ, – მიუბრუნდა თავადი ოდილიანს.

– უკვე მოიგო, – მხიარულად მიუგო პოეტმა.

ბასილა სიხარულით გაიბადრა.

შემდგომ თავადმა უამბო სტუმრებს ბესოსა და მისი ცოლის შესახებ, გაშეშებულნი რომ იდგნენ და ცნობისმოყვარე მზერებს უხერხულად არიდებდნენ თვალს.

ბასილას გვერდით, ფხიზლად გატრუნული, ვეება მეცხვარე ძაღლი ჰასანი ჩამომჯდარიყო.

– ლამის არ გადამავიწყდა? – შეჰყვირა თავადმა, – ამიტომაც ზის ასე გულნაკლული. მინდა, რომ ჰასანიც თქვენი მეგობარი გახდეს. ის საჩუქრად გამომიგზავნეს გერმანიიდან, ჭკვიანი და ერთგულია, მართალია, თავის სიყვარულს ჩემსა და ბასილას შორის ანაწილებს, მაგრამ ეს არაფერია.

ჭაბუკმა გამარჯვებული სახით გადაუსვა ძაღლს თავზე ხელი. ახლა ჰასანიც კმაყოფილი ჩანდა.

– ახლა კი, უმჯობესია, შემოგარენი დაათვალიეროთ. სადილამდე დრო კიდევ გვაქვს და მეც ამასობაში, ცოტას მოვისვენებ, – დაითხოვა თავადმა სტუმრები.

მასპინძლის პიროვნებით მოხიბლულებმა, უხმოდ დატოვეს ოთახი.

მზის ნადიმი

სტუმრები დიდ აივანზე, გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ. სოფლელებიც მრავლად მიეწვიათ, რადგან თავადი გიორგი გლეხების გარეშე არასოდეს შლიდა სუფრას. მაისის ნორჩი მზე მოწყალედ და უხვად ჰფენდათ სხივებს. გარშემო, მარადიულ ძილ-ბურანში, უძველესი ხეები – მუხები, არყები და ცაცხვები ედგათ, ბევრ ხეს ტანი ფუტურო ჰქონდა, უმრავლესობას კი ვაზის ფოთოლ-ყლორტები შემოხვეოდა. რამდენ საუკუნეს უნდა ჩაევლო, ვიდრე ეს გოლიათები ამჟამინდელ სიმაღლესა და სიმსხოს მიაღწევდნენ! ერთგულ გუშაგებად წამოსდგომოდნენ ეზოს, თითქოს სურდათ, შეუვალ ციხესიმაგრედ ექციათ იგი. ზედ აივნის წინ გახსნილი იყო ხედი, რათა თავადს შორს გადაევლო თვალი თავისი მამულებისათვის. უკიდეგანო სივრცე სტუმარ-მასპინძელთა მზერას ათრობდა და აჯადოვებდა. სახლიდან გამავალი ეზო დამრეცი მდელოს გავლით განიერ ხევში ჩადიოდა და შორს, ბორცვებსა და მინდვრებში მიიკლაკნებოდა. აივნის სიმაღლიდან ზღვის მწვანე, გლუვ ტალღებად მღელვარე ნორჩი სიმინდის ველები მოჩანდა და ზურმუხტისებრ ბრწყინავდა მზეზე. გასაოცრად მძლავრი იყო გაზაფხულის მზის ნათება. ახლადშეფოთლილ ხეებში სასიცოცხლო წვენს აჩქეფებდა და ადუღებდა. სხეულით შეიგრძნობდა ყოველი კაცი ყლორტებისა და ნერგების ზრდას. მზემ სისხლიც აუდუღა ძარღვებში სტუმრებს. ნადიმს ტახტზე მიწოლილი თავადი გიორგიც ესწრებოდა.

თავდაპირველად სუფრაზე მიხაკით, წიწაკით, დუშიცით, დაფნითა და ქინძით შეკმაზული ნაირ-ნაირი ფხალეული ჩამოარიგეს. განსაკუთრებულად გემრიელი იყო წიწაკის დაკეპილი ფოთლებითა და ნიგვზით შენელებული მწვანე ლობიო. ამასთან, სტუმრებს ორი სახეობის ყველი მიართვეს: თხლად დაჭრილი, ფენა-ფენად აქერცლილი მოყვითალო სულგუნი და ქათქათა, ახლადამოყვანილი და პიტნით შეზავებული იმერული ყველი. სულგუნს საამოდ მძაფრ და სურნელოვან ტარხუნას ატანდნენ. პურის მაგიერ კეცზე დაბრაწული ცხელ-ცხელი მჭადები შემოიტა-

ნეს. მამაკაცებმა უკვე შეიგზნეს ძალთა მოზღვავება. ღვინოც მრავალნაირი ჯიშისა ჩამოუსხეს სტუმრებს. საქართველოს შემთხვევით არ უწოდებენ ღვინის სამშობლოს, სხვაგან არსად არ ეტრფის ვაზი ასე მგზნებარედ მიწის ცეცხლოვან სინოტივეს. აქ ღვინის ასსამოცდაშვიდამდე ადგილობრივი დასახელება არსებობს. მტევნის ნაირსახეობა საქართველოში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, უპირველესად ვაზის ძირის მოყვანილობით განისაზღვრება. სულ შვიდი ამგვარი ნაირსახეობაა. ყურძნის მტევანს საქართველოში ოცი სხვადასხვა დასახელება აქვს, მარცვალს კი – ოცდარვა. საოცარია აგრეთვე ის, რომ ქართველები მამალ და დედალ მტევანს განარჩევენ. რაღა გასაკვირია, თავადის მარანში ღვინის არაჩვეულებრივი სურნელი რომ იდგა. სუფრაზე მრავალგვარი ღვინო ჩამოატარეს, მათ შორის მაღლარიც, ხვიარა ვაზის ჯიში. უეჭველია, აქ ყოფნა ბახუსს ეამებოდა. მამაკაცები უკვე გზნებდნენ თრობის მოახლოვებას.

არქაულ ეპოქაში პურისჭამა საკულტო ქმედებას წარმოადგენდა და ასეთად დარჩა დღემდე საქართველოში. თავადის სახლში სხვაგვარად ვერ მოხდებოდა, თუნდაც ბოლშევიკთა მმართველობის ხანაში. ნადიმის პირველმა შემზადებამ უკვე ჩაიარა და ახლა დრო იყო თამადის დანიშნვისა. მაშ, ვინ

გაუძღვებოდა სუფრას? ნამდვილი თამადა ძნელი მოსაძებნია, რადგან მან სუფრა ხელოვნების სრულყოფილ ქმნილებად უნდა აქციოს. რასაც დირიჟორისათვის ორკესტრის წევრნი წარმოადგენენ, ასევე არიან თამადისათვის თანამოინახენი. თითოეულის გამორჩეულ თვისებასა და უნარს უნდა ცნობდეს: ვის შაირობა ეხერხება, ვის – ცეკვა-სიმღერა, ვის – სადღეგრძელოების თქმა. ყოველივე მკაცრად განსაზღვრულ დროს უნდა მოხდეს და ვაი იმ თავხედს – პოეტი იქნება ის, მოცეკვავე თუ მომღერალი – ვინც თვითნებურად წამოიწყებს რაიმეს. რათა გულნაკლული არავინ დარჩეს, ბუნებრივი იერარქიული წესრიგის დაცვაა საჭირო. ყოველი ადამიანი, თუნდაც მახინჯი, ანდა ბედისწერისაგან დაღდასმული, საკუთარ თავში მაინც იტევს რაღაც მშვენიერს. სადღეგრძე-

ლოს დანიშნულებაა სწორედ, ამ მშვენიერის მიგნება და მზიური მაგიით მისი სააშკარაოზე ისეთნაირად გამოტანა, რომ ამ ადამიანმა თვითონაც შეიგრძნოს, როგორ იშლება და იფურჩქნება მასში თამადის მიერ ხოტბაშესხმული თვისება. თამადამ თანდათანობით ექსტაზამდე უნდა აიყვანოს თანამეინახეთა განწყობილება. ამასთან, იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს, რათა დასაწყისშივე გააქარწყლოს სუფრასთან შექმნილი რაიმე უსიამო ვითარება. ენამჭევრობაც მართებს და სმაც უნდა შეეძლოს ისეთნაირად, რომ სწრაფად არ შეთვრეს. კიდევ... ო, კიდევ ბევრი რამ უნდა შეეძლოს! თამადა სუფრის შეუზღუდავი მბრძანებელია, რაც უსასრულოდ ზრდის როგორც მის მისიას, ისე პასუხისმგებლობასაც.

სტუმრებს შორის არაერთი იყო სუფრის გაძღოლაში გამოცდილ-გაწაფული, განსაკუთრებით ოდიშელი და ოდილიანი, მაგრამ ჩანდა, ვერვინ ბედავდა სურვილის გამოთქმას, რადგანაც კეთილშობილი მასპინძლისა ერიდებოდათ. ერთხანს ბჭობდნენ, მაგრამ ვერა და ვერ მორიგდნენ. ბოლოს ლევან ორბელი წამოდგა, გარუჯულ სახეზე ქარიშხალისებრი გზნება აღბეჭდოდა. ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

– ძველი წესის თანახმად სუფრას მასპინძელი უნდა წარუძღვეს, მაგრამ რაკიღა, სამწუხაროდ, თავადი შეუძლოდაა, ყველაზე უპრიანი იქნება, თუკი ის თვითონ დანიშნავს თამადას.

– მართალია, მართალი! – გაისმა შეძახილები.

თავადმა გიორგიმ სანდომიანი ღიმილით გადახედა სტუმრებს და ოდიშელს მიუბრუნდა.

– მამია, – მიმართა სახელით, – დღეს უნდა დამეხმარო.

– მიმსახურეთ, ჩემო ბატონო, – უპასუხა ოდიშელმა.

– დიდებულია, დიდებული! – გაისმა ყოველი მხრიდან.

ყველანი სმენად იქცნენ. ახლადდანიშნული თამადა დინჯად წამოდგა, მარჯვენა ხელით ასწია სავსე თასი და ალაპარაკდა. პირველივე სიტყვებმა მონუსხა ყველანი, უფრო სწორად კი, სიტყვათა განსაკუთრებულმა

ჟღერადობამ. ქართულ ენას უნატიფესი, თითქმის მოუხელთებელი ტონალობა ახასიათებს. ოდიშელს არნახულად ეხერხებოდა ყელისმიერ ბგერათა ყველა ნიუანსის გამოხატვა. თავადის სახლი ისე დალოცა, როგორც უძველესი საგმირო ხანიდან გადმოსული, საღვთო სიბრძნით განმსჭვალული სავანე. მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ და წამით დუმილი დამყარდა. მათაც დალოცეს თავადის ჭერი, შემდეგ თასები დაცალეს და დასხდნენ.

– ერთი ქართული მითი მოგვითხრობს ერთი მჭედლის შესახებ, არნახული სილამაზის ქალი რომ შეჰხვედრია, – განაგრძო თამადამ საუბარი, – ქალი თავადის ასული აღმოჩნდა. ამაოდ ეცადა მჭედელი ქალის კვლავ ნახვას: ის ციხე-კოშკში ჩაეკეტათ. გულმოკლული მჭედელი ყოველ დღე მიდიოდა ციხე-კოშკთან, გარს უვლიდა და ასულის სიმღერას ისმენდა. უეცრად შთაგონება ეწვია, ზარი ჩამოასხა და მასში მოაქცია ასულის ტკბილი ხმა. გაოცებულ ქალს ციხე-კოშკში ესმოდა ზარის ხმა და თანდათან ამ ხმის ჯადომ მონუსხა. ერთ დღეს ციხიდან გამოვიდა და მჭედელს გამოეცხადა, – თამადა წუთით დადუმდა და დასძინა, – აი, ასე შევიგრძნობთ ქართველები ბგერის არსსა და სიმღერას, – და კიდევ ერთი, უფრო ხანმოკლე პაუზის შემდეგ შესძახა: – ზემოიმერული მრავალჟამიერი!

ალბათ ყოველ ერს აქვს განსაკუთრებულად მოხდენილი სიმღერა, რომელიც საკრალურს პროფანულისაგან აცალკევებს და მისგან იცავს. ასეთი იყო ეს სიმღერაც, თუმცა ერთხანს ისე იშვიათად სრულდებოდა, საცაა დავიწყებას მიეცემოდა. სტუმრად ჩამოსულმა მსახიობებმა, ამავდროულად მომღერლებიც რომ იყვნენ, მრავალი ქართული სიმღერა იცოდნენ, მათ შორის უძველესებიც. ახლა მრავალჟამიერი ააჟღერეს. საგალობლის ჰანგები ტალღებად გადაევლო სუფრას, მაღლა იწევდა და მზის სხივებად იწვერებოდა. ყველანი მონუსხა ძალუმმა ჰიმნმა, პირველ ყოვლისა კი თავადი: ზემო იმერეთი მის წინაპართა მხარე გახლდათ და ამ სიმღერას საგვარეულო ჰიმნად შეიგრძნობდა.

ამასობაში მოხარშული დედლები და შებოლილი კალმახი შემოიტანეს. ხალისი და ლხინი დაეუფლა ყველას, ღვინის ღვთაებაც უწყობდა ამას ხელს. სადღეგრძელოები ერთიმეორეს მიჰყვა. თავდაპირველად კნეინა ქეთევანი დალოცეს, შემდგომ – ახალგაზრდა ქვრივი, თავადის ქალიშვილი და სოფლის ქალები. ჩრდილოელი ქალი უცხო, საკვირველ სურნელებასავით ამშვენებდა სუფრას. შორიც იყო და ახლობელიც, ჰგავდა პატარძალს და ჰგავდა დასაც. მისთვის ხოტბის შესხმა თამადამ ოდილიანს მიანდო. პოეტმა მისნის მაგიური ალღოთი, ელვის სისწრაფით შეთხზა დახვეწილი სონეტი, რომელშიც ქალის სახება გამოაქანდაკა. მქუხარე ტაში გაისმა. გოლიათ კაკალს აივანისაკენ გამოეწვდინა ტოტი და მზით განმსჭვალული ფოთლები მწვანე შუქ-ჩრდილს ესროდენ სუფრას. მზის კურთხევა თუ იყო? ერთი სხივი სალუქ შუბლზე ეცემოდა ქალს. ავალამ სიტყვა იხელთა და ეს სხივი მზის ამბორს შეადარა. კვლავ ტაში გაისმა. ქალი ერთთავად ასხივებდა ბედნიერებას.

– ახლა კი – ცეკვა! – ბრძანა თამადამ.

აჟღერდა საკრავები და კავკასიის ძველთაძველმა ჰანგებმა აავსეს იქაურობა. ცეკვაც დაიწყო.

ტანაშოლტილმა სანდრომ თავადის ქალი გამოიწვია საცეკვაოდ. ლეკურს ცეკვავდნენ, ლეგენდას სასიყვარულო ვნებისა. რაც კი ყოფიერს უბოძა გამჩენმა, ყოველივე ეს ცოცხლობს ამ ცეკვაში: დაჭიმული კუნთი ქურციკის, სალი კლდიდან გადმოსახტომად რომ ემზადება, მტრის შესამუსრად მომართული მხედრის სიცხარე და უფსკრულის თავზე არწივის ფრთების მეფური ქროლვა. მამაკაცი დამპყრობელი იყო, მაგრამ, ამავდროულად, რაინდიც; ქალი მის სიყვარულს უთმობდა კდემითა და თავშეკავებით. ყველანი წინ წამოხრილიყვნენ და ცეკვას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს, ერთიც კი არ დარჩენილა ისეთი, ვისაც როკვის ჟინი შინაგანად არ დაუფლებოდა. აი, მამაკაცმა ქალი თითქოს მკლავებში მოიმწყვდია, ოღონდაც ისე, რომ არც კი შეხებია... მაგრამ ქალი უეცრად გაუსხლტა დამპყრობელს. დასრულდა ცეკვა. ტაში მეხივით დააცხრა ქალ-ვაჟს. შემდგომ ამისა ახალგაზრდა ყარანგოზმა მთიელთა ცეც-

ხლოვანი და ველური ცეკვა შეასრულა. ის მოგვაგონებს სატევრის ელვისებრ მოქნევას, სისინით რომ ჰკვეთს წყლის ნაკადს ისე, რომ ზედ არც ერთი წვეთი არ რჩება. ანთებული ჭაბუკის კისერი უცხოს მოახლოვებით დამფრთხალი ϫიხვის ნატიფ ყელს ჰგავდა, საკუთარი სხეულით მთვრალი, ჰგავდა ყოფიერების ზღვარს გადასულ კაცს, ვისთვისაც შეუძლებელი აღარ არსებობს. როდესაც ცეკვა დაასრულა, ტალღებად მიეხალა ტაში.

შემდეგ ერთხანს სიჩუმე იყო.

– ნიცშეს ერთი გამონათქვამი მომაგონდა, – წარმოსთქვა თავადმა, – „Il faut méditerraniser la musique“[1]. ჩვენი ცეკვები რომ ენახა, ამ სიტყვებს ალბათ ასე გადააკეთებდა: მუსიკა უნდა გაკავკასიურდეს.

გახალისებულ სტუმრებს ეღიმებოდათ.

კვლავაც გაისმა სიმღერა, რომელმაც, საღვთო საგალობლის მსგავსად, სტუმრებს განცდები დაუწმინდა და გაუსპეტაკა.

აივნის წინ მოცარიელებულ ადგილას სამწვადე კოცონი ენთო. დათა და ამ საქმის დიდოსტატი ბასილა ტირიფის ტოტებზე აცმულ მწვადს წვავდნენ: რკინა ამ დიდებულ კერძს უსიამო გემოს შესძენდა. მუხის მორები სულმთლად ჩანავლულიყო, მხოლოდ ნაკვერჩხლებიღა ღუოდა: ალის ენები ვეღარ სწვდებოდა ხორცს და ვერ დაანახშირებდა. ფრთხილად მუშაობდნენ, რათა გადაბრუნებისას წვეთი ცხიმიც არ ჩამოღვენთოდა ხორცის ნაჭრებს. როდესაც სუფრაზე თორმეტი გრძელი შამფური შემოიტანეს, ჰომერიდებმა ერთხმად შესძახეს: – ღვთაებრივი კერძი! – მწვადს ზედ კოწახური მოაყარეს და ბროწეულის წვენით დამზადებული საწებლითა და ოდნავ შებრაწული ხახვით შეექცეოდნენ, ისე საზეიმოდ, როგორც საღვთო კერძს. თავადმაც იგემა მწვადი.

სადღეგრძელოები გაგრძელდა. თამადა ჭიქით ხელში სათითაოდ ადღეგრძელებდა დამსწრეთ, დანარჩენები საზეიმო სიტყვებით მიაგებდნენ პატივს მას, ვისი სადღეგრძელოც ჟღერდა. უკლებლივ ყველა მო-

[1] (ფრანგ.) „მუსიკას ხმელთაშუაზღვისპირეთის სულისკვეთება უნდა მიენიჭოს“

ნაწილეობდა, მხატვარიც კი, სხვა შემთხვევებში სიტყვას სიტყვაზე რომ ვერ აბამდა. მხოლოდ

მფრინავი ზაქარა, მოცეკვავეები – სანდრო და ყარანგოზი და თავადის ვაჟები მდუმარედ სვამდნენ, მხოლოდ მოკლედ შესძახებდნენ, გაუმარჯოსო. ყველას ის ეუცნაურა, რომ ლევანს აქამდე ჯერ არც ერთი სადღეგრძელო არ წარმოუთქვამს. ცოტას სვამდა და მოქეიფეებს თითქოს შორიდან ადევნებდა თვალს.

– რა დაემართა დღეს ლევანს? – იკითხა ვიღაცამ.

– არაფერი, – ღიმილით მიუგო თამადამ, – როგორც ჩანს, გადამწყვეტი წუთისათვის ემზადება.

ლევანი მართლაც შინაგანად მოკრებილიყო, მაგრამ ვერვინ ამჩნევდა, რომ სულის მბორგავ წიაღში საკუთარ თავს შესჭიდებოდა. ახალგაზრდა ქვრივმა უნებლიეთ, ერთადერთი მზერით მასში გრძნობათა ქარიშხალი გამოაღვიძა. ებრძოდა ამ ძალას, მაგრამ ქალი ბრმად და უპიროვნოდ, მხოლოდ იქ ყოფნით მოქმედებდა მასზე. დროდადრო ნატრობდა, ნეტავ ასე ლამაზი აღარ მეჩვენოსო, ეწადა, რაიმე ნაკლი მოეძებნა მასში, მაგრამ ამაოდ და ეს თითქმის განარისხებდა. ქალის მშვენება კი არ აღაფრთოვანებდა, არამედ ადამბლავებდა. ასე, შებორკილი, საკუთარ გულს აყურადებდა და საკუთარ გულისთქმას ებრძოდა. მაგრამ ამ შინაგანი ჭიდილისა არაფერი ემჩნეოდა: სხვებისათვის მშვიდი და უძრავი ჩანდა.

ნადიმი დიონისურად გრძელდებოდა. თამადამ ახლა პოეტებს სთხოვა ლექსების წარმოთქმა. საქართველოში ლექსი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა მუდამ. სულის წიაღიდან იბადება და სხვათა სულებშიც ხელახლა თუ არ აღმოცენდა, ვერ იცოცხლებს. ამიტომაც საქართველოში მის ძალას ჩვეულებრივ ნადიმისას ამოწმებენ. პოეტი პირველად სუფრაზე კითხულობს თავის ახალ ლექსს, რომელსაც მანამდე მხოლოდ შინაგანი სმენით ისმენდა და, თუკი ღვთიური მადლით აღბეჭდილი გამოდგა, ის მსმენელებს სიცოცხლის ახალ სუნთქვას ჩაუნერგავს. ამჯერადაც სწორედ ასე მოხდა. თითოეულმა პოეტმა თავისი განუ-

მეორებელი მანერით წაიკითხა საკუთარი ლექსი. სტროფთა მელოდია პირველქმნილ წმინდა სიტყვასთან იყო ნაზიარები და მასში საღვთო საგალობლის კდემა იგრძნობოდა. თავიანთ ჰიმნებს რომ წარმოსთქვამდნენ, ერთი შეხედვით გეგონებოდათ, ურთიერთს ეპაექრებიანო, მაგრამ ეს პაექრობა კი არა, გზნება იყო, რომელსაც პირველობისაკენ სწრაფვა არ ახლდა. ყველანი, უპირველესად კი, თავადი გიორგი, აღტაცებით ისმენდნენ ლექსებს.

ლევანმა ლექსის წაკითხვაზე უარი თქვა, ცივად და მკაცრადაც კი მოიბოდიშა. სხვათა მოსმენისას კი ჩასაფრებულ მხეცს ჰგავდა. მართალი და მარჯვედ მოხელთებული მხატვრული სახე უსაზღვრო სიხარულს ჰგვრიდა, ხოლო მცირედი სიყალბეც კი თითქმის ხორციელ ტკივილს ანიჭებდა: ასეთ შემთხვევაში, იმედგაცრუებისა და სიბრაზის დასამალად ქაღალდის ნაგლეჯზე იცოდა ხოლმე ნერვიულად რაღაცის ხატვა. ეს კარგად იცოდნენ პოეტებმა და ახლაც დროდადრო მისი მარჯვენისაკენ აპარებდნენ თვალს. დღეს ხელი არც კი გაუტოკებია, მაგრამ ოდილიანი მაინც შეეკითხა, ჩემი ლექსის მოსმენისას რაიმე ხომ არ დაგიხატავსო. – არც ერთი ხაზი, – ღიმილით მიუგო ლევანმა.

ამასობაში თამადა განაგრძობდა წესისამებრ სადღეგრძელოების წარმოთქმას. უკვე ყველა სტუმარი

დალოცეს, ასევე, მუსიკოსებიც, ოდნავ მოშორებით, საგანგებო მაგიდასთან რომ ისხდნენ. ოსტატურად, ფილმისა თუ თეატრის გამოცდილი რეჟისორივით მათემატიკური სიზუსტით წარმართავდა მოვლენებს. აივანი ზღვაზე მოტორტმანე დიდებულ ხომალდს წააგავდა ახლა.

– მომართვით აზარფეშა! – თითქმის ღვთისმსახურის შთაგონებით წარმოსთქვა თამადამ.

მაშინვე მოოქროვილი, მორკალულყურიანი თასი მიართვეს და ღვინით აუვსეს.

– ჩვენი მასპინძლის დღეგრძელობა იყოს! – შესძახა თამადამ.

ყველანი წამოდგნენ, ამჯერად ქალებიც, კნეინას გამოკლებით.

– გაუმარჯოს! დღეგრძელობა იყოს! – ისმოდა ყველა მხრიდან.

თამადამ საზეიმოდ დაცალა თასი.

– ალავერდს ახლა ლევან ორბელთან ვარ! – თითქმის მბრძანებლური კილოთი განაცხადა, თასი ლევანს გაუწოდა და ბოლოს საზეიმოდვე წარმოსთქვა: – მზის ნიშნული!

ლევანი ზეზე წამოდგა და დაიწყო. პირველივე წინადადებით მონუსხულობის კედელი გაარღვია. იგრძნო, საფეთქელთან ძარღვი როგორ აუთამაშდა – ეს კარგი ნიშანი იყო. კიდევ ორიოდ წინადადებით მთლიანად დაეუფლა საკუთარ თავსა და ვითარებას. სიამაყისა და სიხარულის განცდა გამოთქვა, რადგან ეგზომ საპასუხისმგებლო სიტყვა სწორედ მას დააკისრეს. შემდეგ თქვა, თავად გიორგის ქართველობის ჭეშმარიტ განსახიერებად მივიჩნევ და როდესაც ზოგადად ვფიქრობ ქართულ არსზე, თვალწინ ჩვენი მასპინძელი წარმომიდგებაო. შემდეგ განაგრძო:

– ჭეშმარიტად მზის ნიშნულია საქართველო! ეს ჩვენ ენაშივე ძევს, რომლის სიტყვებიც ქმედითი სტიქიებია, რომლებშიც შესაქმისეული სიბრძნე ხმიანებს. ენა არასოდეს ტყუის. ქართული ენა უეჭველად მითოსური ჭვრეტიდან იშვა, იმ წიაღიდან, სადაც საგნები ურთიერთს სარკისებრ იმეორებენ და ერთი ფესვიდან იზრდებიან. მაგალითად, „სიტყვა“ „ტყვეობასაც“ უკავშირდება და „სეტყვასაც“. როგორც კი, ადამის მსგავსად, სახელს ვანიჭებთ არსსა თუ საგანს, იმწამსვე ვატყვევებთ, თუმცა ეს ტყვეობა არა დამანგრეველია, არამედ ნაყოფიერი. რარიგ გაიხარებდა ჰერაკლიტე, რომ სცოდნოდა, ქართულში „სიცოცხლე“ და „ცეცხლი“ ერთი ფუძიდან რომ გამომდინარეობს. ცეცხლი საფუძვლად უდევს ქართველთა მსოფლხედვას. სიცოცხლე წვა და სრბოლაა უსასრულო და ცხენიც – ყველაზე ცეცხლოვანი არსება, თავის სახელში ასევე იტევს სიტყვა „ცეცხლს“. კიდევ უფრო გასაოცრად ის მესახება, რომ სიტყვა „ცოცხიც“ ჟღერადობით ცეცხლს უახლოვდება. აქ კი განსაწმენდელის ცეცხლი იგულისხმება უთუოდ.

უფრო შორს თუ წავალთ, იმასაც ჩავწვდებით, რომ „წმინდა“ სულიერ სისპეტაკესაც ნიშნავს და ხორციელ სისუფთავესაც. შევაჯამებ და

ვიტყვი: სიცოცხლე წმინდაა და ცეცხლოვანი. ამიტომაც აქვს მზეს ფუძისეული ადგილი ჩვენ მსოფლხედვაში. „მზე“ და „მზერა“ – ესეც ერთია ჩვენში. აქ შინაგანი ჭვრეტა უნდა იგულისხმებოდეს: მზე კოსმოსის თვალია თითქოს, საკუთარ წიაღში ჩაბრუნებული, საკუთარი არსის განჭვრეტა რომ სწადია. ქართველს თუ ყოველივეს აღნიშვნა სურს, იტყვის, „ყველაფერიო“ – ყველა ფერი, ხოლო საპირისპირო სიტყვა – „არაფერი“ – ფერის არქონას ნიშნავს. ამასთან, ფერი გოეთესეულად უნდა გავიგოთ, როგორც პირველადი ელემენტის გამოსხივება. ჩვენში ხშირად გაიგონებთ შეკითხვას: რაფერ გააკეთე? აქ რაგვარობა ფერითაა გამოხატული. პლატონის შემდეგ ვიცით, რომ თვალი მზისებურია. გოეთეც ხომ ამბობს: „თვალი რომ მზისდარი არ იყოს, მაშინ მზეს ვერ იხილავდაო“. თუკი შეეკითხებით რომელიმე ჩვენს გლეხს, რა მოსდის ყურძენს დამწიფებისასო, გიპასუხებთ: მტევანს თვალი ჩაუდგაო. განა ეს არ არის გენიალური? ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ჩვენ ენაში აქვს სიტყვას „სახე“, შესაძლოა, ძველეგვიპტურ „საჰუ“ -ს უკავშირდება, რაც ცოცხალი არსების უკვდავი სუბსტანციის აღმნიშვნელია. ყოველივე სახიერი ღვთაებრივია – ასე ვმსჯელობთ ჩვენ და არც ერთი სხვა ენა ასეთნაირად არ უახლოვებს ერთიმეორეს ამ ორ ცნებას. ჩვენში წმინდა გიორგის „თეთრ გიორგად“ მოიხსენიებენ, რაც სხივოსანსაც გულისხმობს. მთაში კი „ლაშარის“ სახელს ატარებს – ეს ნათელს ნიშნავს. საუბარში ღვთის ხსენების მაგიერ ქართველები ხშირად ვამბობთ: „ჩემმა მზემ“, ანდა „შენს მზეს ვფიცავ“, მაგრამ არასოდეს ვამბობთ: „ვფიცავ მზეს“ – აქ კუთვნილებით ნაცვალსახელს ენიჭება მნიშვნელობა, თითქოს ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს. ჩვენს სათაყვანებელ „ვეფხისტყაოსანში“ ტყვეობაში მყოფი ნესტანი ასე ანუგეშებს თავის სატრფოს, გმირ ტარიელს: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი, განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი! მუნა გნახო, მადვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი“. სიტყვით „მუნ“ ნესტანი მზიური ელემენტის წიაღს გულისხმობს. საგულისხმოა ისიც, რომ ზმნა მოყვანილია ჩვენი ენისათვის დამახასიათებელი ზედროული აწმყოს ფორმაში, დაუსა-

ბამოსა და უსასრულოს რომ გამოხატავს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართველნი თაყვანს სცემდნენ მზეს, როგორც პიროვნებას.

ლევანმა ღრმად ამოისუნთქა და ერთხანს დუმდა, თანამოინახენი კი გაოცებით შესცქეროდნენ. თავიანთ ენაში ღრმად ფესვგადგმული ამ მსოფლხედვისა მანამდე არაფერი გაეგონათ. თვით თავადისთვისაც კი ახალი იყო ლევანის ზოგიერთი მსჯელობა.

– მზის ნიშნით აღბეჭდილი სიცოცხლე, – განაგრძო მოსაუბრემ, – ისეთ არსებობას ნიშნავს, როცა ყოველწუთს მზად ხარ, საკუთარი თავი გასწირო და გააჩუქო მზესავით. ვისაც ეს გამბედაობა აქვს, ის ბედისწერასაც დაიმორჩილებს: მის დარტყმას აღარ უფრთხის, არამედ მთელი არსებით მისით იმსჭვალება, როგორც თავისავე არსიდან გამომდინარე ძალით. მხოლოდ ამ გზით შეიცნობა ჭეშმარიტი ბედნიერება. ნახეთ, რა საოცარია: ჩვენში ბედი, გამბედაობა და ბედნიერებაც ფუძისეულად ერთია. ნიცშეს „ამორ ფატი“ ჩვენში ცოცხალი სიტყვად გარდაისახა. ქართული ანდაზა ამბობს: ცდა ბედის მონახევრეაო. როდესაც ცხოვრება მზის ნიშნით წარიმართება, მაშინ ხელისუფლის იდეაც განსაკუთრებულ საზრისს იძენს. მეფეს ქართველები „ხელმწიფეს“ უწოდებენ. მბრძანებელს „მწიფე ხელი“ უნდა ჰქონდეს,

სიმდიდრე არ უნდა აკლდეს, რათა უხვად გასცეს, არც ძალაუფლება – რათა თავდაცვა შეეძლოს, არც ღვთის კურთხევა – რათა ხალხს ემსახუროს. ხელისუფლის ამგვარი ხედვა ძველისძველ ადათ-წესში იჩენს თავს: თავადი გურიელის კარზე ახალი წლის მეორე დღეს ოდითგან საოცარი დღესასწაული იმართებოდა, სადაც როლების გადანაცვლება ხდებოდა: ქვეშევრდომნი თავადთა ადგილს იკავებდნენ, ნამდვილი თავადი და მისი ჯალაბობა კი მათ წინაშე ქედს იხრიდნენ და ემსახურებოდნენ. ხომ შესანიშნავია?

ლევანმა კვლავ მოითქვა სული.

– ცეცხლი და მზე ქართველისთვის ყოფიერების არსი და სიმბოლოა, – განაგრძო შემდეგ, – როგორ ანთია ჩვენს სულებში ეს ცეცხლი? მონღოლთა დიდი წინამძღოლი თემურ-ლენგი ეცადა ქართველთა საბრძო-

ლო ცეცხლოვანების წვდომას, რათა ის ხელოვნებად ექცია და მათ საწინააღმდეგოდვე გამოეყენებინა. ქართველები პირველსავე იერიშისას ხარჯავენ თავიანთ ცეცხლსა და ძალასო, ასე გადმოგვცემს მემატიანე თემურის თვალსაზრისს. ისტორიკოსები ასკვნიან: ქართველები სულსწრაფნი არიან და მოთმინება აკლიათ. თუმცა მე ეჭვი მეპარება ამაში. დღეს ჩვენი მასპინძლის ბიბლიოთეკაში ასანთის კოლოფისოდენა წიგნაკი ვიხილეთ, რომელშიც მთელი ახალი აღთქმაა მარგალიტისებრ თანაბარი და უზადო ხელით ჩაწერილი. მოუთმენელი და სულსწრაფი ასეთ ნიმუშს ვერ შექმნიდა. ქართველს ძალუძს, წარმოუდგენელი მოთმინებაც გამოავლინოს და ხასიათის სიმტკიცეც, ერთი კია: ქართველი წინასწარ არაფერს ანგარიშობს, ამაშია საიდუმლო! საოცარია, რომ ჩვენში „ანგარიში“ „ანგარებას“ ეხმიანება. ვინც მზითა და მისი ძალით სულდგმულობს, იმას ცივი გათვლა არ ეხერხება: მზე არ ანგარიშობს, ულევად გასცემს საკუთარ ნათელს. ჩვენი ეს თვისება არსად ისე არ იჩენს თავს, როგორც სიყვარულში. „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად მზიურ სიყვარულს აგვიწერს. ნესტანის სახება ღვთისმშობლის კდემამოსილ ხატად გვევლინება და, ამავე დროს, ის უნაშთოდ ეძლევა სიყვარულის ალს, უმწიკვლოა და, ამავე დროს, ბაკქანტი ქალივით ღვივის. სხვათა შორის, ქართველი ქალის ეს თავშეკავებული ცეცხლი გოეთემაც შენიშნა და ეს თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ კომენტარებში გამოთქვა კიდეც. ამგვარი სიყვარული უმძაფრესად გამოვლინდა ხევსურებში. მათი წესისამებრ მიჯნურთ მთელი ვნებით შეუძლიათ ურთიერთს ეალერსონ, მაგრამ უკანასკნელი ზღვარის გადალახვა ეკრძალებათ. ხოლო ვინც ამ მომაკვდინებლად ტკბილი ზღვარის დაცვა ვერ შეძლო და ღვთაებრივი უმწიკვლოება დაარღვია, მას, როგორც საკუთარი თავის მოღალატეს, მოიკვეთს თემი. განა ეს არ არის უაღრესად შთამბეჭდავი? აქ სიყვარულის განცდა თვით მზესთან იგივდება. მიჯნურთ ამ ტრადიციაში „სწორფერნი“ ეწოდებათ. ნახეთ, როგორ ემთხვევა ეს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ფერი ყოფიერების სხივია: მიჯ-

ნურნი ურთიერთის სწორფერნი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ ირჩევენ ერთიმეორეს სიყვარულისათვის.

ლევანმა კვლავ შეისვენა. სტუმრები სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ.

– ერთი ქართული თქმულება მოგვითხრობს, – განაგრძო ლევანმა, – როდესაც მზე სისხლისფრად ანათებს და მინდვრებს გვალვით ემუქრება, ნოტიო სოროდან მეწამული გველი გამოძვრება, გადამწვარ ღორღს გადაქექავს და მზეს მიაპყრობს დაბჩენილ ხახას, თითქოს სწყურიაო. შემდგომ პირიდან გადმოაგდებს

მოყვითალო ქვას და მზის სხივებში შეათამაშებს. ამ ქვას ხვითოს უწოდებს ქართველი და ჯადოსნურ ძალას მიაწერს. ვინც ამ ქვას წაართმევს გველს, რომელიც მზესა და მიწას მითოსურად უკავშირდება, იმას ლაღი, ნეტარი და სვებედნიერი ცხოვრება ექნება. ეს წარმოუდგენლად რთული საქმეა, მაგრამ ბედნიერებაც უსაზღვრო მოაქვს! ვინც გველს – ღმერთსა და არარას შორის გადებულ ხილულ სამანს – დაამარცხებს, ის სიკვდილის შიშსაც სძლევს და მზისებრ იცოცხლებს. უძველეს დროში ქართველნი, როგორც ჩანს, ხშირად დაეძებდნენ ამ ჯადო-ქვას, რათა მზეს ზიარებოდნენ. ადამიანს თუ კოსმოსად დავინახავთ, მაშინ მზეს საოცრებათა საოცრება – გული შეესაბამება და ქართველთა მთელი არსებობაც მზითაა გაცისკროვნებული, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე იყო ოდესღაც. ამიტომაც ჩვენში სიტყვა „გული“ რაღაც განსაკუთრებულად კრიალა ბგერებით ჟღერს. როდესაც გვსურს ვთქვათ: ამას შენთვის ვაკეთებ, ვამბობთ: შენი გულისათვის. როდესაც რაღაც ღრმასა და საბუკვარზე ვლაპარაკობთ, ვამბობთ: გულისხმიერი. შინაგან ჩაღრმავებას, მიყურადებას ჩვენში გულისყურს უწოდებენ. გულს საკუთარი თავის გაცემა მხოლოდ მზისდარად ძალუძს და ჩვენთან ეს მეგობრობაში კიდევ უფრო მეტად გამოიხატება, ვიდრე სიყვარულში, რადგან მეგობრობა სიყვარულისაგან განსხვავებით სრულიად უანგაროა. მზესთან სრული განზავების მიუხედავად, ან იქნებ – სწორედ ამის გამო, ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ მიწასთან. ჩვენთვის მიწა სისხლი და ხორცია. არა მხოლოდ მიწა, როგორც მთლიანი, არამედ მი-

სი ყოველი ნაწილიც ჩვენთვის იმ ზესივრცული არსით იმოსება, რაც მეტაფიზიკურ სფეროში გარკვეულ სულიერ სინამდვილეს შეესაბამება. ფშავ-ხევსურეთში Magna Mater-ს „ადგილის დედის“ სახით განადიდებენ. გავიხსენოთ, როგორ აღმართავენ ჩვენში სალოცავს. ადგილს მისტიკური გუმანით არჩევენ: ის ამა თუ იმ სახით მუდამ ამ სალოცავის არსის შესაფერისია. ამიტომაც გვაქვს სხვადასხვა სახის სალოცავები, სადაც განსხვავებულ ხატებს ვცემთ თაყვანს. მზე და მიწა საქართველოში შეწყვილებულ-შეუღლებულნი არიან, ღრმად და წრფელად. მხოლოდ ასეთ ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, როდესაც წმინდა ნინომ ვაზის რტოსგან გამოჭრა ჯვარი და საკუთარი თმა შემოახვია. მართლაც სიმბოლოა და სასწაული! სული შემოქმედად მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც მიწით განიმსჭვალება: ამას გვასწავლის ვაზის ჯვარი. თვით ღვთიური ვნებაც კი სიცოცხლისაგან ნაბოძები სიხარულით შეიცნობა. და განა ვაზი მადლიანი სიცოცხლე არ გახლავთ, მასზე შემოხვეული ქალწულის თმა კი – დიონისური ლხენა? როდესაც გულს, სამსხვერპლო თასის დარად, სიცოცხლის წვენით ვივსებთ და ღმერთს ვაწვდით, პასუხად მადლსა და წყალობას მივიღებთ. საქართველოს გული ამგვარი სამსხვერპლო თასია. აი, ამგვარად წარმომიდგება ქართული სამყარო.

წამით დადუმდა.

– ვინ შექმნა სამყაროს ამგვარი ხატი? არა ცალკეულმა ჩვენგანმა, არამედ ყველამ ერთად. ის ჩვენამდე იქმნებოდა, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი წვლილი შეაქვს მის ქმნადობაში. ჩანს, დასაბამიდან ხმიანებდა ჩვენს არსებაში ის მრავლისმთქმელი და იდუმალი რამ, თითოეულ ქართველში – დიდი ხნის წინათ გარდაცვლილში, ახლანდელსა თუ ჯერარდაბადებულში – განაგრძობს ჟღერასა და სუნთქვას. ეს ჩვენი ეროვნული ყოფიერების პირველსაწყისი, მითოსური ქართლოსია, ყოველ ქართველში რომ ცოცხლობს და მაინც არც ერთი ჩვენგანი არ არის. ის გვაროვნული თვალსაზრისით როდია ჩვენი

მამამთავარი: ჩვენი არსის შუაგულიდან თავად შვა საკუთარი თავი. უხილავად, ხელშეუხებლად ისხამს ხორცს თითოეულ ჩვენგანში. მხოლოდ იმდენად ვარსებობთ, რამდენადაც მასში გვიდგას ფესვი. დიდი მისია გვაკისრია: მივცეთ მას ჩვენში, ჩვენით საკუთარი არსის გამოთქმის საშუალება. მრავლადაა ჩვენს ისტორიაში პიროვნებები, ვისშიც ქართლოსის სახე გაცხადდა. უკანასკნელ საუკუნეებში მათი რიცხვი იკლებს: მამამთავრის მაცოცხლებელი ძალა იწრიტება. ხალხის ქვეცნობიერებაში შიშმაც კი დაისადგურა, ვაითუ ეს ძალა საბოლოოდ დაშრესო. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. კვლავაც და კვლავაც გამოჩნდება ის, ვინც საკუთარ თავში ჩვენს დამბადებელ წმინდა ძალას ატარებს. ერთი ასეთი კურთხეული დღეს ჩვენს შორისაცაა. ესაა თავადი გიორგი. მზის სახელითა და მთელი საქართველოს გასაგონად შევძახებ: გაუმარჯოს ჩვენს მამამთავარ ქართლოსს! დღეგრძელი იყოს თავადი გიორგი!

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – აჰყვა ყოველი მხრიდან ხმამაღალი შეძახილები. აღარავინ დარჩა ეული, მხარი მხარს ეხებოდა: ძმა – ძმას, ყოველი მზერა და-ძმური იყო. ყველას სუნთქვა აღტაცებას განემსჭვალა. ყოველი თასი თრობით აღვსილიყო. თავადი გიორგი, გულთამხილავი და ნათელმჭვრეტელი, თითქოს აგორებულ ზვირთებს აეტაცათ, ისე წამოდგა ზეზე. ყველა გაინაბა. თვალებში ცრემლი ედგა, აღტაცებული ცახცახებდა და სახეზე ნათელი ეფინა: რაღაც ზეადამიანური იყო მასში. ლევანს მიუახლოვდა და შუბლზე აკოცა. კვლავ გაისმა აღტაცებული შეძახილები. სტუმართა ხელები, თავადისაკენ გაწვდილი, სინათლის სხივებს ჰგავდა. გარს გრძნობათა ქარტეხილი ეხვია. შემდგომ ამისა თავადი კვლავ ტახტს დაუბრუნდა, მიწვა და ხმაურიც თანდათან დაცხრა. მხოლოდ გულები ძგერდა და იქნებ ყველაზე ძლიერ თავადის გულისცემა ხმიანებდა.

– ზემო-იმერული მრავალჟამიერი! – კვლავ ბრძანა თამადამ და ერთხელაც დაიგრგვინა დიდებულმა სიმღერამ.

ლევანმა აზარფეშა დაცალა. საკუთარ სხეულს ვეღარც ის გრძნობდა, მანათობელ სხივად ქცეულიყო. სასმისი სუფრის უხუცესს, ღვთისავარს გადასცა. ისიც ფეხზე წამოდგა, ამოცალა თასი და ახლა ჰიდირს გაუწოდა. სასმისმა მთელ სუფრას შემოუარა.

– სიხარულისგან ლაპარაკი მიჭირს, – წამოიმართა თავადი მას მერე, რაც თასი წრეზე შემოატარეს, – ვგრძნობდი, სადღაც ჩვენ სულებში ჯერაც არ ჩამქრალა ჩვენი უძველესი არსი. დიახ, ქართლოსი ჩვენი მითიური წინაპარია და მზის ნიშნითაა აღბეჭდილი. იგი თან ცალკეული პიროვნებაა, თან – არა. ამასწინათ ერთი გერმანელი ბიოლოგის ისეთი აღმოჩენის შესახებ შევიტყვე, წარმოუდგენლად რომ გამაოცა. თუ ბაყაყის ჩანასახის უჯრედს ორ ნაწილად დავყოფთ, მისგან ორი ბაყაყი განვითარდება. საკვირველია, რომ ეს ნაწილები ნახევრებად კი არ რჩება, არამედ ორ სრულყოფილ, თუმცა მომცრო ბაყაყად იქცევა. რა ემართება ჩანასახში თავდაპირველად არსებულ ბაყაყს? მართალია, ფიზიკური სხეული არ გააჩნია, მაგრამ იმ ორ მცირე ზომის ბაყაყში მაინც განაგრძობს არსებობას. მას, არდაბადებულს, თითოეული მათგანი საკუთარ თავში ატარებს. თუკი ბაყაყების ადგილას გონიერ არსებებს წარმოვიდგენთ, მაშინ ცხადია, რომ ისინი საკუთარ თავში თავიანთი არდაბადებული წინაპრის ხატს

ამოიცნობენ. ეს ხატი მოუხელთებელია, მაგრამ სწორედ ესაა მითიური წარმოდგენა ერის მამამთავარზე. მაგრამ ადამიანთა შემთხვევაში ეს მოვლენა მხოლოდ ბიოლოგიურად როდი უნდა გავიგოთ. ხალხს – არა უბრალოდ ადამიანთა თავყრილობას, არამედ არსობრივ ერთობას – მხოლოდ წინაპართა ნაჩუქარი ძალით უდგას სული. აი, რა აზრი ედო საფუძვლად ჩვენი ლევანის გასაოცარ სიტყვებს. ვიმეორებ: სიხარულისაგან ლაპარაკიც კი მიჭირს: არა იმიტომ, რომ ჩემში ქართველთა წინარე ხატი იხილეთ. არა! ამ ხატს რომ ჯერაც შეიგრძნობთ და დაეძებთ, ეს მაბედნიერებს. ყველას ერთად რომ გხედავთ, თრთოლვა მიტაცებს, რადგან თქვენშია ეს უხილავი, ძვირფასი ხატი. გმადლობთ!

ამ სიტყვების შემდგომ თავადმა მომცრო ჭიქა დაცალა.

სიჩუმე იდგა.

უეცრად მუშნი დადიანმა შეჰყვირა გახელებით:

– ერთი მაკლია აქ!

– აბა, წესრიგი! – შეაგონა თამადამ, მაგრამ მუშნიმ კიდევ უფრო გახელებით დაიღრიალა:

– ერთი მაკლია აქ!

ყველანი შეკრთნენ.

– დამშვიდდი, ჩემო მუშნი, – გაისმა თავადის უდრტვინველი ხმა, – ყველანი აქ არიან, ყველა გარდაცვლილიც.

მაშინღა მიხვდნენ სტუმრები, რომ მუშნიმ თავადის დაღუპული ვაჟი მოისაკლისა. ისევ ჩამოწვა დუმილი, მოწიწებითა და დაფიქრებით სავსე.

– ჩონგური! – შესძახა მზისავარმა.

მოუტანეს ქართული საკრავი. დაუკრა და უძველესი სიმღერა დაამღერა, რითაც უწინ „ბატონებად“ წოდებულ სახადის სულს აჯადოვებდნენ და აძევებდნენ. ძალიან ჩუმი ხმით მღეროდა. ოდნავგასაგონად ეხმიანებოდნენ ქალები, მათი სიმღერა თითქოს პირველქმნილი სამყაროს სიშორიდან მოისმოდა.

ახლა კი ბასილამ საქონლის მთელ-მთელი მოხარშული ბეჭი შემოიტანა. ეს კერძიც უკლებლივ ყველას უნდა ეგემა. რთულია ბეჭის სწორად მოხარშვა, კიდევ უფრო რთული მისი დანაწილებაა. – მამიამ დაჭრას,

– გაისმა აქეთ-იქიდან. თამადა მართლაც ამ საქმის ოსტატი იყო. გრძელპირიანი ბასრი დანით ხორცი თხელ, მოგრძო ნაჭრებად დაკეპა. ხორცს ცხარე წიწაკითა და გასაოცრად სურნელოვანი ომბალოთი შეკმაზული ტყემლის საწებლით შეექცეოდნენ.

სადღეგრძელოები დასრულდა. სულ ბოლოს, წესისამებრ, თვით თამადა უნდა დაელოცათ.

– გაუმარჯოს ჩვენ თამადას, სუფრა ასე დიდებულად რომ წარმართა! – შესძახა ერთმა სტუმარმა.

ახლა ჰიდირი წამოდგა ფეხზე.

– მონღოლთა შემოსევის დროს ასეთი რამ მოხდა, – დაიწყო თხრობა, – მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულება გაიხსნა და მეამბოხეებს სასტიკი ტანჯვა მიუსაჯეს. მაშინ დამპყრობელთა წინაშე გაჩნდა ვიღაც, ახოვანი, მშვიდი და გაბედული. ჰკითხეს, თუ რა სურდა მას. უპასუხა, ჩემს მეგობრებთან ერთად ყოფნა მსურს, რადგან მეც შეთქმულთა შორის ვიყავი, მაგრამ მოსვლა დავაგვიანეო. მონღოლები მისმა საქციელმა შეძრა და გააოცა: ის არათუ დასაჯეს, არამედ მისი მეგობრებიც გაათავისუფლეს. ასე მოგვითხრობს ჩვენი მემატიანე, რომელიც არასოდეს ტყუის. ამ კაცს ცოტნე დადიანი ერქვა. ჩვენი თამადა თავისი მშობლიური მხარის სახელს ატარებს. ოდიშელის სიტყვა და იერი მუდამ ისეთ კაცს წარმოაჩენს, რომელმაც უწყის, თუ რას ნიშნავს ქართველისათვის მეგობრობა და ერთგულება. დღეგრძელი იყოს მამია ოდიშელი!

– გაუმარჯოს! დღეგრძელი იყოს! – ზარ-ზეიმით დაიქუხა სუფრამ.

თამადა იდგა, ღირსებითა და სათნოებით აღსავსე. მოკლედ გადაიხადა მადლობა დღეგრძელობისათვის.

შემდგომ ყველანი ნელა წამოდგნენ და ისეთი უსაზღვრო მოწიწებით გაირინდნენ, როგორც ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ჩუმი ლოცვისას. ამით დასრულდა ნადიმი, ოღონდაც – მხოლოდ მისი რიტუალური ნაწილი. ახლა კი ყველას შეეძლო იმდენი დაელია, ეჭამა, ესაუბრა, ემღერა და ეცეკვა, რამდენსაც მოისურვებდა. ქალები წამოდგნენ და დატოვეს სუფრა, ზოგიერთი მამაკაციც ასე მოიქცა. ახალგაზრდა ქვრივიც წასვლას აპირებდა, მაგრამ დაჟინებით სთხოვეს დარჩენა და ამ თხოვნას დაჰყვა. თავადი გიორგი ისევ ტახტზე იწვა. ლხინი ლაღად და თავისუფლად გრძელდებოდა. ღვინომ კი არ გააბრუა, გაახალისა მოქეიფენი.

დღე მიიწურა, მთების ჩრდილები უხმოდ და იისფრად გადაეფარა ფართო ხეობებს. ლბილი და გრილი იყო ჰაერი. ჯერაც ხმიანებდა სიმღერა, ჯერაც ცეკვის თავდავიწყებასა და ლხინს მოეცვა იქაურობა. გაღმა, მთის კალთასთან ოქროს შარავანდედის დარად ეკიდა ღრუბელი. მეწამული ფერისა იყო ცეცხლივით. მაგრამ ამ ცეცხლს ალი არ მოუჩანდა, უძრავად, ლითონივით მყარად ანათებდა თითქოს შიგნიდან.

ღრუბელი დიდრონ თვალივით ასხივებდა ნათელს: თითქოს მზე მოექცია საკუთარ თავში, თითქოს საკუთარ თავს გადაელახა.

უეცრად ლევანი ზეზე წამოხტა. ახლად რქებგამოცვლილი ირემივით იდგა – ლაღი და უშიშარი. სახე აღაპყრო ცეცხლოვანი ღრუბლისკენ და მჭახე, გამგმირავი რითმებით ამეტყველდა. რა იყო ეს? ლექსი, ჰიმნი თუ შელოცვა? „მზის საგალობელი“, – ჩურჩულით წარმოსთქვა დამსწრეთაგან ერთმა. სიტყვები ღვთაებრივად შეერწყო ცეცხლოვან ღრუბელს. მათ დაუოკებელი, ველური გზნება გამოაღვიძეს. – ლილე! – შესძახა ბოლოს ლევანმა და სუფრიდან ახლა სვანი ყანსავი წამოდგა. თავისი ტომის უძველესი საგალობელი დაამღერა. სხვებმაც აუწყეს ხმა. მიწის მთელი სიმძიმითა და ჟინით ამაღლდა ეს სიმღერა მზისაკენ.

– ჩრდილოეთიდან ჩამოსულ ჩვენს მშვენიერ დას ვუძღვნი ამ ჰიმნუსს! – ბრძანებასავით სტყორცნა ლევანმა ეს შეძახილი.

სიხარულის შეძახილები გარს შემოეხვია მშვენიერ ქვრივს. თავზარდაცემული ჩანდა, დამფრთხალი და ბედნიერი.

ლხინი საღამომდე გაგრძელდა.

ნორინა

აპოკალიფსის სუნთქვით განმსჭვალული ადამიანები მხოლოდ უკანასკნელი მოვლენებისადმი იჩენენ სულსწრაფობას, ყოველდღიურ ყოფაში კი, პირიქით, მყარად და უდრეკად დგანან. ასეთი იყო ლევანიც. მთელი საღამო აწვალებდა შეკითხვა: იყო თუ არა ახალგაზრდა ქვრივი ის გოგონა, ვისაც ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, შეხვდა. მაგრამ მოთმინებით ელოდა იმ წუთს, როცა ეს საიდუმლო თავისით ამოიხსნებოდა. ახლა მარტო იჯდა ამ ქალის პირისპირ აივნის მოაჯირთან. მათგან ოდნავ მოშორებით კნეინა ესაუბრებოდა მეფუტკრე მზისავარს, აივნის მეორე ბოლოში კი თავადის ქალს პოეტები შემოხვეოდნენ და სახოტბო ლექსებს უკითხავდნენ. ბაღში კიდევ მღეროდნენ სისხლაჩქროლებული მოქეიფენი. თავადი გიორგი განმარტოვებით იწვა თავის ოთახში.

ლევანი ქვრივს გერმანულად ესაუბრებოდა, რადგან შვედური სულ არ იცოდა, ქალი კი ძალზე სუსტად ფლობდა ქართულს. ღამეს უძირო სიმშვიდით დაეფარა უკიდეგანო მიდამო: არა რიდედ, არამედ გამოუცნობ აურად, რომელსაც მიწა ღრმა ძილში გამოასხივებს. ამან საუბარს მეტი გულითადობა შესძინა. ლევანი ყოყმანობდა, დაესვა თუ არა პირდაპირ ის შეკითხვა, მანამდე რომ აწუხებდა. ეს უხერხულად და უადგილოდ მიაჩნდა: ფიქრობდა, მასა და ქალს შორის ახლად დაწყებულ სათუთ ურთიერთობას ეს ხელს შეუშლიდა. ჯობდა სასურველი თემა საუბარში უშუალოდ ჩაერთო. საამისოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

– მთელი დღე სევდიანი ჩანდით, განსაკუთრებულად კი მაშინ, როცა მზეს უგალობდით, – ჩურჩულით მიმართა ქალმა.

– დიახ, შესაძლოა, – უპასუხა ლევანმა, – დღეს მზე ღრმად და ძალუმად შემოვიდა ჩემში.

– კი მაგრამ, ნუთუ სიღრმე გარდუვალად სევდას უკავშირდება?

– ჭეშმარიტი სიღრმე მუდამ სევდასთანაა ნაზიარები!

– მაგრამ მზე ხომ თვით სიხარულია, ამის შესახებ თქვენც ახლახან საუბრობდით.

– ასეა, მაგრამ ამ სიხარულს სევდის ოდნავშესამჩნევი რიდე ფარავს. როგორ აგიხსნათ? ალბათ თვითონაც გამოგიცდიათ ეს მუსიკის სმენისას, როდესაც ნეტარ თავდავიწყებას სევდა ერთვის.

– დიახ.

– აი, სწორედ ეს არის.

ორივე დუმდა.

– თქვენს სევდას კიდევ რაღაც უცხო, უცნაური ერია, რაც ჩემთვის გაუგებარი რჩება.

– შესაძლოა. დღეს მართლაც რაღაც უცნაური შემემთხვა. ალბათ შეგინიშნავთ, თითოეული ადამიანის სახეში წამიერად სრულიად უცხო სახება რომ გამოკრთის და ისევ უკვალოდ ქრება. არასოდეს მოგიკრავთ თვალი სარკეში თქვენი მეორე, დაფარული სახისათვის?

– ერთხელ, როდესაც ძალზე ახალგაზრდა ვიყავი.

– როდესაც თავადი წამოდგა და სუფრას მიუახლოვდა, ერთბაშად სულ სხვა ადამიანი გამომეცხადა. თუმცა ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, მაინც სულით ხორცამდე შემძრა, – შემდეგ, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა, – დღეს ასეთი რამ ორჯერ მომივიდა.

– მეორედ როდის?

– როდესაც თქვენ შემოხვედით ოთახში.

– მაშინაც უცხო სახება დალანდეთ თავადის სახეში?

– თავადის – არა, თქვენს სახეში.

ქალი შეცბა.

– კვლავ უცხო სახე იხილეთ?

– უცხოც და ნაცნობიც.

– უცნაურია. იქნებ გამაცნოთ ის მეორე, უცხო?

– სიამოვნებით, – ლევანმა სიგარეტს მოუკიდა, – ომის წინა, 1914 წლის ზაფხული ბორჯომში გავატარე. იქ გავიცანი ერთი არაქართული ოჯახი, რომელსაც თორმეტი წლის გოგონა ეკუთვნოდა, ქერათმიანი, საყვარელი ბავშვი. ბავშვებს საერთოდ ვუყვარვარ და მანაც შემიყვარა. მთაში და ტყეში დამყვებოდა. ზღაპრებსა და თქმულებებს ვუამბობდი,

ძალზე ჭკვიანი იყო, ბავშვურად-გენიალური გულუბრყვილობა ახასიათებდა. ჭაში ჩამავალ მიწისქვეშა ნაკადს ქართველები წყაროსთვალს უწოდებენ: ის სწორედ ასეთი წყაროსთვალი იყო. როდესაც ვუმზერდი, მართლაც მწამდა, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე კურთხეულია.

მეტად ძვირფასი შეიქნა ჩემთვის: უმცროს დასავით ტკბილი და კიდევ რაღაც ამაზე მეტიც იყო. ოღონდაც ეს „მეტი“ არ უნდა გაიგოთ როგორც ქალისა და მამაკაცის ჩვეულებრივი ურთიერთობა. და მაინც: ეს არც დიდისა და ბავშვის ჩვეულებრივ მეგობრობას ჰგავდა. ამის გამოსათქმელად სიტყვებს ვერ ვპოულობ. ალბათ მასში მომავალი ქალის ის სახება მიყვარდა, საოცრად ცოცხლად და ხელშესახებად რომ მედგა თვალწინ. შემდეგ ომი დაიწყო და გოგონა სამუდამოდ დავკარგე. ამაოდ ვეძებდი, ვერსად მივაკვლიე და მონატრების ნამდვილ მნიშვნელობას მაშინღა ჩავწვდი: როდესაც რაღაც ჩვენთანაა და, ამავე დროს, განუზომლად შორსაა, მაგრამ ეს ზმანება ნებისმიერ სინამდვილეზე ბევრად მძლავრი და ნივთიერია. ამდენი წლის შემდგომაც კი ყოველდღიურად ვუბრუნდებოდი ფიქრით: საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტავ სად არის და რასა იქმს-მეთქი? რა ბედი ეწია? ზოგჯერ დემონური ძალა შთამაგონებს, რომ იგი მკვდარია. მაშინ მთლიანად მეუფლება ის წყევლა, ამქვეყნიური ყოფიერებას რომ აწევს. მერე კი ერთბაშად ნათლად დავინახავდი ხოლმე მის სახებას: ცოცხალია, თვალწარმტაც ქალად ქცეულა და ზოგჯერ ახსენდება კიდეც თავისი ძველი მეგობარი. ასეთ წუთებში თითქოს თავს გრძნობათა უმძლავრესი ტალღა გადამევლებოდა... სიშორე როცა მიხმობს, მუდამ მის სახეს ვხედავ, ახლოსა და მიუწვდომელს.

ლევანი დადუმდა, დაღლილი და გამოფიტული. ქალი უსმენდა, თითქოს ძილ-ღვიძილში ჩაესმოდა მისი თხრობა. გული აღარ უძგერდა, სუნთქვაც კი შეეკრა. მარჯვენა მკლავით უღონოდ მიეყრდნო აივნის მოაჯირს. ასე გავიდა წუთები, ვიდრე ქალი გონს არ მოეგო.

– და, ოთახში რომ შემოვედი, მოგეჩვენათ, თითქოს ის გოგონა დაინახეთ, არა? – ჩურჩულით წარმოსთქვა ქალმა.

– დიახ, – მიუგო ლევანმა, – მით უფრო დავრწმუნდი ამაში, როცა თავადმა თქვენი შვედური წარმოშობის შესახებ გვითხრა. ის გოგონაც ხომ შვედი იყო.

– შემდეგ?

– შემდეგ დავიბენი, რადგან თქვენში ის გოგონა ვეღარ ვიცანი, უფრო სწორედ კი, დავეჭვდი.

– საოცარი ამბავია, – ხანმოკლე დუმილის შემდეგ უთხრა ქალმა, – მით უფრო საოცარია, რომ ამ ამბავს სწორედ მის უშუალო მონაწილეს უამბობთ.

– ნორინა!

– ლევან!

ორივე ერთბაშად სინამდვილის იმ განზომილებაში აღმოჩნდა, რომლიდანაც ამ ორი სახელის გარდა

ყველა სხვა სიტყვა გამქრალიყო. ქალმა გაუბედავად გაუწოდა ხელი, რომელიც მამაკაცმა თავის მარჯვენაში მოიქცია.

– ახლა თუ ცნობთ ჩემში იმ გოგონას? – იკითხა ქალმა.

– დიახ, სრულად, – სიხარულით მიუგო ლევანმა.

სიტყვები თითქოს ზედმეტი იყო, კვლავაც დადუმდნენ.

– ხანდახან მაინც თუ ფიქრობდით ჩემზე? – ბავშვურად ჰკითხა ლევანმა.

– ხშირად, – მიუგო ქალმა.

უამბო, რომ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, მისი ოჯახი სასწრაფოდ გაემგზავრა ბაქოში და ლევანთან დამშვიდობება მაშინ ვეღარ შეძლო. რაკიღა უცხოელები იყვნენ, არ გასჭირებიათ ნავთობის დედაქალაქის მიტოვება (ქალმა ლევანს შეახსენა, რომ მისი მამა იქ წლების მანძილზე ნობელის ფირმაში ინჟინრად მუშაობდა), რომ შემდგომაც სტოკჰოლმს მიაშურეს, მთელი ოჯახი გაემგზავრა – მამა, დედა, ძმა და თვითონ. ამას ომის მძიმე წლები მოჰყვა. წერილის მიწერას აპირებდა, მაგრამ რუსეთი და კავკასია ევროპისაგან სრულიად მოჭრილი იყო. ომის დასრულების შემდეგ, 1918 წელს ოჯახი კვლავ ბაქოში დაბრუნდა. ქალაქი წარმოუდ-

გენელ ქაოსში ჩაძირული დახვდათ: ბოლშევიკები, თურქები, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის გაუთავებელი შეტაკებები... 1919 წელს რევაზი გაიცნო; ისიც ინჟინერი იყო და ერთ დიდ საწარმოში მუშაობდა. აზერბაიჯანის გასაბჭოებამდე ცოტა ხნით ადრე, 1920 წლის აპრილში, ნორინამ და რევაზმა იქორწინეს და მალევე საქართველოს შეაფარეს თავი. ქალის მამა და ძმა შვედეთში დაბრუნდნენ, დედა კი დარჩა. ლევანმა იცოდა, რომ ნორინას დედა, წარმოშობით იტალიელი, საქართველოში დაიბადა. ის დღესაც ბათუმში ცხოვრობს ქართველ ნათესავებთან.

კიდევ ბევრი რამ უამბო და ბოლოს, როგორც ჩანს, სათქმელი ამოეწურა.

– ჩემი მოძებნა არასოდეს გიცდიათ? – ჰკითხა ლევანმა.

– გავიგე, რომ თბილისში ცხოვრობდით...

– და მერე..?

– წერილის მოწერას ვაპირებდი. მერე კი, არ ვიცი, შიშის, რიდისა თუ სხვა რამის გამო, ეს აღარ გავაკეთე. ამას ის ქართული თვისება დაერთო, ნებისმიერი საქმის სახვალიოდ გადადებას რომ გვაიძულებს, მე კი

დღითი დღე სულ უფრო მეტად ვიძენდი ქართულ ხასიათს, – ქალს გაეღიმა, – ვიცოდი, რომ ცოცხალი ხართ და იმაშიც დარწმუნებული ვიყავი მუდამ, რომ ოდესმე კვლავ შეგხვდებოდით. დანარჩენს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– მაშინვე მიცანით? – ღიმილით ჰკითხა კაცმა.

– როგორც კი დაგინახეთ. თითქმის არ შეცვლილხართ.

– მუმიასავით! – ჩაიცინა ლევანმა.

– აი, მე კი...

– თქვენ უმშვენიერეს ქალად ქცეულხართ.

თითქოს ორივეს მხრებიდან ტვირთი ჩამოეხსნა, ლაღად განაგრძეს საუბარი.

– გთხოვთ, გამიგეთ, თავადს ხომ არ სძინავს, – მოულოდნელად გაწყვიტა სიტყვა ლევანმა, – ფორტეპიანოზე მსურს დაკვრა.

– ახლავე, – უთხრა ქალმა და წამოდგა.

ორიოდ წუთში დაბრუნდა და ამცნო:

– თავადი ოდიშელს ესაუბრება.

– მაშინ დარბაზში შევიდეთ, – სთხოვა ლევანმა, – გთხოვთ, ჩემს გვერდით დაჯდეთ.

– სიამოვნებით.

დიდ დარბაზში შევიდნენ, სადაც ბეჰშტაინის დიდებული როიალი თვლემდა. ლევანი მას მშვიდი თავდაჯერებით მიუახლოვდა. როგორც კი მიუჯდა, მაშინვე გამოუცნობ უძირო სიღრმეში ჩაეშვა. გვერდით, მდუმარედ და გაფაციცებით ეჯდა ნორინა. როდესაც პირველი ბგერები ახმიანდა, თავის ოთახში მყოფმა თავადმა იკითხა:

– ვინ უკრავს? ნორინა? არა, სხვა.

– მგონი ლევან ორბელი უნდა იყოს, – უპასუხა ოდიშელმა.

ორივე გაიტაცა მუსიკამ.

– რას უკრავს? – კვლავ იკითხა თავადმა, – ეს პიესა არასოდეს გამიგია.

– ეს პიესა არ გახლავთ, – განუმარტა თანამოსაუბრემ.

– როგორ? მაშ, იმპროვიზაციაა?

– თან კი და თან არა. ის რაიმე მელოდიას იღებს და შთაგონებისდა მიხედვით ქმნის მის ურიცხვ ვარიაციას.

– გასაოცარია.

– მისი აზრით, სწორედ ესაა ჭეშმარიტი მუსიკა. სხვა შემთხვევაში მუსიკა კარგავს იმ ღვთაებრივ წუთთან შეხებას, როცა შესაქმე იმავდროულად სასცენო წარმოდგენაცაა.

– უცნაურია.

ლევანი დაკვრას განაგრძობდა. ცხადია, უნაკლო ტექნიკა არ ჰქონდა, მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს. მძლავრი გრგვინვით, თითქოს სხვა სამყაროდან მოედინებოდა მუსიკის ნაკადი და დამაბრმავებელ ნათელს ასხივებდა. თავდავიწყებული შემსრულებელი როკვის ჟინით ატანილ კენტავრს ჰგავდა.

– ბობოქარი სული, – თავისთვის ჩაილაპარაკა თავადმა.

– ...რომელიც შეშლილობის ზღვარზე დგას, – განაგრძო მისი სიტყვა ოდიშელმა.

– გარდაცვალების შემდგომ სულებს სიტყვები აღარ სჭირდებათ. ალბათ მუსიკით ესაუბრებიან ერთიმეორეს, – ჩაფიქრებული ამბობდა თავადი.

ლევანს აღარაფერი ახსოვდა. ღამის სიმშვიდეში ჩაძირული სოფელი თითქოს მუსიკის ზვირთებს აეტაცათ. შინ და გარეთ, ყველანი მოენუსხა მუსიკას, ყველაზე მეტად კი – ნორინა. მამაკაცის თავდავიწყება ქალს თითქმის აშინებდა. უეცრად თვალწინ ზმანებასავით წარმოუდგა: ევროპაში უამბეს, როგორ ესტუმრა ერთხელ ნიცშეს მეგობარი, მუსიკოსი პეტერ გასტი უკვე „ზატარუსტრას“ ავტორს. სნეული გენიოსი ფორტეპიანოზე უკრავდა. სტუმარი ფრთხილად შევიდა ოთახში. შიშმა აიტანა, როდესაც ჩაწვდა, რომ ნიცშე, მართალია, სწორად უკრავდა, მაგრამ დროდადრო მისი ხელები მაიმუნის თათებს ემსგავსებოდნენ და შეშლილი სისწრაფით დაჰქროდნენ. უეცრად წამოხტა ფეხზე, შეტრიალდა და გასტმა

შეშლილობისაგან სრულიად გამოცვლილი შემზარავი სახე იხილა. ქალს გონებაში გაუელვა, ლევანსაც ახლა იგივე რომ შეემთხვასო. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მაგრამ, აი, ბობოქარი ჰანგები საოცრად ნათელმა პასაჟმა შეცვალა, რომელშიც ყოველივე მძიმე და ბნელი ჩაინთქა. ამით დაასრულა კიდეც ლევანმა დაკვრა. შეშლილის ნაცვლად ქალმა ბედნიერებისაგან გაცისკროვნებული სახე იხილა.

ნორინამ შვებითა და ნეტარებით ამოისუნთქა.

ნადიმი გრძელდება

მეორე დღეს თვით სასახლემაც თითქოს მოიწყინა, რადგან სტუმრები გამგზავრებას აპირებდნენ. საქართველოში განშორებას მეტისმეტად მტკივნეულად არ განიცდიან, რადგან ქვეყანა პატარაა და მანძილები – არცთუ დიდი. მაგრამ დღეს ყველამ უჩვეულო სევდა განიცადა, თითქოს დღესასწაული დაუსრულებლად გაწყდა. თავადი განსაკუთრებით დარდიანი ჩანდა. ამძიმებდა იმაზე ფიქრი, რომ, შესაძლოა, ამ მშვენიერ ადამიანებს ვეღარასოდეს შეხვედროდა. ყველა მზად იყო გასამგზავრებლად. გამოსათხოვარი სიმღერის ხმებიც თანდათან მიწყდა. თავადი აივნის მოაჯირს დაეყრდნო და წასასვლელად გამზადებულთ გადასძახა:

– იქნებ კიდევ ორიოდე დღით დარჩეთ, თუ ყველანი არა, რამდენიმე თქვენგანი მაინც! ზეგ ხომ გიორგობაა.

– თქვენი დღეობა! – ასძახა ოდილიანმა.

– ჰოდა, არ გსურთ ეს დღე ჩემთან ერთად აღნიშნოთ?

– მე ვრჩები! – განაცხადა ოდილიანმა.

– მეც, – შეეხმიანა მხატვარი ვანო.

ავალა და ჰიდირიც დათანხმდნენ. ხანმოკლე ჭოჭმანის შემდეგ მათ მუშნი და მფრინავიც შემოუერთდნენ.

– შენ? – მიუბრუნდა ოდილიანი ლევანს.

მან თვალი ნორინასკენ გააპარა და მის მზერაში ამოიკითხა პასუხი.

– მეც დავრჩები, – წარმოსთქვა ხმადაბლა.

თავადმა გაიხარა. კიდევ ერთხელ დაულოცა გზა დანარჩენებს, რომელთა შორის კოსტაც იყო.

დამშვიდობებისას კოსტამ თავის ტყუპისცალს ჰკითხა:

– მამას, როგორც ჩანს, გადაავიწყდა ის, რაც ჩვენთვის უნდა გადმოეცა.

დათას გაეღიმა:

– სტუმრიანობამ სიმხნევე და ძალა შემატა და, ვატყობ, დარდიც გაუქარწყლა.

სასახლეში ისევ სიხარულმა დაისადგურა. კნეინა და მისი ქალიშვილიც ხარობდნენ. ნორინას სახე უბრწყინავდა: აშკარა იყო, ჯერაც სავსე ჰქონდა გული გუშინდელი განცდით. წამწამები სხივებად ეფინა ქვედა ქუთუთოებზე და თითოეული ნაკვთით ახლის მოლოდინში შეუმჩნევლად თრთოდა. თავადის გამოცდილ მზერას ეს არ გამოჰპარვია: შენიშნა, გარინდების უხილავ რიდეს რომ მოეცვა ქალი. ნეტავ რა ემართებოდა? მამობრივი სისათუთით უყვარდა თავადს ნორინა, მეტიც: ნანდაურ მეგობრად ჰქცეოდა და ცხოვრების დარჩენილ დღეებს უმსუბუქებდა. მაგრამ ის ხომ ქალი იყო: მშვენიერი, ნორჩი, სისხლსავსე ქალი და თავადი იმის გაფიქრებას უფრთხოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნორინა მას მიატოვებდა. ხომ შეიძლებოდა მეორედ დაქორწინებულიყო! ქალის სამუდამოდ ქვრივობაში დამწყვდევა დიდი უსამართლობა იქნებოდა. ჩრდილოელი ადვილად არასოდეს ინთება, მაგრამ ერთხელ ანთებულ ვნებას უსაზღვროდ და ბოლომდე ეძლევა, – ეს იცოდა თავადმა. ყოველივე სულიერი, რასაც თავადი ანიჭებდა, ქალს უზომო ბედნიერებას სჩუქნიდა, ამასაც გრძნობდა მოხუცი. მაგრამ გრძნობადი განცდა ამ ყოველივეს ერთბაშად დაუკარგავდა მნიშვნელობას. ამგვარ ფიქრებს გაურბოდა, მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებით მოეძალა. დააკვირდა სტუმრების თავდაჭერას ნორინასთან: ყველანი აშკარად მოხიბლულნი ჩანდნენ ახალგაზრდა ქალით. ოდილიანი და ავალა ლექსებს უძღვნიდნენ. მხატვარმა ქალის თხელი თეძოს ნატიფ რკალს შეავლო თვალი და ოდესმე მისი დახატვის სურვილი გამოსთქვა. მუშნი და ჰიდირი ხალისიანად უამბობდნენ საქართველოს შესახებ. მფრინავი ახლაც დუმდა, მაგრამ მის დუმილში თავადს არაფერი ენიშნა საეჭვო. ახლა ლევანს შეავლო თვალი: მას ნორინასთან ბუნებრივი სიმსუბუქე აკლდა, მის ქცევას თითქოს შებოჭილობა შეჰპარვოდა. ეს მართლაც საეჭვო ჩანდა. თავადი ჩაფიქრდა. წინა საღამოს ამ კაცმა ნორინას წინაშე დაუკრა, ფანტასტი-

კურად დაუკრა: ნუთუ ეს გრძნობათა ამოფრქვევა იყო? თავადს ამის გადაწყვეტა უჭირდა.

ნაშუადღევს ყველანი – ვანოს გამოკლებით, რომელიც სასახლის შორიახლოს დასეირნობდა, – თავადის ოთახში ყავას შეექცეოდნენ. ნორინაც იქვე იჯდა.

– ვხედავ, ნორინა ყველას გულში ჩაგვარდნიათ, – იხუმრა თავადმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ზოგიერთმა სტუმარმა.

ლევანი მათ შორის აღმოჩნდა, ვინც დუმილი ამჯობინა. ნორინა იღიმებოდა.

– მაგრამ, წესისამებრ, რაინდთა შორის ერთი primus inter pares[2] უნდა დასახელდეს, – განაგრძო თავადმა.

– მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მისი დასახელება, – მიუგო ოდილიანმა.

– ვშიშობ, მიკერძოებული სიმპათია არ გამოვავლინო. იქნებ ჯობს არჩევანი ბედისწერას მივანდოთ?

– მშვენიერია!

– მაშ, კარგი, – განაცხადა თავადმა, – აქ შვიდი მამაკაცი ვართ. ჩვენმეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ნორინას რაინდებს მეც მივეკუთვნები, რაც ჩემს ძვირფას ოდილიანს, როგორც ჩანს, თავში არ მოსვლია, თორემ არ შემომთავაზებდა primus inter pares-ის დასახელებას.

ყველამ გაიცინა. ამით მასპინძელმა სტუმრებს შორის სასურველი განწყობა შექმნა. ლევანს მოსალოდნელ კენჭისყრაზე ფიქრი არ სიამოვნებდა, თუმცა ამის დასამალად მთელ ძალ-ღონეს ხმარობდა. თავადს არც ეს გამოჰპარვია: თუმცა ბუნდოვანი, მაინც დასტური ხომ არ არის ეს მისი ეჭვისა?

– მაშ, შვიდნი ვართ, – განაგრძო თავადმა, – მაგრამ ქართული რიცხვია ცხრა. გავიხსენოთ ჩვენი სახელწოდებები: ცხრამუხა, ცხრაწყარო, ცხრათვალა მზე, ანდა ცხრა მთას იქით, როგორც ჩვენს ზღაპრებშია

[2] (ლათ.) პირველი თანასწორთა შორის.

ნათქვამი, – შემდეგ ნორინას მიუბრუნდა: – გთხოვ, ყანსავსა და ბასილას დაუძახე, ისინიც შენი რაინდები არიან.

ამასობაში ქაღალდის ფურცელი ცხრა ნაწილად დაჭრეს, ერთ-ერთს ნორინას სახელი წააწერეს, შემდეგ კოლოფში ჩაყარეს. კენჭისყრისას ამოღებული ცარიელი ბარათები კვლავ უკან უნდა დაებრუნებინათ, რათა ყველა მონაწილეს თანაბარი შანსი ჰქონოდა. ამ თამაშით თავადს, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, თავისი ვარაუდის გადამოწმება სურდა, მეორე მხრივ კი, თუკი ეს ვარაუდი გამართლდებოდა, სერიოზულობას თამაშით შეამსუბუქებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნორინა დაბრუნდა ყანსავსა და ბასილასთან ერთად. დაიწყო კენჭისყრა. პირველი ბარათი ავალამ ამოიღო კოლოფიდან: ცარიელი აღმოჩნდა. შემდეგ მუშნიმ: კვლავ ცარიელი. მფრინავმაც მარცხი განიცადა. ლევანი მდუმარედ იჯდა, შინაგანად დაძაბული. ამჯერად კოლოფს ოდილიანი მიუახლოვდა. ის ერთადერთი იყო, ვისი იღბალიც ლევანს აშინებდა.

– შენი გუმანი ახლაც გამარჯვებას მოგიპოვებს! – ხმადაბლა მიაძახა ლევანმა ფეხზე წამომდგარ პოეტს. ეს ჰგავდა მთვარეულის შეძახილით გამოფხიზლებას. ნუთუ ლევანმა ეს განგებ გააკეთა? თავადი წუთით ისევ ჩაფიქრდა.

ოდილიანმა გაუბედავად ამოიღო ბარათი: ცარიელი! შემდეგ ჰიდირმა სცადა ბედი: კვლავ უშედეგოდ. ახლა კი ლევანი გამოიძახეს. ბრმად ამოიღო, შინაგანად მოკრებილმა, როგორც მუდამ იქცეოდა გადამწყვეტ შემთხვევებში.

– გავიმარჯვე! – წარმოსთქვა ჩურჩულით.

– ყოჩაღ! – შესძახა ყველამ ერთხმად.

ნორინამ მთლად ვერ დამალა თავისი სიხარული. ლევანმა კი სტუმრების შეძახილები ფარად აიფარა, რათა თავისი მდგომარეობა არ გაემჟღავნებინა: შინაგანად ძალგამოცლილი და გამოფიტული იყო.

– მაშ, ლევანს ვაცხადებ პირველ რაინდად! – შესძახა თავადმა.

– ბრავო! – გაისმა ყოველი მხრიდან.

რამდენიმე წუთმა განვლო.

– ახლა კი, იქნებ ნორინამ თვითონ გააკეთოს არჩევანი? – ღიმილით განაცხადა თავადმა.

– როგორ? – გაოცდა ოდილიანი.

– ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, ერთხელ თვითონაც რომ გამოსცადოს ბედისწერა. რას იტყვი, ნორინა?

– არ მგონია, ეს მართებული იყოს, – ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით უპასუხა ნორინამ.

– როგორ გავიგოთ ეს?

– თქვენ ჩემს გამო იყარეთ კენჭი და, ამგვარად, მარჩიელობის მონაწილედ მეც გამხადეთ.

– მერედა, რისი თქმა გსურს?

– მე რომ ახლა განვიმეორო მარჩიელობა, ეს ბედის გამოწვევა იქნება, – გაეღიმა ქალს.

– ჰმ, მართალია. ტყუილად როდი მოვაწყვეთ შენს გამო რაინდთა ასპარეზობა: ძალზე გონიერი ხარ.

თავადი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ ფარული სიხარული განიცადა იმის გამო, რომ ასე ოსტატურად დააგო მახე: ახლა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ნორინასაც გულში ჩავარდნოდა ლევანი. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევანის გაკეთებაზე დათანხმდებოდა.

ლევანი მუდამ თავდაუზოგავად ეძლეოდა გრძნობებს და ახლა სრულიად დაცლილი და გათანგული იყო. სტუმრები ნელ-ნელა აივნის წინ მდებარე ბაღში გაიკრიფნენ. მუშნიმ ხალისით გაშალა მოხდენილი კიდურები, ჰიდირმა კი მარჯვენა მკლავი იდაყვში მოხარა და ღიმილით ხან ერთ მეგობარს მიუბრუნდა, ხან მეორეს: – აბა, ერთი მოსინჯეთ.

ყველამ სიცილით მოუსინჯა კუნთი.

– ხორცი კი არა, ქვაა, ქვა! – გაიკვირვა ყველამ.

– ხომ არ მოვსინჯოთ ძალები? – შეეკითხა ჰიდირი მუშნის.

– სიამოვნებით! – მიუგო იმან.

ერთი მეორის პირისპირ მიუსხდნენ მაგიდას, თითოეულმა მარჯვენა ხელის იდაყვი მაგიდას დააყრდნო. შემდეგ ხელები ერთურთს ჩასჭიდეს. მკლავჭიდი დაიწყო. ორივე თითქოს ქვის ლოდად იქცა: ჰიდირი მძლავრი და მშვიდი იყო, მუშნი – აშკარად დაძაბული. ვერც ერთმა დაძრა მეორის მკლავი. ორიოდ წამის შემდეგ მუშნის უკვე საგრძნობლად შეეტყო მღელვარება: ჰიდირზე ბევრად ახალგაზრდა იყო, მაგრამ ბევრად თხელიც და სწორედ ეს გადაწყვეტდა საბოლოოდ ორთაბრძოლას. ჰიდირი მშვიდად, კეთილად უღიმოდა. მუშნი არაფრის დიდებით არ უთმობდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად მან ერთბაშად შეწყვიტა ბრძოლა, თუმცა მკლავი ერთი სანტიმეტრითაც არ ჰქონია გადაწეული. ამ უეცარი დასასრულის შემდეგ მკლავი ჰაერში მოიქნია.

– როგორც ჩანს, დამეჭიმა, – აუხსნა გარშემო მყოფთ.

– ვწუხვარ, – ჩაილაპარაკა მუშნიმ.

თავადი გიორგი აივნიდან უცქერდა ამ სცენას.

– ყანსავ, – გადასძახა მან სვანს, – ჰიდირს ხომ არ შეეჭიდები?

– თუკი თქვენი ნება იქნება, – მიუგო სვანმა.

ახლა ჰიდირი და ყანსავი დასხდნენ ერთურთის პირისპირ. ხუთ წუთს გაგრძელდა ორთაბრძოლა. ჰიდირი შესამჩნევად გაწითლდა, თუმცა სვანსაც აშკარად ელეოდა ძალა. მეშვიდე წუთზე ჰიდირის მარჯვენა ოთხი სანტიმეტრით გადაიწია.

– როგორც იქნა ვიპოვე ჩემი მომრევი, – განაცხადა, თითქმის კმაყოფილმა.

თავადს გაეღიმა, ყანსავი კი იქვე იდგა თავმდაბლად.

– რამდენი წლის ხარ? – ჰკითხა ჰიდირმა.

– ასე, ორმოცის-ორმოცდაათის.

– ორმოცდახუთის, – შეასწორა თავადმა.

საკუთარი ასაკის ასეთმა მიახლოვებითმა ცოდნამ ყველანი გაამხიარულა.

– ამ ასაკში ალბათ მეც შენსავით ძლიერი ვიყავი, – თქვა მუშნიმ, როგორც ჩანს, თავი რომ ენუგეშებინა.

– მე კი მგონია, ჩემზე ბევრად ძლიერი უნდა ყოფილიყავით, – ყოველგვარი პირფერობის გარეშე მიუგო ყანსავმა.

ამასობაში მოგროვდა თავადის ურიცხვი ნათლული, დღეობის მისალოცად რომ მოსულიყვნენ. მათ შორის იყო ანდრი მეგრელი, ნახშირივით შავი ბედაურით რომ მოსულიყო. მეგრელს წმინდანის მოხსენიების დღეზე მეტად ამ დღეებში დანიშნული დოღი ახარებდა.

საღამოს ყველანი ისევ თავადის ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. ოდილიანი და ავალა ლექსებს წარმოსთქვამდნენ. ოდილიანმა მზისაგან ნაშობ ცეცხლოვან რაშს შეასხა ხოტბა, სრბოლის ჟინით მთვრალი, აქაფებულ ზღვაში რომ ეშვება, და ტალღებსაც ფრთოსან ცხენებად გარდასახავს. ავალამ შექმნა პოეტური სახება თეთრ ცხენზე ამხედრებული ნათელი ჭაბუკისა. მუშნი მსოფლიო ომის დროინდელ თავგადასავალს მოჰყვა: ერთხელ ის, მისი ძმა ოთარი და ერთი ჩეჩენი (სამივენი ეგრეთ წოდებულ ველურ ქვეგანაყოფში მსახურობდნენ) მიდამოს დასაზვერად გაგზავნეს: მდინარის ფონი უნდა გადაელახათ და დნეპრის მეორე ნაპირზე მტრის ჯარის განლაგება დაეთვალიერებინათ. მაგრამ ფონი აღარ უძებნიათ, ცხენებითვე გადაეშვნენ მძლავრ ნაკადში და ასე, ცურვით მიაღწიეს მეორე ნაპირს, სადაც მოწინააღმდეგის საგუშაგო პოსტი დახვდათ. თავზარდაცემულმა მტრებმა იფიქრეს, მთელი ველური ქვეგანაყოფი მოდისო, უსიტყვოდ ტყვედ ჩაბარდნენ და გონს მხოლოდ მაშინ მოეგნენ, როდესაც უკვე დაჭერილები იყვნენ. ანდრი აღტაცებით უსმენდა ლექსებსა და თხრობას: ყველგან ცხენები იყო მოხსენიებული. მხედარი მასში უკვე ანთებულიყო, თავადს ეს ჟინი არ გამოჰპარვია.

– ერთი სული გაქვს, ზეგინდელი დღე გათენდეს და დოღი დაიწყოს, ხომ ასეა, ანდრი? – ღიმილით შენიშნა თავადმა, – მაგრამ დრო შეიცვალა: ცხენებიც გაქრა. დღეს დოღის მოწყობაც გაძნელდა ფრიად.

– არაფერია, – მიუგო ანდრიმ, – ათ ცხენს კი იშოვნის კაცი, ხვალ მე მივხედავ ამ საქმეს. ეს იკმარებს. მართლა, თქვენი ცხენი თუ მიიღებს დოღში მონაწილეობას?

– მარჯზე მეკითხები?

– დიახ.

– კი მაგრამ, ვინ გააჭენებს?

– მუშნი ხომ აქ არის.

– მკლავი მაქვს ცოტათი დაჭიმული, – შენიშნა მუშნიმ.

უცბად ბასილა შემოვიდა და რამდენიმე ბოთლით ღვინო შემოიტანა.

– ბასილა რომ იყოს? – იკითხა თავადმა.

– დიდებულია! – შესძახა ოდილიანმა.

ჭაბუკმა სრულიად მოულოდნელად შეიტყო, რომ დოღში თავისი ბატონის ცხენით უნდა მიეღო მონაწილეობა. აღელვებულმა დატოვა ოთახი.

ისევ ლექსების კითხვა დაიწყეს. ამჯერად ლევანსაც სთხოვეს რაიმის წაკითხვა.

– ისეთი არაფერი მაქვს, უკვე რომ არ მქონდეს თქვენთვის წაკითხული, – განუცხადა მან მეგობრებს.

– როგორ გავიგოთ შენი სიტყვები? – გაოგნდა თავადი.

– საქმე ისაა, რომ ლევანი ლექსს მხოლოდ ერთადერთხელ კითხულობს საჯაროდ, – განუმარტა ოდილიანმა.

– ნება მიბოძეთ, ვიკითხო, რატომ?

– რათა განუმეორებელი განცდა შექმნას, – ახლა ავალამ ითავა განმარტება.

– მესმის, – ნელა წარმოსთქვა თავადმა და ლევანს დააკვირდა.

– მაგრამ, ვფიქრობ, თქვენთვის ნამდვილად უნდა გააკეთოს გამონაკლისი, – კვლავ წამოიწყო ოდილიანმა.

– ეს ძალზე გამახარებდა, – გამოსთქვა თავადმა.

ლევანმა განაცხადა, მზად ვარო.

რამდენიმე ხანი დასჭირდა შინაგან ძალთა მოსაკრებად და შემდეგ, უეცრად, თითქოს საკუთარ თავში სულ სხვა ადამიანი შეიგრძნო, ჩუმი და ლბილი ხმით წამოიწყო თავისი უსაყვარლესი, საგალობლის

მსგავსი ლექსი „წმინდა ნინოს“. თითოეული სიტყვა მკაფიოდ და ცოცხლად ხმიანებდა. პოეტური სურათები ელვასავით აშუქებდნენ შინაგანი ჭვრეტის საგნებს და ყოველი წინადადება ლოცვის ახალ-ახალი საფეხური იყო თითქოს. ზღვის მიქცეულ ტალღებივით ნელა, ჩუმი თავდავიწყებით მიწყდა ლექსის ჰანგები. ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომელშიც, როგორც ნიჟარაში, რაღაც ქროლვა და შრიალი ისმოდა თითქოს. ქალწულის უნაზესი სახება აირში გაიფანტა.

თავადი გიორგი უძრავად და მდუმარედ იჯდა. უეცრად წამოდგა და კარადას მიუახლოვდა. იქიდან პატარა სანთლებიანი შანდალი გამოიღო და ერთ კუთხეში, ბზისაგან ნატიფად გამოჭრილი გულის ფორმის ზარდახშას მიუდგა წინ, ცხრა სანთელი აანთო და გაირინდა, თითქოს ლოცულობსო. თითქოს სულ სხვა ადამიანი იდგა სტუმრების წინაშე. რამდენიმე წუთის შემდეგ რომ მობრუნდა, მის შუბლზე ყველამ დაინახა სინათლის რკალი. გაოცებულნი, მდუმარედ გავიდნენ ოთახიდან.

მზიური რაში

ხვალინდელი დოღისათვის მოსამზადებლად ბასილა შინაური საქმისაგან გაათავისუფლეს. მეზობელ სოფელში თავის დედასთან გაემგზავრა, უფროს ვაჟთან ერთად მომცრო ქოხში რომ სახლობდა. თავადის ცხენი, მარჯიც თან წაიყვანა. მდინარეში აბანავა, ავარჯიშა და სიმინდის ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებით დააპურა. დედამ გაიხარა, როცა შეიტყო, მის შვილს პირველად უნდა მიეღო მონაწილეობა დოღში. ღამით ჭაბუკმა წინკარში, მშრალ და სუფთა მიწურ იატაკზე დაიძინა. საწოლად ჭილოფი და მუთაქები ჰქონდა. მიწის სურნელმა გააბრუა ბიჭი. მის გვერდით, სარზე მიბმული ცხენი დასაბამიერ ნირვანაში გარინდულიყო. თბილ ღამეს ორივესათვის გადაეფარა სათუთი რიდე.

მზის პირველ სხივებთან ერთად ჭაბუკმაც გამოიღვიძა და ალერსიანად შეხედა ცხენს: მის ზაფრანისფერ, პრიალა ფერდებზე მზეკაბანივით ლიკლიკებდა აისის სხივები. ბასილამ დედისა და მზისაგან კურთხევა მიიღო და კვლავ სასახლეში დაბრუნდა. თავადმა მაშინვე თავისთან იხმო.

– ბასილა, – მიმართა თავადმა ჭაბუკს, – დღეს პირველად მოგიწევს დღეობაზე დოღში მონაწილეობა. როგორ მოგწონს მარჯი?

– თავს არ შეირცხვენს, ბატონო, – დარწმუნებით მიუგო ბასილამ.

– ჰო, ვიცნობ, არც ცეცხლი აკლია, არც გამძლეობა.

– არც ჟინი, თავადო.

– ანდრის ცხენზე რა აზრისა ხარ?

– მარჯის ერთადერთ მეტოქედ მიმაჩნია, თუმცა, ბევრად უფრო სწრაფად იღლება.

– მეც სწორედ ასე ვფიქრობ, გუშინ დავაკვირდი.

ორივენი დუმდნენ.

– ბასილა, – კვლავ წამოიწყო თავადმა, – ხომ იცი, ანდრი ჩემი ნათლულია, თანაც დღეს ჩემი სტუმარია. გახსოვდეს, ჭენებისას ერთობ ფიცხი და მედიდურია.

ჭაბუკმა ბატონს თვალი გაუსწორა, მიხვდა, რაზედაც მიანიშნებდა.

– გულით გავიხარებდი, თუკი ანდრი მეორე ან მესამე წრეზე გაიმარჯვებდა, – ფრთხილად შენიშნა თავადმა, – შენ შეგიძლია პირველი წრით დაკმაყოფილდე.

– ეს თავისთავადაც შეიძლება მოხდეს.

– შეიძლება, – დაეთანხმა თავადი, – მაგრამ მე მსურს, დარწმუნებული ვიყო ამაში.

ჭაბუკი დუმდა, ჯერაც ვერ ჩასწვდა ბოლომდე, რას გულისხმობდა თავადი.

– ეს შენზეცაა დამოკიდებული.

ახლა კი მიხვდა.

– ჯობს, საერთოდ არ მივიღო მონაწილეობა, – წარმოსთქვა ჩურჩულით.

– არა, ასე არ გამოვა. ანდრის ღირსეული მეტოქე უნდა ჰყავდეს.

ბიჭი გადაფითრდა. ამას თავისი ბატონისაგან არ მოელოდა: ერთბაშად გააბედნიერა და წაართვა კიდეც ბედნიერება. არ იცოდა, რა ეპასუხა.

– ჩემი ხათრით გააკეთე ეს.

ბასილაზე ბატონის სიტყვები მუდამ განსაკუთრებულად მოქმედებდა.

– როგორც ინებებთ, ბატონო, – მიუგო ჩურჩულით.

ბიჭი თავლისაკენ გაემართა და ცხენი გამოიყვანა. რა სიახლოვეს გრძნობდა ამ ცხოველთან! თავლის სიბნელეში მისი თვალების ლითონისებრი ციალი აჯადოვებდა. უყვარდა მისი ჭიხვინი, ასე ეგონა, მასში მთელი მსოფლიოს სიცოცხლის ხალისი ხმიანებსო. აოცებდა ცხენის უტყუარი გუმანი, რითაც ის მოახლოვებულ, ჯერაც უხილავ ავდარს გრძნობდა. მძაფრი სუნი მისი ოფლისა, მისი ცახცახი და თრთოლვა – ბიჭი ამ ყოველივეს საუცხოვოდ იცნობდა და, როდესაც ცხენს შეახტებოდა, წამსვე ნეტარად გრძნობდა, როგორ ერწყმოდა მისი ფეხები ცხენის

ფერდებს. დღეს კი საყვარელი ცხოველისათვის ღალატი მოუწევდა. გულდამძიმებულმა აღკაზმა მარჯი. ამ დროს გამოჩნდა ოდილიანი.

– რა მოგივიდა, ბასილა? – ჰკითხა შეძრწუნებულმა, – ისე პირქუშად კაზმავ ცხენს, თითქოს სასიკვდილო ბრძოლაში მიგყავდეს.

ჭაბუკმა არაფერი უპასუხა.

– შეხედე, ცა როგორაა გადაკრიალებული, – განაგრძო პოეტმა, – მარჯი წინასწარ შეიგრძნობს უკიდეგანო თავისუფლებასა და ქროლვას, რაც სულ მალე მოელის. შენს ქვეშ ცეცხლოვან ფრთებს შეისხამს!

აზრად არ მოსვლია, რომ ამ სიტყვებით ბასილას ტკივილი გაუასმაგა.

– რაც იქნება, იქნება, – თითქმის უღონოდ ჩაილაპარაკა ბიჭმა და ცხენს შეახტა.

ოდილიანმა გაოცებით გააყოლა თვალი.

ახლა სტუმრებიც გაემართნენ ხის პატარა ეკლესიის მახლობლად მოტრიალებული ადგილისაკენ, სადაც დოღი უნდა გამართულიყო. იქ უამრავი მაყურებელი შეკრებილიყო: ასობით ქალი და მამაკაცი მოსულა მეზობელი სოფლებიდან. ზოგიერთი ხეზე მოკალათდა, რათა ასპარეზობისათვის ეცქირა.

ათი ცხენი მიიყვანეს გავლებულ ზღვართან. ბასილამ ბასრი მზერა შეავლო მოწინააღმდეგეებს. ანდრის ლაფშას გარდა საშიშ მეტოქედ მხოლოდ ერთი ცხენი მოეჩვენა, სახელად ლურჯა. ორივეს იცნობდა: ლაფშა უფრო მსუბუქი იყო, მაგრამ მეტისმეტად ფიცხი, ლურჯა – უფრო ღონიერი, მაგრამ მოუქნელი. ორივე მხედრის ხასიათიც კარგად იცოდა: ანდრი მკვირცხლი იყო, მაგრამ სიჩქარე სჩვეოდა, მეორეს მოთმინება არ აკლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მხნეობით ვერ დაიკვეხნიდა. შეჯიბრის დროს აუცილებელი იყო როგორც ცხენების, ისე მხედრების სუსტი მხარეების გამოყენება. გუმანით გრძნობდა იმას, თუ რომელი თვისება შეიძლება აღმოჩნდეს ხელისშემშლელი ან სარისკო დოღის დროს: ცხენის მომეტებული სიფიცხე და ძალა, თითქმის მოუხელთებელი შერწყმა ცხენის გზნებისა გამარჯვების წყურვილთან, ანდა მხედრის მიერ ცხენის

რიტმული წაქეზება, რომელიც არასოდეს არ უნდა იქცეს ძალდატანებად, ყველაზე მთავარი კი სწორი შერჩევაა იმ უკანასკნელი წამისა, როცა მხედარი და ცხენი ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. ეს ყოველივე კარგად ესმოდა ახალგაზრდა მხედარს. ოღონდაც დღეს მოუწევდა ამის დავიწყება. რა მტკივნეული იყო ამაზე ფიქრი! თუმცა პირველი წრე ხომ მაინც მას ეკუთვნოდა. მთელი შემართება მოიკრიბა გამარჯვებისათვის.

მსაჯმა დაწყების ნიშანი მისცა და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. მაშინვე სამი ცხენი დაწინაურდა: ლაფშა, ლურჯა და მარჯი. მარჯს იმთავითვე პირველობა ეკუთვნოდა, მაგრამ თანდათან ჯერ ლაფშა, მერე კი ლურჯაც წამოეწია. ბასილამ მარჯის გზნება უფრო წააქეზა, ახლა ვერც ერთი ცხენი მას ვერ გაუსწრებდა; გამარჯვებულმა ჭაბუკმა მიზანთან მიაგელვა აქაფებული რაში. ყოველი მხრიდან საზეიმო შეძახილები გაისმა.

წამიც არ გასულა და ბასილამ მოახლოვებული ტკივილის ჩხვლეტა შეიგრძნო. მეორე წრე იწყებოდა.

კვლავ სამი ცხენი დაწინაურდა და აშკარა იყო, მარჯს კვლავაც გამარჯვება უნდა ჰრგებოდა. ელვის გაკვესებასავით დაუარა ბასილას გონებაში ფიქრმა, რომელმაც საკუთარი თავი დაავიწყა: ბატონისათვის მიცემული სიტყვა არ უნდა დაერღვია. უნდოდა ცხენი შეეკავებინა, მაგრამ მარჯი არ დაემორჩილა: სამივე ცხენი კვლავაც მჭიდროდ მისდევდა ერთიმეორეს დისტანციაზე. მაგრამ მხედრის ღალატმა მაინც თავისი ქნა: ლაფშამ ერთი თავით გაუსწრო მეორე მოწინააღმდეგეს, ხოლო მარჯი ერთი კისრის სიგრძით ჩამორჩა მათ და მესამემ დაასრულა სრბოლა.

მაყურებლები მღელვარებისაგან ახმაურდნენ, მაგრამ ღელვა თანდათან დაცხრა, ხოლო საბრალო მხედრის გულში, აბა, ვინ ჩაიხედავდა? ბასილა განადგურებული იყო. უეცრად შენიშნა ცხენი ნერვულად რომ არხევდა თავს: სასოწარკვეთილება თუ კრთებოდა ცხოველის მზერაში? ამ მზერამ მხედარი მტკივნეულად განმსჭვალა.

მესამედ მისცა ნიშანი მსაჯმა და წამსვე იგივე სამი ცხენი დაწინაურდა. ბასილას თავადი გიორგი მოაგონდა, მაგრამ, ამავდროულად, მეორე

გიორგიც მოაგონდა – წმინდანი, თეთრი გიორგი, თავისი სისხლისფერი, გულადი და მძლავრი ცხენით რომ გამოვიდა ურჩხულის განსაგმირად. ამ ზმანებით დაბრმავებული ჭაბუკი შინაგანი გაორებისაგან განთავისუფლდა, ყოველივე გადაავიწყდა: თავადიც და მისთვის მიცემული სიტყვაც და ფიქრის გარეშე გადაეშვა სრულყოფილ ყოფიერებაში. შეშლილივით გააჭენა ცხენი, დაბინდული გონების ფსკერზე მხოლოდ ნადიმისას ლევანის მიერ წარმოთქმული სიტყვებიღა ჟღერდა, ოდესღაც თავადისგანაც რომ გაუგონია: მზეს ვერასოდეს უღალატებო. წინ მიიწევდა, მზიური ძალით ფრთაშესხმული. მზის ხორცშესხმულ ძედ იქცა თითქოს და მზიურ რაშს როგორღა უღალატებდა? ცხოველის მოძრაობებში საკუთარ გზნებას სცნობდა. და, აი, უკვე მიაღწია მიზანს, ოთხი ცხენის ტანის სიგრძით დაწინაურებულმა. მეხივით დაიგრგვინა საზეიმო შეძახილებმა.

მაგრამ გამარჯვებული არ გაჩერებულა, რბოლას მანამ განაგრძობდა, ვიდრე სრულად არ მოეფარა მაყურებელთა თვალს. ტაში კიდევ გრიალებდა, მაგრამ ხალხი გაოგნდა: რას უნდა ნიშნავდეს ეს? დოღი დასრულდა.

სტუმრები, ცოტა არ იყოს, თავგზააბნეულნი, დაბრუნდნენ სასახლეში. თავადი გიორგი დაძაბულად ელოდა ამბავს. მუშნიმ ყველაფერი წვრილად უამბო. მოხუცს დარდი და აღელვება დაეტყო, მიხვდა, რომ უსამართლოდ მოექცა ჭაბუკს. სტუმრები უკლებლივ ეახლნენ გარდა ანდრისა, რომელიც თავლაში ლაფშას უვლიდა.

– სად არის ბასილა? – იკითხა თავადმა.

– სადღაც გაუჩინარდა, დოღის შემდეგ აღარავის უნახავს, – მოახსენა ჰიდირმა.

თავადი ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ სვანი იხმო თავისთან.

– ბასილა, როგორც ჩანს, თავის გამარჯვებას ნანობს, – წარმოსთქვა შემდეგ ყველასათვის გაუგებარი სიტყვები.

სვანი ეახლა.

– ყანსავ, ბასილას მის დედასთან ნახავ. წადი და სასწრაფოდ მომიყვანე. თეთრი გიორგი მოწყალეა-თქო, ასე უთხარი.

ყანსავი ოთახიდან გავიდა.

მომხდარმა თავადი შეძრა, თუმცა ცდილობდა, ეს განცდა ღიმილით შეენიღბა. მისი სიტყვების აზრი ყველასათვის გაუგებარი იყო, რამაც უხერხული დუმილი წარმოშვა. ზოგიერთებმა სრბოლის სხვადასხვა დეტალების გახსენება დაიწყეს, მაგრამ თავადი ყურს თითქმის არ უგდებდა. როგორც იქნა, გამოჩნდა ფერმკრთალი და აცახცახებული ბასილა.

– რაო, ბასილა? – მიაპყრო თავადმა ჭაბუკს გამჭოლი მზერა.

– ბატონო, მზიურ რაშს ვერ ვუღალატე, – თითქმის მუდარით უპასუხა ბიჭმა.

ახლა კი თავადი გაფითრდა. წუთით ღრმად ჩააცქერდა თვალებში ბასილას.

– შენ ბევრად მეტი გესმის, ვიდრე შენს მოხუც ბატონს, – უთხრა სახეგანათებულმა, – მომიახლოვდი.

ჭაბუკი ახლოს მივიდა. მოხუცმა თავზე ხელი გადაუსვა.

– ახლა კი წადი. მართლაც უსაზღვროა თეთრი გიორგის წყალობა!

ბასილა რომ გავიდა, თავადმა სტუმრებს ყოველივე გაუმხილა. მისმა მონათხრობმა ყველანი ააღელვა, განსაკუთრებით კი ლევანი.

– ბასილას გაუმარჯოს! – აღტაცებით შესძახა ოდილიანმა.

– ბასილას გაუმარჯოს! – აჰყვნენ ყველანი.

– კარგია, თავადო, ეს საქმე ამგვარად რომ გადაწყვიტეთ, თორემ ჩვენ, ვინც ბასილას გვერდით ვიასპარეზეთ, მისი ღირსების დასაცავად ორთაბრძოლაში მოგვიწევდა თქვენი გამოწვევა, – ხუმრობით მიმართა ოდილიანმა.

– თქვენ მართლაც შეუდარებელი ბრძანდებით, – გაეღიმა თავადს.

ანდრი მხოლოდ ახლა შემოვიდა ოთახში.

– აჰ, ანდრი, – მაშინვე გასძახა თავადმა, – მითხრეს, დღეს სათანადო ფორმაში არ ყოფილხარ, თორემ, აბა, ვინ გაჯობებდა!

– დიახ, დღეს, რაღაც, უგუნებოდ ვიყავი, – უპასუხა ანდრიმ.

– როგორ, დღეობის მოსალოცად მესტუმრე და უგუნებოდ ხარ? ეს არ მომწონს, – ეხუმრა თავადი.

– გზად ზუგდიდში ვიღაც უცნობს გადავეყარე, მელასავით წითურს, გონჯსა და მოკლეფეხებას. უსათუოდ იმ მახინჯმა გამთვალა.

– იქნებ ზმანება იყო? მეგრელებს გიყვართ ქაჯების შესახებ თხრობა.

– არავითარი ზმანება! – მოულოდნელად ჩაურთო ლევანმა, – ის გონჯი ორიოდე დღის წინათ მეც ვნახე, თბილისში. დარწმუნებული ვარ, სწორედ ისაა, ანდრიმ რომ ნახა.

– მაშ, კარგი, – წარმოსთქვა ღიმილით თავადმა, – ახლა ყველას სუფრასთან გთხოვთ, თეთრი გიორგი ვადიდოთ. ის მუსრს გაავლებს ყველა ქაჯსა და ავსულს.

ყველანი გაჰყვნენ აივნისაკენ.

წმინდა ცხოველი

ერთი კვირა გავიდა. ყველა სტუმარი გამგზავრებულიყო, ლევანის გარდა. თავადმა წერილებისა და ძველი ხელნაწერების მოწესრიგებაში დახმარება სთხოვა. ტანისამოსი და სხვა რამ, რაც ყოველდღიურად ესაჭიროვებოდა, ავალამ გამოუგზავნა თბილისიდან. თავადი ლევანთან ერთად ძველისძველ ამბებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობას მოჰყვა. ამ დღესაც ასე იყო. თავადი ვეება ცაცხვის ქვეშ დაფენილ ხალიჩაზე იწვა, მხრებით ბალიშების გროვას ეყრდნობოდა, ლევანი მის გვერდით ჩამომჯდარიყო პატარა სამფეხა სკამზე. ლბილად ელამუნებოდა ყოველივეს მზის სხივები და მშვიდ სიშორეში გაშლილ დაბლობებს ძლივს სწვდებოდა მზერა.

– დასაბამიერ ადამიანს წინაპარი ცხოველის სახით წარმოუდგება, – განაგრძობდა თავადი გაწყვეტილ სიტყვას, – რატომ მაინცდამაინც ცხოველად? ამაში რაღაც საიდუმლო უნდა იყოს. ნუთუ არქაულ ადამიანთა გონებაში უკვე ღვიოდა დარვინიზმის ჩანასახი? – თავადს გაეღიმა, – ცხოველი – ადამიანის წინაპარი! მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ განსხვავებულ ხალხებს ერთი და იგივე ცხოველი უნდა გაეღმერთებინათ: ადამიანის მსგავსი მაიმუნი. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! ტოტემის სახით სცემდნენ თაყვანს სახით სხვადასხვა ცხოველს: ხარსა თუ ლომს, კუროსა თუ ვერძს, მგელსა თუ ძაღლს, გველსა თუ თევზს, მორიელსა თუ დრაკონს. ისეთი ხალხიც კი არსებობს, ღორს რომ აღმერთებს. მაგრამ, უცნაურია: მაიმუნს არავინ ეთაყვანება, – თავადი ერთხანს დუმდა, შემდეგ ხმადაბლა ჰკითხა ლევანს: – რა აზრის ხართ ტოტემიზმის საიდუმლოებაზე?

– ცხოველი, როგორც ბუნებრივი არსება, ადამიანზე ბევრად უფრო ლაღი და ძლიერია, – მიუგო ლევანმა, – საკვირველი არაა, რომ არქაულ ადამიანს გვარ-ტომის მამამთავარი და უძლიერესი წინაპარი ამა თუ იმ ცხოველის სახით წარმოედგინა.

– დიახ, – დაეთანხმა თავადი, – ცხოველები კუნთების სიმძლავრითაც გვჯობნიან და გრძნობათა სიუხვითაც. ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ

მათსავით მოვერგოთ გარემოს. სწორედ ამიტომაც არჩევდნენ ძველები ცხოველთან ძმადნაფიცობას, როგორც ეს, მაგალითად, გაბონის მოსახლე ტომს, ფანგებს[3] ჰქონიათ წესად. ფრეზერი[4] მოგვითხრობს, რომ ამ ტომის წევრთაგან თუკი ვინმეს მისნობა სურს, ის ცხოველის ყურიდან იღებს სისხლს და საკუთარი მკლავის არტერიაში შეჰყავს, თავის სისხლს კი ცხოველს გადაუსხამს. ამ მოქმედებით მისანი სამუდამოდ მაგიურად უკავშირდება ცხოველს, რაც მის იდუმალებრივ ძალებს აასმაგებს, – თავადი წუთით შეყოვნდა, – მე ამაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ საიდუმლო ჩემთვის მაინც ამოუხსნელად რჩება. მართალია, ცხოველს იმიტომ ვეპყრობით მოწიწებით, რომ ჩვენზე ძლიერია, მაგრამ აქვე უნებლიეთ გიჩნდება კითხვა: რატომაა ცხოველი ადამიანზე უფრო ძლიერი? ადამიანისა და მაიმუნის ხელი ხომ ერთნაირადაა აგებული: აი, რაში ძევს გამოცანა, – დუმილის შემდეგ ეს დაუმატა: – იქნებ აქ ჰპოვებს გამოხატვას ადამიანური ყოფიერების მეტაფიზიკური საფრთხე.

თავადი დადუმდა და ფოთლების შრიალს მიაყურადა, რომელიც უეცრად ახალგაზრდა ქვრივის კრიალა ხმამ გადაფარა, ის თავის ვაჟს, პატარა გოგის ესაუბრებოდა. ტანაშოლტილი და მზით გაცისკროვნებული, მიუახლოვდა მამაკაცებს. გოგი შორიახლოს ჰასანს ეთამაშებოდა. უეცრად ძაღლმა თავისი პატრონი დაინახა და სიხარულით მისკენ გამოექანა. ნორინამ პატარა კალათით მიართვა ახლად დაკრეფილი ბალი და მაისის მეწამული ვარდები.

– ბალიც და ვარდებიც თვითონ დავკრიფე თქვენთვის, – თქვა ქალმა.

– მშვენიერია, – გაიხარა თავადმა, – მზის წვენი და სისხლი მოგვიტანე.

---

[3] გაბონის რესპუბლიკა ცენტრალურ აფრიკაში მდებარეობს, მისი მოსახლეობის ერთ ნაწილს ფანგის ტომი შეადგენს.

[4] ჯეიმს ჯორჯ ფრეზერი (1854-1941) – გამოჩენილი ინგლისელი ანთროპოლოგი, კულტუროლოგი, რელიგიის ისტორიკოსი, რომელმაც თავისი თორმეტტომიანი ნაშრომით „ოქროს რტო“ უდიდესი წვლილი შეიტანა ტოტემიზმის, მაგიისა და რელიგიურ წარმოდგენათა ტრანსფორმაციის შესწავლაში.

– მიხარია, თუკი მართლაც მოგიტანეთ მზე, – თვინიერი ალერსით მიუგო ნორინამ.

– მზე თქვენ მუდამ თან დაგყვებათ, – შენიშნა ლევანმა.

ქალი მოხდენილად იდგა მის წინაშე ოდნავ თავდახრილი.

– მგონი, წეღან უფრო ამაღლებულ თემაზე საუბრობდით, – წარმოსთქვა ქალმა, რათა უხერხულობა დაეძლია, – მე კი ხელს გიშლით, – შემდეგ ლევანს მიუბრუნდა, – მამა გიორგის არ უყვარს, როცა საუბარში მესამე პირი ერთვება.

– თქვენ არსად არ იქნებით მესამე, – სწრაფად მიუგო ლევანმა.

ნორინას თვალები გაუნათდა.

– შენ ხელს არ გვიშლი, – დაამშვიდა თავადმაც.

– ეს ისე, უმნიშვნელოდ ვთქვი, – უპასუხა ნორინამ, – ისედაც წასასვლელი ვარ: სასწრაფო წერილი უნდა დავწერო, – შემდეგ ბიჭუნას მიუბრუნდა, – წამოდი, გოგი! – მაგრამ ბავშვი უკვე ლევანის კალთაში მოკალათებულიყო და დედის სიტყვები არც კი გაუგონია.

– ვფიქრობ, ძია ლევანს უკვე შეუყვარდი, – გაეღიმა ქალს.

– განა მარტო გოგი შეუყვარდა, – იხუმრა თავადმა.

– ვხედავ, როგორ არა! – გაეღიმა ქალსაც, – შენ მაინც წამოდი, ჰასან! – ახლა ძაღლს დაუძახა.

არც ჰასანი განძრეულა.

– ხედავთ, ორივემ როგორ მიღალატა? – ისევ ღიმილით დაიჩივლა ქალმა.

– მე და ლევანი არასოდეს გიღალატებთ, – მიუგო თავადმა, – ჩვენ ხომ შენი რაინდები ვართ.

ქალი მარტო აუყვა აივნის კიბეს.

– საოცარი არსებაა ეს ნორინა, – შენიშნა თავადმა.

– ერთთავად მომაჯადოვა, – აღიარა ლევანმა.

– ეს მახარებს, – უთხრა მოხუცმა, – მისი ბედი ძალზე მადარდებს, – დაუმატა შეფიქრიანებულმა.

– მის ქალურ ბედს გულისხმობთ?

– დიახ. ის ახალგაზრდაა, სიცოცხლით სავსე და, თანაც, უცხოელი. მისი ჩრდილოური მეოცნებე ბუნება მთლიანად გახსნილია იმ რომანტიკული ხიბლისათვის, რასაც მისთვის საქართველო ასხივებს. მაგრამ სწორედ თავისი შვედური წარმომავლობიდან გამომდინარე, ის უმწიკვლო და მშვიდია, მაგრამ თუკი აენთო, ვნებას ბოლომდე ეძლევა და იწვის. ვიცი, ერთ დღეს ჩემ სახლსაც და, შესაძლოა, საქართველოსაც მიატოვებს. ეს ჩემთვის მტკივნეული დანაკარგი იქნებოდა, რადგან ნორინა ჩემს სიბერეში ნუგეშად მომევლინა. არადა, მისი შეჩერება შეუძლებელიცაა და დაუშვებელიც, – თავადმა სული მოითქვა, – მე კი ამქვეყნად დიდი ხანი აღარ მიწერია, – შენიშნა ბოლოს სევდიანი ღიმილით.

ლევანმა ვერაფერი უპასუხა. თითქმის უხერხული დუმილი ჩამოწვა. თავადმა თავი მოვალედ ჩათვალა, გაწყვეტილი საუბარი თვითონვე გაეგრძელებინა.

– რას ვამბობდი ცხოველების განსაკუთრებული ძალის შესახებ?

– თქვენ ბრძანეთ, ეს, შესაძლოა, იმ მეტაფიზიკურ საფრთხეს უკავშირდება, ადამიანს რომ ემუქრებაო, – უპასუხა ლევანმა.

– დიახ, სწორედ ასე მგონია.

– მართლაც გჯერათ ამ საფრთხის არსებობისა?

– ამის დამტკიცება, ცხადია, შეუძლებელია, ეს მხოლოდ გულით შეიცნობა. პირადად ჩემთვის ცხადია ის, რომ ჩემი შინაგანი არსებობა სამყაროს წინაშე მსხვრევადი და უმწეოა. უძველეს ხალხთა მითებიც იგივეს

მიდასტურებს. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სახელს დავარქმევთ ამ საფრთხეს: ცოდვას, დანაშაულს თუ რაიმე სხვას. მე მას დაცემას ვუწოდებ. წარმოსახვით ვხედავ პირველ ადამიანს, ადამ კადმონს, დაცემამდე ღვთიური არსის სრულყოფილ გაცხადებას რომ წარმოადგენდა, მისთვის არანაირი ზღვარი არ არსებობდა. თუკი ბავშვობის მივიწყებულ დღეებს გავიხსენებთ, გუმანით ამოვიცნობთ მათში ადამისეულ მდგომარეობას. სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვები შესაქმისეული მადლით არიან განათებულნი, თითქოს დედის საშო ჯერაც არ მი-

უტოვებიათ, ამიტომაც საგნებს მხოლოდ ერთი კუთხიდან არ აღიქვამენ. აი, თუნდაც პატარა გოგის შეხედეთ.

– რა? – გაიკვირვა ბიჭუნამ, იქვე რომ დანავარდობდა და იმ წუთში სწორედ ხელები გაეწვდინა ჩიტების გუნდისაკენ, რომელმაც ბუჩქნარს გადაუფრინა.

– არაფერი, ჩემო პატარავ. ოდესმე შენც გაიგებ იმას, რაზედაც ახლა ვსაუბრობთ, – გაუღიმა თავადმა ბავშვს და კვლავ ლევანს მიუბრუნდა, – ხომ ხედავთ, ბავშვის მოძრაობები უსაზღვრო სიშორისკენ რომაა მიმართული. დიახ, ბავშვები ჩვენსა და მიღმიერ სამყაროს შორის ზღვარს ვერ ხედავენ და ამიტომაც არც სიკვდილის ტკივილს იცნობენ და, მით უმეტეს, არც მის წინაშე შიშს. ჩვენ, ზრდასრულნი, მხოლოდ სიზმრად ვუბრუნდებით ადამიანის ყოფიერების ამ სამოთხისეულ ხანას. დაცემისთანავე პირველმა ადამიანმა თავზარდამცემად შეიგრძნო საკუთარი სიშიშვლე და გარიყულობა, მაშასადამე, მაშინღა გაჩნდა ზღვარი მასა და ღვთაებრივს შორის. სხვათა შორის: ის სირცხვილის გრძნობა, რასაც სიშიშვლე გვანიჭებს, ამ მეტაფიზიკური ზღვარის ერთგვარი მაჩვენებელია. როცა ვინმე ამ ზღვარს შეუფერებელი სახით გადალახავს, ეს ურცხვობას ნიშნავს, ხოლო წმინდანი შეიძლება ჩვენს წინაშე წარსდგეს სრულიად შიშველი ისე, რომ სირცხვილი არ განიცადოს, რადგან მისთვის ეს ზღვარი არ არსებობს: მან ის უკან მოიტოვა. ეს – უბრალოდ სიტყვამ მოიტანა. მაშასადამე, პირველი ადამიანის დაცემამ შექმნა შეზღუდულობა, რამაც ყოფიერება ორად გააპო. ხე ცნობადისა სხვა არაფერია, თუ არა ხე გაორებისა. ადამ კადმონი დაცემამდე უშუალოდ ღმერთში არსებობდა, დაცემის შემდეგ კი ღმერთი საპირისპირო სუბიექტად აღიქვა. მანამდე თუ საგნებს მათივე შუაგულიდან შეიცნობდა, ახლა მათ გარედან უმზერს. შეკითხვა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არ ასვენებდა მოაზროვნეებს: როგორ შევიცნო ის, რაც მე არ ვარ? – ადამ კადმონს დაცემამდე აზრად არ მოუვიდოდა, რადგან სხვას საკუთარი არსის ნაწილად თვლიდა. ახლა ყოფიერების შესახებ ჩვენი ცოდნა აღარ არის თვით ყოფიერება. კაცობრიობამ დაკარგა არსებობის დაუნაწევრებლო-

ბა, ანუ სწორედ ის, რაც დღემდე შერჩა ცხოველს. აი, ამაშია საიდუმლო. ახლა ხომ გესმით, რატომ აღემატება ცხოველთა ძალა და უნარი ჩვენსას და რატომ ვაღმერთებთ ცხოველებს?

– სავსებით, – აღტაცებით უპასუხა ლევანმა.

– ასეა, არა სხვაგვარად, – დაასკვნა თავადმა, – მართალია, ცხოველს არ გააჩნია პიროვნული თვითარსი – ღვთიური ნიშანი, მას არ აქვს საკუთარი „მე“, მაგრამ სამაგიეროდ, ცხოველი საკუთარ თავში ატარებს ღვთიური ყოფიერების მთლიანობას, რაც ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ. ცხოველი ზუსტად ისევე აღიქვამს გარე სამყაროს, როგორც თვალი – სინათლის ოკეანეს: მისთვის არ არსებობს ცალკეული „საგნები“. თვალი რომ

სინათლეს დანაწევრებულად აღიქვამდეს, მისი მხედველობა მაშინვე დაიმსხვრეოდა, ეს იქნებოდა დაცემის ტოლფასი. ცხოველისათვის აღქმის არე მის სამოქმედო არეს ემთხვევა, ჩვენ კი მაშინაც ვინარჩუნებთ რაიმეს წარმოსახვაში, როცა ეს საგანი ჩვენგან შორსაა. ცხოველს წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, სამაგიეროდ, ნებისმიერ საგანთან უშუალო შეხებაში მოდის და მას სრულყოფილ ხატად აღიქვამს, შეიძლება ითქვას, განზავდება მასში. სწორედ ეს წარმოშობს მის მძლავრ მაგიას. მხოლოდ თავისი გამოჩენით ველური მხეცი უკვე გარდასახავს იმ გარემოს, რომელშიც მყოფობს. ცხოველის არსებობა ღვთაებრივი მთლიანობაა, შუალედური სივრცით განუყოფელი. ალბათ ადამ კადმონი იმავდროულად ადამიანიც იყო და ცხოველიც და დაუნაწევრებლად მყოფობდა ღვთიურ საშოში. მას შემდეგ ადამიანი სამუდამოდ მიელტვის თავის დაკარგულ ნახევარს: ცხოველს. რაღა გასაკვირია, თუ მითიურ ადამიანს ცხოველი ღმერთად, წინაპრად, ტოტემად აურჩევია? შემთხვევით არც ბაბილონსა და შუმერს დაუსახავს ზოდიაქოს წრე კოსმიურ ცხოველთა სახით! ხარი, ვერძი, თხის რქა, ლომი, მორიელი... ყველა ეს ცხოველი განასახიერებს ამა თუ იმ არსებით თვისებას ადამ კადმონისა. რეალურადაც და წარმოსახვითადაც.

თავადი დადუმდა.

– საოცარია! – ორიოდ წუთის შემდეგ აღმოხდა ლევანს, – უცნაური ისაა, რომ, როდესაც ლექსს ვწერ, მოვლენებს ცხოველური, დაუნაწევრებელი მზერით აღვიქვამ.

– ასეა, – დაუდასტურა თავადმა, – სიზმარსა და ზმანებაში ცხოველებს ვემსგავსებით, ხოლო პოეზია ხომ სწორედ ნათელხილვაა. დიახ: ჩვენთვის სიზმარი სწორედ ისაა, რაც ცხოველისათვის – ღვიძილი.

ერთხანს დუმდნენ ფიქრში წასულნი.

– ჩემთვის ნათელი გახდა ახლა ის, თუ რატომაა პრიმიტიული ცივილიზაციებისათვის ცხოველი წმინდა, – წარმოსთქვა ლევანმა, – ხომ გახსოვთ, რა გადახდა თავს ფრობენიუსს[5] აფრიკაში, როდესაც კასაისა და ლუებოს მიდამოებში მოგზაურობდა?

– არა.

– მაშ, ნება მიბოძეთ, გიამბოთ. 1905 წელს ფრობენიუსი ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლებს გაეცნო, მათგან სამი მამაკაცი და ერთი ქალი მოგზაურობაში თან გაჰყვა მეცნიერს. ერთ საღამოს სურსათი შემოაკლდათ. ფრობენიუსმა მამაკაცებს სთხოვა, დაუყოვნებლივ გასულიყვნენ ანტილოპაზე სანადიროდ. ადგილობრივები გაოცებით შეაცქერდნენ, შემდეგ ერთ-ერთმა აღიარა, რომ ამას სიამოვნებით გააკეთებდნენ, მაგრამ დღეს ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან სათანადოდ არ იყვნენ მომზადებულნი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მონადირეები დათანხმდნენ, მეორე დილით, მზის ამოსვლისთანავე მიეღოთ საჭირო ზომები. ირიჟრაჟა თუ არა, ფრობენიუსი წამოდგა და ბუჩქნარში დაიმალა, – ლევანი აქ შეყოვნდა.

– თვალწინ მიდგას ეს გამობერილხორხიანი, თვალებანთებული კაცი, აფრიკულ ბუჩქნარში ჩასაფრებული და გაფაციცებული, – გაეღიმა თავადს.

– მამაკაცები დანიშნულ ადგილას გამოჩნდნენ, ოღონდ ქალიც თან ახლდათ, – განაგრძო თხრობა ლევანმა, – მამაკაცებმა ჩაიმუხლეს და

---

[5] ლეო ფრობენიუსი (1873-1938) – გამოჩენილი გერმანელი აფრიკანისტი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი.

მიწის ერთი მცირე მონაკვეთი ბალახეულისაგან გაწმინდეს. შემდეგ ერთ-ერთმა თითით რაღაც გამოსახა ქვიშაზე. მამაკაცები და ქალი ჯადოსიტყვებსა და ლოცვებს ბუტბუტებდნენ. შემდეგ რაღაცას დაელოდნენ. ამასობაში მზე ამოვიდა. მოსუფთავებულ ადგილს ერთ-ერთი მამაკაცი მიუახლოვდა მოზიდული მშვილდით. მზის სხივები მიწაზე დახატულ გამოსახულებას დაეცა და მაშინვე ქალმა მკლავები მზისკენ აღაპყრო და რაღაც გაუგებარი სიტყვები წამოიძახა. მამაკაცმა ისარი სტყორცნა, ქალი კიდევ უფრო გამეტებით აკივლდა. შემდეგ შეიარაღებული მამაკაცები ბუჩქნარში გაუჩინარდნენ. ქალი კიდევ ერთხანს იდგა მდუმარედ, შემდეგ ბანაკისაკენ გაემართა. ფრობენიუსი თავისი საფარიდან გამოვიდა და მიწას დააკვირდა: ძირს ანტილოპა იყო გამოსახული და ყელში მამაკაცის მიერ ნატყორცნი ისარი ჰქონდა გარჭობილი. ნაშუადღევს მონადირეები მოკლული ანტილოპით დაბრუნდნენ, რომლისთვისაც ყელის არტერიაში მოეხვედრებინათ ისარი. მამაკაცებმა ნადავლი თავიანთ თეთრკანიან თანამგზავრს მიართვეს, მეორე დღეს კი, კვლავაც მზის ამოსვლისას, იმავე ადგილისაკენ გაემართნენ, თან ცხოველის ბეწვის ორიოდ ბღუჯა და ანტილოპის სისხლით სავსე ხის მათარა გაიყოლეს. თმა და სისხლი გუშინდელ ნახატს მოუსვეს, რითაც გამოსახულება წაიშალა. შემდგომში ერთ-ერთმა მამაკაცმა საიდუმლოდ გაანდო ფრობენიუსს, ნახატი ამგვარად რომ არ წაგვეშალა, ანტილოპის სისხლი ყველას დაგვღუპავდაო.

ლევანმა თხრობა დაასრულა.

– ეს ამბავი უკიდურესად ღრმა აზრს შეიცავს, – შენიშნა თავადმა, – ეს მონადირენი ნამდვილად სიმბოლურად აზროვნებენ და ხატოვნად ჭვრეტენ. რას ამბობს ამის თაობაზე ფრობენიუსი?

– იმას, რომ ანტილოპის სისხლი მზეს შეესაბამება, ისარი კი – მზის სხივს.

– მართებულია. სხვა არაფერს ამბობს?

– როგორ არა. მისი განმარტების თანახმად, ამომავალი მზის პირველი სხივი ცხოველის სიცოცხლეს იღებს, ხოლო მეორე – მონადირეებს

არიდებს საფრთხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მზე უბრუნებს ანტილოპას წართმეულ სიცოცხლეს.

– საინტერესო მიგნებაა, – თავადი წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო, – მაგრამ მე უფრო საპირისპირო თვალსაზრისი მიმაჩნია მართებულად. მზე მონადირეთ ანტილოპის მოკვლის ნებას რთავს, შემდეგ კი ცხოველს საკუთარ წიაღში იღებს მსხვერპლის სახით. სწორედ ამიტომაა აუცილებელი რიტუალში ქალის მონაწილეობა: ის დამბადებელი არსის მატარებელია და მამაკაცებზე მეტადაა გახსნილი მზის მისაღებად:

სწორედ ის შეჰღაღადებს მზეს ღვთიური ექსტაზით შეპყრობილი. ერთ წვრილმანზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: რიტუალის დასრულებისთანავე მამაკაცები სანადიროდ მიემართებიან, ქალი კი, თითქოს მზისაგან რეტდასხმული, ერთხანს კიდევ უძრავად დგას. თუკი ანტილოპა მზეს შეეწირა მსხვერპლად, მაშინ მონადირეთ საფრთხე აღარ ემუქრებათ, – წუთის შემდეგ თავადმა დაუმატა, – ჩვენს სვანებსაც ზუსტად ამგვარი რიტუალი აქვთ.

თავადმა თვალი მოჰკრა ეზოში მიმავალ ყანსავს, ირმების დასაპურებლად რომ მიდიოდა.

– აქეთ მოდი, ყანსავ! – უხმო თავადმა.

სვანი პირქუში იერით მიუახლოვდათ.

– გვიამბე, როგორ ნადირობენ სვანეთში ჯიხვზე? – ჰკითხა მას თავადმა.

– თავიდან დალის, ნადირობის ქალღმერთს, აღუვლენენ ლოცვას. ჯიხვი ქალღმერთის რჩეული ნადირია. ნადირობის შემდგომ კი მოკლული ჯიხვის რქებს დალის სწირავენ მსხვერპლად.

ყანსავი ნელა, მძიმედ და უსაზღვრო მოწიწებით ლაპარაკობდა.

– ყველა ჯიხვის მოკვლაა დაშვებული? – კვლავ ჰკითხა თავადმა, თითქოს ამოწმებსო.

– მხოლოდ ერთის, თეთრი ჯიხვის, ჯვეგი თვაალის მოკვლა არ შეიძლება არასგზით, – უპასუხა სვანმა. პირქუშ სახეზე ძრწოლამ გადაუქროლა.

– შენ თუ გინახავს ოდესმე?

– მხოლოდ ერთხელ, – სვანს სუნთქვა ჩაუწყდა. თავი ოდნავ გვერდზე მიაბრუნა.

– კარგი, ახლა შეგიძლია წახვიდე.

ყანსავი მძიმე ნაბიჯით გაემართა შორიახლო შემოღობილი ბაკისკენ, სადაც მშვენიერი ირმები ბინადრობდნენ.

– ხომ ხედავთ, – მიუბრუნდა თავადი ლევანს, – იქ, აფრიკაში – მზე, აქ კი, სვანებთან, ქალღმერთი დალი. განსხვავება არც ისე დიდია.

– მართალია.

ლევანი ჩაფიქრდა.

– მე უფრო მეტად სულ სხვა რამ მაინტერესებს იმ აფრიკელთა ქმედებაში, – არ ცხრებოდა თავადი, – აზროვნება მათთვის განუყოფელია ყოფიერებისაგან. ანტილოპა მათთვის უკვე მანამდეა მკვდარი, ვიდრე მას რეალურად მოჰკლავენ. მართალია, ეს – მხოლოდ უბრალო ნახატის სახით ხდება, მაგრამ ამ ხელქმნილ ხატს მზის ძალა კოსმიურ მასშტაბებს ანიჭებს და სინამდვილედ აქცევს. ნატყორცნი ისარი მზის პირველ სხივთან ერთად ჩაესო კისერში დახატულ ნადირს. მონადირეებმაც ხომ სწორედ კისერში დაჭრილი ნადირი მოიყვანეს მოგვიანებით. განა ეს საოცარი არაა? ხატოვან და ნამდვილ ნადირობას შორის მონადირეთა ცნობიერებაში არავითარი წინააღმდეგობა არ ძევს. აქედან გამომდინარე, მათი ქმედება უტყუარია, ისინი ზუსტად ირჩევენ იმ გადამწყვეტ წამს, რასაც ბერძნები „კაიროსს“ უწოდებენ.

ლევანი ამ სიტყვებმა სულით ხორცამდე შეძრა. ირმების ბაკი, სადაც ერთი ხარირემი, ერთი ფური და ერთიც ნუკრი იმყოფებოდა, ტყის პირას განეთავსებინათ. მოხდენილ ნადირთ ჯერაც შერჩენოდათ სიველურის შეუბღალავი ძალა და ჟინი. ხარირემი მძლავრად უტევდა რქებით იქვე მდგარ მომცრო იფნის ტანს, ფურს მფრთხალად დაებერა ნესტოები და

ნატიფი სმენით აყურადებდა, თითქოს ტყის ტევრიდან მედგარი რქების შეხლა მოესმოდა, ხოლო ნუკრი მზის გულზე ხალისიანად დანავარდობდა.

– ხედავთ? – მიუთითა თავადმა ირმებზე.

– ირმის სისხლიც მზიური წარმომავლობისაა, – მიუგო ლევანმა.

– უეჭველად!

ცხოველები სიხარულით შეეგებნენ ყანსავს. სვანი უცნაური ბურტყუნით მიესალმა, ძალზე რომ წააგავდა ნადირთა ენას, უალერსა და საკვები დაუყარა.

– ეს ცხოველები ყველას გვიფრთხიან, – შენიშნა თავადმა, – მხოლოდ ყანსავის შიში არა აქვთ. როგორც ჩანს, სვანის სისხლში ჯერ კიდევ ცოცხლობს წმინდა ცხოველი. სწორედ ის ანიჭებს ძალას. კაცსა და ნადირს შორის ზღვარი სვანისთვის თითქმის არ არსებობს. ის არასოდეს არაფერში ცდება.

დიდხანს საუბრობდნენ ასე. თავადი გამოცდილი პითაგორელივით საუბრობდა: ლევანს კი არ შეაგონებდა, არამედ მის გონებაში ღრმად დავანებულ დასაბამიერ სიბრძნეს აღვიძებდა.

– ჩემი აზრით, – თითქოს თავისთვის წარმოსთქვა ლევანმა, – ყოველი დიდებული ისტორიული პიროვნება საკუთარ თავში უნდა დაატარებდეს ამ წმინდა ცხოველს.

– ასეა, – დაეთანხმა თავადი, – წინააღმდეგ შემთხვევაში „კაიროსის“ მადლს ვერასოდეს ეღირსება.

– გაიხსენეთ ალექსანდრე დიდი, მისი გამარჯვება დარიოსზე გავგამელას ბრძოლაში, ამ თვალსაზრისით, სამაგალითოდ მესახება. მსოფლიო მნიშვნელობის ამ ბრძოლის თითოეული დეტალი მაკედონიელის მზიური „კაიროსის“ დასტურია.

– უეჭველად, – დაეთანხმა თავადი.

– მაგრამ ვაი იმას, ვისაც „კაიროსი“ მიატოვებს...

– ის დაიღუპება.

– ეს დაემართა ნაპოლეონს. ბოროდინოს ბრძოლის ამბავს ხომ კარგად იცნობთ?

– დაწვრილებით – არა.

– ნება მიბოძეთ, გიამბოთ.

– გთხოვთ.

– იერიშს მეთაურობდნენ მარშლები რეპი, დავუ და მიურატი. ფრანგებმა არნახული დანაკარგი განიცადეს: ორმოცდასამი გენერალი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მტრის ხაზი მაინც გაარღვიეს. რუსები დამარცხდნენ, თუმცა საბრძოლო შემართება არ დაუკარგავთ. გადამწყვეტი მომენტიც დადგა. აუცილებელი იყო დამარცხებულთა საბოლოო უკუგდება. საამისოდ მაშველი ჯარი იყო აუცილებელი, მაგრამ ის არ მოსულა. რეპი, დავუ და მიურატი სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. იმპერატორს შეევედრენ, ღვთის გულისათვის, წინ თქვენი გვარდია წაგვიმძღვარეთო. ნაპოლეონის დიადი არმიის ეს ნარჩევი განაყოფი ჯერაც არ ყოფილა ბრძოლაში, ის დასვენებული იყო. ნაპოლეონმა პასუხი არ გასცათ. ძირს დაფენილ მურა დათვის ბეწვზე უძრავად მჯდომი, თითქოს მოაჯადოვესო. მარშალმა ბეზიერმა ყურში ჩასჩურჩულა: „სირ, პარიზისაგან სამიათასი კილომეტრი გაშორებთ“. ბედისწერით ატანილ იმპერატორს მთელ ტანში გააჟრჟოლა: მარშალის სიტყვებმა მისი დაფარული ფიქრი გაიმეორა. მაგრამ კვლავ მონუსხული იჯდა. თავდამსხმელი მარშლები ამაოდ ელოდნენ მის განკარგულებას. მაშინ რეპმა, მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულმა, მუდამ ერთგულმა და თვინიერმა, მრისხანედ დაიღრიალა: „ეშმაკმა დასწყევლოს, სად შემძვრალა და რას აკეთებს იქ?! თუკი გენერლობა მოსწყინდა, წაეთრიოს ტიუილრიში და ჯარის მეთაურობა ჩვენ გადმოგვაბაროს!“ ეს სასოწარკვეთილი ღრიალიც სიცარიელეში ჩაინთქა. ნაპოლეონმა გადამწყვეტი წამი გამოტოვა და ბრძოლაც წააგო.

– დიახ, და ამით ყველაფერში დამარცხდა, არამხოლოდ რუსულ ლაშქრობაში, – დაუდასტურა მთხრობელს თავადმა, – როგორც ჩანს, აქ ნაპოლეონმა თავის ბედისწერას უღალატა.

ორივე დადუმდა.

ცოტა ხნის შემდგომ კვლავ გამოჩნდა ნორინა.

– ახალი ხომ არ არის რაიმე? – ჰკითხა თავადმა.

– ეს წუთია მოვიდა ეკა, ბასილას რძალი, – უპასუხა ქალმა, – შვილის მონათვლას მთხოვს. ნათლობა ხვალისთვისაა დანიშნული.

– დათანხმდი?

– დიახ.

– კიდევ?

– ბატონ ლევანსაც ეპატიჟება ნათლობაზე.

– მის მაგივრადაც, ცხადია, თანხმობას ეტყოდი, ასეა?

– დიახ.

– მაგრამ იქნებ არ სურს წამოსვლა? – თავადმა ახლა ლევანს მიაპ-ყრო მზერა.

– მე მგონია, რომ წამოვა.

ლევანს გაეღიმა.

– მაშ, კარგი, – გაეღიმა თავადს, – ქალები ყველაფერს მამაკაცებზე უკეთ წყვეტთ, – ესე იგი, ხვალ მარტოს მტოვებთ?

– ნაშუადღევს წავალთ და საღამომდე უკვე შინ ვიქნებით, – დაამშვი-და ქალმა.

– კარგი, მაშ, ხვალ დღიურის წერით დავკავდები.

ტყის გზა

ნათლობის ზეიმი ღია ცის ქვეშ, ერთი დაბურული მუხის ჩრდილში გაიმართა. საეკლესიო რიტუალი დიდხანს არ გაგრძელებულა: პატარა გოგონას მარო დაარქვეს. იქვე გაშლილ მომცრო სუფრასთან ნათლია, ლევანი და კიდევ ორიოდე სტუმარი დაჯდა. მღვდელი და დიაკვანიც აქვე იმყოფებოდნენ. ბასილა, განუყრელი ჰასანის თანხლებით, სტუმრებს ემსახურებოდა. უბრალო საკვები ძალზე გემრიელი იყო: შრომით მოყვანილი და გულით მორთმეული ძღვენი მშობლიური მიწისა მუდამ კურთხეულია. ისლით გადახურული უბრალო ქოხი კოხტად გამოიყურებოდა, ეზო – სუფთა და მოწესრიგებული იყო. ბორცვიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. მასპინძლები გულით შეჰხაროდნენ მშვენიერ უცხოელ ქალბატონს, განსაკუთრებით კი მისი ქართული აოცებდათ: შეცდომებს კი უშვებდა და ბორძიკობდა კიდეც საუბრისას, მაგრამ ეს ძალზე მომხიბვლელად გამოსდიოდა. ბასილა კმაყოფილი დარჩა იმ პატივით, რაც მის ქალბატონსა და ოჯახის სტუმარს ერგოთ წილად. ლევანი მასპინძლებს უბრალოდ და შეუზღუდავად ესაუბრებოდა, უნატიფეს შინაგან დისტანციას კი იკავებდა, მაგრამ ეს საუბარს კიდევ უფრო გულითადს ხდიდა. ეს ნორინამაც სიხარულით შენიშნა. გვიან საღამომდე დარჩნენ და მხოლოდ ცხრა საათზე გაუდგნენ გზას შინისაკენ.

ტყის გზაზე მიაბიჯებდნენ: წინ ბასილა მიდიოდა ჰასანთან ერთად, უკან, ხმის მისაწვდენ მანძილზე ნორინა და ლევანი მიჰყვებოდნენ. ღამის ლბილ ბინდში გახვეულიყო ვეება ხეთა კორომი. წყვდიადში ჩაფლულიყვნენ მედგარი არყები, ნეკერჩხლები, იფნები, მეტადრე კი მუხები, ზოგიერთს მთელ ტანზე შემოხვეოდა სურო. ბილიკი კარგად იყო გაკვალული, ხეები მდუმარედ გარინდულიყვნენ, თითქოს, საკუთარ აჩრდილებად ქცეულნი, ფესვების ჩურჩულს აყურადებენო. ძილში ღრმად სუნთქავდა ტყე. ქალი და მამაკაცი სიტყვის წარმოთქმას უფრთხოდნენ. სუფრაზე თავს ლაღად და ხალისიანად გრძნობდნენ, აქ კი, განმარტოვებულნი, უხერხულობამ დასძლიათ. თითქოს თავ-თავიანთ ფიქრში წა-

სულნი, ერთურთის გულისთქმას ნატიფად გრძნობდნენ. ნელა მიაბიჯებდნენ და მხოლოდ ცალკეულ სიტყვას თუ წარმოსთქვამდნენ.

ქალი: ფოთლები არ იძვრის.

მამაკაცი: ფოთლები პატარა ჩიტებივით თვლემენ.

ქალი: ჰაერი გრილია.

მამაკაცი: გრილი და სუფთა!

მხოლოდ ასობით, ათასობით კალიის ზუზუნი ისმოდა. ეს ხმა თითქოს მარადისობიდან მოდიოდა და კიდევ უფრო სულისშემძვრელს ხდიდა სიჩუმეს. ერთიმეორესაგან ისე ახლოს მიაბიჯებდნენ, რომ

მხრებით თითქმის სწვდებოდნენ ერთურთს. სიჩუმეში საკუთარი გულისცემაც კი ესმოდათ და ერთმანეთის გულისცემას აყურადებდნენ. ბალახსა და ყვავილებს წვენი უდუღდა და მათი სურნელი განსაკუთრებით ქალს აბრუებდა. აქა-იქ ოდნავ შესამჩნევი ჩქამი ესმოდათ.

მამაკაცი: ფრინველმა თუ ჩაიქროლა?

ქალი: მგელი ხომ არ იყო, ხეებს შორის რომ გაკრთა?

მამაკაცი: გეშინიათ?

ქალმა არაფერი უპასუხა, თუმცა მართლაც დამფრთხალი ჩანდა. მამაკაცმა მკლავი იღლიისქვეშ გაუყარა. ქალის სხეულის ცახცახი იგრძნო და თვითონაც უფრო გაუძლიერდა მღელვარება. უძირო სიღრმიდამ ამოსული მძლავრი ზვირთივით მოგორავდა ორივეს არსებაში რაღაც უცნობი და დაუოკებელი. ქალის კიდურებს ჩაუყვა, ერთთავად შეიპყრო და ტკბილ ბურუსში გაახვია. მაგრამ როგორც კი მამაკაცს მასთან შეხებამ ეს ყოველივე აგრძნობინა, ქალი კვლავ გონს მოეგო და ეს უწინდელზე უფრო ტკბილიც კი იყო. ფოთლებს შორის სინათლე ჩამოიღვარა: დედამიწის მდუმარე თანამდევი ამოსულიყო. მუხის ტოტიდან რკო ჩამოვარდა. ლევანი დაიხარა და აიღო. მუხა ჯერაც ნორჩი იყო, მაგრამ ლამაზად განტოტვილი. ორივენი მდუმარედ აკვირდებოდნენ მის ნაყოფს.

ქალი: ერთხელ თბილისში მასტიქსისაგან დამზადებული ჯვარი ვნახე. იცით რა იყო ზედ გამოსახული? რკოები.

მამაკაცი: საოცარია. ვინ გააკეთა?

ქალი: მითხრეს, ერთ-ერთი მონასტრის მონაზვნებმაო.

მამაკაცი: ქრისტეს მაგიერ – რკო. შემზარავია.

ქალი: ესე იგი, მკრეხელობაა?

მამაკაცი: არა, თავისებური ხედვაა ხორცის ჯვარცმისა, ოღონდ ეს ნეტარებით აღსავსე ტანჯვაა.

ქალი: როგორ?

მამაკაცი: მუხა ზრდისა და ღონიერების სიმბოლოა, ხოლო რკო – გამანაყოფიერებელი ძალისა.

ქალი: რაოდენ შორს უნდა წასულიყო თვითგვემის ფანტაზია, რომ ჯვარზე რკოები გამოესახათ!

მამაკაცი: მეც სწორედ ეს გავიფიქრე. საოცარია.

ქალი: ნუთუ ხორცი მართლაც ასე ცოდვილია?

მამაკაცი: მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი მზიურ ძალასაა მოკლებული.

კვლავ გზას გაუყვნენ, შინაგანად აფორიაქებულნი. ლევანის უკანასკნელი სიტყვები ქალისათვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ კითხვა ვერ გაებედა. ქალში თითქოს დაფარული ყვავილი იშლებოდა, მთელი არსებით ელოდა რაღაცას; კაციც დაძაბული, სულგანაბული და გათანგული ელოდა რაღაცას. ერთბაშად მათ წინ ფოთლოვანში თვალის მოყვანილობის ღიობი გამოჩნდა, საიდანაც ცის მუქი სილურჯე იმზირებოდა.

ქალი: დიდი დათვის თანავარსკვლავედი.

მამაკაცი: საქართველოში მას ირმის ნახტომს ვუწოდებთ.

ქალი: ირმის ნახტომს? რა მშვენიერია! მაგრამ ამ სახელს თავისი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს.

მამაკაცი: აქვს კიდეც. უხსოვარ დროს მოსვლია აზრად ეს სახელი ვიღაც მითიური ხედვით დაჯილდოვებულს, ვისი ვინაობაც საუკუნეებს არ შემოუნახავს. მართლაც შეუდარებელი სურათია. თუკი მუხა ბრმა და ბლანტი ძალის სიმბოლოა, ზეციური ირემი ამავე ძალის ნათელი სახეებაა. წარმოიდგინეთ ეს საოცარი ნადირი. შეუძლებელია, წარმოიდგინო მასზე ნათელი და მოხდენილი არსება. მხოლოდ მისი რქები რად ღირს!

სიცოცხლის ჟინმა მათ მძლავრ და ლამაზ განშტოებებში შეუდარებ-ლად იჩინა თავი. სწორედ რქებში უნდა იყოს ამ მითიური ხატის საზრი-სი. საკვირველია ისიც, რომ ცალი რქის ოდნავი დაზიანების დროსაც კი მეორე რქაც ანელებს ზრდას და თანდათან თავის წყვილს ემსგავსება. რა ნატიფი განცდაა ჰარმონიისა!

ქალი: გამიგია, ირმის რქის გამონაზარდს სამკურნალო ძალა აქვსო.

მამაკაცი: მართლაც აქვს, რადგან საკუთარ თავში სასიცოცხლო პლაზმას შეიცავს.

მამაკაცს საუბრის ხალისი მოეძალა. ეჩვენებოდა, თითქოს წმინდა ნადირის სახება დასტრიალებდა თავს.

ქალი: კი, მაგრამ, ნახტომის ხატი საიდანღა გაჩნდა?

მამაკაცი: თქვენს ჩრდილოურ ენაზე ნახტომი წარმომავლობას უკავ-შირდება[6].

ქალი: გასაოცარია!

ქალი ოდნავ დაეყრდნო მამაკაცის მხარს, მთელი არსებით ეძლეო-და და თავადაც ვერ აცნობიერებდა იმას, რომ ამ თავგანწირვაში უცხო მონადირის მსხვერპლად და ნადავლად იქცეოდა. მამაკაცი უკანასკნელ ზღვარზე იდგა, მაგრამ ჯერაც თავს იოკებდა. ამას გრძნობდა ქალი და ეს იდუმალ სიხარულს ანიჭებდა. გზას განაგრძობდნენ, მამაკაცი კვლა-ვაც სურათ-ხატებითა და იგავებით აცხრობდა ქალის მღელვარებას. უეცრად ვარსკვლავი მოსწყდა ცას.

მამაკაცი: სწრაფად, სურვილი ჩაუთქვით!

ქალი: უკვე ჩავუთქვი.

მამაკაცი: რა?

ქალი მდუმარედ იღიმოდა. მამაკაცს შეკითხვა აღარ გაუმეორებია.

ქალი: თქვენ? თქვენ თუ ჩაუთქვით რამე?

მამაკაცი: დიახ.

ქალი: შეიძლება გკითხოთ, რა?

მამაკაცი: ალბათ იგივე, რაც თქვენ.

---

[6] (გერმ.) Sprung – ნახტომი, Ursprung – წარმოშობა, წარმომავლობა.

ახლა მამაკაცს გაეღიმა, თითქმის გამარჯვებული იერი ჰქონდა. გზა განაგრძეს და მალე ფიჭვნარში შევიდნენ. წიწვებს შორის მსუბუქი სიო დაქროდა და უკიდეგანო სივრცეში ტალღებად მიირწეოდა. ქალი და მამაკაცი შინაგანად აჰყვნენ ამ ქროლვას. უკიდეგანომ მათ არსებაში განცალკევებით, მაგრამ თანაბრად შემოაღწია. ქალმა ველური ვნების აზვირთება შეიგრძნო; კაცის გრძნობები ღვიოდა, მაგრამ მბრძანებლური სიფხიზლით ფლობდა მათ. ასე ეგონა, მასა და ქალს შორის ბასრი სატევარი იდო, რომლის პირს სათუთად ეხებოდა ხელით. ტაბუ არ დაურღვევია. უკვე ტყის ნაპირს მიუახლოვდნენ. გზის პირას მშვენიერი მუხა აღმართულიყო.

ქალი: რა ლამაზი ტანი აქვს ამ მუხას!

მამაკაცი: რა მძლავრია!

ქალი: ახლოს მივიდეთ.

მამაკაცი: კარგი.

ხეს მიუახლოვდნენ. ქალმა მხურვალე ხელები გადაუსვა მერქანზე, მკლავები შემოხვია და მიეყრდნო. მკერდით შეიგრძნო უცხო და საოცარი სითბო. მუხას ღამითაც შემოენახა მზის ცხელი ტალღები. ახლა მამაკაციც შემოეხვია ხეს და მისგან გამოსხივებულ ძალას მიენდო. ერთხანს იდგნენ გაბრუებულნი და ხის სიღრმეში მბორგავ ზრდის ძალთა დუღილს და ბუტბუტს ისმენდნენ. ხის ტანი განიერი იყო, მაგრამ მათი ხელები ერთმანეთს სწვდებოდა. შეუჩერებელ ნაკადად ამოსკდა ორივეს არსებაში ქვეყნად უღრმესი, სანუკვარი სიტყვა: შენ. გამოუთქმელი დარჩა, მაგრამ მით უფრო დიდი იყო მისი ძალა. ქალი ხის ტანს მამაკაცის სხეულად შეიგრძნობდა, კაცი – ქალისად. მათმა გულებმა ხე გააპეს და ერთ განუყრელ გულისცემად განზავდნენ. უეცრად ჰასანის ყეფა გაისმა. იმავდროულად ორივენი ხეს მოსწყდნენ. დაბინდული და გაბრუებული ქალი შეტორტმანდა, მამაკაცი უსწრაფესად გადახტა და მკლავებში მოიქცია. ახლა კი, წამით, ქალი მართლაც ნადავლად იქცა მის ხელში, მსხვერპლად მამაკაცისა და საკუთარი ვნებისა. საკუთარი სისხლის გუგუნი ჩაესმა ყურებში ქალს.

უსიტყვოდ მიადგნენ ტყის ნაპირს. მაგრამ სიტყვა უნდა თქმულიყო, რათა ეს წამი ნეტარ მოგონებად ქცეულიყო და მათ სულში სახე და ფორმა შეეძინა სამარადისოდ.

– იცით თუ არა, – ჩურჩულით წარმოსთქვა კაცმა, – რომ, გადმოცემის თანახმად, რაინდული მიჯნურობის კანონი, loys d'amour[7], პირველ ტრუბადურს ოქროს მუხის რტოზე მჯდომარე შევარდენმა განუცხადა?

– უცნაურია, – წარმოსთქვა სუნთქვაშებოჭილმა ქალმა.

მთვარის შუქზე ბასილა ჰასანს ეთამაშებოდა.

– საოცარია ისიც, – დუმილის შემდეგ განაგრძო ლევანმა, – რომ ხის დასახელებებს ქართულსა და გერმანულში ერთი და იგივე ფუძე აქვთ: „ხე". ქართული „ხე", როგორც იცით, გერმანული სიტყვა „Eiche" -ს ნაწილია. გარდა ამისა: ქართული „მუხა" ემთხვევა გერმანულ სიტყვას „Buche"[8], თუმცა ისინი ხის განსხვავებულ სახეობებს აღნიშნავს.

– მართლაც საოცარია, – შენიშნა ქალმა.

ასე თანდათან ორივეს დაძაბულობა სიფხიზლეში განზავდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ სასახლეს ჰასანსა და ბასილასთან ერთად.

---

[7] (ფრანგ.) სიყვარულის კანონი. იგულისხმება ევროპული შუა საუკუნეების საარაინდო, კურტუაზული სასიყვარულო პოეზიისა და ეთიკის ტრადიცია.
[8] (გერმ.) წიფელა.

თასი გრალისა

თავადი გიორგი დღიურის წერას განაგრძობდა. აღწერა სტუმრებთან საუბარი და შემდეგ განაგრძო: „ყოველი არსი საკუთარ წიაღში საფრთხეს ატარებს საპირისპირო პოლუსის სახით; ასევეა ქართველობაც. ქართველი ჭეშმარიტი ერისკაცის ცხოვრებით ცხოვრობს და, ამავე დროს, მასავით მზაკვრულად ვერავინ უღალატებს საკუთარ ერსა და მოდგმას. თავადია და – ლაქიად გადაიქცევა, რაინდია და – შეუძლია ვიგინდარა და არამზადა გახდეს. გულუხვი და უანგარო, – ჭკუასუსტი მფლანგველი ხდება. სიცოცხლის ხალისი მასთან არცთუ ხშირად ფათერაკების ძიებაში გადაიზრდება, სიყვარულის უმკაცრესი წესი კი – წუთიერ გატაცებად. ზნედაცემული ქართველი მართლაც რომ ამაზრზენი შესახედია. ნეტავ თავად ქართველები თუ გრძნობენ მათში ჩასაფრებულ საშიშროებას? თუმცა, ლევან ორბელის ბედი არ მაშინებს“. თავადმა კალამი გვერდზე გადასდო და საათს შეხედა: თერთმეტი სრულდებოდა.

– აგვიანდებათ, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – ახალგაზრდობის ბრალია, – ნაღვლიანად ჩაფიქრდა მოხუცი.

რამდენიმე წამის შემდეგ ოთახში ლევანი და ნორინა შემოვიდნენ. ტყეში სიარულის შემდეგ სახეები უხილავი სხივებით განემსჭვალათ და მთლიანად გაუმჭვირვალდათ. თავადის მახვილმა მზერამ უმალ შენიშნა ის სიახლოვე, მამაკაცსა და ქალს შორის რომ დამყარებულიყო. მაგრამ, საოცარია, თავადს ეს ახლა უკვე აღარ აღელვებდა.

– რაო? როგორი იყო ბასილასთან? – იკითხა მოხუცმა.

ნორინამ ყველაფერი წვრილად უამბო.

– ძალიან სასიხარულოა, – წარმოსთქვა თავადმა.

შემდეგ ლევანი ალაპარაკდა ტყისა და მისი მომაჯადოებელი ძალის შესახებ. ამასობაში ნორინამ ჩაი, კონიაკი, ნამცხვარი და ხილი მოიტანა.

– ცხოვრებას მუდამ ისე უნდა შევხედოთ, როგორც ღვთისაგან ნაბოძებ საჩუქარს, – სახე გაუცისკროვნდა თავადს.

ლევანს და ნორინას გაეხარდათ, რომ თავადი თავს უკეთ გრძნობდა. საუბარი ისე ცოცხლად და შთაგონებულად წარიმართა, როგორც რომელიმე პითაგორელის ბინაში.

– იქნებ თქვენი წმინდა ნინოს საგალობელი მოგვასმენინოთ? – მოულოდნელად მიუბრუნდა თავადი ლევანს. რაკიღა იმან პასუხი დააყოვნა, თავადმა დაუმატა: – მომიტევეთ, დამავიწყდა, რომ არ გიყვართ უკვე წარმოთქმული ლექსის გამეორება.

– მთლად ასე არ გახლავთ, – მიუგო ლევანმა, – ლექსი მრავალჯერ შემიძლია წარმოვთქვა, ოღონდაც ისეთი გრძნობით, თითქოს მას პირველად ვკითხულობდე. ეს ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ კი – არა...

– ამჯერად უეჭველად გამოგივათ, – სიტყვა ჩამოართვა ნორინამ.

– თუკი ნორინა ამ აზრისაა, ნამდვილად შეძლებთ, – თქვა თავადმა, – სხვათა შორის, მას ეს საგალობელი მაშინ არ მოუსმენია, – მან ღიმილით შეხედა ქალს.

– მაშ, კარგი, – თქვა ლევანმა.

კრიალა სიჩუმე ჩამოწვა. მან მაშინდელივით მოიკრიბა შინაგანი ძალები და სულის წიაღიდან მომდინარე წმინდა ნაკადს მიაყურადა. მთელი არსებით დაიძაბა, რათა დროებით ამ ნაკადის სრულყოფილ გამტარად ქცეულიყო. მისი ხმა, ძლიერი და მჟღერი, თავიდან ყრუდ გაისმა. საგალობლის ძარღვებში მზის სისხლი დიოდა, მასში წარმოსახული ყოველი სურათი თითქოს ცეცხლოვან ასომთავრულად იყო ამოტვიფრული. ბინდში ჩაფერფლილ მზესავით მიქრა საგალობელი. კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, როგორც ნეტარი ინტერვალი, რომელშიც მხოლოდ გულისცემა ისმოდა. ლევანი ქანცგამოლეული იყო, თითქოს მის სულს ქარიშხალმა გადაუქროლა. აღელვებით დასტაცა ხელი სიგარეტს.

– რაო, ნორინა, – ჩუმად იკითხა თავადმა, – რას იტყვი?

– ენობრივ სინატიფეს, რა თქმა უნდა, ჯეროვნად ვერ შევაფასებ, მაგრამ ქალწული ახლაც თვალწინ მიდგას, ნათელი და სპეტაკი.

– ეს არის ნათელმჭვრეტი სიბრმავე, – თქვა თავადმა, – სულის სიღრმეში ჩაბრუნებული მზერა, იდუმალი წიაღიდან ამოსულ სახებებს რომ ჭვრეტს.

ლევანს მდუმარედ დაეხარა თავი.

– ეს ხილვა სულის განსაკუთრებულ მდგომარეობაში უნდა გწვეოდათ, – მიმართა მას თავადმა.

– ასეც არის, ეს 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ დღეებში მოხდა, – მიუგო ლევანმა, – მაშინ სრულებით განადგურებული ვიყავი.

– მაშასადამე, იმ დღის შემდეგ, როცა მეთერთმეტე ბოლშევიკური არმია თბილისში შემოვიდა?

– დიახ.

– და ეს ზმანება უსასოობის ჟამს გეწვიათ?

– დიახ, სრული უსასოობის ჟამს, – ლევანი თანდათან გამოცოცხლდა, – მოგეხსენებათ, ალბათ, რომ ამ ქალაქს გამუდმებით რაღაც დემონი სდარაჯობს. იმ ღამით ეს დემონური საფრთხე მომაკვდინებელ სახებად წარმომიდგა თვალწინ. უეცრად საქართველოს მთელი ისტორია თითქოს ჩაიმსხვრა ჩემს სულში და მას შემდეგ თავადაც ფუძეგადატეხილი ვარ.

– არა, თქვენ ახლაც ჯან-ღონითა და გზნებით ხართ სავსე, – მოუთმენელი ალერსით შეეკამათა ნორინა.

– ეს გზნება ალბათ ნერვული ცახცახია აღსასრულის წინ.

– არა, შეუძლებელია! – შეჰყვირა ქალმა.

– არა, ძვირფასო ლევან, – არ დაეთანხმა თავადიც, – ეს უდაოდ დიდი დარტყმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა დამანგრეველი, ასე რომ არ იყოს, ამ საგალობელს ვერ გვაჩუქებდით. მაგრამ შევეშვათ ამას, – წამით დადუმდა, – ჩემი აზრით, ამ ლექსს საფუძვლად რაღაც მოვლენა უნდა ედოს, თუნდაც წარმოსახვითი.

– დიახ, სწორედ ასეა, – მიუგო ლევანმა, ცოტაოდენ გაოგნებულმა.

– მართლა? რა იყო ეს?

– რამდენიმე წლის წინათ ხილვა მეწვია, – დაიწყო ლევანმა თხრობა, – მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში. მთელი ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ ერთი გვარი რჩება მესხეთში, ვისთანაც წმინდა ვაზის ჯვარი ინახებოდა: ისინი ჯერაც არ უდრეკენ ქედს ნახევარი მსოფლიოს დამპყრობლებს. ვიდრე თუნდაც ერთია უდრეკი, ერის ღირსება არ მოისპობა, თუნდაც მთელი ხალხი დამარცხებული და ზნედაცემული იყოს. გვარის უხუცესი მძლეთამძლე ვაჟკაცია. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ წყვეტს, არადა თანდათან ისიც უკვე ძალისაგან იცლება. ბოლოს და ბოლოს, თავისიანებთან ერთად, ტოვებს თავის მამულს და თავადაც არ უწყის, რა გზას დაადგეს. ზურგსუკან მონღოლები ჰყავს, წინ – უფსკრული. უხუცესი და მისი შეფიცულნი უკვე მზად არიან, კლდიდან უფსკრულში გადაეშვან. უკანასკნელად ჩაიმუხლებენ ჯვრის წინაშე. უეცრად იქ საიდანღაც პატარა გოგონა ჩნდება და თავისი უმწიკვლო ხელით ეხება ჯვარს. ხდება საოცრება: სამი ოქროს მტევანი ამოსკდება ჯვრიდან. უდიდესი ციური მადლი. ვიღა მოდრეკს ამის შემდგომ გმირებს? ასე ვიხილე ეს ყოველივე. ჩემი საგალობელი, კაცმა რომ თქვას, ჯვრის წინაშე აღვლენილი იმ ლოცვის გამეორებას ლამობს.

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა. ნორინა მონუსხული უსმენდა. თავადი გიორგი სულის სიღრმემდე შეძრა მოსმენილმა, მარჯვენა თვალზე მომდგარი ცრემლი იგრძნო. შემდეგ ნელა წამოდგა, ოდნავ ბარბაცით მივიდა ოთახის კუთხეში და სანთლები აანთო.

– ასე ჯობია, – უფრო თავისთვის ჩაიჩურჩულა, რათა დუმილი უსასრულოდ არ გაჭიმულიყო.

ბედნიერებით გაცისკროვნებულმა ნორინამ ლევანის ხელი აიღო და მაგრად ჩასჭიდა საკუთარი ხელი. ლევანმაც მოუჭირა ხელი და ამ საპასუხო სიმხურვალეში ქალმა ამოიკითხა უხმო მოძახილი: შენ! მშვიდად და თავისუფლად გაუსწორა თვალი მამაკაცის მზერას. ლევანი მის სხივებში ბანაობდა. თავადი გიორგი დიდ ფანჯარას მიუახლოვდა და გააღო, გარედან თივის სურნელის ნაკადი შემოეგება. მიდამოს სიჩუმეში ყრუდ მოისმოდა შორიდან ძაღლის ყეფა. რამდენად ხშირად დაუყეფია

ძაღლს ამ მიდამოებში მთელი საუკუნეების მანძილზე? – უეცრად გაუელვა გონებაში. წარმოსახვით უძირო მარადისობას ჩასწვდა. თავადი კვლავაც ტახტთან დაბრუნდა.

– დიახ, ეს მოვლენა მხოლოდ ხილვა როდია, – ჩურჩულით წარმოსთქვა მან.

– როგორ? – ლევანს თითქოს ელდა ეცა.

– ეს ისტორიული ფაქტიცაა, – უპასუხა თავადმა, – რამე თუ გსმენიათ ამის შესახებ?

– არაფერი, – ლევანი სუნთქვაშეკრული იჯდა.

– სასწაულია! – აღმოხდა გაოცებულ ქალს.

– დიახ, მართლაც ასეა, – ისევ წამოიწყო თავადმა, – ვაზის ჯვარი იმხანად მართლაც მესხეთის ერთ-ერთ სამთავროში ინახებოდა.

– და მტევნების სასწაული? – იკითხა ქალმა.

– ეს მაშინ კი არა, რამდენიმე საუკუნით ადრე მოხდა.

ლევანი მთელი არსებით შეძრა თავადის სიტყვებმა. ხმის ამოღება არ შეეძლო.

– ეს სასწაული არაბთა შემოსევის დროს მოხდა, – განაგრძობდა თავადი ისე, თითქოს სხვა სამყაროდან საუბრობდა, – არგვეთის მთავრებს გადახდათ თავს ეს ამბავი.

– მაშასადამე, თქვენს წინაპრებს? – ჰკითხა ნორინამ.

– ასეა, გადმოცემის თანახმად.

ლევანი გაფაციცებული იჯდა, სახეზე წარბიც კი არ უკრთოდა. თავად გიორგის მთელი ძალისხმევა იქითკენ მიემართა, რომ ლევანისაგან კიდევ რაიმე შეეტყო.

– განა ეს საიდუმლო, სხვა სახით ხორცშესხმული, თაობიდან თაობამდე არ უნდა გადმოცემულიყო? – ჩაფიქრებით, გამომცდელი კილოთი დასვა მან კითხვა.

– მეც ასე მგონია, – როგორც იქნა, სიტყვა დასძრა ლევანმა.

– რა სახით? – ფრთხილად იკითხა ნორინამ.

– იოსებ არიმათიელმა მაცხოვრის სისხლი თასში შეაგროვა; ამ თასის გარშემო გრალის მცველთა ორდენი ჩამოყალიბდა.

– ჰოდა...?

– სავარაუდოა, რომ ქართველმა რაინდებმაც ასეთსავე თასში შეაგროვეს სასწაულებრივ მტევანთა წვენი.

– და ამ თასის გარშემოც შეფიცულთა საიდუმლო საძმო შეიქმნა!

– ჰო, ასე უნდა იყოს.

ლევანი უჩვეულო მღელვარებით ჰპასუხობდა ქალს.

თავადი გიორგი მდუმარედ მონაწილეობდა საუბარში. შინაგანი თანადგომით მიანიჭა ლევანს უფლება, გზნებით ამოეთქვა ის, რაც სურდა. ახლა თვითონაც ელდანაცემი ჩანდა.

– თქვენი წარმოსახვა უსაზღვროა, – უთხრა ლევანს ნორინამ.

– არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამას წარმოსახვა ვუწოდოთ. როგორ აგიხსნათ? როდესაც ეს ხილვა მეწვია, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მანამდე უკვე ვიცოდი ეს ყოველივე, თვით უმცირეს წვრილმანამდეც კი. ასე მეჩვენება, თითქოს ვიღაცას მსგავსი რამ დიდი ხნის წინათ ეამბნოს ჩემთვის. ოღონდაც არ ვიცი, ვინ იყო ეს. სიზმრად თუ ჩამჩურჩულა? არც ეგ ვიცი. ან იქნებ წინა ცხოვრებაში შევიტყე ამის შესახებ? კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და, ზოგჯერ მგონია, რომ სწორედ ასე უნდა იყოს.

– რა საოცარი შთაგონებაა!

ლევანი კვლავ საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა. თავადი არ იძვროდა. განათებული, მოუსვენარი მზერით შეჰყურებდა ხან ლევანს, ხან ნორინას.

– ჭეშმარიტი ხილვა მუდამ სინამდვილეს შეესაბამება, – იდუმალი კილოთი წარმოსთქვა მან ბოლოს, – ამ შემთხვევაშიც ასე უნდა იყოს.

ნორინა გაფაციცებული წამოიმართა, ლევანი შეკრთა და გამოფხიზლდა თავისი გარინდებიდან.

– ესე იგი, თქვენი ხილვა და ხილვა გრალისა ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ? – იკითხა შემკრთალმა ქალმა.

– თუკი წარმოსახვა ასე შორს მიდის, ის უნდა შეესაბამებოდეს კიდეც ჭეშმარიტებას, – შენიშნა თავადმა.

– თქვენ? – გრძნობათა სისავსისაგან გაფართოვებული თვალებით მიუბრუნდა ქალი ლევანს, – თქვენ თვითონ თუ გწამთ ამ ხილვისა?

– სავსებით, – უპასუხა ლევანმა. ნორინა შეშინდა, იმდენად მტკიცე და შეუპოვარი იყო ეს პასუხი.

– ეძებთ ამ გრალს? – აღტაცებული ქალი თავს ვეღარ იკავებდა.

– დღე და ღამე.

– გწამთ, რომ იპოვით მას? – არ ეშვებოდა ქალი.

ლევანმა პასუხი ვეღარ გასცა.

– ის, ვინც ასე მტკიცედ ეძიებს, ყოველთვის ჰპოვებს, – წარმოსთქვა თავადმა.

– ესე იგი, თქვენც გწამთ, რომ ეს გრალი ოდესღაც მართლაც არსებობდა? – ახლა თავადს მიუბრუნდა ქალი.

– არამხოლოდ მწამს, არამედ ვიცი კიდევაც.

ქალი ადგილზე გაქვავდა. თავადის მზერა ნორინასა და ლევანს მიღმა, სიცარიელეში მიმართულიყო. ყველანი დუმდნენ. თითქოს რაღაც იდუმალი მიმოდიოდა ოთახში მათ შორის. ღამემ ზანტად შემოაცურა თავისი ჯადოსნური რიდე და მათ მდუმარე ერთადყოფნას შემოახვია. შორიდან კვლავ ძაღლის ყეფა მოისმა.

ლევანის არსებაში გაისმა: „როგორც იქნა!“ პოეტი ახლა უკვე მზადაა ამ საიდუმლოსათვის, გაიფიქა თავადმა. მაგრამ არც ერთს არ დაუძრავს სიტყვა.

– კიდევ ერთ ფინჯანს ხომ არ ინებებთ? – იკითხა ნორინამ, რათა უხერხული დუმილი გაეფანტა. ორივე მამაკაცი მადლიერებით შეხვდა ამ სიტყვებს, რომლებმაც საუბარი კვლავ გამოაცოცხლა.

– მართალია, ქართული გრალი იმ მეორეს ვერ შეედრება, – კვლავაც წამოიწყო თავადმა, – იმ გრალში ხომ თვით მაცხოვრის წმინდა სისხლია დაცული. და მაინც, თავისი საგნობრიობით ჩვენი გრალი უფრო ხელშესახები და არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი მეჩვენება. თანაც მასში ზი-

არების წმინდა წესი ამქვეყნიური, მიწიერი სურათითაა გაცოცხლებული: მტევანთა წვენი საკრალურ სისხლთან იგივდება.

შემდეგ ნორინამ იკითხა, თუ რა იყო ცნობილი გრალის მცველთა საძმოს შესახებ.

– თასი მუდამ რჩეულთა ხელში იყო, საუკუნეთა მანძილზე ის ერთი რაინდიდან მეორესთან გადადიოდა. ყოველივე მასთან დაკავშირებული უდიდეს საიდუმლოს წარმოადგენდა.

ნორინას ახლა იმის გაგება ეწადა, თუ რა ნიშნით შეიძლებოდა რჩეულის ამოცნობა.

– მზით გასხივოსნებული ცხოვრებით, როგორც ეს ლევანმა ასე ნათლად გვიჩვენა საზეიმო სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვაში. მზესთან ხომ ოდითგან სიღრმისეული კავშირი გვქონდა. ჩვენს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში ცხოვრობდნენ ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები, გრძნეული ქურუმები, მზის შესახებ უძველეს ცოდნას რომ ფლობდნენ. ქრისტეს სჯულს ჩვენში არ შეუმუსრავს უძველესი სიბრძნე: პირიქით, სწორედ მზეში გამობრწყინდა ქრისტიანობის უღრმესი არსი. ამის საუკეთესო სიმბოლო ვაზის ჯვარია. მათ, ვისი მოწოდებაც ვაზის მოვლა და ღვინის შენახვა იყო, სულიცა და სხეულიც უმწიკვლოდ უნდა შეენარჩუნებინათ მზესთან შესაუღლებლად.

ლევანი მდუმარედ და აღელვებით ისმენდა ამ სიტყვებს.

– მაშასადამე, პირველი მცველნი გრალისა არგვეთელი თავადები იყვნენ, – გაბედულად იკითხა ნორინამ.

– დიახ, – უპასუხა თავადმა.

– შემდგომშიც მათთან თუ დარჩა წმინდა თასი?

– არა, – გაიღიმა თავადმა, – მათ სამუდამოდ როდი შეინარჩუნეს სულის სისპეტაკე.

ნორინას სურდა, კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა.

– ეს თასი საკუთარ თავში საქართველოსთვის ზეგარდმო მონიჭებულ მადლს ინახავდა, – განაგრძობდა თავადი, – სწორედ ის იყო მისი მასაზრდოებელი წყარო. თუკი მცველნი გრალისა ჭეშმარიტი მზისშვი-

ლები იყვნენ, წყარო არ წყდებოდა, მაგრამ თუკი ნებას მოადუნებდნენ, მაცოცხლებელი ნაკადიც უმალ დაშრეტით ემუქრებოდათ. ამას შეიძლება საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ზუსტად ვადევნოთ თვალი. იმ საბედისწერო დარტყმებს, ასე მრავლად რომ ახსოვს ჩვენს ისტორიას, გარედან მოსული საფრთხით ვერ ავხსნით; მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ ჩვენს ღალატთან საკუთარი თავისა და წმინდა გრალის წინაშე.

თავადი დადუმდა, მისი სახე ღრმა მწუხარებას დაეჩრდილა.

– ალბათ რწმენა დავკარგეთ, – განაგრძო მისი ფიქრი ლევანმა.

– ჰო, შესაძლოა, – უპასუხა თავადმა, – რწმენა დავკარგეთ; ოღონდაც ამით რჯულს არ ვგულისხმობ.

– განა რწმენა და რჯული ერთი არაა? – ჰკითხა ნორინამ.

– არა. რწმენა რჯულზე მეტია. თუკი რაღაცას ვაღიარებ, ის მაინც ჩემგან განზე მდგომ საგნად რჩება, ხოლო თუ ვირწმუნე, მაშინ ის უკვე ჩემი არსების ნაწილად იქცევა. მეტრფისათვის სატრფოს სახე მის პირისპირ მდგარი აღარ არის, ის მისთვის განუმეორებელი სახეებაა, რომელშიც საკუთარ თავს პოულობს. ვერავის ძალუძს იმ სინამდვილის წვდომა, მეტრფეთა შორის, მათ ერთადყოფნაში რომ წარმოიქმნება, და მაინც, ის ჭეშმარიტად არსებული და ქმედითია. გარეშე თვალისთვის ის არ არსებობს, შინაგანი მზერა კი მას უმაღლეს რეალობად აღიქვამს. თუ სიყვარული გაქრა, მაშინ მეტრფეთა შორის სიცარიელე წარმოიქმნება: ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგებიან, ერთურთს შემზარავად გაუცხოებულნი, ერთურთისათვის გარეშე არსებებად ქცეულნი. ასევე მორწმუნეც ახალ სინამდვილეს ქმნის თავისი რწმენით.

– მაშასადამე, წარმოსახვის ძალით?.. – ჭოჭმანით წარმოსთქვა ნორინამ.

– ასეა, ოღონდ წარმოსახვა ღვთაებრივი შთაგონების აზრით უნდა გავიგოთ. ქვეყნად ყოველივე ღვთის წარმოსახვით შეიქმნა. შემოქმედების ეს უნარია სწორედ რწმენის საიდუმლო. მხოლოდ გაცნობიერება და აღიარება აქ როდი კმარა. მე შემიძლია ისევე ვაღიარო უფალი, როგორც

ნეტარი ავგუსტინე აღიარებდა, მაგრამ განა მხოლოდ ამით ისევე მივუ-ახლოვდები უფალს, როგორც ამ დიდმა წმინდანმა შეძლო? დღევან-დელ კაცობრიობას სწორედ რწმენის ეს შემოქმედი ძალა აკლია და იმ კაცსა ჰგავს, სახარებაში მაცხოვარს რომ მიმართა: „მწამს, უფალო, შე-ეწიე ჩემს ურწმუნობას!“ დიახ, ასეა.

დუმილი ჩამოწვა.

– განა შეიძლება ასეთი ძლიერი რწმენა უკვალოდ გაქრეს? – იკითხა ნორინამ.

– რწმენას მაშინ ვკარგავთ, როდესაც მიწის, ჩვენი მარადიული დე-დის, წაბილწვას ვიწყებთ. წარმართი მონუსხული მზერით მუდამ მომ-ლოდინე მიწის ბნელ საშოს ჩაჰყურებს, სცნობს ცოცხალ თესლებს სიკ-ვდილსა და ხელახალ დაბადებაში, უსასრულოდ შეჰხარის წვიმას, გვალვისაგან გადამსკდარ მიწას რომ არწყულებს, თავდავიწყებული ტკბობით აკვირდება, თბილ სინოტივეს თესლის მჭკნარი პარკებიდან ნორჩი ღივები როგორ ამოჰყავს. ცოცხლად განიცდის მომკილი პურის გზას კალოდან წისქვილის ქვამდე. წარმოიდგინეთ, რა უღრმესი მგრძნობელობით აგემოვნებს იგი მზეს მწიფე მტევნებში და შემდეგ ისიც წარმოიდგინეთ, რომ მან ქრისტე აღიარა და ახლა წირვის შემდგომ ზიარება უნდა მიიღოს...

– მასში უთუოდ წმინდა მხეცი გამოიღვიძებს, – უეცრად ცხარე ჩურ-ჩულით ამოთქვა ლევანმა.

– სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, – დაუდასტურა თავადმა.

– წმინდა მხეცი – ამის შესახებ არაფერი ვიცი, – თქვა გაოგნებულმა ნორინამ.

– ოდესმე გაიგებ, თუ რას ნიშნავს ეს, – მიუგო მოხუცმა, – და, ეჭვი არაა, – გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო მან, – რომ ამ წარმართის არსება-ში პური მართლაც ქრისტეს ხორცად გარდაისახება, ღვინო კი – სის-ხლად. ჩვენ კი რას ვჩადივართ? საუკუნეთა მანძილზე ან შევურაცხყოფ-დით მიწას, ან ვებრძოდით უკეთეს შემთხვევაში კი უგულებელვყოფ-დით მას. დაუფიქრებლად ვცოდავთ დიადი დედის წინაშე იმით, რომ

სიწმინდესა და სიდიადეს ვართმევთ და, აი, უკვე ვიგემეთ კიდეც ჩვენი ცოდვის მწარე ნაყოფი: დავჩლუნგდით, დავბეჩავდით, ღირსნი აღარ ვართ, ღვთისშვილებად ვიწოდებოდეთ. მილიონი ჩვენგანი ევქარისტიის პურს უბრალო აბივით ყლაპავს. ხორცად ქცეული სიტყვა – ეს საიდუმლო მყიფე მეტაფორადღა შემოგვრჩა. არადა, ის ხომ მიწაზე მიგვითითებს, როგორც ლოგოსის დამბადებელ საშოზე! თუკი მიწის საშოს მკვდარ მატერიად მიიჩნევს, ადამიანი იმწამსვე დაიცლება ლოგოსური ძალებისაგან. სული დაკარგავს თავის ნაყოფიერ სისავსეს და მყიფე რაციომდე დაეცემა, ხოლო რაციოს არ შესწევს ძალა, რწმენის შემოქმედებითი აქტი განახორციელოს.

მოხუცი დადუმდა. ტახტზე სანახევროდ გადაწოლილი, სამადჰის მდგომარეობაში მყოფ ნათელმჭვრეტელს ჰგავდა; მთელი არსება გაუნათდა და გაუმჭვირვალდა. სულის ფსკერამდე გამჭოლი სიჩუმე ჩამოწვა. ლევანი უძრავად იჯდა, ღრმად ჩაფიქრებული. ნორინა ამოძრავდა, რათა ეს სიჩუმე ასატანი გამხდარიყო. უხმოდ მივიდა ფანჯარასთან, ღამის ცარიელ სივრცეს ჩააშტერდა. მთვლემარე ხეების ფოთლებს ნელმა ნიავმა გადაუქროლა.

– დიახ, ასეა, – მხოლოდ თავისთვის გაიმეორა თავადმა.

– გრალის თასსაც იგივე დაემართა ალბათ, – გამოსთქვა ლევანმა თავისი ფიქრი.

– დიახ, – დაეთანხმა მოხუცი, – ასე გაგვერიდა გრალის ძალა და მადლი გრალისა.

– კი მაგრამ, თავად თასი – ნუთუ ისიც გაქრა? – იკითხა ნორინამ.

– არა, მაგრამ რას გვარგებს! – უპასუხა თავადმა, – მუზეუმის ექსპონატად შემოგვრჩა მხოლოდ, ეს არის და ეს. მის გასაცოცხლებლად ღვთისაგან შთაგონებული სულის მისტიური ნაპერწკალია საჭირო; ის კი არსად ჩანს.

– მუზეუმის ექსპონატი, – შეჰყვირა ქალის მთელმა არსებამ. როგორც ძლიერი ქარი აღელვებს ზღვის ზედაპირის მშვიდ სიგლუვეს, ისე აამ-

ღვრია ამ სიტყვამ სიყვარულის კრიალა სასმელი, რომელიც ქალმა ტყეში სეირნობისას განცდილი წინათგრძნობით იგემა.

საუბარი თითქოს დასრულდა, ან კი რაღა უნდა თქმულიყო? ნორინამ მაჯის საათზე დაიხედა: სამის თხუთმეტი წუთი იყო.

– უკვე გვიანია, – თქვა და ლევანს გადახედა.

ლევანი წამოდგა.

– თუ ძალიან არ დაღლილხართ, კიდევ ცოტა ხანს დარჩით, – მიმართა თავადმა ლევანს.

– სიამოვნებით, – მიუგო მან.

ნორინა წასასვლელად მოემზადა.

– ხომ არ ეჭვიანობ? – ჰკითხა თავადმა.

– რა თქმა უნდა, – ღიმილით უპასუხა ქალმა და გამოემშვიდობა.

მამაკაცებმა ახლაღა შენიშნეს, რომ ნორინა საუბარს უადვილებდათ. ახლა ორივეს გულზე გამოუთქმელი შეკითხვა აწვა და ვერც ერთი ვერ ბედავდა დაწყებას.

– ოდესმე ამ თასის პოვნა თუ გაგახარებთ? – როგორც იქნა, ჰკითხა თავადმა.

– უსასრულოდ, – უპასუხა ლევანმა.

– და არ შეგეშინდებათ?..

– დიახ, როგორ არა, მაგრამ...

– ორჭოფობთ?

– არა!

კვლავ მძიმე დუმილი ჩამოწვა. შემდეგ თავადი წამოდგა, უხმაუროდ მივიდა კარადასთან, გააღო და იქიდან რაღაც გამოიღო. ლევანი გაოცებული ადევნებდა თვალს: მოხუცს ხელში პატარა გასაღები ეჭირა. შემდეგ იმ მეორე, მასიური ხის კარადას მიუახლოვდა, რომლის წინაშეც სანთლები ენთო. ლევანი აღუწერელი მღელვარებით აყოლებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. მოხუცი ლანდივით მოძრაობდა. კარადის კარი ნელა გამოაღო. შემდეგ უძრავად გაშეშდა. კარადის სიღრმეში მცირე ზომის ყუთი იდო ეულად.

– აი, აქ, შიგნით ასვენია თასი, – თითქოს ძილ-ბურანში, მონოტონურად გამოსცრა თავადმა.

ლევანი უეცარმა დარტყმამ შეძრა. სუნთქვაშეკრული ახლოს მივიდა. რაღაც იდუმალი უხმობდა ამ კოლოფიდან, თავისკენ იზიდავდა და, ამავე დროს, მახვილივით სერავდა მთელ მის არსებას. უეცრად მუხლი მოეკვეთა, უღონოდ და თან საოცარი გზნებით დაიჩოქა ძირს. ამ უდრეკმა, მუდამ მტკიცე და თავშეკავებულმა მამაკაცმა ახლა იგრძნო, ღაწვებზე როგორ ჩამოუგორდა დიდრონი ცრემლები. მთელი მისი არსება თითქოს ატომის ბირთვში შემჭიდროვდა და მთლიანად ლოცვად გარდაისახა. ამავე წამს თასი საკუთარი არსის ნაწილად შეიგრძნო. მამაკაცი შეკრთა, მაგრამ ეს ფიქრი, ელვის გაკვესებასავით წამიერი, კვლავ გამქრალიყო. თავადი გიორგი მის გვერდით იდგა. ხმას არ იღებდა, რათა ახალი თესლის გაღვივებისათვის ხელი არ შეეშალა. ბოლოს ფრთხილად შეახო მარჯვენა ხელი ლევანის მხარს. ლევანი შეკრთა.

– წამოდექით, – უთხრა მოხუცმა.

ლევანი ზეზე წამოიმართა. დუმილი განახლდა, მაგრამ ამჯერად ის დამთრგუნველი აღარ ყოფილა. მოხუცმა კვლავ სათუთად დაკეტა კარადა და ტახტს დაუბრუნდა. ლევანიც თავისი ადგილისაკენ გაემართა, ისე ფრთხილად, თითქოს საკუთარი ნაბიჯების ხმა აშინებდა. ერთიმეორის დუმილს აყურადებდნენ. ახლა გამოუთქმელი სიტყვები ტვირთად აღარ აწვებოდათ. თანდათან დამშვიდნენ. როგორც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ძვირფასი არსება ზოგჯერ სიზმრად მოგვევლინება და უსიტყვოდ გვიმზერს, მხოლოდ ანათებს, – ასე ეჩვენა ახალგაზრდა კაცს თავადი.

– ნუთუ თქვენც ისე ინახავდით ამ თასს, როგორც ძველი დროის ნაშთს, როგორც ექსპონატს? – სიჩუმე გაუბედავად დაარღვია ლევანმა.

– დიახ, მეც, – უპასუხა თავადმა, – ჩემში დავანებული წმინდა მხეცის ძალა დაუფიქრებლად გავფლანგე.

– როგორ ვირწმუნო, რომ თქვენ სამყაროს ოდენ ზედაპირულ ჭვრეტას დასჯერდით?

– სწორედაც რომ ოდენ ზედაპირულ ჭვრეტას. ეს კიდევ არ იქნებოდა ყველაზე უარესი, ინდოელებისა და ჩინელების მსგავსად, ყოფიერად რომ მივცემოდი ამ ჭვრეტას, მაგრამ ჩემმა ჭვრეტამ თანდათან დასავლური სახე მიიღო: მშრალ, ცარიელ ცოდნად იქცა.

საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

შემდეგ თავადი ფეხზე წამოდგა, ნელა მიუახლოვდა ფანჯარას და რამდენიმე წამს ცას შეჰყურებდა.

– ორიონი უკვე გამოჩნდა, – ჩურჩულით წარმოსთქვა, – გინდათ შეხედოთ მას?

ლევანი მიუახლოვდა.

– დაე, ის იყოს ჩვენი იდუმალი მოწმე! – თქვა თავადმა. უეცრად, მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა და უცხო, სხვაგვარი მზერით შეხედა ლევანს.

– აიღეთ ეს გასაღები, – თავადმა ღრმად ჩაისუნთქა და შემდეგ წარმოსთქვა: – ამიერიდან შენ იქნები თასის მცველი.

ლევანმა უხმოდ, ათრთოლებული ხელით გამოართვა გასაღები.

– ამას ჩემს დღიურში ანდერძის სახით შევიტან, – განაგრძო თავადმა.

ახალგაზრდა კაცი დიდხანს შეჰყურებდა მოხუცს თვალებში.

გამოთხოვება

მეორე დღეს ლევანმა თბილისიდან მიიღო დეპეშა: „სასწრაფოდ ჩამოდი. ავალა“. ლევანი შეშფოთდა, ნეტავ რა უნდა მომხდარიყოო, და მაშინვე ბარგის ჩალაგებას შეუდგა. თავადი არ გაწბილებულა, ვალმოხდილი და მშვიდი კაცის იერი ჰქონდა. ნორინა კი სევდიანი და აღელვებული ჩანდა, ალბომით ხელში შემოვიდა ოთახში და ლევანს უჩვენა. ლევანმა ალბომი გადაფურცლა და უეცრად ასეთ ნაწერს გადააწყდა: „ჩემო პატარა ნორინა. შენ მშვენიერი, ნათელი და ჭკვიანი ხარ, ღმერთების ციცქნა ქალიშვილო! ალბათ შენ გგავდა ბავშვობაში შენი საოცარი თანამემამულე, უტა ფონ ნაუმბურგი[9]. შენი ვარსკვლავი წყალობის შუქით ანთია. მისი შუქით გაცისკროვნებულმა, შენც ანათე მარად და გთხოვ, დროდადრო ძველი მეგობარიც გაიხსენე. გუშინ სამყურას მდელოზე ეს ოთხფოთოლა ვიპოვე შენთვის. ამბობენ, ბედნიერება მოაქვსო და ამიტომაც გიდებ ამ წიგნში. ლევან ორბელი. ბორჯომი, 1914 წლის 12 ივლისი“. სათუთი მღელვარებით გადაიკითხა ეს სტრიქონები. იქვე, გამშრალი და ფერდაკარგული სამყურას ფოთოლი იდო. ნორინა მდუმარედ იდგა. ვერც ლევანმა ამოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა. იგრძნო, თვალზე ცრემლი რომ მოადგა. სუფთა ფურცელი გადაშალა და მტკიცე ხელით დაწერა: „ჩემი გული ნათელი ჭურჭელია, თქვენს სანუკვარ სახებას რომ ინახავს ისე, როგორც თასი გრალისა იტევს სამარადისოდ უწმინდეს სითხეს“. ამჯერად ქალმა განიცადა ნეტარი მღელვარება, როდესაც ეს ნაწერი წაიკითხა. არც მაშინ უთქვამს რაიმე, მხოლოდ საკუთარ ხელში მოიქცია მამაკაცის ხელი. ამ შეხებამ კაცს შეაგრძნობინა, თუ როგორ გაიხსნა ქალი მზისაკენ აპყრობილი ყვავილის თასივით. შემდეგ თავად გიორგის გამოეთხოვა. მოხუცმა დალოცა გზად მიმავალი. დაემშვიდობა კნეინას, მის ქალიშვილს, დათასა და მთელ ჯალაბობას. ბო-

[9] ამ სახელითაა ცნობილი ნაუმბურგის მთავარი ტაძრის კედელთან აღმართული გვირგვინოსანი ქალის ქანდაკება, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება და გოთიკის სტილშია შესრულებული.

ლოს, ყველას თვალწინ, ნორინასაც დაემშვიდობა და ბასილასა და ჰასანის თანხლებით გაემართა სადგურისაკენ. ბიჭი ძაღლს ეთამაშებოდა, მზე კი ნეტარად და ლმობიერად დაჰნათოდათ.

მტერი

ლევანი მეორე კლასის ვაგონში ავიდა და ერთბაშად შეკრთა: ვაგონში მელასავით წითური უცნობი იჯდა და ვიღაც ახალგაზრდა კაცს ესაუბრებოდა. ლევანმა ჩემოდანი ძირს დაუშვა და უნებლიეთ ისევ გასასვლელისაკენ შებრუნდა. კარში გამცილებელი იდგა და ღიმილით აკვირდებოდა.

– იქნებ სხვა ადგილი გამომინახოთ? – სთხოვა ლევანმა.

– გასაგებია, – უპასუხა გამცილებელმა, – სულ ერთი და იგივე ამბავი მეორდება. იმ ვაჟ-ბატონის ახლოს ჯდომა არავის უნდა. არც თქვენ, ხომ ასეა?

– არც მე.

– ვწუხვარ, სხვა კუპეები დაკავებულია. გთხოვთ, დამშვიდდეთ, აქვე დაბრძანდეთ... – მიმოიხედა, ახლომახლო ქალი ხომ არ ზისო და ლევანს ჩასჩურჩულა: – ჩვენებურად, ქართულად ეხუმრეთ და მისი ავი თვალი ვეღარაფერს დაგაკლებთ, – გამცილებელს ეტყობოდა, საკუთარმა ენამოსწრებულობამ ძალზე გაახალისა.

ლევანი ღიმილით დაბრუნდა თავის კუპეში. წითური საუბარს განაგრძობდა. შემოსულ ლევანს წუთით დააშტერდა გაოცებული, მაგრამ სიტყვა არ გაუწყვეტია.

– თუ არ შეგაწუხებთ, ახლავე გავშლი ზედა საწოლს, – მიმართა ლევანმა, თუმცა ჯერ მხოლოდ გვიანი ნაშუადღევი იყო.

– როგორც გენებოთ, – თითქმის თავაზიანად უპასუხა წითურმა.

ლევანი ზედა საწოლზე ნეტარებით გაიჭიმა. ერთბაშად უმძიმესი დაღლილობა შეიგრძნო. იწვა და საირმეში განცდილ-ნანახი წვეთ-წვეთად ეღვრებოდა მეხსიერების უძირო სიღრმეში. ჩაეძინა, თუმცა გაფართოვებული ცნობიერების ერთ კუნჭულში მაინც ჩაესმოდა შემზარავი უცნობის ხმა:

– დიახ, ჩვენ გვსურს, მთელ კაცობრიობას ბრძოლით მოვუპოვოთ თავისუფლება.

– მაგრამ ნუთუ ამის გამო ადამიანი ღმერთს უნდა ჩამოვაშოროთ? – ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

– ეს ყოვლად აუცილებელია, რადგან სადაც ღმერთია, იქ თავისუფლება ვერ დამკვიდრდება.

ლევანზე ამ სიტყვებმა შხამივით იმოქმედა და, ამავდროულად, ზიზღი მოჰგვარა. მაგრამ ძილ-ბურანიდან ვერ გამოაღწია: იქნებ მისი დაღლილობა ყველაზე მეტად სწორედ ამ კაცის ნახვამ განაპირობა? უღონოდ ისმენდა ამ შემაძრწუნებელ საუბარს და წარმოსახვაში კვლავაც საირმის ნათელ სამყაროს უბრუნდებოდა. თვალწინ ედგა თეთრი თავადი, მომაჯადოვებელი ნორინა და წმინდა თასი. სინამდვილე მთლიანად წარმოსახვად ექცა.

– საკვირველად მეჩვენება, – განაგრძობდა საუბარს წითური, – რომ სწორედ პრომეთეს ქვეყანაში (მითოსის თანახმად, ღმერთებისაგან განდგომილი პრომეთე ხომ კავკასიის ქედზე მიაჯაჭვეს), დიახ, სწორედ აქ აღმოჩნდა ყველაზე რთული ღვთის ამოძირკვა.

– იმის თქმა გინდათ, რომ ქართველები საბჭოეთის სხვა ხალხებზე უფრო რელიგიურნი ვართ? – ჰკითხა თანამოსაუბრემ.

– არა, არც ასეა საქმე; ის ვიგულისხმე, რომ აქ ყველაფერი იდუმალებითაა მოცული.

– მერედა, რა?

– როგორ თუ რა?! საიდუმლო ხომ ღვთის ყველაზე საიმედო თავშესაფარია. საჭიროა საიდუმლოს გამოაშკარავება, მისთვის, ასე ვთქვათ, ნიღბის ახდა, რათა ადამიანმა შეიგნოს, რომ ხილული სინამდვილის მიღმა არაფერი სხვა არ ძევს. აი, მაშინ გაგვიადვილდება მისი ცნობიერებიდან ღვთის სახელის ამოშანთვა.

ლევანმა ჩათვლიმა. დროდადრო თანამგზავრებს ესმოდათ, სიზმარში როგორ ბუტბუტებდა. ამან წითური ძალზე გაახალისა.

– დიახ, საიდუმლო აბრკოლებს ადამიანის თავისუფლებას, – განუმარტა ღვთისაგან განდგომილმა თავის თანამოსაუბრეს.

– თასი, წმინდა თასი, – უეცრად გაიგონეს მძინარე ლევანის ბუტბუტი.

წითური მოულოდნელობისაგან შეკრთა, მაგრამ წამსვე თავი ხელში აიყვანა.

– გესმით? – ჩასჩურჩულა თანამოსაუბრეს, – გესმით რას ამბობს ეს კაცი ძილში?

– რაო? – შეჰყვირა ლევანმა.

– ბოდიშს გიხდით, მეგონა, უკვე გეძინათ, – მიუგო უცნაურმა კაცმა და თითქმის თავხედური კილოთი დაუმატა: – თქვენმა ბოდვამ ჩემ აზრთა მსვლელობას, შთაგონების მსგავსად, ახალი გეზი მისცა. გმადლობთ ამისთვის.

– არაფრის, – უპასუხა შეურაცხყოფილმა და აღშფოთებულმა ლევანმა.

წითური გამარჯვებით ტკბებიდა.

– ახლა კი, – კვლავ ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა, – ერთ ამბავს მოგითხრობთ სწორედ წმინდა, უფრო სწორედ კი, ვითომდა წმინდა თასის შესახებ.

ლევანი დაძაბულად უგდებდა ყურს.

– აი, რა გადახდა თავს ნაპოლეონს იტალიაში ლაშქრობისას, – დაიწყო კაცმა, – გამარჯვებულმა ფრანგებმა დაიკავეს გენუაში სან ლორენცოს ტაძარი და ერთ სამრეკლოში შეიჭრნენ, სადაც წმინდა ნაწილები ინახებოდა. პირველი, რაც ხელში მოხვდათ დამპყრობლებს, მომცრო ზომის ტყავშემოხვეული საგანი იყო. ტყავი შემოხსნეს და ოქროს კოლოფში (ხატოვნად რომ ვთქვათ) ცისფრად მოელვარე თასი ნახეს, მთლიანი შვიდწახნაგიანი საფირონის ქვისაგან გამოკვეთილი. ლეგენდის თანახმად, ეს თასი გენუელ ჯვაროსნებს ხმელთაშუაზღვისპირეთში ანტიოქიიდან ჩამოუტანიათ. საუკუნეების მანძილზე ის სან ლორენცოს ტაძარში ინახებოდა და ყველანი მას წმინდა გრალად თვლიდნენ. მას საპატიო გუშაგებიც კი მიუჩინეს, ამგვარი წესები იყო უწინ: ყველაზე კეთილშობილი გენუელი ოჯახის წარმომადგენლები უცვლელად დარა-

ჯობდნენ ამ რელიქვიას. ლეგენდის თანახმადვე, ეს თასი ოდესღაც ქრისტეს სისხლით ყოფილა სავსე, იოსებ არიმათიელმა რომ შეაგროვა ჯვარცმისას. წელიწადში ერთხელ მთელი იტალიიდან და მეზობელი ქვეყნებიდან მოდიოდნენ მორწმუნენი გრალის მოსახილად. საკურთხევლიდან ეპისკოპოსი მაღლა აღაპყრობდა წმინდა თასს და მლოცველებს უჩვენებდა, – აქ მთხრობელი შეჩერდა, – ნაპოლეონის ბრძანებით შემოწმდა, მართლაც ნამდვილი საფირონისგან თუ იყო დამზადებული ეს თასი. აქვე შევნიშნავ, რომ სწორედ მისი ფასეულობა აინტერესებდა ნაპოლეონს ყველაზე მეტად. რადგან, სუფთა საფირონი ძვირად ფასობს, კორსიკელს კი მატერიალური სიმდიდრე ესაჭიროებოდა. ესეც თასის ამბავი, – წითურმა სული მოითქვა და კვლავ ალაპარაკდა: – ამავე დროს, ნაპოლეონის ჯარის სხვა ნაწილები ესპანეთში შევიდნენ. ბარსელონას მახლობლად ერთ მთაზე დაბანაკდნენ, რომელსაც მონსერატი ეწოდება. გადმოცემით, ამ კლდეზე ოდესღაც მდგარა ამავე სახელწოდების წმინდა ციხე-ქალაქი, საიდანაც ლოენგრინი და სხვა რაინდები მიემგზავრებოდნენ შორეულ ქვეყნებში კეთილშობილ და წმინდა საქმეთა აღსასრულებლად, თუკი, ცხადია, მორწმუნეთა ფრაზეოლოგიას მოვიშველიებთ. ნაპოლეონის ჯარისკაცებმა ნანგრევებად აქციეს ეს წმინდა ციხე, უფრო ზუსტად კი, იმჟამად მთაზე არსებული ბენედიქტელთა მონასტერი. იქ ყოფილა ქრისტეს სასწაულმოქმედი ხატი, თურმე ნუ იტყვით და, თვით ლუკა მახარობლის ხელით ხეზე გამოჭრილი. კაცმა რომ თქვას, თითო ასეთი სიწმინდე ყოველ მონასტერს აქვს საამაყოდ. როცა მონასტერი დაანგრიეს, იმავე წუთს გაბზარულა ნაპოლეონის მიერ პარიზში

ჩატანილი თასი. თავისთავად ცხადია, შემოწმებისას დაზიანდა, მაგრამ ხალხური წარმოსახვა ხომ ყველაფერს იდუმალ ბურუსში ახვევს! ამჯერადაც ასე მოხდა: აქეთ – აოხრებული მონასტერი, იქით – გაბზარული თასი და მორჩა, პარალელი გავლებულია. ეს ამბავი მხატვრულ თხზულებას უფრო მაგონებს, – კაცი კარგა ხნით დადუმდა და კვლავ განაგრძო, – საკითხავია ის, თვით ნაპოლეონი თუ უკავშირებდა ამ ორ მოვ-

ლენას ერთიმეორეს. ჩემი აზრით, ასეც იყო. ხალხმა გრალის განადგურება კორსიკელს დააბრალა. თვითონაც დამნაშავედ უნდა ეგრძნო თავი, რადგან მუდამ სწამდა ზებუნებრივისა. სიწმინდის შებღალვას ნანობდა და ამან დროთა განმავლობაში შეუმჩნევლად დაასუსტა ძლევამოსილი იმპერატორი. თასის ხელყოფისას გადაჭრით რომ ეთქვა უარი გრალის მითოსზე, სიწმინდის ხელშეუხებლობა რომ დაემსხვრია და ამით თვითონ არ დამსხვრეულიყო, აი, მაშინ უსათუოდ ააღწევდა ზეკაცის სიმაღლემდე. ვგონებ, უკანასკნელი საიდუმლოს ამოსახსნელად მაინც არ ეყო გამბედაობა. უფრო სწორად, მან ის ამოხსნა, ძალით გახსნა, მაგრამ მაშინვე სხვა საიდუმლოს შეაფარა თავი. ამით ნაპოლეონი ჩვეულებრივ მკრეხელად დარჩა, ხოლო ის, ვინც საიდუმლოს გასტეხს და ცოდვას არ შეუშინდება, უბრალო მკრეხელზე განუზომლად მეტია, – დუმილის შემდეგ წითურმა დასძინა, – აი, რა გვესაჭიროვება ღმერთთან ბრძოლაში.

მთხრობელი დადუმდა და თავისი ელამი თვალები შეავლო კუპეს. ახალგაზრდა კაცი მონუსხული შეჰყურებდა. ლევანი ციებაშეყრილივით მძიმედ სუნთქავდა. ძალზე უცნაური სულიერი მდგომარეობა დაეუფლა. ძილ-ღვიძილის ნატიფი ზღვარი მისთვის ნაცნობი იყო: სწორედ ამ მდგომარეობაში ეწვეოდა ხოლმე თითქმის ხელშესახები ზმანებები და შთაგონებანი. წითურის მიერ განმეორებულმა მისავე სიტყვებმა „თასი, წმინდა თასი!“ უეცრად გამოაფხიზლა და სინამდვილესთან დააბრუნა. როგორ დაუშვა ეს? თუნდაც ძილ-ბურანში ეს სანუკვარი სიტყვები ხმამაღლა როგორ წარმოსთქვა, თან მაინც და მაინც ამ შემზარავი სუბიექტის თანდასწრებით?! იქნებ ამ კაცმა წინასწარ იცოდა ის, რომ ლევანი გრალს ეძიებდა? მაგრამ, საიდან უნდა სცოდნოდა ეს? უცნობის მიერ მოთხრობილი ამბავიც თითქოს სპეციალურად ლევანისთვის იყო განკუთვნილი და შეფარული ნიშნისმოგებით იყო სავსე. ამ ყოველივემ უსწრაფესად ჩაუქროლა ფიქრებში ლევანს. ძრწოლა შეიგრძნო, მზაკვრული ირონიით გაჟღენთილ მონათხრობს ისმენდა და უეცრად თვალწინ ასეთი სურათი წარმოუდგა: თითქოს საქართველოში დაცულ გრალის

თასს ამაზრზენი ობობა, ტარანტული ეპარებოდა. სასწრაფოდ უნდა გაესრისა შხამიანი არსება! დაიძაბა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო, სურდა რაიმე გესლიანი შენიშვნით შეეჩერებინა მთხრობელი, მაგრამ, ამავდროულად, დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის შეცბუნება გაუჭირდებოდა. უცნობი გამორჩეულად გონებამახვილიც ეჩვენა და, ყველაფრის მიუხედავად, თითქოს უცნაურად ხიბლავდა კიდეც. ლევანმა უნებურად მოისინჯა ჯიბეში თავადის მიერ გადმოცემული გასაღები და, საოცარია, წამსვე სიმშვიდე და სიმედგრე შეიგრძნო და აუღელვებლად მოისმინა ამბავი ბოლომდე. რამდენიმე წუთი მიიწურა. წითური ირიბად და ქედმაღლურად იყურებოდა აქეთ-იქით.

– იმედია, არ მიწყენთ, თუკი თქვენი მონათხრობის ზოგიერთ დეტალში შესწორებას შევიტან, – გაისმა ზევიდან ლევანის ხმა, – ჯერ ერთი, თასი ანტიოქიიდან კი არა, კეფარეას მეჩეთიდან, ჰეროდეს ყოფილი ტაძრიდან იყო ჩამოტანილი. და მერე თვით თასი: იგი საფირონისგან კი არა, ზურმუხტისაგან ყოფილა

გამოკვეთილი და შვიდი კი არა, ექვსი წახნაგი ჰქონია. გარდა ამისა, ის სამრეკლო გენუაში, სადაც თასი ინახებოდა, იოანე ნათლისმცემლის სახელზე ყოფილა აგებული. დაბოლოს, რაც შეეხება ციხე-ქალაქს მონსერატის მთაზე: იგი არა მთის, არამედ თავის საკუთარ სახელს ატარებდა, ეს სახელია მონსალვაშ. შევნიშნავ იმასაც, რომ ამ ციხეს ოდესღაც პარციფალი იცავდა, – ლევანი წამით შეჩერდა და დასძინა, – მაგრამ ეს მხოლოდ წვრილმანებია, მთლიანობაში კი ამბავი სიმართლეს შეესაბამება.

წითური შეძრწუნებული ჩანდა, თვალები უწინდელზე მეტად გაუელამდა. არ მოელოდა, რომ საქართველოში ეს ამბავი ვინმეს ეცოდინებოდა, ის არც რუსეთში ყოფილა დიდად გავრცელებული. ახალგაზრდა კაცი ერთთავად მოხიბლული და აღფრთოვანებული ჩანდა თავისი მოძღვრით, მაგრამ იმანაც გაახარა, რომ მისმა თანამემამულემ თავი გამოიჩინა და ამბავი კიდევ უფრო გაამდიდრა.

– ძალზე მოხარული ვარ იმით, რომ მთელი ეს ამბავი ასე დაწვრილებით გცოდნიათ, – როგორც იქნა, სიტყვა ამოთქვა წითურმა.

– მე მხოლოდ ის მაკვირვებს, ასე დაჟინებით რად ილაშქრებთ საიდუმლოს წინააღმდეგ, – შენიშნა ლევანმა.

– ამის მიზეზი უკვე განვმარტე, – მიუგო კაცმა, – როგორც ჩანს, თქვენ იმ წუთში თვლემდით. ჩემს ახალგაზრდა ამხანაგს ვეუბნებოდი, ღვთის იდეას მანამ ვერ ამოვძირკვავთ, ვიდრე ყველა საიდუმლოს არ გამოვააშკარავებთ-მეთქი.

– აჰ, დიახ, მესმის. მაგრამ საიდუმლოს ამოხსნა ასე იოლი საქმე გგონიათ?

– უეჭველად.

– თქვენ გგონიათ, საიდუმლოს მიღმა სრულებით არაფერი ძევს?

– არაფერი.

– აბა, დააკვირდით მცენარის ზრდას. თესლის ყვავილად უხილავი გარდასახვის მოხელთება შეუძლებელია. აქ დაკვირვების სიძნელეს არ ვგულისხმობ: საბოლოო ჯამში, პროცესი კინოფირზეც შეიძლება აღიბეჭდოს. ლაპარაკია იმაზე, რომ შეუძლებელია გონებით ჩავწვდეთ მცენარის განვითარებას.

– პირიქით, სავსებით შესაძლებელია: მომავალი განვითარება ჩანასახშივეა მოცემული.

– ეს არ გახლავთ საკმარისი! ამ თვალსაზრისით, უკვე გაზრდილ მცენარეს უბრალოდ ჩანასახის შიგნით წარმოვიდგენთ. ეს კი ფიქრით უკან დაბრუნებას ნიშნავს და არა წინსვლას.

– მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ხომ შეიძლება მცენარე მის მთლიანობაში განვიხილოთ, არა ზრდის ეტაპებში, არამედ ისე, როგორც ერთიანი სახე და ფენომენი.

– შესანიშნავია. ის მართლაც სწორედ ასე უნდა იქნას განხილული, მაგრამ ეს მისი ფენომენის პლატონისეულ არქეტიპად ანდა გოეთესეულ წინარე მცენარედ დანახვას ნიშნავს, ხოლო თქვენი მატერიალისტური მიდგომა ერთნაირად გამორიცხავს ამ ორივე ხედვას. თანაც, გადამ-

წყვეტი სწორედ ის არის, რომ არქეტიპი რეალური მცენარისაგან მთლიანადაა მოწყვეტილი, თითქოს მასზეა უწინარეს, მისგან დამოუკიდებლად არსებობს. წინარე მცენარე უფრო ხატოვანია, მაგრამ კონკრეტული მცენარის წვდომაში ვერ დაგვეხმარება, რადგან, თუმცა მისი ხატი ზრდის თითოეულ ფაზაში ძევს, ის მაინც აბსტრაქტულია და სინამდვილეს სცილდება. ახლა ხომ ხედავთ, რომ საიდუმლოს ქერქქვეშ შეღწევა შეუძლებელია.

წითური დაჟინებით, მაგრამ აუღელვებლად და მტკიცედ შეეკამათა.

– და მაინც, შესაძლებლად მიმაჩნია ისეთი თვალსაზრისის მონახვა, თითოეული მოვლენის ძირეულ წვდომას რომ შეგვაძლებინებდა.

– შესაფერისი თვალსაზრისის ძებნამ შეიძლება სრულებით დაგვაკარგვინოს ის საგანი თუ მოვლენა, რომლის განჭვრეტასაც ვესწრაფვით. განა შეიძლება სატრფოს ამა თუ იმ თვალსაზრისით მივუდგეთ?

– სატრფოს წვდომაზე ვერაფერს გეტყვით, – ალალად უპასუხა წითურმა.

– ეს არც მაკვირვებს, – მიუგო ლევანმა.

წითური თავის მარცხს მაშინვე მიხვდა. ლევანმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ მისი ბოლო სიტყვები უცნობმა არ შეიმჩნია, თითქოს არც გაუგიაო.

– მართლაც სხვა კუთხით მივუდგეთ ამ საქმეს, – კვლავ წამოიწყო ლევანმა, – რატომ ხდება, რომ ყვავილი გაფურჩქვნას როგორც კი აღწევს, მაშინვე იწყებს ჭკნობას?

– რაც იბადება, უნდა მოკვდეს კიდევაც, – უპასუხა წითურმა.

– ეს მხოლოდ სიტყვიერი მტკიცებაა.

– თქვენი მტკიცებაც ასეთივე სიტყვიერია.

საუბარი ჩიხში შევიდა. ერთხანს ორივე დუმდა.

– ერთ რამეში მართალი ბრძანდებით, – ისევ წამოიწყო ლევანმა, – თუკი ვინმე შეძლებს, აკრძალული ზღვარი გადაკვეთოს და არ დაიღუპოს, მას ზეადამიანური ძალა ეძლევა.

– თქვენც ამ აზრის ხართ? – წითურმა გაოცება და თითქმის სიხარულიც კი გამოხატა.

– ...და ამის მაგალითად თქვენს მიერ ნაამბობი შემთხვევა მიმაჩნია, ნაპოლეონს რომ უკავშირდება, ოღონდ...

– ოღონდ რა?

– ამგვარად მოპოვებული ძალაუფლება შემოქმედებით ძალად ვერასოდეს გარდაიქმნება: ის გარდუვალად გაანადგურებს ყოველივეს და, საბოლოოდ, თავის მფლობელსაც. მადლობა ღმერთს, ნაპოლეონს, როგორც თქვენ ბრძანეთ, გაბზარულმა გრალის თასმა ერთგვარი შიში მოჰგვარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის გარშემო ვულკანივით გაანადგურებდა ყოველივეს.

წითური მოიღუშა.

– მაშ, თქვენი აზრით, საიდუმლოს მოწიწებით უნდა მოვეპყროთ? – გამოსცრა მან.

– უეჭველად.

– მაშინ სად მოვიპოვოთ ძალა მასთან შესარკინებლად?

– ვისაც სიწმინდის დაცვა აბარია, ისვე ფლობს ჭეშმარიტ და მართალ ძალას.

– ესე იგი, თქვენი აზრით, მცველნი გრალისა მის შემმუსვრელებზე უფრო ძლიერნი არიან?

– ნამდვილად! პარციფალი ნებისმიერ მკრეხელსა და ცოდვილზე უფრო ძლიერია, თუნდაც ეს თვით ნაპოლეონი იყოს!

– თქვენ ახლა ლეგენდარულ სახეს ისტორიული პიროვნების გვერდით აყენებთ.

– ლეგენდარული ხშირად რეალურზე უფრო მძლავრი და სარწმუნოა.

წითური კიდევ უფრო მოშხამული ჩანდა.

– მართლაც ასე რომ იყოს, – წარმოსთქვა ჩუმად, – მაშინ ღმერთს ვერასოდეს მოვიშორებთ თავიდან!

– ნუთუ ეს აუცილებელია?

– ყოვლად აუცილებელი! წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლებისათვის ჩვენს ბრძოლას აზრი არა აქვს.

– თქვენს თვალში ღმერთი ადამიანის უპირველესი მტერია!

– ასეც არის.

– თქვენ დოსტოევსკის პერსონაჟ კირილოვს[10] მაგონებთ. მისი სიტყვები თუ გახსოვთ?

– ეს სიტყვები, არა? „თუკი ღმერთი არსებობს, მაშინ ყოველივე მისი ნებისამებრ უნდა აღსრულდეს, მის გარეშე კი ვერაფერი აღსრულდება. ხოლო თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ნება ჩემია და მე თვითონ ვარ ღმერთი“. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ნიცშეც ამავე აზრისაა. და, თუმცა ორივენი შეშლილობამ შეიპყრო, ამ პუნქტში ორივეს ვეთანხმები.

– თქვენ შეშლილობა არ გემუქრებათ, საამისოდ მეტისმეტად გონიერი ბრძანდებით.

წითური შეცბა, ვერ გაეგო, რა აზრი ჩადო ლევანმა თავის ნათქვამში.

– ეს ისე, სხვათა შორის, – გაიღიმა ლევანმა, – მაშასადამე, თქვენთვის ღმერთი მტერია, მოწინააღმდეგე. მაგრამ ის ხომ არ არის პიროვნება ადამიანური გაგებით, როგორც მავანი პეტრე თუ ალექსი, რომელსაც შეიძლება დაუპირისპირდე, ის საერთოდ არ წარმოადგენს საპირისპირო სუბიექტს, არამედ ჩვენი არსის ელემენტია.

– დაახლოებით იმას ამბობთ, რასაც მაისტერ ეკჰარტი წერს.

– სწორედაც.

– მაგრამ ეკჰარტი იმასაც ამტკიცებს, ღმერთი ადამიანისაგან სრულებით განსხვავებული ფენომენიაო.

– დიახ, ოღონდაც ამასაც დასძენს: თუმცა ღმერთი სრულიად სხვაა, ის ჩემთვის მაინც საკუთარ არსზე განუზომლად უფრო ახლობელიაო. ამაზე უკეთ ვერ იტყვი.

– მომიტევეთ, მაგრამ ეს უბრალოდ სიტყვაკაზმული ნათქვამია და სხვა არაფერი. რა კუთხითაც არ უნდა შევატრიალოთ, ღმერთი მუდამ

[10] კირილოვი დოსტოევსკის რომან „ეშმაკნის“ პერსონაჟია.

დასაბამიერ არსად დარჩება, მე კი – მის ქმნილებად. მაშ, გეკითხებით, სადღაა ჩემი თავისუფლება?

– თქვენს შექმნილ ბუნებას მონობად რატომ აღიქვამთ?

წითური კვლავაც იჭვნეული აღშფოთებით მიაშტერდა ლევანს: მორიგ დარტყმად ხომ არ უნდა მიეღო ეს სიტყვებიც?

– დიახ, – განუმარტა ლევანმა, – თქვენ ღმერთთან დამოკიდებულებაში ისეთი პოზიცია გიკავიათ, თითქოს მოსვენებას არ გაძლევდეთ საკუთარი არასრულფასოვნება.

ამჯერად ლევანს მეტისმეტი მოუვიდა. წითურმა პასუხი არ გასცა. ჯოჯოხეთური, თუმცა შეკავებული სიძულვილი აიფარა აბჯრად. საუბარი ამით დასრულდა.

ამასობაში შებინდებულა. წითური წამოდგა და მატარებლის დერეფნისკენ გაემართა. სანამ იჯდა, მაღალი ტანისა ჩანდა და მხოლოდ როდესაც ადგა, ლევანმა შენიშნა, რომ მოკლე ფეხები ჰქონდა. თავისდაუნებურად რაღაც უცნაურად გაეღიმა: ზიზღით, მაგრამ სიბრალულითაც. ალბათ რა მარტოსულიაო, ეს გაიფიქრა. ნახევარი საათის შემდეგ კაცი კვლავ დაბრუნდა კუპეში. სულის დემონური უფსკრულის ალი უკრთოდა სახეზე და ამის გამო უწინდელზე კიდევ უფრო შეუვალი ჩანდა, – უძველეს ხალხთა რომელიმე კერპს მოგაგონებდათ.

– იცით, ახლა რას ვფიქრობდი თქვენზე? – უეცრად მიუბრუნდა იგი ლევანს, – სწორედ თქვენ მიმაჩნიხართ იმ ადამიანად, აკრძალული ზღვრის გადალახვა რომ ძალუძს. თვითონვე უწყით, რომ ეს საფრთხე მუდამ გიდარაჯებთ, მაგრამ, ამ მომაჯადოვებელ საფრთხეს ამავდროულად ეტრფით კიდეც. აღიარეთ, ხომ მართლაც ასე?

– ადამიანებში კარგად ერკვევით, – ღიმილით უთხრა ლევანმა: ამ ქათინაურით ეცადა საკუთარი შეშფოთების მიჩქმალვას.

– მაშ, რაო? – ულმობლად გაიღიმა დემონურმა კერპმა.

– მე ამას ვებრძვი საკუთარ თავში.

– იმის მაგიერ, რომ უზენაესი ყოფიერების ნეტარება იგემოთ?!

– მე უფრო დიდ ნეტარებას ვიცნობ.

– როგორს?

– საიდუმლოს ისეთნაირად მივუახლოვდე, რომ მისი დვრიტა არ დაზიანდეს.

– რას გულისხმობთ?

– თვითონვე ვიქცე საიდუმლოს ნაწილად.

– თქვენგან აღარაფერი დარჩება, ჩაიფერფლებით და არარად იქცევით!

– არა, უფრო მაღალ არსად გარდავისახები.

– რამ დაგაბრმავათ?!

ლევანმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ ჯიბეში გასაღები მოისინჯა.

– რამხელა ძალას ფლანგავთ უმიზნოდ! – თითქოს სინანულით ამოიოხრა წითურმა.

– გმადლობთ აღიარებისათვის! – უპასუხა ლევანმა.

უკვე გვიანი ღამე იყო, სამივენი დაწვნენ. ლევანი ვერ იძინებდა, დაღლილობა ერთბაშად გაეფანტა. წითურმა კი თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ხვრინვა ამოუშვა. ბინდის მიუხედავად, ლევანი მძინარე კაცის სახეს ხედავდა. თუკი სიფხიზლეში უდრტვინველი ჩანდა, ძილში ერთთავად შფოთი და ჭიდილი იყო. მოკლე ფეხები ძილში სასაცილოდ და უსუსურად უტოკავდა. თავს აქეთ-იქით აბრუნებდა, მარჯვენათი თითქოს რაღაცის მოხელთებას ცდილობდა, მარცხენათი კი ვიღაცის დარტყმებისაგან იცავდა თავს. მთელი სხეული მიუგავდა რეზინის თოჯინას, რომლის მოქანიზმი მწყობრიდან გამოსულიყო. ლევანს დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს მძინარეს საცაა თვალის კაკლები გადმოუცვივაო, ქუთუთოებქვეშიდან გამოსხივებულ ბნელ ნათებასაც ამჩნევდა. შემზარავი იყო ეს ყოველივე და ლევანს ჟრუანტელმა დაუარა. თანდათან მასაც დაუმძიმდა ქუთუთოები, მაგრამ ძილი არ ეთქმოდა იმას, რაც ეწვია: მძიმე ზმანება დააწვა, დროდადრო იმ შემზარავი კერპის სახეს რომ იღებდა. ხშირ-ხშირად ეღვიძებოდა და კვლავ ამ ზმანების ტყვეობაში ვარდებოდა.

გამთენიისას მატარებელი ქალაქში შევიდა. ლევანი წითურს დაემშვიდობა.

– ლევან ორბელი, – წარმოუდგინა საკუთარი თავი.

– ველსკი, – გაეცნო წითურიც. ჩანდა, ეს ყალბი გვარი იყო.

საუბარი კაფეში

თეატრის მახლობელ კაფეში კუთხის მაგიდას უსხდნენ მარჯანი, ავალა და მსახიობი უშანგი. ორის ნახევარი იქნებოდა. ამჯერად მარჯანი კარგ გუნებაზე ჩანდა.

– როგორც ვხედავ, შეუძლებელი უკვე განახორციელეთ, – მიმართა მას ავალამ.

– არა, ჯერ კიდევ შორს ვარ ამისგან, – შეფიქრიანდა რეჟისორი.

– ნება მიბოძეთ გკითხოთ, რაში მდგომარეობს სირთულე?

– საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის სცენაზე გაცოცხლებას ვცდილობ. უსათუოდ გეხსომებათ: თუ როგორ სთხოვს ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ახალგაზრდა მებრძოლი თავის თანამოძმეებს, მკერდი გაუპონ და სისხლიანი გული ამოუღონ...

– ...რათა ის წმინდა ჭალაში დაესვენებინათ. დიახ, ეს ამბავი ვიცი.

– მერე და? განა სცენაზე ამის წარმოდგენა რთული არ გახლავთ?

– ძალიან, – დაეთანხმა ავალა, – თქვენ გსურთ, ეს შემზარავი სურათი მაყურებლის თვალწინ გათამაშდეს?

– არა, ეს მეტისმეტად „ფიზიოლოგიური“ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე აღქმისათვის, – აუხსნა მარჯანმა, – გულის ამოკვეთის ეპიზოდი წარმოსახვითად იქნება ნაგულისხმევი, სცენაზე მხოლოდ უკვე ამოკვეთილ გულს ჩამოატარებენ.

– ვინ მონაწილეობს ამ ეპიზოდში?

– უშანგი დაიჭერს ხელში ჭურჭელს, რომელშიც გული იქნება მოთავსებული. ვასა და ხორავი უკან გამოჰყვებიან.

– კაცმა რომ თქვას, ეს საკულტო აქტის სახით უნდა იქნეს ნაჩვენები.

– დიახ, ეს საკულტო აქტია. ოდენ თეატრალურად გათამაშებული ეს სცენა ამაზრზენი სანახავი იქნება.

– მართალია. უშანგი, ვასა და ხორავი ისეთ ოსტატობას ფლობენ, რომ ამ სცენას სათანადო ხასიათს მიანიჭებენ.

– ამაში ეჭვი არ მაქვს. მაგრამ ამ სცენისათვის შესაფერისი ტექსტი ვერ შემირჩევია. აქ სადა, დასაბამიერი სიტყვებია საჭირო.

– განა ეს სცენა არ შეიძლება უსიტყვოდ გათამაშდეს?

– ის, სულ ცოტა, ათი წუთი მაინც გაგრძელდება. სპექტაკლი კი მხოლოდ ხანმოკლე პაუზებს იტანს.

ორივენი დადუმდნენ.

– ცოტა ხნის წინათ მოსკოვში იაპონური „კაბუკის“ თეატრის წარმოდგენას დავესწარი, – კვლავ წამოიწყო ავალამ, – სპექტაკლი საგმირო დრამას წარმოადგენდა სამურაების ცხოვრებიდან, მას ერქვა „ორმოცდაშვიდი რონინის დრამა“. ერთ-ერთმა მსახიობმა, განძირო ნაკამურამ, შეასრულა ოისი იოსიოს როლი, თავისი ბატონის გულისათვის დამცირება და სიკვდილი რომ აიტანა. მან ათწუთიანი უხმო სცენა გაათამაშა, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა ხარაკირს. ამ დროის მანძილზე სიტყვაც არ უთქვამს, მხოლოდ ხმალს ათამაშებდა და ეს ყოვლად მომნუსხველი სანახავი გახლდათ.

– იაპონელები სულ სხვა რამეს ანიჭებენ უპირატესობას, – მიუგო მარჯანმა, – მათთან ხმლის რიტუალურ მოქნევას ძალუძს, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე. აქ კი ამგვარი მხატვრული ხერხი არ გამოგვადგება. მართალია, ჩვენმა სცენამაც შეიძლება უსიტყვოდ შთამბეჭდავად იმოქმედოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ორიოდე წუთზე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ათი წუთი – ეს უკვე მაყურებლის გამოწვევაა. არა, აქ სიტყვები გვესაჭიროვება.

ერთხანს ისევ დაფიქრდნენ.

– განა ავტორის არ შეუძლია ამგვარი ტექსტის დაწერა?

– არა, ეს მის ძალებს აღემატება, – უპასუხა მარჯანმა.

– მაშინ ეგებ ლევან ორბელმა შეძლოს ეს? – გაუბედავად იკითხა უშანგმა.

– შესანიშნავი აზრია! – შეჰყვირა გახარებულმა ავალამ, – თვითონ როგორ არ მომაფიქრდა?! ლევანი ერთადერთია, ვისაც ამგვარი რამ შეუძლია!

– კი მაგრამ, როგორც გავიგე, ჯერ კიდევ თავადთანაა საირმეში, – შენიშნა მარჯანმა.

– დიახ, – დაუდასტურა ავალამ, – მაგრამ წუთი წუთზე ველი მის დაბრუნებას.

– ეს ძალზე სასიხარულოა, – თქვა მარჯანმა.

საუბარი გაგრძელდა. ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა ლევანი, მიესალმა მარჯანს, ავალასა და უშანგს და მათ მაგიდას მიუჯდა. რამდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ რეჟისორმა თავისი გასაჭირი გაანდო და დახმარება სთხოვა. ლევანი დაფიქრდა.

– უკიდურესად რთული საქმეა, – თქვა ბოლოს, – მაგრამ მაინც ვეცდები.

– ძალზე მადლობელი დაგრჩებით, – უპასუხა მარჯანმა.

– არაფერია, მაგრამ ეს საქმე სწრაფად ვერ გაკეთდება, – მიუგო ლევანმა, – განსაკუთრებულ, მშვიდ გარემოში მომიწევს წასვლა, რათა იქ სათანადო განწყობა მეწვიოს.

– მანგლისზე რას იტყვით? – შესთავაზა რეჟისორმა, – სწორედ იქ ვაპირებ ჩემ მსახიობებთან ერთად ზაფხულის გატარებას.

– შესანიშნავია! მანგლისი ზედგამოჭრილია ამგვარი ჩანაფიქრის აღსასრულებლად, – დათანხმდა ლევანი.

ამაზე საბოლოოდ შეთანხმდნენ და ორიოდ წუთის შემდეგ მარჯანი და უშანგი მეგობრებს დაემშვიდობნენ.

ლევანმა გამომცდელი მზერა მიაპყრო ავალას.

– აბა, მითხარი, რაში დაგჭირდი?

– სიმართლე გითხრა, მინდოდა მეთხოვა, რამდენიმე თვით საქართველოდან წასულიყავი, – დაიწყო ავალამ და შეყოვნდა.

ლევანი გაოცებული შესცქეროდა.

– მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეს არ გამოვა, შენ მანგლისში უნდა წახვიდე, – ავალას მანამდე თავში არ მოსვლია, რომ სასცენო ტექსტის შედგენა ასე დიდ დროს მოითხოვდა.

– კი მაგრამ, რისთვის გინდოდა, რომ საქართველო დამეტოვებინა? – ჰკითხა ლევანმა.

– გავიგე, ამ ზაფხულისათვის აჯანყება მზადდება, – ჩურჩულით ამცნო ავალამ.

ლევანი მეხდაცემულივით იჯდა.

– კარგად გიცნობ, მუდამ სახიფათო საქმეში ეხვევი, – უთხრა ავალამ, – და ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა ზაფხული უცხოეთში გაგეტარებინა.

– მადლობელი ვარ მზრუნველობისათვის, – უპასუხა ლევანმა, – მაგრამ ჩემ მიწას არასოდეს მივატოვებ, მით უმეტეს კი ახლა, მოახლოვებული საფრთხის პირისპირ. გარდა ამისა, – დაუმატა მშვიდად, – ამგვარი მითქმა-მოთქმისა დიდად არ მწამს. ანტიბოლშევიკური მოძრაობის მეთაურები არც ისე უგუნურნი არიან, რომ ასე დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგან.

საუბარი მიწყდა. ავალა აღფრთოვანებით შეჰყურებდა მეგობარს.

– შენ საით მიემგზავრები ზაფხულში? – ჰკითხა ლევანმა მოგვიანებით.

– გელენჯიკში[11] გამგზავრებას ვფიქრობ. ხომ იცი, ცოლ-შვილს ზღვის ჰაერი ესაჭიროვება, – უპასუხა ავალამ.

– გელენჯიკში? რა მშვენიერია! – გაუხარდა ლევანს, – ქალბატონი ნორინაც იქ აპირებს წასვლას. იმედია, ერთგულ რაინდად მოევლინები, – უთხრა მეგობარს ღიმილით.

– ვეცდები, – გაუხარდა ავალასაც.

შემდეგ ავალას ბინისაკენ წავიდნენ. მთელი გზა თავადის სასახლეში გატარებულ არაჩვეულებრივ დღეებს იხსენებდნენ.

[11] შავიზღვისპირა კურორტი რუსეთში, კრასნოდარის მხარეში.

მანგლისში

მანგლისი, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი სააგარაკო ადგილი, თბილისიდან სამოცი კილომეტრით დაშორებული, ამ ზაფხულს სავსე იყო დამსვენებლებით, მაღლობებსა და ტყეში რომ ტკბებოდნენ მზითა და კრიალა ჰაერით. შეკრების ადგილს კლდეებსა და ბორცვებს შუა მოსწორებულ ტაფობში გაშენებული უმშვენიერესი ფიჭვნარი წარმოადგენდა. შუა ჭალაში ღიობი იყო, სადაც ჩამოსულები სეირნობდნენ და თამაშობდნენ.

ლევანიც ახლა მანგლისში იმყოფებოდა. მხოლოდ აქაურობის წარმტაცი სილამაზე როდი ხიბლავდა; გრძნობდა, ამ მიდამოს თითოეული ელემენტი განსაკუთრებული ენერგიით რომ იყო გაჟღენთილი, უფრო სულიერით, ვიდრე ფიზიკურით. ის, რასაც ძველი ინდოელნი „აკასას“ უწოდებდნენ, ყოველივეს მსჭვალავდა. ყვავილები თუ ყლორტები, წიწვები თუ ბალახი, ბელტი თუ ქვა – ყოველივე სიცოცხლეს ესწრაფოდა და ყოველივეს საიდუმლოს უხილავი რიდე ეფარა. ქმნილება ჯერაც შემოქმედის სუნთქვით თრთოდა, ყოველი საგნის მიღმა იდგა ის, უხილავი. სულისშემძვრელი იყო თითქმის ამის შეგრძნება. აქ თითქოს მარად იდგა ბუნიობის სანეტარო და გრძნეული წამი, კოსმოსის მაჯისცემას რომ შეგაგრძნობინებს. ლევანი ჭვრეტდა ყოველი არსის იდუმალ წრებრუნვას და ამ ზღაპრულ ლანდშაფტში თავდავიწყებით ეშვებოდა. ხევში პატარა მდინარე ალგეთი ჩამოედინებოდა, რომლის მღვრიე, მოყვითალო წყალი ლევანს სამყაროს ელემენტთა ჭკნობასა და ხრწნადობას მოაგონებდა და გულს უმძიმებდა.

ხშირად ადიოდა მაღლა, კლდეებზე. ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა ღრმა ხევებსა და მღვიმეებს, თითქოს კლდეში ბუნებრივად გამოკვეთილ სამარეებსა და სარკოფაგებს. სიცოცხლის სუნთქვა დაღუპვას უფრთხის, მაგრამ აქაც კი შემოუღწევია. დაღარულ, ციცაბო კლდეებზე ლევანმა უცნაური ასო-ნიშნები შეამჩნია, თვით ბუნების მიერ ნაწერი. რა ნატიფი და მრავალფეროვანი დამწერლობით გვამცნობს თავის სიბრძნეს

სამყარო! ჭიისგან დახრულ მორს გამხმარი ქერქი რომ ჩამოფხიკო, ზოგ-ჯერ ყოვლად უცნაურ მონახაზებს აღმოაჩენ, თვით შესაქმისეულ ლურ-სმულ ნაწერს რომ მოგაგონებს. კლდის ღარებიც ამგვარ ლურსმულს ჰგავდა. ნამდვილი აკასაა, გაიფიქრა ლევანმა.

საათობით იჯდა კლდის ქიმზე და შთაგონებას ელოდა, რომელიც ჯერაც აყოვნებდა მოსვლას. შინაგანი მზერით ჭვრეტდა გარდასული დროის სალოცავებს, საიდანაც ღვთაებათა ძალა და მადლი გარდამო-დიოდა და მიდამოს მსჭვალავდა. ძველებს ასეთ ალაგას მიჰქონდათ შე-საწირად რტოები, ყვავილები თუ ფერადი ბაწრები, წმინდა მცენარეს ამ ძღვენით ამკობდნენ და ნაყოფიერების ძალებს აღვიძებდნენ. ლამ-პრებსაც ანთებდნენ, საგალობლებს აღასრულებდნენ და ღმერთებს საღვთო ცხოველებს სწირავდნენ. ლევანი უძველეს საუკუნეთა ქროლ-ვას შეისუნთქავდა, ხევ-ხუვებში, როგორც ზღვის ნიჟარებში, რომ დავა-ნებულიყო.

მზის ჩასვლისას ჩვეულებრივ შინ ბრუნდებოდა; წუთით ყოვნდებო-და ფიჭვნარის პირას და მთებს აჰყურებდა. მწვერვალებზე ნაზად კრთე-ბოდა უკანასკნელი სხივები. უეცრად დაშნებივით გადაიკვეთებოდა და – ჰოი, შემობრუნების საოცარი წამი! – რეტდასხმულ ლევანს მათ გადაკ-ვეთაში ციალი ელანდებოდა გრალის თასისა. მხოლოდ ერთ წამს გრძელდებოდა ეს ხილვა, მაგრამ, როგორც კი ქრებოდა, ლევანს კვლავ ავალას მღელვარე ჩურჩული ჩაესმოდა, აჯანყებისათვის მზადებას რომ ამცნობდა. და იმავ წამს მოდიოდა დამანგრეველი ფიქრი: წმინდა თასი საფრთხეშია. თავზარდაცემული ტოვებდა იქაურობას და გონს მხო-ლოდ მაშინ მოდიოდა, როდესაც მსახიობთა ბინას აღწევდა.

საღამოებს მარჯანთან ატარებდა ჩაის სმასა და სასიამოვნო საუბარ-ში. დიდი რეჟისორი უბრალოდ ნიჭიერი კი არა, ღვთისგან კურთხეული იყო: ზღვის ტალღებში არეკლილი მზის ნათელივით ასხივებდა სიცოც-ხლის ხალისს. ამაში მას მხოლოდ ოდილიანი თუ შეედრებოდა. მის სი-ახლოვეს სევდა და კაეშანი ქარწყლდებოდა. ლევანი გრძნობდა მისგან მომდინარე უსახელო ძალას, რაც მის საკუთარ არსებაში შემოქმედებით

დვრიტად გარდაისახებოდა. მარჯანი უამბობდა შემთხვევებს თავისი მრავალფეროვანი ცხოვრებისეულ-პროფესიული გამოცდილებიდან. დროდადრო, თითქოს სხვათა შორის, იმ სპექტაკლსაც ახსენებდა, ამჟამად რომ ამზადებდა დასადგმელად. ამა თუ იმ დეტალში ლევანს რჩევას ეკითხებოდა, ყველაზე ხშირად კი იმ სცენაზე ამახვილებდა ყურადღებას, სადაც უშანგი, ტრაგიკული გმირი, ბრძოლის ველიდან მოდიოდა ხორავსა და ვასას თანხლებით და დაცემული მეგობრის ჯერაც მთრთოლვარე გული სამსხვერპლო თასივით აღეპყრო ხელში. თითოეული სიტყვა აქ უშუალო და პირველქმნილი უნდა ყოფილიყო, რიტუალური პათოსითა და მოწიწებით აღვსილი. მარჯანი ლევანში შემოქმედებით ცეცხლს აღვივებდა, ისიც მოულოდნელად ქმნიდა მხატვრულ სახეებს. ასე, ორმხრივი შთაგონებით იწერებოდა ტექსტი ამ სცენისათვის. ლევანი შუაღამეზე ადრე არასოდეს ტოვებდა მარჯანს. შინ მიმავალს, შორიდან კვლავაც ჩაესმოდა გამოსათხოვარი შეძახილები, წყვდიადში ჩაფლული, შთაგონებულ ზმანებად ქცეული ქალის შრიალს კი მსახიობთა სიმღერის ხმა ერთვოდა.

შინ მობრუნებულ ლევანს მუდამ უშინაგანესი ძრწოლა ეუფლებოდა. თავის ოთახში დიდხანს იჯდა უძრავად, ხელში თავადის მიერ ნაჩუქარი ოპალით, მის სიღრმეში მოთამაშე სხივს ჩაჰყურებდა და თვალწინ წმინდა გრალი ედგა. ასე იჯდა, ვიდრე ქალაში უკანასკნელი სიმღერის ჰანგები არ მიწყდებოდა.

ასე გადიოდა დღეები და კვირები მანგლისში. ლევანი განდეგილივით ცხოვრობდა, მისი ფიქრი კი ყოველწუთს იმ არსებას სწვდებოდა, რომლის სახელსაც ჩურჩულებდა საკუთარ თავში ჩაღრმავებული. ნორინა უყვარდა ისე, როგორც მამაკაცს უყვარს ქალი, მაგრამ ამ გრძნობაში საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა. იცოდა, მისი გრძნობა და-ძმურ სიახლოვეს რომ აღემატებოდა, მაგრამ ფიქრით ამაზე შორს არასოდეს წასულა. ქალი მგზნებარე, გულწრფელ წერილებს სწერდა, რასაც ის შეკავებული, მშრალი სტრიქონებით პასუხობდა, მაგრამ საყვარელი ქა-

ლის ყოველ სიტყვას გულში ინახავდა და ისევე ელოდა, როგორც გამომ-
შრალი ჭა მოელის მიწიდან ამომსკდარ ანკარა ნაკადს.

შორეული ალერსი

გელენჯიკი, 25 მაისი

ძვირფასო ლევან, უკვე ერთი კვირაა, რაც გელენჯიკში ვართ მე, დედაჩემი და პატარა გოგი. ეს ყოვლად წარმტაცი დასასვენებელი ადგილია შავი ზღვის სანაპიროზე, სანახევროდ მთაზე, სანახევროდ კი დაბლობზე რომ განფენილა. შავი ზღვა მშვიდია და მძლავრი, შორით, ყრუდ ისმის მისი გუგუნი. წყლის თვალუწვდენი, კრიალა სარკე გადაჰფარვია ამ უფსკრულს, პოსეიდონის ცხენის ფლოქვმა რომ დაამჩნია დედამიწის ზურგს. ჰაერი მზის სილბოთია გაჟღენთილი. დედაჩემს გული აწუხებს და ეს ჰაერი მას განსაკუთრებულ შვებას ჰგვრის. უბრალო კოტეჯში ვცხოვრობთ და მიწის სურნელით ვსუნთქავთ.

იცით, აქ ვის შევხვდი? ავალას. ხომ მშვენიერია? ის თქვენზე უფრო ერთგული „რაინდი“ გამოდგა. თქვენც რატომ არ წამოხვედით მასთან ერთად? მან მიამბო, რომ გელენჯიკი სიტყვასიტყვით „თეთრ სასძლოს“ ნიშნავს და რომ ოდესღაც აქ ჩერქეზთა დასახლება ყოფილა. მას შემდეგ, რაც მთის ხალხთა დიდმა წინამძღოლმა, იმამ შამილმა რუს დამპყრობლებთან ოცდახუთწლიანი გმირული ბრძოლის შემდეგ 1859 წელს ფარ-ხმალი დაყარა, მაშინ ნახევარ მილიონზე მეტი ჩერქეზი თურქეთში გადახვეწილა, რადგან ერთ დღესაც კი არ სურდათ მონობაში ცხოვრება. ჭეშმარიტად გმირული ნაბიჯია!

ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვხვდებით და სასეირნოდ ვიწრო კონცხზე დავდივართ, სადაც მზეს განსაკუთრებული ძალა აქვს. ეს ადგილი თვით დასახლება გელენჯიკთან ცოტა მოშორებით მდებარეობს და იქ თითქმის არავინ დადის. ავალა არაჩვეულებრივი და უაღრესად მგრძნობიარე ადამიანია. მომწონს მისი დიდრონი, მორუხო-მოცისფრო თვალების შთაგონებული მზერა! გამორჩეულად ლამაზი ხელები აქვს და ამით თვითონაც ამაყობს. ასეთი ხელები მხოლოდ თავად გიორგის აქვს. მის ხელისგულს ვაკვირდებოდი და თვალში მეცა გულის ხაზი: ისევე, როგორც თქვენს მარჯვენა ხელისგულს, მასაც მზის ნიშანი ატყვია.

მაგრამ ვერ გამიგია, რატომაა ის ასე ლბილი, თქვენ კი – ასე „მკაცრი“? მარჯვენა ფეხზე ოდნავშესამჩნევად რომ კოჭლობს, ეს მის სილბოს რაღაც საოცრად თვინიერ უსასოობას ანიჭებს. დროდადრო მიკითხავს თავისი ახალი რომანის ნაწყვეტებს. რამდენადაც ქართული ენის ცოდნა მაძლევს ამის საშუალებას, მეჩვენება, რომ, წმინდა ეპიკური თვალსაზრისით, მთლად სრულყოფილად ვერ ახერხებს სათქმელის გადმოცემას, თუმცა მისი ხატოვანება ნამდვილად შთამბეჭდავია. ავალა ძალზე დიდ პატივს გცემთ, უყვარხართ კიდეც, შესაძლოა, მეტისმეტადაც. თქვენთან ალბათ ერიდება საკუთარი გრძნობის გამომჟღავნება. თქვენს შესახებ ბევრს მიყვება და ამას განსაკუთრებული მოწიწებითა და სისათუთით სჩადის. მე სიხარულით ვუსმენ, ვაქეზებ კიდეც ახალ-ახალი ამბები მიამბოს თქვენზე.

წინა დღეებში მთაში ავედით და დოლმენები დავათვალიერეთ. ნუთუ ეს უზარმაზარი ლოდები მართლაც ადამიანის ხელმა აზიდა ამ სიმაღლეზე და ერთიმეორეზე დააწყო? საოცარია და თითქმის დაუჯერებელიც. უძველესი დროის ადამიანის უძირო დუმილითაა სავსე ეს ლოდები. შემზარავი და, ამავდროულად, მომნუსხველი სანახავია.

გუშინწინ მივიღე თავად გიორგის წერილი, რომლის რამდენიმე სტრიქონი თქვენც გეძღვნებათ, თუმცა მის სიტყვებს აქ არ მოვიყვან, დაე, ცნობისმოყვარეობამ გაგტანჯოთ! ამის გამო ხომ არ გამიბრაზდებით? სიამოვნებით იხსენებს თქვენი სტუმრობის დაუვიწყარ დღეებს. ეს მართლაც შესანიშნავი იყო. ჯერაც თვალწინ მიდგას ეს მზიური ადამიანები, მათ შორის კი, გამორჩეულად, ერთი კაცი, აღმოსავლეთის შეიხის პირქუში იერით, საფრთხის მოახლოვებისას, ხმლის ნაცვლად, ყველასათვის მოულოდნელად, ლოცვას რომ იშველიებს. ზღვის გრილ წყალში ბანაობისას დროდადრო სხეულით შევიგრძნობ სხივების თბილ ალერსს. შეუძლებელია, ამაზე ნეტარად შეიგრძნო მზის სითბო. აი, ეს განცდა კვლავაც მაბრუნებს საირმეში თქვენთან ერთად გატარებულ იმ დღეებს. თუ ფიქრობთ ჩემზე?

ჩემი ძმა ზაფხულის დასასრულს ჩრდილოეთის ზღვაზე მოგზაურობაში მეპატიჟება.

ნორინა.

მანგლისი, 29 მაისი

ძვირფასო ნორინა,

ახლა ერთი უძველესი თქმულების შესწავლით ვარ დაკავებული. მას კარგად ვიცნობ, მაგრამ ამჯერად მსურს იმდენად ღრმად გავითავისო, რომ შინაგან გამოცდილებად გადამექცეს. საამისოდ შესაფერისი გარემო მჭირდება, სწორედ ისეთი, როგორიც აქ, მანგლისშია. კლდეები, ტყე, ხევები და გამოქვაბულები, მდელოები – ყოველივე ეს ცოცხლად შემაგრძნობინებს მითოსს. დიდი ნაწილი თქმულებისა უკვე შემოვიდა ჩემს არსებაში. ეს შეუდარებელი განცდაა, მაგრამ, რაკიღა აქ წარმოსახვითი განუყოფელია სინამდვილისაგან, ამიტომ ეს შეგრძნებაც თან ჩემეულია, თანაც შორეული. ამიტომაც ჩემში ისევ სიშორის მონატრებამ გამოიღვიძა.

დღეს ეს განცდა განსაკუთრებულად მომეძალა და სწორედ ამ დროს მოვიდა თქვენი წერილიც: ვკითხულობდი და ასე მეგონა, შევარდენის ფრთათა შრიალი შემომესმა. თქვენს სტრიქონებს რომ ვკითხულობ, თვალწინ მოჭრილი მწიფე მტევნები წარმომიდგება, ჯერაც მზის სითბოთი რომ სუნთქავს.

ვფიქრობ თუ არა თქვენზე? აქ ახლომახლო პატარა, სანახევროდ დაქცეული საყდარი დგას. შემთხვევით გვერდით რომ ჩავუვლი ხოლმე, მუდამ წუთით მაინც ვჩერდები და მდუმარე ლოცვით შევთხოვ ღმერთს ერთადერთ რამეს: თქვენ ჩემ გვერდით იყოთ, რათა შემეძლოს, შუბლით უღონოდ მიგეყრდნოთ მხარზე. ამ უხმო სიახლოვეს ვნატრობ, თქვენ კი ასე შორს ხართ. კარგია, ჩემ მეგობარ ავალას მაინც რომ შეუძლია თქვენი ნახვა. მე აქ თქმულებებს ვუღრმავდები, ის კი ამ დროს ცოცხალ მითოსს ეხება. ბანაობის შემდეგ ტალღებიდან ნაპირზე გამოსული ქალის დანახვაზე ავალას ზღვის ქაფისაგან ნაშობი აფროდიტე მოაგონდება.

ჩრდილოეთს მიემგზავრებით? წინასწარ გხედავთ გემბანზე, მზისა და ქარისაგან ოდნავ გარუჯულს, შემოსილს სადა და გრილი თეთრი ტილოთი; დაჟინებით ჩაჰყურებთ წყალს. სათანადო განწყობის შესაქმნელად, თქვენ გარშემო ზღვას სარკესავით გადაკრიალებულად წარმოვიდგენ, ჩრდილოეთის მზეს კი – სისხლისფრად! თოლია ისე დაბლა ეშვება, რომ ქათქათა მკერდით სულ ოდნავ ეხება წყალს და კვლავ ცაში აფრინდება. თმა გაშლილი გაქვთ და მზის სხივებში ისიც ანთია: ოქროს საწმისის დარად, და ეს მეტაფორა არ გეგონოთ. მარტოდმარტო ხართ, მაგრამ ბევრი დრო არ გავა, რომ თავს თაყვანისმცემლები დაგეხვევიან: „მას ძალუძს, ნებისმიერი გარემოცვა უნებურად სამეფო კარად აქციოს“, – ეს პროსპერ მერიმემ თქვა ტალეირანის შესახებ. ეს სიტყვები, სიმართლე თუ გსურთ, თქვენ უფრო შეგეფერებათ. სამკაული არ გიკეთიათ, მხოლოდ მარცხენა ხელის არათითზე გიბრწყინავთ დიდებული ზურმუხტი, რომელზედაც მავანი რომაელი ქალის პროფილია ამოკვეთილი. წუთით სარკისაკენ გააპარებთ თვალს და კვლავ, თითქოს შემთხვევით, შეხედავთ ზურმუხტს. ოდნავ ბრაზობთ, რადგან გეჩვენებათ, რომ თვალები მასავით არ გიბრწყინავთ: იმას აბრალებთ, რომ ცუდად გეძინათ. მაგრამ თაყვანისმცემლები აღტაცებით გარწმუნებენ იმაში, რომ თქვენი თვალების გვერდით ზურმუხტი მკრთალი და უფერულია. თქვენ მტკიცე და მშვიდ პასუხს აძლევთ, თქვენი ხმა ნატიფად და ხალისიანად ჟრერს, თვალებში ღიმილი გიკრთით. მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, თორემ, ვშიშობ, ჩემი ფანტაზია შორს წამიყვანს. უკვე თითქმის „ვეჭვიანობ“.

ლევანი.

გელენჯიკი, 7 ივნისი

ძვირფასო ლევან,

ფანტაზიამ მართლაც მეტისმეტად შორს გაგიტაცათ, ჩემო მეგობარო. თუმცა, ეს ხომ პოეტების სენია. მაგრამ იმდენად დამაჯერებლად წერთ, რომ თავი უკვე გემზე წარმოვიდგინე. ვხედავ გლეტჩერთა თვალისმომჭრელ სიქათქათეს, კლდეების ფერდებს, ლაჟვარდისფერ უძირო წყალში ლანდებივით რომ უჩინარდება. ჰაერიც, ფერებიცა და თვით

მზეც აქ სპეტაკი და ცივია. ჰორიზონტზე ზღაპარივით მოჩანს კუნძულები; ციცაბო კლდეების ბასრი წვერები ნისლითაა მოცილი – ნიფლჰაიმი[12]. ღმერთები პირქუშად შემომყურებენ, მე ხომ მათი გზააბნეული ქალიშვილი ვარ. იქნებ ოდესმე მე და თქვენ ერთად ვიმოგზაუროთ ამ ადგილებში. მაშინ ამ უცხო მიდამოს შემოქმედებითად გაითავისებთ და მეც თქვენი თვალებით დავინახავდი მას: ამაზე მეტად არაფერს ვესწრაფვი. თქვენი „ეჭვიანობა“ სრულიად უსაფუძვლოა, ამ ზაფხულს აღარასად მივემგზავრები.

აქ ბედნიერებისაგან მთვრალი ვარ. არა მხოლოდ გულით, არამედ თვალებით, ტერფებითა და ყოველი უჯრედით შევიგრძნობ ნეტარებას. აქ ჭეშმარიტად ჩავწვდი სხეულის მიწასთან წმინდა ქორწინების არსს. სამყაროს ოდენ თვალებით კი აღარ ვუმზერ: ჩემი სული ეხმატკბილება ბუნების უნაზეს სიმღერას. აქა-იქ ზაფრანისფრად ღუის მიწის ნაპრალები და კლდოვანი ღრმულები: მე ვფიქრობ, ღმერთს სწორედ ამგვარი

წითელი მიწის ბელტისაგან უნდა გამოეძერწა პირველი ადამიანი და ქართული თქმულებაც ხომ ამასვე მოწმობს. მზე მშვიდად მსჭვალავს ყოველივეს თავისი სხივებით. ცის სილურჯე ღვთისმშობლის თვალებს მაგონებს, განსაკუთრებით, იმ წუთებში, როდესაც მზე ახალი ჩასულია. ბედნიერი ვარ. მხოლოდ თავადი გიორგის სიახლოვე მაკლია და კიდევ ერთი „მკაცრი“ კაცისა, მხოლოდ „მშრალ“ წერილებს რომ მწერს. ვიცი, ახლა გეღიმებათ.

ამ დღეებს კონცხზე ვატარებ, მხოლოდ მზისა და ტალღების გარემოცვაში, ჰომეროსის სტრიქონებივით მძიმედ და ზანტად რომ მიმოიქცევა. მუქად მოელვარე ზღვა ძლიერ მიზიდავს. თქვენს გამოთქმას მოვიშველიებ: ალბათ ჩემი ქტონური ფესვები ზღვის წიაღშია მართლაც. როდესაც ის თითქოსდა მშვიდი და უძრავია, მაშინ ზედ ნაპირთან მისულ, ფოთოლზე უთხელეს, უნატიფესად მთრთოლავ ტალღას ვაკვირ-

[12] ნიფლჰაიმი – „ნისლის სავანე“, სკანდინავიურ მითოლოგიაში შვიდი ერთ-ერთია სამყაროს შვიდი სკნელიდან. ეს საიქიოა, სადაც სიკვდილის ქალღმერთი ჰელი ბატონობს.

დები ხოლმე. ვინ წარმოიდგენს, რომ ეს უფაქიზესი მოძრაობა უშორეს ფსკერზე იღებს სათავეს? თქვენ, მამაკაცებს, თუნდაც პოეტებს, ხშირად არ გესმით ის, რომ ქალის არსებაში უმცირესი მღელვარება ტალღების ამგვარ მოძრაობას ჰგავს. ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს ზღვას თავისავე უძირობა სტანჯავს. ვგონებ, ასევეა ქალიც. ქალი ისეთ გრძნობას ესწრაფვის, მის არსებას მთლიანად რომ შემორკალავს, საკუთარ თავში ისე მოიქცევს, როგორც ძვირფას თასში, რათა მისი მბორგავი და მღელვარე არსის ერთი წვეტიც კი არ გადმოიღვაროს. განა არსებობს ამაზე დიდი ბედნიერება?

დღეს დიდხანს ვცურავდი, შემდეგ ერთ კლდეზე ვიწექი, ჩემთვის საგანგებოდ რომ ამოვარჩიე, და მოცალეობით ვტკბებოდი; ვუსმენდი ტალღების ჩურჩულს, მის სუნთქვას და თითქმის ამ დასაბამიერი ელემენტის პლაზმას შევერწყე. ჩემი არსების ნაპირებით შევისრუტავდი ყოფნის სიტკბოებას: როგორც ის ფოთლისსიმსხო მთრთოლვარე ტალღა ეფერება ქვიშიან ნაპირს და, ბედნიერი, კვლავ თავის მშობელ უძირო წიაღს უბრუნდება.

კიდევ დიდხანს ვიწექი ნაპირზე საკუთარ თავში ჩაღრმავებული; ჩემში შრიალი იდგა, როგორც ზღვის ნიჟარაში. სხვათა შორის, ერთი შავზოლებიანი ხვეული ნიჟარა თქვენთვის ვიპოვნე. ვკითხულობდი რილკეს „სონეტებს ორფევსისადმი“. ერთმა მათგანმა უსასრულო სივრცეში გადამიყვანა. მას ჩემი ხელით აქ გადმოგიწერთ, რათა თქვენც დატკბეთ.

სუნთქვავ, უხილავ ლექსად მიცვნიხარ!
ნიადაგ ჩემი არსობის ირგვლივ
სამყაროს სივრცის წმინდა მიმოცვლავ, საპირწონე ხარ,
სადაც ვარსებობ ჩვეული რიტმით.
ხარ ერთადერთი ტალღა, რომელის
თანდათან მზარდი ზღვა მე ვარ თავად;
შენ, ზღვათა შორის ზღვარმოზომილი, –
სივრცეხალვათად.
ამ სივრცეების რამდენი არე, ზეცათა ბჭენი

დავანებულა უკვე ჩემს წიაღ. მავან-მავანი

ქარები თითქოს ძე იყოს ჩემი.

ჰაერო, მიცან, ჩემეულით აღსავსევ ოდით?

შენ, პირველქმნილო გლუვო ლაფანო,

ჩემი სიტყვების სიმრგვალე ხარ, ფოთოლი მხმობი.[13]

იშვიათად ავუღელვებივარ ლექსს ასე ძლიერ. ის ჩემს შინაგან განწყობას შელოცვასავით იმეორებს. რაც უფრო ვუღრმავდებოდი მის სტრიქონებს, მით უფრო სრულად შევიცანი ჩემივე გული. ჯერგანცდილი ნეტარება დამეუფლა და, ამავე დროს, ავფორიაქდი. გული ისე ამიჩქროლდა, მეგონა, გამისკდებოდა. მომეჩვენა, თითქოს საკუთარ თავს ვკარგავდი. ერთხანს ასე უღონოდ ვიყავი და, უცნაურია, მაგრამ უეცრად თვალწინ თქვენმა სახებამ ჩამიქროლა.

ნორინა.

მანგლისი, 17 ივნისი.

ძვირფასო ნორინა,

უღრმეს მადლობას გიხდით თქვენი თბილი და საყვარელი წერილისათვის. რა მშვენიერია, რილკეს ეს ლექსი რომ გადმომიწერეთ! თქვენი მტკიცე და, ამავე დროს, მსუბუქად გაკრული ხელით ნაწერი ეს ტაეპები ჩემთვის მოუხელთებელი სიცოცხლით სუნთქავს. საოცარი ხილვაა, თითქოს მუსიკალურ ფუგაში აღბეჭდილი. წარმომიდგენია, რა ძლიერ უნდა ემოქმედა თქვენზე ამ ლექსს სწორედ ნეტარი გარინდების წუთებში. მე მგონია, თქვენმა სულმა, ჯერაც მიწის ზედაპირს მოწყვეტილმა და ღია სივრცეში მოფარფატემ, შეისუნთქა ეს სტრიქონები და ამიტომაც შეიგრძენით კვლავ ტალღების ერთიმეორესთან ნეტარი შეხება. მაგრამ ეს ყოფიერება კი აღარ იყო, არამედ განყენებული სახე. მაგრამ აქ, ჩემი აზრით, საშიშ სფეროში შეაბიჯეთ. არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ. შეუცნობელთან მიახლოვება ჭეშმარიტი ნეტარებაა, ჩვენი არსება მის ზღურბლს სუნთქვაშეკრული გადალახავს, მაგრამ მასთან სრულად განზავებას ვერასოდეს ახერხებს, მუდამ რჩება მათ შორის უთხელესი ნაპ-

[13] გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა.

რალი. ყოფიერების სრულყოფილი აღსრულებაა, როდესაც სამყაროს სრულყოფილად ვეზიარებით და, ამავე დროს, ჩვენს საკუთარ თვითარსსაც ვინარჩუნებთ. მაგრამ ამ ზღვარის დაცვა ძალზე ძნელია. ოდნავი ეჭვი, ანდა ერთი მწიკვი თავკერძოება – და ღვთიურ არსთან ზიარების ნაცვლად არარაობის სიმყიფეში ვეშვებით. თქვენ იმ დროს შეძელით სულის სიმრთელის შენარჩუნება. მთელი არსებით შევიგრძნობ იმას, თუ რა შეშლილი მგზნებარე რიტმით გიფეთქავდათ ძარღებში სისხლი და ახლადგამოღვიძებული სხეულის ყველა უჯრედით შეეგებეთ უნეტარეს ტალღებს, ყოველი კუნთი და სახსარი დაგეძაბათ და, უცხო ნათებით

განმსჭვალული, თვითონაც სხივოსან მნათობად იქეცით. ეს იყო სამყაროს განცდა, წმინდა ყოფიერება. ლექსში ეს განცდა ამოიცანით და კვლავ დაუბრუნდით, მაგრამ, ასე მგონია, ამით ის სივრცე-სიშორე და წინასწორობა ხელიდან გამოგეცალათ. დაუშვებელია, მიუბრუნდე ერთხელ განცდილს, მით უმეტეს, ასე მძაფრად განცდილს. ყოფიერება სიცოცხლის ხეა, ხოლო როდესაც მის წვდომას ვცდილობთ, გარდუვალად ვეწაფებით მეორე ხის ნაყოფს. რაღაც უცხო შემოიჭრა, როგორც ჩანს, იმ წუთში თქვენსა და სამყაროს შორის და ამიტომაც იგრძენით თავი ყოველივესაგან გარიყულად.

ძვირფასო ნორინა, ჩვენს სულს ესაჭიროება მიწის პლაზმა, ის სიმწიფესა და სიმყარეს გვანიჭებს. მეჩვენება, რომ თქვენს ქალურ არსში დროდადრო წყდება ეს სისხლისმიერი კავშირი მიწისა მზესთან. თუმცა ეს ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს ამის გამო ნაკლებად ვიყო თქვენით აღფრთოვანებული.

დიდი სიხარული მომანიჭა იმან, რომ ნეტარი თავდავიწყების წუთებში თვალწინ ჩემი სახე წარმოგიდგათ. ნება მიმეცით, ვივარაუდო, რომ ამ ზმანებამ მეორე ადამიანში საკუთარი თავი გაპოვნინათ. ბევრი რამ მსურს მოგწეროთ ამის შესახებ, მაგრამ თავს შევიკავებ, რადგან, ვშიშობ, ჩემი სტრიქონები უწინდელზე უფრო „მშრალად“ არ გეჩვენოთ.

ზუსტად ისევე გენატრებით, როგორც თავადი გიორგი? მადლობელი ვარ!

ლევანი.

გელენჯიკი, 22 ივნისი

ძვირფასო ლევან,

თქვენ ჩემს არსებას მხოლოდ გაუბედავად შეეხეთ, თავადი გიორგი კი უფრო ზუსტია. მან ჩემი ჰოროსკოპი შეადგინა და აი, რას წერს: „ჩემს უსაყვარლეს რძალს, ნორინას, თევზების ნიშანში უმშვენიერესი, ყოვლისმომცველი მზე ადგას თავზე, რომელიც სამკუთხედს კრავს იუპიტერსა და ნეპტუნთან ერთად, მაგრამ მისი მთვარე საფრთხეშია: მთვარე თხის რქაშია და ნეპტუნთან, ურანსა და მარსთან ერთად ქმნის კვადრატს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს ადამიანი სანთელს ორივე ბოლოდან უკიდებს ცეცხლს. მისი მცენარეული ბუნება უძლურია ბნელ ძალთა წინაშე. უეცარი გადაწყვეტილებანი და ფიცხი საქციელი თვითგანადგურების ზღვარზე აყენებს. მას არ შეუძლია საკუთარი თავის დათმობა და სხვისთვის მინდობა, რადგან იქ, სადაც სხვას უნდა მიენდოს, თვითონ გადაიქცევა თავდამსხმელად და მბრძანებლად. აქედან მოდის მისი დამანგრეველი მედიდურობა, განუწყვეტლივ რომ ებრძვის მისი არსების მეორე, ქალურ და დამყოლ მხარეს. გამორიცხული არ არის, ოდესმე სახელი მოიხვეჭოს, მაგრამ ეს ძალზე ძვირად დაუჯდება. ყველა შემხვედრზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. თუკი საბედისწერო საშიშროების თავიდან აცილება სურს, მთლიანად თავისი სულის მზიურ ძალას უნდა დაეყრდნოს, რაკიღა მთვარე ვერ დაეხმარება“. დასასრულს კი მაინც მანუგეშებს: „ეს ყოველივე მხოლოდ მოცლილი მოხუცის ნაბოდვარია, ჩემი ნორინა სინამდვილეში უმშვენიერესი არსებაა მათგან, ვინც კი ოდესმე შემხვედრია“.

ახლა ვკითხულობ თქვენს წერილსა და ამ ასტროლოგიურ მსჯელობას. გაოცებული ვარ, იმდენად მართალია ორივე. დიდი გამბედაობაა საჭირო საიმისოდ, რომ სინამდვილეს, მით უმეტეს, თუკი ის პირადად შენ გეხება, თვალი გაუსწორო და თავის მოტყუებას არ შეეცადო. საკუ-

თარი თავი მაშინებს. რა შემზარავია, როცა შენსავე არსებაში დავანებული საფრთხის წინაშე დგახარ!

ნორინა.

მანგლისი, 27 ივნისი

ძვირფასო ნორინა,

თქვენ ჯერ კიდევ ბავშვი ხართ და მადლობა ღმერთს, რომ ასეა! გთხოვთ, დამშვიდდეთ და გახალისდეთ. ყოველი ჩვენგანი სამყაროსთან კოსმოსურ კავშირშია ჩაბმული, მაგრამ მნათობების შესახებ ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი არსის სუბსტანციაზე. მაგრამ ეს ცხოვრება არ გვეძლევა ოდენ საჩუქრად, ის აგრეთვე დავალებაცაა და, როგორც ყველა დავალება, საკუთარ თავში ხიფათს შეიცავს. ის შეიძლება ვერ შესრულდეს, ანდა შესრულდეს მცდარად. ამ მხრივ მუდმივად საშიშროების ზონაში ვიმყოფებით და, რაც უდრო დიდია პიროვნება, მით უფრო ღრმაა ამ საფრთხის უფსკრული. მზიური ადამიანი შეიძლება უნაშთოდ ჩაიფერფლოს, თუკი თავისი მზიური სუბსტანციის მართვა-მოწესრიგებას ვერ გაუმკლავდა. საბოლოოდ ყოველივეს ბედისწერის სასწორზე დადებული ჩვენივე პიროვნული თვითარსი გადასწყვეტს. ის კი ღვთაებრივი წარმომავლობისაა. დავუშვათ, თქვენს მთვარეს მართლაც საფრთხე ემუქრება. თქვენ მაინც ძალგიძთ მისი გამრთელება. ის, ვინც ასე მძაფრად განიცდის სამყაროს ელემენტებთან კავშირს, როგორც თქვენ შეძელით ეს ზღვისპირა კლდეზე, ის უსათუოდ იპოვის წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭირო ძალას. ის, რასაც ჰოროსკოპი გამცნობთ, მხოლოდ მასალაა, დასამუშავებლად რომ გეძლევათ. შეხედეთ თქვენს არსს, როგორც შემოქმედებით ამოცანას, განგებამ რომ დაგაკისრათ.

გთხოვთ, იმ იშვიათ მზიურ წუთებში, როდესაც გარშემო ყოველივე გაფაციცებულა და მხოლოდ საკუთარ სუნთქვას აყურადებს, წარმოთქვით ეს ლოცვა „ატჰარვავედადან“:

„როდესაც ვწევარ შენს გულ-მკერდზე, მიწავ,

და ვბორგავ, ვწრიალებ მიუსაფარი,

და შემდეგ, როცა ზურგს გვაქცევ და ჩვენივ ფერდებით
გეკვრით და ვეძებთ მოსვენებას, მაშინ, მიწაო,
გთხოვ, ლბილი იყავ და ტკივილს ნუ მოგვანიჭებ,
შენ ყოველივეს საყრდენი ხარ, დედაო მიწავ“.

გთხოვთ, განუწყვეტლივ იმეორეთ ეს ლოცვა და წარმოიდგინეთ, თითქოს მცენარის მარცვალი ყოფილიყოთ, და მაშინ თავს ლევკოიონის ყლორტად შეიგრძნობთ, ფესვიდან ბუტკომდე რომაა გაჟღენთილი მზის ენერგიით.

ლევანი.

გელენჯიკი, 2 ივლისი.

ჩემო ძვირფასო, ძვირფასო ლევან!

თქვენი წერილი გულში მზის წვეთად ჩამეღვენთა და ახლა, როცა ამას გწერთ, მთელი ჩემი არსება სინათლითაა გაჯერებული და „ატჰარვავედას“ სიტყვებს შვილებივით ვიკრავ გულში. ისინი იმდენად სათუთი და წმინდაა, რომ შეუძლებელია, მათი წარმოთქმისას თვითონაც ბავშვად არ იქცე. ყოველდღიურად ვიმეორებ მათ, როგორც ლოცვას. როდესაც ვდუმვარ, ის მაშინაც განუწყვეტლივ ჟღერს ჩემში და ვგრძნობ, გულიც თანდათან მიწისადმი მიძღვნილი ამ საგალობლის თითოეულ სიტყვასავით სუფთა და უბიწო მიხდება.

ნორინა.

მანგლისი, 6 ივლისი

ძვირფასო, ძვირფასო ნორინა!

როგორ მიხარია, ეს ინდური გამონათქვამი ასე სათუთად რომ შეითვისეთ! სულ მალე შეიგრძნობთ მის მკურნალ ძალას. თქვენს წერილთან ერთად მიღებული პატარა შეკრულა რომ გავხსენი, გამოცდი: მასში ის ნიჟარა იდო, თქვენ რომ ვიწრო კონცხზე იპოვეთ ჩემთვის. დიდხანს მეჭირა ხელში და თქვეზე ვფიქრობდი: „საკუთარ თავში ისე ჩაღრმავებულზე, როგორც შრიალი ავსებს ნიჟარას“. მარჯვენა ყურზე მივიდე და შორეულ შრიალს ვუსმენდი, ასე მეგონა, ნიჟარა თქვენი სისხლის შრი-

ალით იყო სავსე. ამაზე მშვენიერ საჩუქარს ვერც ერთი მამაკაცი ვერ მიიღებს ქალისაგან.

ლევანი.

გელენჯიკი, 10 ივლისი

ძვირფასო ლევან,

გუშინ დედაჩემს ისევ გულის მძიმე შეტევა ჰქონდა. საწოლზე იწვა მდუმარედ, თითქმის უგონოდ, სიცარიელეში მიმართული მზერით. თავთით ვეჯექი და აუტანელი განცდა მაწამებდა: მზად ვიყავი ყოველივე გამეღო, ოღონდაც დედას დავხმარებოდი, მაგრამ ავადმყოფობა ტლანქად და ულმობლად გადამეღობა გზაზე. ამავდროულად, ვგრძნობდი იმასაც, რომ, თუკი ის მომჯობინდებოდა, ამით მე თვითონაც ჩამომეხსნებოდა უმძიმესი ტვირთი. ალბათ დედაც ამასვე თუ გრძნობდა, რადგან არაფერს ამბობდა. მტანჯველი წუთები იწურებოდა. უეცრად, თითქოს სინათლის სხივი ჩამწვდაო სულში: ვიგრძენი, საკუთარი თავი როგორ გადავლახე და სინათლეში შევაბიჯე. ამავე წუთში დედამაც იგრძნო შვება, სახე გაუნათდა და, თუმცა ისევ სევდიანად, მაგრამ ნდობითა და იმედით შემომხედა. სიხარულით დავინახე მის მანამდე დახშულ სახეზე შინაგანი ნათება. შესაძლოა, პირველად შევნიშნე ეს მის სახეზე. ამან ძლიერად იმოქმედა ჩემზე.

როდესაც დედამ თავი ოდნავ უკეთ იგრძნო, სასეირნოდ გავედი, თან იმაზე ვფიქრობდი, თუ რა ცუდად ვიცნობთ თუნდაც ჩვენს უახლოეს ადამიანებს. ათასობით ადამიანი გვხვდება და უმრავლესობა მხოლოდ უსახო სხეულებად რჩება ჩვენთვის. მაგრამ შესაძლოა ერთადერთხელ წამით ამოვიცნოთ უცხო შემხვედრი, მის სახებაში ისეთი რამ ამოვიკითხოთ, რაც წარუშლელად ჩვენთან დარჩება, თუნდაც ის ვეღარასოდეს ვიხილოთ. მსგავსი რამ შესაძლოა ადამიანსა და ცხოველს შორისაც მოხდეს. ყოველ ჩვენგანს გამოუცდია ალბათ თუნდაც ერთი ისეთი წუთი, როდესაც საყვარელი ძაღლი უეცრად ადამიანურ მზერას მოგვაპყრობს. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ძაღლის სახეზე შეიძლება ღიმილიც კი აღიბეჭდოს. უცნაურია, მაგრამ ამგვარი მომენტები სხვის მზერა-

ში საკუთარი თავის ამოცნობისა კატასთან ურთიერთობისას ბევრად უფრო იშვიათია, ანდა სულაც შეუძლებელი. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ შეშლილი ადამიანის შინაგანი სახება ჩვენთვის ბოლომდე დაფარულად რჩება, თითქოს სულის ნანგრევებქვეშ ყოფილიყოს დამარხული.

აი, ამ ფიქრებში ჩაფლული, შეუმჩნევლად მივადექი „ჩემს“ მუხას. მის ჩრდილში ვტკბებოდი სიმშვიდითა და სითბოთი. ალბათ შეგინიშნავთ, რომ ჩრდილში მზის სხივები უფრო ლბილი, მაგრამ, ამასთან, უფრო კაშკაშაცაა. ახლაც სხივები თვალებივით ბრწყინავდა ხშირი ფოთლების ჩრდილებს შორის. ერთმა სხივმა განსაკუთრებულად მომაჯადოვა, ხელიც კი გავიწვდინე და მივეფერე, მასთან წარმოუდგენელი, გამოუთქმელი სიახლოვე ვიგრძენი. უეცრად დავინახე, ხიდან დიდი ფოთოლი როგორ ჩამოვარდა ფარფატით. მოალისფრო ყვითელი ფერი უკვე შეჰპარვოდა: წამით კანკალმა ამიტაცა, თითქოს ძვირფას გარდაცვლილ ბავშვს ვიკრავდი გულში. წამოვდექი და ნაპირისაკენ გავწიე. ზღვა გადაჭიმულიყო, უძრავი, მშვიდი და მძლავრი. თვალს ვადევნებდი სიფრიფანა ტალღებს, ნაპირის კენჭებს რომ ეფერებოდა და კვლავაც უძირო სიღრმეს უერთდებოდა. ერთი ტალღა უეცრად ჰაერში ავარდა და ისე მძლავრად მიენარცხა ნაპირს, რომ მასთან ერთად გულიც ძალუმად შემიტოკდა. რომ ვბრუნდებოდი, კვლავ მზით ვიყავი გაბრუებული, ეს ტკბილიც იყო და თან შემზარავიც. უცბად მომაგონდა თქვენი ნათქვამი, მზესთან პირადი ურთიერთობა უნდა დავამყაროთო. შევკრთი. ნუთუ სწორედ ეს დამემართა?

ნორინა.

მანგლისი, 14 ივლისი

ძვირფასო ნორინა,

ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გამახარა თქვენმა წერილმა. დიახ, ყოველ არსს თავისი ფარული სახე აქვს. რა შეიძლება ვთქვათ მთის მდინარეზე? ის ყოველწუთს სხვაგვარია, მუდამ დენადი. ჰერაკლიტეს თქმით, ერთსა და იმავე მდინარეშე ვერავინ შევა. და მაინც, მის მშვენე-

ბას გულით დავატარებთ, მისი ხმა კი არც ერთი სხვა მდინარის ხმაში არ აგვერევა. ყოველი არსების ფარული სახე ღამით მჟღავნდება, ღამე ანიჭებს გამოკვეთილ ნაკვთებს. ძველები ალბათ სწორედ ამას უწოდებდნენ აჩრდილსა თუ მოჩვენებას. მე მგონია, მაქცია-მგელიც საკუთარ თავში დაატარებს იმ არსებას, რომელიც ოდესღაც თვითონ იყო, მის სახებას ვერასოდეს ვერ გაექცევა. ასევეა ბუნებაც, მასაც ნივთიერი ნაკვთები და იერ-სახე აქვს. ხომ გახსოვთ საქართველოს სახელგანთქმული სამხედრო გზა? აქ მზისა და მიწის საოცარი შეუღლების მომსწრენი ვხდებით: მზის სხივებით დარწყულებული მიწა მზადაა ცად ამაღლდეს, მაგრამ ამასთან ნაყოფ-ყვავილის უხვ სიმძიმეს მაინც ვერ თმობს. ნეტავი განახათ ირანის ზეგანზე აღმართული სალი კლდეები! ისინი მთვლემარე ზეციურ არსებებს ჰგვანან, მზიურ ნირვანაში მონანავენი, მარადისობას რომ ჭვრეტენ სიზმრად.

გადამწყვეტ წუთს, როდესაც გამოუცნობი გვიახლოვდება, მზად უნდა ვიყოთ ისეთი ნახტომისათვის, რომელიც ჩვეულებრივ სიმამაცეზე განუზომლად მეტია. ეს იმ უნატიფესი ზღვარის გადალახვას ნიშნავს, თქვენ რომ ახსენეთ, და, თუკი ეს შევძელით, მაშინ არამარტო ადამიანებსა და ცხოველებთან, არამედ ქვებსა და მცენარეებთანაც კი უშინაგანეს სიახლოვეს შევიგრძნობთ. იმ ხალხებს, ვისაც ჯერაც შერჩათ ხეების კულტი, ჭეშმარიტად დრუიდული გრძნებით ამყარებენ ხესთან კავშირს.

ჩემი ბავშვობის დროინდელ პატარა ამბავს გიამბობთ. ჩვენს ოღროჩოღრო ეზოში მუხა იდგა, ყველანი „დიდმუხას“ რომ უწოდებდნენ. მართლაც გოლიათი იყო, შვიდი მამაკაცი თუ შემოაწვდენდა გაშლილ მკლავებს. მძლავრი ტოტები ჩრდილს ჰფენდნენ ეზოს მთელ კვადრატს. მთელი სოფლის გუშაგად აღმართულიყო ჩვენი დიდმუხა. ბობოქარი ქარი რტოებს როცა აგლეჯდა, ძრწოლითა და მოწიწებით შევცქეროდით ამ ხეს, რომელიც მისი შემოტევისაგან თითქოს კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ჯერ კიდევ ცოცხლობდა ჩვენში გადმოცემა, რომლის თანახმადაც ეს ხე უხსოვარ დროს ჩვენს წინაპარს დაერგა. ერთ დღეს მეზობელი სოფლიდან მისანი მოვიდა. ჩემმა თანასოფლელებმა უკანასკნელ

წლებში თავსდატეხილი უბედურებები შესჩივლეს. დიდხანს ყურადღებით უსმინა, შემდეგ ერთბაშად ფეხზე წამოხტა და მიდამო შეათვალიერა. მუხასთან მივიდა, მკერდით მიეკრო და მკლავები შემოხვია. დიდპატარა, ყველანი ვუცქერდით მონუსხულნი და ხმას ვერ ვიღებდით. უეცრად კაცი გველნაკბენივით მოსწყდა მუხას და დაიკივლა: „ხეში ავსულები შესახლებულან!“ ამ ამბავმა თავზარი დაგვცა, სოფელმა

მუხის „მოკვლა“ გადაწყვიტა. ეს წარმოუდგენლად მტკივნეული იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერავინ ნახა. რამდენიმე დღეს უთხრიდნენ სოფლელები ძირს და, კვირის თავზე, როგორც იქნა, წააქციეს. მუხის წაქცევა დღესაც თვალწინ მიდგას, ამდენი წელიწადის შემდეგ. მოკლული ურჩხულივით გართხმულიყო ძირს. მდუმარედ ადგნენ გარს სოფლელები, ერთთავად დამძიმებულნი. განაპირას ღობეს მიყრდნობოდა მოხუცი ფრიდონი, პაპაჩემის ძმა. დაღარულ ღაწვებზე ცრემლი სდიოდა. ხალხი ადგილიდან არ იძვროდა: თითქოს გამოუცნობმა ძალამ ყველას კიდურები შეუბოჭა. როდესაც არე-მარეს გადავხედეთ, ყველამ იხილა შემზარავი, პირდაბჩენილი სიცარიელე, რომელსაც სამუდამოდ გაეპო სოფლის მიდამო. ამ განცდამ წელში გაწყვიტა მთელი სოფელი. წაქცეული მუხის ხილვამ პირველად შემაგრძნობინა სიკვდილი.

ლევანი.

გელენჯიკი, 15 ივლისი

ჩემო ლევან,

მუხის ამბავმა შემძრა. მაინც რა სათუთად განიცდით ქართველები ხეს! მე ახლა სხვა მცენარეზე ვფიქრობ: ვაზზე, რომლის ტოტისაგან წმინდა ნინომ ჯვარი გამოჭრა და საკუთარი თმით შეკრა. მსგავსი მხატვრული სახის შექმნა მსოფლიოს არც ერთ პოეტს არ ძალუძს! ჯერაც ჩამესმის ნინოსადმი თქვენეული საგალობელი. ვინ შეიძლება დასავლეთში გაუტოლდეს ამ წმინდანს? ვფიქრობ, ჟანა დ’არკი. ეს გასაოცარი ლოტარინგიელი გოგონა ჩემთვის ცოცხალი განსხეულებაა თქვენი ვაზის ჯვრისა: ერთთავად ცეცხლის ალია და სპეტაკი შროშანი, ღვთაებრივი სინთეზი, რომლის მსგავსიც ევროპის ისტორიაში არ მოიძევება. უმწიკ-

ვლო ბავშვი, ღვთაებრივი შეშლილობით ატაცებული, მიუწვდომელს რომ სწვდება, ანგელოზთა ხმებს ისე უბრალოდ და თამამად ესაუბრება, როგორც საკუთარ თანასოფლელებს. მზის სითბოთი გაჯერებული მწიფე მტევანია. მასში ყოველივე უშუალოდ ღვთიურია და, ამიტომაც, გახსნილია მადლის მისაღებად. ღმერთთან უახლოესი პირადი ურთიერთობა აქვს, განა შეიძლება დედამიწაზე მცხოვრებმა ამაზე მეტს მიაღწიოს? ის რაციოს არ ეკუთვნის, მაგრამ რად უნდა რაციო? ყოველი ჭეშმარიტების ხელდასხმულია, მაგრამ არა გარედან. წამით, მხოლოდ წამით სწვდება ადამიანი სამყაროს ყველა საიდუმლოს – და ეს ქალს მამაკაცზე უკეთ უნდა ესმოდეს. თითოეულ პოეტსა და მოაზროვნეს განცდილი უნდა ჰქონდეს ამგვარი წამი, რომელიც მას სამყაროს ხელდასხმულად ხდის. წმინდა იოანასათვის კი მთელი არსებობა ამგვარი წამია, უსასრულოდ განგრძობილი. რა ნეტარებაა! ნეტავ ადამიანებმა ყოველ წამოწყებულ საქმეს ამ ქალწულისადმი ლოცვა წაუმძღვარონ და განუწყვეტლივ გრძნობდნენ მასთან სიახლოვეს: როგორც დასთან, ქალიშვილთან თუ დობილთან. ჩემთვის ის ერთდროულად სამივეა, თვალწინ მიდგას მისი უბრალო სახება და ნათელი, უშიშარი თვალებით მიმზერს. სიხარულისაგან ლამის ავტირდე. მის სადიდებლად მინდა ვემთხვიო ნინოს ჯვარს, რომლის მწიფე მტევანიც თვითონაა.

ნორინა.

P. S. ეს სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა, როცა ავალა მესტუმრა. ვკითხე, რით ახსნით-მეთქი იმას, რომ ანატოლ ფრანსი დაჟინებით ცდილობდა იმის გამორკვევას, მართლაც ქალწულად თუ დარჩა წმინდა იოანა. ავალამ მიპასუხა: „ეს ფსიქოანალიტიკოსთათვის საინტერესო თემა უნდა იყოს“. ორივეს გაგვეცინა.

მანგლისი, 20 ივლისი.

ნორინა, ჩემო ნორინა,

თქვენს მიერ გამოგზავნილი ნიჟარა საუკეთესო საჩუქარი მეგონა, რაც კი ქალმა მამაკაცს შეიძლება მიუძღვნას, მაგრამ ის, რაც წმინდა იოანასა და ქართული ვაზის ჯვრის შესახებ მომწერეთ, მართლაც ყველა-

ფერს აღემატება. თქვენ იცით, რა სათუთი გრძნობით მიყვარს ეს ჯვარი: ის ჩემი ქედდამსხვრეული სულის უკანასკნელი ნუგეშია. ის კი არ იცით, რამდენად მიყვარს თვით ეს ჟანა. როცა მასზე ვფიქრობ, ყოფიერება თავის ღვთაებრივად მარტივ სახეს მიჩვენებს. ახლა კი გაოცებული, ვხედავ, რომ ეს ქალწული მზით გაჯერებული მტევანია, ჩვენი ვაზის ჯვარზე რომ ჰკიდია. განა მე, როგორც ადამიანი და როგორც შემოქმედი, ოდესმე მივაგნებდი ასეთ შესანიშნავ სურათს? ნეტავ შემეძლოს ახლა, თქვენს მშვენიერ და ბრძენ შუბლს ქართული ვაზის ფოთოლი გადავუსვა ნაზად, ძალიან ნაზად...

ლევანი.

გელენჯიკი, 27 ივლისი

ლევან, ძვირფასო!

საამო გათანგულობა, გამოღვიძება, როცა პიროვნება ჯერ კიდევ თვლემს. კომშის ახლადმოწყვეტილი, მძიმე, ყვითელი ნაყოფი ძილ-ბურანში ჯერაც იტევს მზის ნეტარ სითბოს. რა ზანტად, შეუმჩნევლად ცვლის ერთიმეორეს დღეები და ღამეები. მათ არ ვიხსენებ, მათში განვაგრძობ არსებობას ახალშობილი ჩვილივით, რომელიც ჯერ კიდევ აგრძელებს მუცლადყოფნას.

სიზმარში თუ ვარ? უეცრად გამოჩნდა „ის“, ვისაც ქალები მუდამ მოველით. პირველი ნახვითვე ერთურთი სიღრმისეულად განვჭვრიტეთ. ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა და ამ დროს მარტონი რომ ვყოფილიყავით, ეს მზერა მზის ორლესურ მახვილად განგვმირავდა ორივეს. მთვლემარე მდელოებზე მივაბიჯებდით და ერთურთის მზერას ერთთავად მახვილადაც შევიგრძნობდით და სხივადაც. ვიცოდით ჩვენი ბედი; ო, რა ნეტარებაა ეს სისხლისმიერი წვდომა! მჯერა, ეს სულ სხვა ცოდნაა და იმ ცნობადის ხესთან საერთო არაფერი აქვს. ის გვერდით მომყვებოდა მდუმარედ, ერთურთს არ ვესაუბრებოდით და

არც ვეხებოდით. ვგრძნობდი საკუთარი სისხლის მოზღვავებას და ჩემი სისხლი გრძნობდა, რომ მასშიც ზუსტად ასეთივე მოზღვავებაა. შემდეგ ის გაქრა, თუმცა ყოველწუთს უნდა დაბრუნებულიყო. ჩემს სის-

ხლში მღელვარებამ დაისადგურა. ამ შიშისმგვრელი მღელვარებით – ნიჟარა ხომ მუდამ უფრთხის თავის წიაღში მოშრიალე ზღვას – დიახ, ამ მღელვარებით იზომება ქალის გრძნობის სიმძაფრე. ბურუსში ჩაძირული, ისევ ველოდი. სიზმარი იყო?

საღამოობით მთელ საათებს ვატარებ ზღვასთან, ისე ჩუმია ამ დროს, თითქოს საკუთარ თავში იყოს ჩაბრუნებული. და ის სიტყვები, ტყეში სეირნობისას გამოუთქმელი რომ დარჩა, დღესაც ღვივდება და მწიფს ჩემს არსებაში. ზოგჯერ მგონია, საგანთა და ელემენტთა იდუმალი სატრფო ვარ და ისინი, უძრავნი, მეალერსებიან. მათი სიმშვიდე ჩემში ისე იღვრება, თითქოს სისავსეს მოწყურებული ჭურჭელი ვიყო. მე არარა ვარ, უბრალოდ ქალი ვარ, საკუთარ თავში რაღაცას რომ აყურადებს და ძილ-ღვიძილში საკუთარი არსების დაბრუნებას მოელის. ეს უნეტარესი წამია. და ამ დროს ჩემში კვლავაც იძვრის ის მღელვარება, რომელიც უკვე აღარ არის შიშის მომგვრელი.

ნორინა.

მანგლისი, 1 აგვისტო.

ნორინა, საგანთა და ელემენტთა იდუმალო სატრფოვ!

დღეს ერთმა მეგობარმა ქალმა მომიტანა ერთი წიგნი, „ლეგენდები ფრანჩესკო ასიზელის შესახებ“, ლოცვანის მსგავსად, პატარა, კოხტა გამოცემა. ამგვარ ლეგენდებს მუდამ იჭვნეულად ვუმზერ, მაგრამ ციცქნა წიგნაკი მაინც ინტერესით გადავფურცლე. ერთმა ადგილმა მიმიჯაჭვა: მასში აღწერილია ამბავი, თუ როგორ მივიდა უბრალო მომლოცველის მოსასხამით შემოსილი წმინდა მეფე ლუდოვიკო, რომელსაც ვეთაყვანები, ფრანჩესკოს ერთ-ერთ მოწაფესთან, ეგიდიუსთან. „მეფესა და ეგიდიუსს ერთმანეთი მანამდე არასოდეს ენახათ, მაგრამ ერთმანეთის წინაშე მოწიწებით მოიყარეს მუხლი და ისე თბილად გადაჰკოცნეს ერთიმეორე, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. მათ შორის სიტყვაც არ თქმულა, მდუმარედ იდგნენ ასე დიდხანს, მუხლმოყრილნი, და ერთმანეთს ეხვეოდნენ. შემდეგ, ასევე ხმისამოუღებლად, დასცილდნენ ერთი მეორეს: მეფე ლუდოვიკომ განაგრძო მომლოცველობა, ეგიდიუსი

კი თავის საკანს დაუბრუნდა. როდესაც ლუდოვიკო იქაურობას გაშორდა, ერთ-ერთმა ძმამ ჰკითხა მეფის თანამგზავრს, ვინ იყო ის ადამიანი, ვისაც ეგიდიუსი ამდენხანს უსიტყვოდ იკრავდა გულშიო? შეიტყო, რომ ეს თვით საფრანგეთის მეფე, წმინდა ლუდოვიკო ყოფილა, ეგიდიუსის სანახავად საგანგებოდ რომ მოსულიყო აქ. ეს ამცნო სხვა ძმებსაც და ყველამ დიდი სინანული გამოხატა იმის გამო, რომ ეგიდიუსს მეფისთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. ამიტომაც სინანულით ჰკითხეს ეგიდიუსს: „ძმაო ეგიდიუს, რატომ ხარ ასეთი უმადური? ეს წმინდა მეფე ამსიშორიდან მოსულა შენ სანახავად, რათა შენგან გულითადი სიტყვა მოესმინა, შენ კი ხმა არ ამოგიღია!“ ეგიდიუსმა კი მიუგო: „უსაყვარლესო ძმებო, ეგ ნუ გაგაკვირვებთ! ხომ

ნახეთ, ვერც ერთმა ჩვენგანმა ერთი სიტყვაც კი ვერ ამოთქვა, რადგან ღვთიური სიბრძნის შუქმა წამსვე გამინათა მისი გული, როგორც კი ის ჩემთან მოვიდა, მან კი ჩემი გულისნადები იხილა. ამგვარად, ღმერთმა უშუალოდ ერთმანეთის სულში ჩაგვახედა და თითოეულმა უკვე ყოველივე იცოდა, რაც კი მეორეს უნდა ეთქვა მისთვის. ამაზე უკეთ სიტყვებითაც კი ვერ ვისაუბრებდით“.

განა ეს უბრალო ამბავი საოცრად ამაღელვებელი არაა? წმინდა ლუდოვიკოსა და ეგიდიუსს სიტყვები არ სჭირდებოდათ, ისინი თვითონ იქცნენ სიტყვებად. მე მგონი, ყოველი ადამიანი სიცოცხლეში ერთხელ მაინც განიცდის რაღაც ამგვარს. ახლა ჩემ გვერდით რომ იყოთ, ჩემს სახეზე დაინახავდით ერთადერთ მდუმარე სიტყვას. დიახ, სწორედ დაინახავდით, რადგან ის ჩემში ღვივის.

ლევანი.

გელენჯიკი, 6 აგვისტო.

ჩემო ლევან,

თქვენს წერილს მოწყურებულივით დავეწაფე და, როდესაც წავიკითხე, გახარებული გავედი მინდორში, სადაც აქა-იქ გვიანი ყაყაჩო ღუის. მზე უშფოთველად ანათებდა და მისმა ალერსიანმა სითბომ ძარღვებში სისხლი ამიდუღა. დარწმუნებული ვარ, ამ დროს სადღაც შორიახლოს

ხვლიკი ეფიცხებოდა სხივებს. მეც გავწექი ჯერაც გრილ ქვეშაგებზე. არ ვიცი, თქვენ რა აზრის ხართ ამაზე, მაგრამ ჩემთვის ყაყაჩო მზის დაბადებაა ყვავილში. ალისფერი თასის შუაგულში მოთავსებული შავი ჯვარი მზიური თესლის ახდენილი სწრაფვა მგონია. მისი სიშავე ხაზს უსვამს ამ ყვავილის გრძნობად უმწიკვლოებას. თანდათან საკუთარ თავს გავუსხლტი, ასე მეგონა, მთლიანად განვზავდი იმ ალერსიან სისრულეში, გარს რომ მეხვეოდა. უეცრად გულის არეში უცხო კრთომა შევიგრძენი. ეს იმდენად წარმტაცი განცდა იყო, რომ გონება დამებინდა. წამით მეგონა, თითქოს ჩემში მზის ნამსხვრევი იძვროდა და შემზარავი სიტკბოება შევიგრძენი. ჩემი არსება ღვთაებრივი რიტმით ატაცებულ ტალღასავით როკავდა. ყაყაჩოს ყვავილად გარდავისახე? სიხარულისაგან მზად ვიყავი, ყოველი არსისათვის მიმეძღვნა ჩემი თავი. შინ გათანგული, მაგრამ, ამავდროულად, ფრთაშესხმულიც დავბრუნდი. დედამ შიშითა და გაოცებით შემომხედა: ალბათ უცნაურად გამოვიყურებოდი. წამით მიმზერდა შეწუხებული, მაგრამ არაფერი უთქვამს. მდუმარედ ვიდექი მის წინაშე და თავს უხერხულად ვგრძნობდი, თითქოს სრულიად გამჭვირვალე ვყოფილიყავი. ნუთუ მისმა მზერამაც (წმინდა ლუდოვიკოსა თუ ეგიდიუსის მზერის დარად) ამოიკითხა ჩემში ის უცხო კრთომა და როკვა (რატომ გვრცხვენია ყველაზე მეტად მათი მზერისა, ვინც ჩვენთვის ყველაზე ახლობელია?)? „საშინლად გაფითრებული ხარ“, ჩუმად მითხრა და გავიდა.

ნორინა.

P. S. 20 აგვისტოს შინ ვბრუნდებით.

მანგლისი, 11 აგვისტო.

ჩემო ძვირფასო ნორინა,

თქვენმა წერილმა წარმოუდგენლად გამახარა. მეხსიერებაში ამომიტივტივდა ერთი თქვენი უმშვენიერესი ჩრდილოური მითი:

„ვიცნობ ერთ იფანს, სახელია მისი იგდრასილ,
მაღალია და სხივმფინარი ნისლით მოსილი;
მის რტოებს სწყდება ის ნამი, ველებს რომ არწყულებს,

მის მარადმწვანე ჩრდილში შრიალებს წყარო ურდისა...“[14]

თუმცა იმ ქვეყანაში არ დავბადებულვარ, სადაც ეს მითი შეიქმნა, მაინც ცოცხლად შევიგრძნობ ამ ხის ყვავილობას: მისი ფესვებიდან გამომდინარე წყაროები ჯერაც არ დამშრალა. ურდის წყაროსთან ორი ფრინველი სახლობს: ნებიერი გედები, მეფური სიზანტით რომ დაცურავენ მის წყლებზე. ზეციური ირმები მისი რტოებისაკენ იგრძელებენ კისრებს და ფოთლებს აგლეჯენ. მესმის რტოების შრიალი: სწორედ მათგან წვეთავს ის ნამი, ველებს რომ არწყულებს. ჩემო ნორინა, დაე, ამ ნამმა თხემით ტერფამდე დაგირწყულოთ სხეული და სიცოცხლის უშრეტი ძალა მოგცეთ.

ლევანი.

[14] ციტატა „უფროსი ედას“ პირველი სიმღერიდან „ვიოლვას წინასწარმეტყველება“. ძველგერმანულ მითოლოგიაში მსოფლიო იფანი იგდრასილი სიცოცხლის ხეა, რომლის სამი ფესვის ქვეშ სამი სამყაროა განთავსებული. ერთ-ერთ ფესვქვეშაა ურდის წყარო, რომელთანაც ბედისწერის სამი ქალღმერთი, სამი ნორინა სახლობს.

მოახლოვებული საფრთხე

ასე გადიოდა დღეები და კვირები მანგლისში. ლევანი სულიერ ძალებს იკრებდა საიმისოდ, რათა გრალის დაცვა ეტვირთა. ეს დიდებული დავალება იყო, მაგრამ ამასთან ძალზე მძიმეც, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობა ახლდა თან. ძალზე აღელვებდა ავალას ნათქვამი მოსალოდნელი აჯანყების შესახებ, საფრთხის მოახლოვებას გრძნობდა. მარჯანთან შემოქმედებითი თანხვედრა შინაგან სიმსუბუქეს ანიჭებდა, ნორინას შორეული ალერსი კი ისეთი ძალით აღავსებდა, რომ გრძნობდა, ნებისმიერ სიძნელეს გადალახავდა. მაგრამ როდესაც მარჯანს არ ხვდებოდა და არც ნორინას წერილი ჩანდა, მაშინ შიში და კაეშანი იპყრობდა.

დროდადრო ხვდებოდა მფრინავ ზაქარას, რომელსაც თბილისსა და მანგლისს შორის უწევდა ფრენა. ბევრს არ საუბრობდნენ: ლევანი ამ პერიოდში მუდამ გულჩათხრობილი იყო, ზაქარა – ბუნებით მორიდებული. ამ დღეს კი, ლევანმა ნორინას უკანასკნელი წერილი რომ გაუგზავნა, ჭალის პირას კვლავ შეხვდა მფრინავს. ზაქარა უჩვეულოდ აფორიაქებული ჩანდა, თუმცა, ძველებურად სიტყვაძუნწი. ლევანი მიუხვდა, რაღაც სირთულის წინაშე იდგა, რისი აღიარებაც უჭირდა, და წინასწარ გადაწყვიტა, ახალგაზრდას რჩევით დახმარებოდა.

– თქვენც ხომ რაინდთა საძმოს ეკუთვნით, – მიმართა ლევანმა ღიმილით.

ახალგაზრდამ გაკვირვებით შეხედა.

– გახსოვთ თავადის სასახლეში გამართული კენჭისყრა? – განაგრძო ლევანმა.

– დიახ, – ახლა მფრინავსაც გაეღიმა.

– ორივენი რაინდები ვართ, მაშასადამე, ძმები.

– ჭეშმარიტად.

– გთხოვთ, თქვენს უფრის ძმად მიგულოთ!

– სიამოვნებით.

– მაშინ ნურაფერს დამიმალავთ.

– არაფერს გიმალავთ.

– ვხედავ, რაღაც გსურთ მიამბოთ, მაგრამ გერიდებათ. იქნებ ვცდები?

– არა, არ ცდებით.

– რად გერიდებათ?

– არ ვიცი. ჩემი ნაცნობებიდან თქვენ გცემთ უდიდეს პატივს. როდესაც თქვენზე ვფიქრობ, ახლობლად მეჩვენებით, მაგრამ ახლა, პირისპირ საუბრისას, ისევ რიდი მაქვს თქვენი.

ახალგაზრდა კაცი დადუმდა.

– ახლაც, ამ წუთშიც? – იკითხა ლევანმა.

– ახლა აღარ, – შვებით ამოთქვა ჭაბუკმა.

– მაშ, მითხარით, რისი თქმაც გსურდათ, – გაამხნევა ლევანმა.

გზა განაგრძეს, მფრინავმა მიმოიხედა, მაგრამ ახლომახლო არავინ ჩანდა.

– ამ დღეებში აჯანყება დაიწყება, – გაანდო შეშფოთებულმა ზაქარამ ლევანს.

ლევანი გადაფითრდა.

– საიდან იცით ეს?

– მე თვითონ ვარ შეთქმულების მონაწილე.

– კი მაგრამ, ეს ხომ სიგიჟეა!

– რატომაა სიგიჟე?

– აჯანყება იმთავითვე განწირულია დასამარცხებლად.

– მე ასე არ მგონია.

ზაქარამ განაგრძო მსჯელობა: მისი აზრით, საქართველოში აჯანყებულები ბოლშევიკებს ოცდაოთხი

საათის განმავლობაში მოუღებდნენ ბოლოს. ამას მოჰყვება ჯანყი სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოკავკასიაში. ერთ კვირაში ბოლო მოეღება რუსეთის ბატონობას მთელ კავკასიაში. თუ გაჭირდა, ევროპა დაეხმარება აჯანყებულებს. ამის შესახებ ყველამ იცის.

– ეს ყველაფერი მცდარადაა გათვლილი, – უპასუხა ლევანმა, – იმაში ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოში ბოლშევიკთა მმართველობას სულ ორიოდე დღეში დავამხობთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ბოლშევიკები უსათუოდ მოახერხებენ აჯანყების ლოკალიზებას და ვერც სომხეთი, ვერც აზერბაიჯანი თუ ჩრდილოეთ კავკასია მის შესახებ ზუსტ ცნობებსაც ვერ მიიღებს. სულ რამდენიმე დღეში კი – თუნდაც გამარჯვება ჩვენ მხარეს იყოს – რუსეთის წითელი არმიის რაზმები საქართველოში დაიწყებს შემოსვლას. საქართველო მარტოდმარტო ვერ დაუპირისპირდება საბჭოეთს. აი, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ-კავკასიასთან ერთად რომ დაგვეგეგმა ეს აჯანყება, მაშინ კიდევ რაღაცის იმედი იქნებოდა. საქართველოში აჯანყების დაწყება იმ იმედით, რომ ის თავისით გავრცელდება მეზობელ ქვეყნებში, სრულიად უგუნურ გეგმად მიმაჩნია. ხოლო რაც შეეხება ევროპას! ევროპას კარგად ვიცნობ: ის ჩვენთვის თითსაც კი არ დასძრავს!

ლევანმა ბევრი ისაუბრა. ახალგაზრდა აჯანყების გამართლებას შეეცადა, მაგრამ ყოველი მისი არგუმენტი ლევანის ცივი ლოგიკის კლდეს აწყდებოდა და თანდათან ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა.

– იცით, – დუმილის შემდეგ წარმოსთქვა ზაქარამ, – შეთქმულების მოთავეებმა თვეები მოანდომეს ჩემს იმაში დარწმუნებას, რომ აჯანყება წარმატებით დასრულდება. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ერთმა შემთხვევამ მაიძულა.

– რა შემთხვევამ?

– თქვენმა სიტყვამ, სასახლეში სუფრაზე რომ წარმოთქვით. თქვენ ამბობდით, ადამიანმა მზითა და მისი ძალით უნდა იცოცხლოსო. მზე წინასწარ არაფერს გეგმავს, ყოველგვარი ანგარიშისა და ანგარების გარეშე გასცემს საკუთარ სინათლეს. სწორედ ამ წუთმა და თქვენმა ცეცხლოვანმა სიტყვებმა გადამაწყვეტინეს ყოველივე.

ლევანი იდგა თავზარდაცემული.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემმა სიტყვებმა შეცდომაში შეგიყვანათ. მართალია ის, რომ საკუთარი თავი მზესავით უანგაროდ უნდა გავცეთ,

მაგრამ მანამდე ჯერ მზე უნდა გავითავისოთ. დასანანია, რომ მაშინ ეს წინაპირობა არ მომაგონდა. მზე უანგაროდ გასცემს საკუთარ თავს, მაგრამ, ამასთან, თავს არასოდეს ინადგურებს, არამედ, პირიქით, თავგანწირვა მისთვის მუდმივ განახლებას ნიშნავს. აქ კი, – ლევანი კვლავაც აჯანყების გეგმას დაუბრუნდა, – მხოლოდ და მხოლოდ თვითგანადგურებაზეა ლაპარაკი.

ლევანი შეეცადა, ჭაბუკისათვის აეხსნა, რომ გადამწყვეტი მოქმედება ისეთ შინაგან სიმწიფეს მოითხოვს, რომლისთვისაც წინასწარი გათვლა სიბრმავის ტოლფასია, სიბრმავე კი შესაძლოა პრაგმატულობას ნიშნავდეს. ბევრი მაგალითიც მოუყვანა იმისა, თუ რა მნიშვნელოვანია გადამწყვეტი მომენტის სწორი შერჩევა. საქართველოს ისტორიის მრავალი ეპიზოდიც გაიხსენა; ამ ყოველივედან კი ერთი რამ ჩანდა ნათლად: მხოლოდ ძალთა შეგნებულ, მოზომილ გამოყენებას მოუტანია ქვეყნისათვის გამარჯვება, ყოველ უმწიფარ, წინდაუხედავ მცდელობას კი უმალ კატასტროფა მოსდევდა თან. მფრინავი გაფაციცებით უგდებდა ყურს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე დიდგორის ბრძოლის აღწერამ მოახდინა: აქ ნათლად გამოჩნდა, რომ გამარჯვების ნებელობა ინტუიციისა და წინდახედულების იდეალური ურთიერთშერწყმაა. ახლა სხვაგვარად შეხედა მოსალოდნელი აჯანყების გეგმას და შიშითა და გულისტკივილით დაინახა, რომ ის მყარ საყრდენს არ ეფუძნებოდა.

– საერთოდ, ვინ ხელმძღვანელობს აჯანყებას? – იკითხა ლევანმა.

– თანასწორობის კომიტეტი.

– თანასწორობის კომიტეტი?! – შეჰყვირა ლევანმა.

– მასში სხვადასხვა პარტიებია გაეთიანებული, – აუხსნა მფრინავმა.

ლევანმა თავი ვეღარ შეიკავა, მრისხანება სიცილში გადაეზარდა. მფრინავი გაოგნებული და შეშფოთებული შეჰყურებდა.

– თანასწორონის კომიტეტი? – იმეორებდა ლევანი, – გინახავთ სადმე მსოფლიო ისტორიაში კომიტეტის მიერ მართული აჯანყება? ეს ხომ სრული სიგიჟეა! აჯანყებას ერთი წინამძღოლი უნდა ჰყავდეს, რომელიც მისი ძალების უხილავ და, ამავე დროს, ხელშესახებ ცენტრად უნდა იქ-

ცეს. მეტიც: ის ნებელობის მძლავრ კვანძს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც თითოეული მეამბოხე მკვრივი ძაფით იქნება მიერთებული. მითხარით, რა ფასი ექნება იმ ჯარს, რომელიც ჰანიბალის, ალექსანდრესა თუ ნაპოლეონის მაგიერ რომელიღაც კომიტეტს შეჰყურებს?! ესაა ბრბო, ნაცვლად მუჭად შეკრული ძალისა. ლიდერის მაგიერ – კომიტეტი? ეს ხომ ანონიმური იმპოტენციაა! სასაცილოა! კომიტეტი იმდენად უძლურია, რომ ვერავის აღაგზნებს!

ლევანს ისევ ბრაზი მოეძალა. ახალგაზრდა კაცი შეძრწუნებული ისმენდა მის სიტყვებს, რომელთაგან თითოეული გულზე დაღად რჩებოდა.

– რა დამოკიდებულება აქვთ შეთქმულების თაოსნებს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან? ჩოლოყაშვილი, ირუბაქიძეთა ძველისძველი სახელოვანი გვარის შთამომავალი, გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე

თავის შეფიცულებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა. ხელისუფლება მასა და მის თანამოძმეებს ბანდიტთა დაჯგუფებად აცხადებდა, თუმცა მათ ალყაში მოქცევასა და დატყვევებას ამაოდ ცდილობდა. ისინი მთებში იმალებოდნენ და იქიდან აწყობდნენ შეიარაღებულ თავდასხმებს.

ახალგაზრდა უხერხულად დუმდა.

– იმას გეკითხებით, შეთქმულების მოთავეებს ჩოლოყაშვილის რაზმთან თუ აქვთ კავშირი? – სხვაგვარად შეაბრუნა ლევანმა თავისი შეკითხვა.

– არა მგონია.

– ეს ხომ წარმოუდგენელია.

– როგორც გავიგე, მას არ აიძულებენ, შეთქმულებას მიემხროს, მოქმედების თავისუფლებას აძლევენ, რადგან მისი შეიარაღებული ძალა უშუალო მხარდაჭერის გარეშეც კი ზურგს გაუმაგრებს აჯანყებულთ.

– არა, ეს დაუშვებელია!

– ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ჩოლოყაშვილს მხოლოდ და მხოლოდ გადაგვარებული არისტოკრატიის ხელახალი აღზევება და ფეოდალიზმის დაბრუნება სურს.

– აჰ, მესმის, – მწარე ირონიით მიუგო ლევანმა, – ვინც ამას ამბობს, არაფერი იცის იმის შესახებ, რომ საქართველოში არისტოკრატია მუდამ ქვეყნის მფარველის როლს ასრულებდა, ხოლო ჩოლოყაშვილის სახით ჩვენში ძირძველი რაინდული ტრადიციის აღორძინება მოხდა.

– ხალხს ეს ყოველივე წარსულის გადმონაშთებად მიაჩნია.

– მით უარესი ხალხისთვის.

ორივე დადუმდა.

– ამ ბატონებს მხოლოდ თავიანთი შიდაპარტიული უთანხმოებები აფიქრებთ და წარმოდგენაც კი არ აქვთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ბრძოლა, – კვლავ წამოიწყო ლევანმა, – უფრო წინდახედულნი რომ იყვნენ, მაშინ ჰიდირის, მუშნისა თუ ყანსავისნაირ კაცებს მიანდობდნენ ბოლშევიკებთან ბრძოლას. მადლობა ღმერთს, ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ ბევრია ჩვენ ქვეყანაში.

– მართლაც ასეა.

ლევანს ღრმა ნაოჭებით დაესერა შუბლი, მის სულში კაეშანმა დაისადგურა. ახალგაზრდა მის წინ იდგა და ხელებს საფეთქლებზე იჭერდა, თავგზააბნეული და გამოფიტული ჩანდა.

– რა ვქნა ახლა? – ჩურჩულით წარმოსთქვა მფრინავმა.

– მოვლენები მათსავე დინებას მიანდეთ, – ურჩია ლევანმა.

– მაშინ ლაჩრად ჩამთვლიან და ღალატში დამდებენ ბრალს.

– დამშვიდდით. ვინც კი გიცნობთ, ის არასოდეს ჩაგთვლით ლაჩრად, ხოლო ღალატი მხოლოდ მას შეუძლია, ვინც სახალხო საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება.

ზაქარა მთლიანად ლევანის გავლენის ქვეშ მოექცა, მზად იყო, ულაპარაკოდ უკან გაჰყოლოდა.

– მე თქვენი მჯერა, – წარმოსთქვა ხმადაბლა.

– მე კი თქვენი, – უპასუხა ლევანმა.

რამდენიმე წუთი დუმდნენ.

– როდისთვის იგეგმება აჯანყება? – იკითხა შემდეგ ლევანმა.

– 14 აგვისტოს აპირებენ დაწყებას.

– 14 აგვისტოს? – შეძრწუნდა ლევანი, – ესე იგი, დიდგორის ბრძოლის დღეს? პარალელი მართლაც რომ შემზარავია. ნეტავ თუ ახსოვთ შეთქმულების თავკაცებს ეს დიდებული თარიღი?..

ლევანი დადუმდა. ახალგაზრდა მფრინავი გამოეთხოვა. ლევანმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ზაქარას გაუწოდა.

– ეს ჩემგან სახსოვრად, – უთხრა ლევანმა, – ლექსის ორი ტაეპი.

– გმადლობთ, – სახე გაუბრწყინდა ჭაბუკს.

ლევანი იქაურობას გაშორდა, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომ ზაქარა წამოეწია, წამით უსიტყვოდ ჩახედა თვალებში და მზერით ყველაფერი უთხრა, რაც სათქმელი ჰქონდა. შემდეგ სწრაფი ნაბიჯით წავიდა სხვა მიმართულებით.

უკვე ღამე იყო და ლევანი შინისაკენ გზას გაუყვა, მაგრამ ისეთმა მღელვარებამ აიტაცა, რომ ვეღარაფრით დამშვიდდა. ციებიანივით ცახცახებდა. გზად მარჯანის პატარა სახლს ჩაუარა და, თუმცა უკვე გვიან იყო, მისკენ გაუხვია.

– მომიტევეთ, ასეთ დროს რომ გაწუხებთ, – მღელვარედ წამოიწყო ლევანმა, როდესაც მარჯანი აივანზე გამოეგება.

– რას ამბობთ, მობრძანდით, – უთხრა რეჟისორმა.

– ფორტეპიანოზე დაკვრა მომინდა და თავს ვეღარ ვიკავებ.

– გთხოვთ, დაუკარით, – უპასუხა, ცოტა არ იყოს, თავგზააბნეულმა მასპინძელმა.

ლევანი ინსტრუმენტს მიუჯდა. დიდხანს უკრავდა გზნებით, ოღონდაც არა ისე, სასახლეში რომ დაუკრა. ახლა მუშტად შეკრული ნებელობის ჰანგებში ქვითინი ჟღერდა. დიდხანს უკრავდა, შემდეგ ნაჩქარევად დაემშვიდობა გაოგნებულ რეჟისორს და სწრაფი ნაბიჯით შინისაკენ გაემართა. მთვარეულივით შელასლასდა ბინაში და საწოლზე დაეცა, მაგრამ ვერ დაეძინა.

– რა ვქნა, რა ვიღონო? – სიცხიანი ბორგავდა და სულ ამას იმეორებდა, მაგრამ საშველს ვერ მიაგნო. ადრე დილით ნორინას გაუგზავნა დეპეშა: „ღვთის გულისათვის, გევედრებით, დარჩით გელენჯიკში“.

მზიურ გზაზე

ნორინას დეპეშამ თავგზა აუბნია, ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს თხოვნა. სასწრაფოდ მოძებნა ავალა, რომელმაც, გადაავლო თუ არა თვალი მოკლე ბარათს, მაშინვე მოიღუშა.

– რა ხდება? – ჰკითხა შეშფოთებულმა ნორინამ.

– როგორც ჩანს, ამ დღეებში აჯანყებაა მოსალოდნელი, – აუხსნა ავალამ.

– რა აჯანყება?

– აჯანყება ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ქალი გაფითრდა.

– იცოდით ამის შესახებ?

– დიახ. ლევანი რომ დეპეშით გამოვიხმე საირმედან, სწორედ ამის თქმას ვაპირებდი მისთვის. ხომ იცით, ის მუდამ საფრთხეს დაეძებს და მინდოდა დამერწმუნებინა, რამდენიმე თვით წასულიყო საქართველოდნ.

– მერე?

– მტკიცე უარით მიპასუხა: სწორედ ასეთი საფრთხის დროს არ მივატოვებ ჩემს ქვეყანასო.

ნორინა მღელვარე ფიქრს მიეცა.

– ახლა კი, ვფიქრობ, სურს, ხიფათს მოგარიდოთ, – განაგრძო ავალამ.

– მიხარია, რომ ჩემზე ზრუნავს, მაგრამ მე მაინც გავემგზავრები.

ნორინა უკიდურესად აღელვებული ჩანდა.

– შესაძლოა, ლევანი ნახოთ... – გაუბედავად დაიწყო ავალამ.

– სწორედ მასთან გავემგზავრები, – მტკიცედ მიუგო ქალმა.

– რა კარგია! თქვენ ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, ვისაც ჩემი მეგობრის დაშოშმინება ძალუძს.

– მართლა ასე ფიქრობთ? – ეჭვით ჰკითხა ნორინამ.

– დიახ, – უპასუხა ავალამ ღიმილით, – ერთ კვირაში კი მეც თბილისში ვიქნები.

ამის შემდეგ ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

16 აგვისტოს ქალი თბილისში ჩავიდა. დედა და ბავშვი სასახლეში გაგზავნა, თვითონ კი კოსტასთან დაბინავდა, ვისი ცოლ-შვილიც ჯერ კიდევ კოჯორში იმყოფებოდა აგარაკზე. კოსტამ არაფერი იცოდა დაგეგმილი აჯანყების შესახებ და არც ნორინას უკითხავს მისთვის რაიმე. სურდა, მისგან ლევანის ამბავი შეეტყო და მოუთმენლად ელოდა, როდის გაიჟღერებდა საუბარში მისი სახელი. დუდხანს ლოდინი არ დასჭირვებია.

– სხვათა შორის, ლევანიც აქ არის, – მოაგონდა კოსტას, – მანგლისიდან უჩვეულოდ აღელვებული ჩამოვიდა, მაგრამ გუშინ რომ ვნახე, კვლავ დამშვიდებული მეჩვენა.

– მასთან ტელეფონით დაკავშირება თუ შეიძლება? – იკითხა ნორინამ.

– ახლავე, – კოსტა ტელეფონთან მივიდა.

– ერთი წუთით, – შეაჩერა ნორინამ, – გთხოვ, არ უთხრა, რომ ჩამოვედი.

ქალი გაინაბა.

– კოსტა ვარ, გამარჯობათ... გმადლობთ... თქვენც ასევე... გთხოვთ, ნაშუადღევს ჩაიზე მეწვიოთ... კარგია. მაშ, ხუთი საათისათვის...

უკვე ოთხის ნახევარი იყო. საუბარი განაგრძეს, კოსტამ უამბო ქალს, თუ რა სიცხე იდგა ავგისტოში თბილისში და როგორ უმკლავდებოდა თვითონ ამ სიცხეს. ნორინა უხალისოდ პასუხობდა და მღელვარების დაფარვას ცდილობდა, ხშირ-ხშირად უყურებოდა მაჯის საათს, მაგრამ დრო აუტანლად მიიზლაზნებოდა. ბოლოს კოსტამ იკითხა, რომელი საათიაო.

– ხუთს თხუთმეტი უკლია, – უპასუხა ნორინამ.

– ქალაქში გავალ, ჩაისთვის რაიმეს მოვიტან, – უთხრა კოსტამ და საჩქაროდ გავიდა სახლიდან.

ნორინა თითოეულ ჩქამს გაფაციცებით აყურადებდა. მოლოდინმა ხელ-ფეხი შეუბოჭა. ხუთი საათი შესრულდა. ქალი მაგიდას მიეყრდნო, რათა კიდურების ცახცახი დაეოკებინა. ხუთი წუთიც გავიდა, ლოდინი გაუსაძლისი გახდა. კიდევ რამდენიმე წუთიც... ნორინა სმენად იქცა. უეცრად კარზე კაკუნი მოესმა. წამოდგა და კარი გააღო: ლევანი შემოვიდა. ქალი მოცელილივით უღონოდ ჩაეშვა მის მკლავებში. კაცმა გულში ჩაიკრა და ერთხანს მდუმარედ იდგნენ. რამდენი ხანი გავიდა ასე, არ იცოდნენ: ეს წუთი საუკუნოდ გაგრძელდა.

– შენ? – ცხარე ჩურჩული აღმოხდა კაცს.

– შენ! – გამოეხმაურა სულშეგუბებული ქალი.

როგორც იქნა, ორივემ ამოთქვა ის სიტყვა, რითაც სამყარო იბადება, სიტყვა, რომელიც იქ, ტყეში, უთქმელი დარჩათ. ის ენერგია, რაც მაშინ მუხაზე გადაიტანეს, ახლა სინათლის უეცარ გაელვებად იქცა. სიყვარულმა ეთერულად საგნობრივი სახე შეიძინა. ქალის სურნელმა კაცი გააბრუა: ეგონა, მკლავებში მზის ხორცშესხმული ნამსხვრევი ჰქონდა მოქცეული. ქალი ნეტარ თრობას მიეცა და უღონოდ მიენდო მამაკაცს, რომელიც ცხელი საფეთქლით ეხებოდა სახეზე, მაგრამ ტუჩებით არ მიჰკარებია.

– შენ, – ჩურჩულით გაიმეორა მამაკაცმა.

– შენ! – გამოეხმაურა ქალიც.

სხვა სიტყვები მათთვის აღარ არსებობდა. უეცრად საკეტში გასაღების მობრუნების ხმა გაისმა და ორივენი გონს მოეგნენ. მაგრამ საამო მღელვარებით ატაცებული გულები კვლავაც ვნებით უძგერდათ. კოსტა შემოვიდა.

– აჰ, უკვე მოსულხართ, ლევან! – შესძახა მან და სტუმარს მიესალმა.

საუბარი მსუბუქად წარიმართა, ვიდრე ნორინა სუფრას შლიდა.

– წარმოუდგენელი სიცხეა! – შენიშნა კოსტამ, – და მაინც და მაინც ახლა გადაწყვიტა ნორინამ თბილისში ჩამოსვლა. რასაკვირველია, აქ მუდამ სიხარულით დავხვდები...

– ...მაგრამ? – ღიმილით ჩაეკითხა ნორინა, სურდა შინაგანი დაძაბულობა ხალისიანი საუბრით გაეფანტა.

– მართლაც, – მიუბრუნდა ლევანი ქალს ისე, რომ კოსტას ჰასუხი აღრა აცალა, – ასე უეცრად რამ დაგატოვებინათ გელენჯიკი?

– უკანასკნელ დღეებში ღვიძლის არეში საეჭვო ტკივილი ვიგრძენი, – მიუგო ნორინამ მშვიდად, – აქ კარგ ექიმს გავესინჯები.

– ღვიძლი გაწუხებს? – ჩაერთო კოსტა, – არაფერია. არამგონია, იცოდე, რომ ღვიძლს მონატრების ორგანოდ თვლიან, როგორც ლევანმა ამიხსნა. ამ სნეულებას ჩვენ ორივენი იოლად ვუშველით.

ნორინა შეიფაკლა და ლევანს შეფარვით შეხედა. კოსტას კი აზრადაც არ მოსვლია, რაოდენ დაემთხვა მისი სიტყვები რძლის ვნებათაღელვას.

– ამიხსენით, რანაირადაა ღვიძლი მონატრების ორგანო? – მიმართა ნორინამ ლევანს, რათა უხერხულობა დაეფარა.

– ქართულში „ღვიძლსა“ და „ღვიძილს“ ერთი ფუძე აქვს, ასევე „ნაღველი“ ორგანიზმის სუბსტანციასაც ნიშნავს და სულიერ მდგომარეობასაც. სამყაროს შესახებ წინარე ცოდნის თანახმად, ეს ორი წყვილი ერთიმეორეს უკავშირდება: ღვიძილი – სიფხიზლე – ნაღველზე მიგვითითებს, ნაღველი კი – ფხიზლად ყოფნაზე. მონატრების განცდა სადღაც მათ შუა უნდა იბადებოდეს, ეს კი ღვიძლის არეა.

– უცნაურია, – ჩურჩულით წარმოსთქვა ნორინამ.

საუბარი შეუბოჭავად გაგრძელდა.

საღამოს სამივენი მთაწმინდაზე ავიდნენ სავახშმოდ. ნორინა აქ ადრე არასოდეს ყოფილა. სიზმარეული მზერა შეავლო მთის ძირში გადაშლილ ზღაპრულ ქალაქს. კოსტა მოკლე ხნით ნაცნობს შეუერთდა, რომელიც შემთხვევით ნახა და რომელთანაც სალაპარაკო ჰქონდა.

– მიიღეთ ჩემი დეპეშა? – ჰკითხა ქალს ლევანმა.

– დიახ, – უპასუხა ნორინამ.

– და ჩემი თხოვნა არად ჩააგდეთ?

– ასე გამოდის.

– შეიძლება გკითხოთ, რატომ?

– იმიტომ, რომ ძვირფას მეგობარს საფრთხეში მარტოს ვერ დავტოვებ.

– როგორც ჩანს, ჩემი დეპეშა ავალას უჩვენეთ, – ჩაილაპარაკა ლევანმა წუთის შემდეგ.

– დიახ, – დაუდასტურა ქალმა.

– და მისი შინაარსი განგიმარტათ, ხომ ასეა?

– დიახ.

– არაფერია, საფრთხე აღარ არსებობს, – ლევანმა ქალს ხელზე გადაუსვა ხელი, – გუშინ შევიტყვე, რომ აჯანყების გეგმა ჩაიფუშა.

– მართლა?

– ასე მითხრა სანდო ადამიანმა.

– რა შესანიშნავია!

ერთმანეთს სიხარულით შეხედეს.

მეორე დღეს ლევანი ნორინასთან იჯდა, კოსტა კი თათბირზე მიიწვიეს. სწორედ მაშინ მოვიდა ფოსტით ლევანის უკანასკნელი წერილი, რომელიც მან 11 აგვისტოს მანგლისიდან გაგზავნა გელენჯიკში, იქიდან კი თბილისში გადმოეგზავნათ.

– ნება მომეცით, წერილი ხმამაღლა წაგიკითხოთ, – უთხრა ქალს ლევანმა, – მეტრფეს განსაკუთრებულ სიხარულს ანიჭებს სატრფოსათვის საკუთარი წერილის ხმამაღლა წაკითხვა.

ტახტზე გვერდიგვერდ ისხდნენ და მხრებით ეხებოდნენ ერთი მეორეს. ლევანი კითხვას შეუდგა: ჯერ „ედადან“ ამონარიდი მსოფლიო იფნის, იგდრასილის შესახებ, შემდეგ თავისი სიტყვები: „თუმცა იმ ქვეყანაში არ დავბადებულვარ, სადაც ეს მითი შეიქმნა, მაინც ცოცხლად შევიგრძნობ ამ ხის ყვავილობას: მისი ფესვებიდან გამომდინარე წყაროები ჯერაც არ დამშრალა. ურდის წყაროსთან ორი ფრინველი სახლობს: ნებიერი გედები, მეფური სიზანტით რომ დაცურავენ მის წყლებზე. ზეციური ირმები მისი რტოებისაკენ იგრძელებენ კისრებს და ფოთლებს აგლეჯენ. მესმის რტოების შრიალი: სწორედ მათგან წვეთავს ის ნამი,

ველებს რომ არწყულებს. ჩემო ნორინა, დაე, ამ ნამმა თხემით ტერფამდე დაგირწყულოთ სხეული და სიცოცხლის უშრეტი ძალა მოგცეთ“.

– საყვარელო, – ხმადაბლა წარმოსთქვა ქალმა და მის სხეულს მიეკრო, – ეს ნამი შენ ხარ, პირთამდე ვარ შენით სავსე.

– შენ... – აღმოხდა ლევანს და პირველად ეამბორა ბაგეზე.

წამსვე მისი არსება იმ ცეცხლმა მოიცვა, მუდამ სახიფათოდ რომ მიაჩნდა. საფრთხე მით უფრო ძლიერი იყო ახლა, რომ აშკარად გრძნობდა: ეს ცეცხლი ქალის არსებასაც ეუფლებოდა ნელა, მაგრამ მძლავრ ნაკადად. ქალი ამ წუთებში თანდათან გარდაისახა: მის ნაკვთებს მიღმა დასაბამიერი მდედრის შემზარავი და თვალწარმტაცი სახება გამონათდა. სხეული ქაოტური სიმძლავრით უტოკავდა. მამაკაცი გრძნობდა, რომ ვეღარ გაუმკლავდებოდა მათრობელ ვნებას. იმ ზღვარს მიადგნენ, სადაც ქალსა და მამაკაცს ელვის დამანგრეველი გაკვესება მიანარცხებს ერთიმეორეს. რა ექნა ლევანს: ამ სამყაროსეული საიდუმლოს სიტკბო ეგემა? არა, ეს არ შეეძლო. მხოლოდ იმიტომ არა, რომ მცველად იქნა ხელდასხმული წმინდა გრალისა: მეტისმეტად ძლიერ უყვარდა ეს ქალი საიმისოდ, რათა ამ სიყვარულის სიწმინდე შეებღალა; ცეცხლის ჩაქრობა არ სურდა, მაგრამ უბიწოების შენარჩუნება სწყუროდა. სიყვარული მუდამ ღვთაებრივი ნაყოფის წინაგანცდად მიაჩნდა, მაგრამ მის აღსრულებას გარდუვალად მოსდევს სქესის ქაოსში ჩაძირვა, სადაც ყოფიერება ორად იხლიჩება. ასრულება, მართალია, ტკბილ ნეტარებას აღუთქვამს მიჯნურთ, მაგრამ ანადგურებს კიდეც მათ. არა, ჭეშმარიტმა მეტრფემ უნდა შეძლოს ამ წინაგანცდის დაუხარჯავად შენარჩუნება, რათა ცეცხლი არ ჩაიფერფლოს, და მაშინ ადამიანი ჭეშმარიტად მზის წილნაყარი ხდება. ასეთი იყო მისი სულიერი და სისხლისმიერი გამოცდილება. ახლა უმძიმესი გამოცდის წინაშე იდგა და მის გადასალახად მთელი შინაგანი ძალა მოიკრიბა. მაგრამ ქალის მუდარა მთელ მის ნებელობას ისრუტავდა. წამიც და კაცი მის მიზიდულობას დანებდებოდა. საკუთარ უძლურობას ებრძოდა და ერთბაშად იგრძნო, რომ კვლავ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გახდა: რა უსასრულოდ ტკბილი იქნებოდა ეს

დანებება, მაგრამ ვნებაზე გამარჯვება ათასგზის უფრო ტკბილი იყო! მზესავით, რომელიც, ეგვიპტური რწმენის თანახმად, თვითონვე ანაყოფიერებს საკუთარ თავს, მასაც თვითკმარობის გასაოცარი განცდა დაეუფლა. სიყვარულის წუთს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ქალი კი სულ უფრო თავდავიწყებით ეკვროდა. თუკი მამაკაცისათვის უსაზღვროდ რთული იყო ასრულების გარეშე სიყვარულის შენარჩუნება, ქალს ეს განუზომლად უფრო ეძნელებოდა. დამაბრმავებელ ვნებას ერძოდა აღტკინებული. უდაბნოს ხვატით გადამშრალ ქვიშასავით ნატრობდა მაცოცხლებელი წყლის ნაკადს. მაგრამ არც წყურვილის მოკვლა ეწერა და არც გონების დაბინდვა და ამით სულ უფრო დამანგრეველი ხდებოდა ბრძოლა. ვნებით მთვრალ მენადას ჰგავდა, რომლის მოხმობა თრობის ღმერთმა არად ჩააგდო. მისი დაბინდული დიდრონი თვალები ბრმა და უმიზნო მზერით დაეძებდნენ რაღაცას და მკვდარი თევზის შემზარავ შუშის თვალებს ჰგავდნენ. კაცი ნათლად ხედავდა იმას, რაც ქალს მოსდიოდა. სიყვარულის წამი მხოლოდ თავისთვის გადაარჩინა, ახლა კი სატრფოსთვისაც იგივე უნდა გაეკეთებინა. ის იდუმალი მზიური ძალა, საკუთარ თავში რაც დააგროვა, ქალისაკენ მიმართა: ეალერსებოდა, კოცნიდა და ნათელი, ჩუმი, უვნებო ხმით ყურში საალერსო სოტყვებს ეჩურჩულებოდა. ეს სულიერი ერთადყოფნა ქალმა უცხო და სანეტარო ვნებად მიიღო, მასში გრძნობად ნაკადად ჩაედინებოდა მზიური ენერგია, მამაკაცმა აღუსრულებელი სიყვარულით რომ შეითვისა. ქალის არსება თანდათან დაიწმინდა თრობის ბურუსუსაგან, ჩამოიბერტყა რეტი და გაბრუება. გვალვით გამხმარ მიწასავით ეწაფებოდა მამაკაცის სიყვარულის მაცოცხლებელ წყაროს. ახლა წყურვილმოკლულ მიწასავით თავისუფლად სუნთქავდა,

ჯერაც მთვრალი იყო, ოღონდ სხვაგვარი თრობით, რომელსაც ციური სიმშვიდე მოჰქონდა. დასაბამიერი მდედრი აღარ ჩანდა, ნორინა კვლავ დაბრუნდა, ოღონდაც ფერგამოცვლილი, თავისი არსების წიაღში ახალი, უცხო ნაყოფის გამოღვიძებას გრძნობდა. ეს სიყვარულის პირ-

მშო იყო, არდაბადებული, შემოქმედებითი ძალის უშრეტი წყარო. ახლა მისთვისაც აღსრულდა სიყვარული, ნათლად და სპეტაკად.

– შენ არაადამიანი ხარ! – ჩურჩულით წარმოსთქვა და კვლავ მის მხარს მიეკრო.

– არა, უბრალოდ ის მამაკაცი ვარ, ვისაც უყვარს, – უპასუხა კაცმა და ქალი გულში ჩაიკრა.

ისევ განაახლეს საუბარი და ლევანმა თავშეკავებული მინიშნებებით ბევრი რამ ამცნო ქალს ამგვარი სიყვარულის შესახებ. დაარწმუნა, სხვაგვარად ვერ მეყვარები, რადგან მეტისმეტად მიყვარხარ, თანაც, ისეთი დავალება ვიკისრე, უმწიკვლოებას რომ ითხოვს ჩემგანო. თუ რაში მდგომარეობდა ეს დავალება, არ განუმარტავს. ნორინა ამას ოდესმე შეიტყობდა. ქალი თავისუფალი იყო ცნობისმოყვარეობისაგან, არ ჩაჰკითხებია, თითქოს თბილი და ლბილი ნაკადულის წყლებში ნებიერად მწოლარე, ისე ისმენდა სატრფოს სიტყვებს. ასე ეგონა, უსასრულობაში საკუთარ თავს კარგავდა და კვლავ პოულობდა სატრფოს მკლავებში. ვინ იყო იგი: მისი მეუღლე, ძმა თუ მეგობარი? ყოველივე ეს ერთად და ამაზე განუზომლად მეტი. ამის ჩაწვდომას არ ცდილობდა, უშუალოდ და მძაფრად განიცდიდა მის სიახლოვეს.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ლევანმა ქალს თბილისის ყოველი კუნჭული უჩვენა. ქალაქი ასეთ სიცხეშიც კი საარაკოდ მშვენიერი იყო, თუმცა ოხშივარი ისე ასდიოდა ქუჩებს, თითქოს ველურ ურდოებს გაეჩინათ ხანძარი. ქალი ყოველივეს სატრფოს თვალებით უმზერდა. როცა სიცხე გაუსაძლისი ხდებოდა, კოსტასთან ერთად მიემგზავრებოდნენ მანგლისსა თუ კოჯორში. კოსტა გრძნობდა ლევანსა და ნორინას შორის გაბმულ ისეთ კავშირს, მეგობრობას რომ აღემატება, ჩვეულებრივ სასიყვარულო ისტორიაზე ფიქრი არ დაუშვია. საამოდ გადიოდა დრო. დროდადრო ნორინა ამბობდა, საირმეში უნდა დავბრუნდეო, კოსტა და ლევანი კი არწმუნებდნენ, კიდევ ერთ დღეს დარჩენილიყო. ქალს სიყვარულმა ახალი სიცოცხლე აჩუქა, საკუთარ თავში ჯერარნახულ ახალ ძალებს გრძნობდა. ლევანთან საუბრისას თავს იკავებდა, მაგრამ, რათა

როგორღაც გამოეთქვა გრძნობები, წერილებს სწერდა, თუმცა თავისთვის ინახავდა.

„გუშინდლიდან, – წერდა ქალი, – თავში ერთადერთი ფიქრი მიტრიალებს. იცი, რაა ქალის ცხოვრების უმაღლესი მომენტი? ეს ფეხმძიმობაა. ხომ გესმის, რომ ამ დროს თითოეულ სიტყვას, ფიქრს, სულის უნატიფეს რხევასაც კი განსაკუთრებულად შეიგრძნობ, რადგან ეს, ამავდროულად, შენში ფხიზლად მთვლემარე ნაყოფის სიტყვა, ფიქრი თუ რხევაცაა. მეც ასევე სათუთად, ფხიზლად და ნეტარად დავატარებ გულის ქვეშ ჩვენს სიყვარულს. თვალებს ვხუჭავ და შენზე ვფიქრობ: მხოლოდ შენი სუნთქვისაგან მოცახცახე ფოთოლი ვარ“. სხვა წერილში კი ამას წერდა: „სული ყვავილივით მაქვს გახსნილი. ყვავილი შეიგრძნობს თავისი ქორფა წვენის დუღილში ზრდისა და სიცოცხლის ძალთა მოზღვავებას და ტკბილი სისავსით თვრება. დილიდან დაღამებამდე ყვავილის თასი მზისკენ იხრება, მასთან ერთად მოძრაობს, ასევე ჩემი სულიც ტრიალებს შენს გარშემო, წყურვილითა და სიტკბოებით გათანგული“. სხვაგან: „მზის

ყოველ ტალღაში, ყოველი ფოთლის შრიალში შენ ხარ. მე და შენ წესით ხელი ხელს უნდა ჩავკიდოთ და-ძმასავით და შორ გზას გავუდგეთ, ღვთის ჭეშმარიტ შვილებად ვიქცეთ, მიწის ნაყოფითა და კაცთა მოწყალებით ვისაზრდოოთ, ვილოცოთ და ვიხაროთ. შენს გვერდით, როცა შენი ხელი მიჭირავს, არაფერი მიმაჩნია შეუძლებლად. ამ ცხოვრებაში თუ არა, სადღაც, სხვაგან სწორედ ასე მოხდება. ან იქნებ ეს ჩემი ნატვრა მხოლოდ ბუნდოვანი მოგონებაა იმისა, რაც უკვე იყო? სადღაც, ოდესღაც... ალბათ ეს მართლაც იყო, თორემ სხვაგვარად როგორ მივაგნებდით ერთურთს?“ დასასრულს: „მკლავებით ვეხვევი კისერზე ჩემს დიდ, ველურ, კეთილ მგელს და უსასრულოდ ვკოცნი, ვიდრე მგელს თვალები ნეტარად არ დაებინდება და სიზმრად არ იხილავს თავის ნორინას. შენი – არა წმინდანი“.

ლევანი, „ჭეშმარიტი მიჯნური“, როგორც ნორინა უწოდებდა, წა-უკითხავადაც გრძნობდა ამ ყოველივეს. გამარჯვებული მიაბიჯებდა მზიურ გზაზე, რაკი აჯანყების მზაკვარი ჩრდილიც მიმალულიყო.

აჯანყება

შეცდა: აჯანყება მხოლოდ რამდენიმე დღით გადაიდო. შესაძლოა, წინამძღოლებს იმის ეჭვი გაუჩნდათ, რომ მათი გეგმები ცნობილი გახდა ბოლშევიკური მთავრობისათვის. ასე იყო თუ ისე, ეს გადავადება აშკარად მათ ორჭოფობაზე მეტყველებდა. ერთ დღეს გაზეთებში ქართველი ხალხისადმი მოწოდება გამოქვეყნდა: იგეგმება აჯანყება და მისთვის მხარის დაჭერა თვითმკვლელობის ტოლფასიოა. ამან ნათელი გახადა ის, რომ ხელისუფლება საპასუხო დარტყმისათვის მზად იყო. შეთქმულთა რიგებში მერყეობა დაიწყო: მოულოდნელი თავდასხმა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მოწოდება თვით აჯანყების ერთ-ერთი თაოსნისაგან მოდიოდა, რომელიც ორ სხვა პარიზელ ემიგრანტთან ერთად ჩამოსულიყო საქართველოში პოლიტიკურ დონეზე აჯანყების მოსამზადებლად. ის ახლა გ.პ.უ.-ს მიერ იყო დაპატიმრებული. მისი მოძახილი სხვა არაფერი იყო, თუ არა შეშინებული კაცის ისტერიული ყვირილი და მან თავზარდამცემი ეფექტი იქონია. ამასთან, მოწოდება დაგვიანებით გაისმა, რადგან აჯანყება მეორე დღისთვის იგეგმებოდა. გ.პ.უ.-მ უეჭველად ისე გათვალა ყველაფერი, რომ შეთქმულების წევრები დასაწყისშივე დაესუსტებინა და, ამასთან, უკან დასახევი გზაც გადაეკეტა მათთვის. აჯანყებულებმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგეს და აჩქარდნენ. ჭიათურაში, მანგანუმის საბადოებზე, აჯანყება ერთი დღით ადრე წამოიწყეს. იმ წუთიდან ყველაფერი უიღბლოდ და ბოროტად შეტრიალდა, მაგრამ უკვე ვერაფრის შეჩერება ვეღარ მოხერხდებოდა. მოუმზადებელი და ცუდად ორგანიზებული ხალხი მაინც თავდაუზოგავად იბრძოდა. ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და მთის ხალხებში – სვანეთში, ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში – ყველგან ერთიანად გამოიღვიძა ძველისძველმა გმირულმა სულმა. ბოლშევიკური ძალების ცენტრს – თბილისს – აჯანყებულნი ჯერჯერობით გვერდს უვლიდნენ: მათი ბუნდოვანი გათვლით, ის, ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული, თავისთავად

დანებდებოდა მეამბოხეებს. ამან დედაქალაქი მტანჯველი მოლოდინის მარწუხებში მოაქცია: კვლავაც, უკვე მერამდენედ იტანჯებოდა ქვეყნის გული. მუდამ დემონურად წარბშეუხრელი ბოლშევიკები ამჯერად უცნაურმა შიშმა და მღელვარებამ აიტაცა. საღამოს ექვსი საათის შემდეგ შინიდან გასვლა ყველას ეკრძალებოდა, ქუჩებს ერთმანეთისაგან ათათი მეტრის დაშორებით მდგომი სამოქალაქო პატრულის პოსტები დარაჯობდნენ. მანქანები აპოკალიფსური სისწრაფით გაიელვებდნენ ხოლმე ქუჩებში, ადამიანებს კი სახეზე ძრწოლა და გაურკვევლობა ეწერათ. გ.პ.უ. უწყვეტ სატელეფონო კავშირში იყო მოსკოვთან, მთავრობის წევრებს ქვეყნიდან გაქცევისათვის გამზადებული თვითმფრინავი ელოდებოდათ. ისინი, ვინც ბოლშევიკებს არ ემხრობოდა, ვისაც საქართველოსათვის გული შესტკიოდა, მტანჯველ უმოქმედობას შეებოჭა. ისინი მოვლენებს გაფაციცებით აყურადებდნენ. ღამით კოშმარები სტანჯავდათ, თითოეულ დღეს კი ახალი უსიამო სიახლე მოჰქონდა. ყოველი ჩურჩული ქუხილივით ჟღერდა, მითქმა-მოთქმა ლეგენდებად იქცეოდა. განუწყვეტლად ებრძოდა იმედი უსასოობას. ბრძოლა კი გრძელდებოდა. კომუნისტების გამომეტყველებით, მათი გუნება-განწყობით ცდილობდა მოსახლეობა მოვლენათა მსვლელობის ამოკითხვას. ეს სახეები არაფერს ამხელდა, მაგრამ მაინც ბევრი რამ გამოდიოდა სააშკარაოზე. კვლავ იმედი და კვლავაც სასოწარკვეთა. არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი და ჩრდილოკავკასია არ შეუერთდა აჯანყებას. მათთვის ამას აზრი არც ჰქონდა: რაკიღა წინასწარ

შეთანხმებულნი არ ყოფილან, გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდნენ და აჯანყების შედეგს ელოდნენ. არც ევროპიდან მოსულა ნანატრი დახმარება და ეს გულუბრყვილო იმედიც საბოლოოდ გადაიწურა. ამასობაში ბოლშევიკები აძლიერებდნენ თავიანთ შეიარაღებას. აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. კომუნისტები ისევ გამხნევდნენ. საბჭოთა მთავრობამ თბილისში ასიათასკაციანი მიტინგი ჩაატარა, რომელზეც ყველა გამომსვლელმა ერთხმად დაგმო აჯანყება. მაგრამ იმავ წუთს რომ მომხდარიყო სასწაული და მეამბოხეთა ჯარები ქა-

ლაქში შემოსულიყვნენ, ბრბოს აღტკინება მაშინვე დიონისური ლხინის ველურ ამოფრქვევაში გადაიზრდებოდა. თუმცა გულის სიღრმეში გამომსვლელთა უმრავლესობა თავიდანვე აჯანყების წინააღმდეგი იყო და ამიტომაც უფრო იოლად დაჰყვა მთავრობის ზეწოლას. აჯანყება ერთ კვირაში ჩაახშეს. გ.პ.უ.-ს ბევრი სამუშაო გაუჩნდა. ყოველდღიურად ასობით მეამბოხეს ხვრეტდნენ, მთლიანობაში ექვსი ათასამდე ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, შეეწყვიტათ დახვრეტები. ქვეყანამ მძიმედ ამოისუნთქა. ყველგან გლოვა და ზარი იდგა. წესიერი ბრძოლა მაინც გამართულიყო! მოწესრიგებული ხელმძღვანელობისა და ორგანიზების გარეშე ბრძოლა ძალთა უაზრო გაფლანგვა იყო. დამარცხება ყველამ სირცხვილად აღიქვა. თანასწორობის კომიტეტი, რომელმაც თავი ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა, მთლიანად დააკავეს, თუმცა მოსკოვიდან მოსულმა ბრძანებამ სიცოცხლე შეუნარჩუნა. ერთ დღეს შავებში ჩაცმული ასობით ქალი წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიკრიბა ქაშუეთის ტაძარში. ეს სამთავრობო მიტინგზე ბევრად უფრო შემზარავი და, რაც მთავარია, უფრო გულწრფელი დემონსტრაცია გახლდათ. ამ სურათის შემხედვარე ყველა რწმუნდებოდა, რომ დიადი დედა დასტიროდა ამ წუთებში ხალხის დაშრეტილ წყაროსთვალს. აქ იყვნენ დაღუპულთა დედები, დები, ცოლები... ყოველი ცრემლი ლოცვად აღევლინებოდა. ცად აზიდული ტაძარი თვითონაც აშოლტილ ქალწულს ჰგავდა, სამსხვერპლოდ შეწირულს. ასე დასრულდა საბჭოთა კავშირის ისტორიაში უდიდესი აჯანყება, რომელმაც საქართველოს მხოლოდ სირცხვილი და ვაება მოუტანა.

უფსკრული

ამ საზარელ დღეებს სამურაის ნერვებიც კი ვერ გაუძლებდა. ეს ბრძოლა ჰგავდა ხარაკირს, რომელსაც გმირული თავგანწირვის საფუძველი გამოაცალეს. აჯანყების დამარცხებაში თვით მეთაურებს მიუძღოდათ ბრალი. ლევანი სრულად განადგურებული იყო. მას პირადად არ შეხებია ბოლშევიკური მთავრობის რისხვა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ჩვეულ ურთიერთობაში მტკიცე და მკაცრი, შინაგანად სათუთი და მგრძნობიარე იყო. ახლა ყოველწუთიერად განიცდიდა თავდასხმას ამ შინაგან სფეროზე, ყოფიერების ფესვებს რომ უკავშირდებოდა. მუშნი და მისი ძმა სიკვდილით დასაჯეს, დახვრიტეს მეგრელი ანდრი, სასტიკად მოკლეს ოდილიანის უმცროსი ძმა, ირმის ნუკრისავით ტანთხელი და ნატიფი. ზაქარასა და მეფუტკრის ძმებიც შეეწირენ საქვეყნო უბედურებას ისევე, როგორც მრავალი სხვა. ლევანმა თითოეული დაღუპული ღვიძლ ძმად შეიგრძნო, თუნდაც პირადად არასოდეს შეხვედროდა მას. სასტიკად იტანჯებოდა. ვინც მას იცნობდა, ვერავინ დაიჯერებდა, რომ ცრემლის ღვრა შეეძლო. ახლა კი იჯდა და ბავშვივით უღონოდ ქვითინებდა, თუმცა ეს არავის უნახავს. ცხოვრებას განაგრძობდა: სუნთქავდა, ესმოდა, ხედავდა, ჭამდა, ეძინა – მაგრამ განა ეს ნამდვილი სიცოცხლე იყო? უწინ უყვარდა მსჯელობისას ამ მაგალითის მოყვანა: წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, გოეთეს დონის გენიოსი, რომლის ხალხს უეცრად თავს საზარელი კატასტროფა დაატყდა. თუკი ფიზიკურად გადარჩა, მას შეუძლია განაგრძოს ცხოვრება და შემოქმედება, ოღონდაც საამისოდ აუცილებელი მიწისქვეშა წყარო მოაკლდება, მანამდე რომ ასაზრდოვებდა. ერთხელაც მიხვდება, რომ სრულიად დაშრეტილი და გამოფიტულია. აი, ამ სიცარიელეს შეიგრძნობდა ახლა ლევანი, ჯერაც ბუნდოვანი, მაგრამ ამის გამო არანაკლებ გამანადგურებელი შიშის სახით. ბევრად უფრო საგანგაშოსაც ხედავდა: თვით ხალხის სულიერ ფესვებს ემუქრებოდა განადგურება. ისტორიის მანძილზე მათი ნაწილი მუდამ რჩებოდა ხელუხლებელი, მაგრამ თუკი ყველა ფესვი მოიწამლა,

საშველი აღარსადაა: მაშინ ყოფიერება იქცევა იარაღად დემონურ ძალთა ხელში.

გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე ლევანი გუმანით ხვდებოდა, რომ საქმე უბრალო ძალადობასთან არ ჰქონდა. ძალადობამ შეიძლება მოგდრიკოს, მაგრამ არ გადაგტეხოს. ძალადობისადმი მორჩილებას შეიძლება სიკვდილიც კი ამჯობინო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ყოფიერება შინაგანად მაინც გადარჩება. მაგრამ ეს უცხო ძალა სულ სხვაგვარად მოქმედებდა. მისი გავლენით იცვლებოდა საგანთა არსი: თვით ყოფიერებას რაღაც გამოუცნობი უსახელო ელემენტი შერეოდა, რაღაც უცხო სხეული, რომელიც გბოჭავდა, გაწამებდა, მაგრამ რომლისგანაც ვერაფრით აღწევდი თავს. ის ადამიანის ჯანსაღ უჯრედებს შთანთქავდა და სულისა და სხეულის სიმრთელეს უქმნიდა საფრთხეს. მაგრამ ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ ადრე თუ გვიან ვიღაც ერთი ამ უცხო სხეულის გათავისებას შეეცდებოდა, მასთან თავს გააიგივებდა, რადგან დანაწევრებული სახით შეუძლებელია არსებობის გაგრძელება. მეტიც: ადამიანები თავს ირწმუნებდნენ, რომ მათ არსში შესახლებული ეს პარაზიტი სიკეთის მომტანია. ეს დაძაბულობას კი არ აუქმებდა, არამედ ჩქმალავდა, ტანჯვა უხილავად გრძელდებოდა, მაგრამ საფრთხე სულ უფრო ძლიერდებოდა. ლევანი გამუდმებით ეკითხებოდა საკუთარ თავს: რა არის ეს? რა ხდება? მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. დაეძებდა რაიმე სიმბოლურ სურათს, რითაც ამ მდგომარეობის ახსნას შეძლებდა. თვალწინ ედგა ნამუსაყრილი

ქალწული, რომელსაც სირცხვილი და შეურაცხყოფა მუდმივად სტანჯავს და ანადგურებს და არავინაა მისი მხსნელი. შინაგანი ჭრილობა ვერასოდეს მოუშუშდება. მაგრამ შეიძლება მოხდეს სასწაული, განაგრძობდა ლევანი ფიქრს: უეცრად, ძრწოლითა და თან შვებით აღმოაჩენს, რომ უყვარს ის, ვინც მასზე ძალა იხმარა. ამით სირცხვილი თითქოს გაუქმდა, თითქოს არაფერი მომხდარა. მაგრამ სინამდვილე ბევრად უფრო მკაცრი და ფხიზელია და ეს ქალსაც კარგად მოეხსენება. ქვეცნობიერად მიელტვის სასწაულს და დროდადრო ეჩვენება, თითქოს საწა-

დელს მიაღწია კიდეც. მაგრამ მისი სიყვარული თავის მოტყუება იქნება მხოლოდ: მის ნატანჯ სულს თანდათან ისტერია დაეუფლება და თვითგანადგურებას დააჩქარებს. დაახლოებით ასე ხსნიდა ლევანი ბოლშევიზმის სენს. ვისაც ეს სენი შეეყრება, ის საკუთარ ადამიანობაზე უარს ამბობს. ცივი და უკეთური დემონი ხელებს იფშვნეტს, მან თავისი საქმე მარჯვედ შეასრულა და გამარჯვებას ზეიმობს: ადამიანში ღვთის ხატი და მსგავსება ამოშალა. ნეტავ ხვდებოდნენ მისგან ძალამონიჭებულნი, თუ ვის ხელში აღმოჩნდნენ და ვინ წარმართავს მათ დაღუპვისაკენ!

ასე აღმოჩნდა ყოფიერების ფესვები განადგურების ზღვარზე. ლევანი ამას ადრეც გრძნობდა, ახლა კი ეს ჭეშმარიტება თვალსაჩინოდ დაანახა ბოლშევიკების მიერ ნაძალადევად მოწყობილმა მიტინგმა, რომელსაც თვითონაც დაესწრო. ასობით შეკრებილთან ერთად მანაც დაწყევლა აჯანყების მეთაურები – ამაში გულწრფელი იყო. მაგრამ საერთო წყევლა-კრულვა საბჭოეთის სახელით ჟღერდა, ეს კი, ცხადია, ლევანის განწყობას ეწინააღმდეგებოდა. მის წარმოსახვაში შექმნილი პატივაყრილი ქალის სახე ახლა ბევრად უფრო ნათლად გამოიკვეთა. არა, ეს ათასგზის უფრო შემზარავი დარტყმა იყო, ვიდრე ის, რაც 25 თებერვალს მოხდა.

ოდილიანი ჯერაც თავის სოფელში იმყოფებოდა. ავალა გზად შემორჩა ბათუმში და ჯერჯერობით არეულობების გამო თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. დანარჩენი მეგობრების უმრავლესობაც დასასვენებელ ადგილებზე შერჩენილიყო. ლევანი მხოლოდ ნორინას ხვდებოდა – ისიც ტრანსპორტის შეფერხებამ შეაყოვნა თბილისში, – კოსტასთან. საირმედან არავითარი ცნობები არ მოდიოდა და კოსტას წინათგრძნობა სტანჯავდა. სატრფოს გაუსაძლისი ტკივილი ნორინას ბედნიერებას უწამლავდა. ფიქრობდა, კიდევ კარგი, საირმეში ვერ ვბრუნდებიო: როგორც დობილი, მხარში ედგა და ანუგეშებდა. სათუთი ალერსით შეუქმნა ისეთი გარემო, სადაც ლაღად სუნთქვას შეძლებდა. მასთან ერთად ლევანი დროებით ივიწყებდა თავისი ხალხის სამარ-

ცხვინო მდგომარეობას, რომელიც მარტოდ დარჩენილს მოსვენებას უკარგავდა.

ერთ საღამოს ნორინა ლევანს ბინაში ესტუმრა. კაცი საწოლზე იწვა, ეპილეფსიის შეტევა დამართნოდა და ხელ-ფეხი თვითონვე გაეკოჭა თოკით. შეძრწუნებულ ქალს აუხსნა, ასე ვეცადე კრუნჩხვის შეკავებაო. ნორინა საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და დის სინაზით ეფერებოდა. მისმა სინაზემ დაამშვიდა სნეული, მან მალევე იგრძნო შვება. კაცი ოდნავ წამოიმართა, ქალი გულში ჩაიკრა და აკოცა, თანდათან სულ უფრო ვნებიანად ჰკოცნიდა. წამიც და ქალი და კი აღარ იყო მისთვის, არამედ სატრფო. ქალშიც მეტრფემ გამოიღვიძა. კვლავაც თავიანთ მზიურ გზაზე იდგნენ, მაგრამ კაცს აღარ შერჩა სულის სიმედგრე, ბნელ, ნოტიო უფსკრულში ეშვებოდა. ქალშიც წამოყო თავი მდედრმა, უწინდელზე უფრო მძლავრად. ბრმა

ვნებად იქცა ორივე. ელტვოდნენ ერთმანეთის სხეულებს, რათა ტკბილი განზავების წუთი ეგემათ, მაგრამ საბოლოო და უკიდურესი ნეტარება ვერ მოიხელთეს. ყოფიერების ზღვართან მისულებმა, ერთ სუნთქვად, ერთ არსად ქცეულებმა უეცრად შეიგრძნეს, რომ არასოდეს ყოფილან ასე შორს ერთურთისაგან. მამაკაცმა ეს უფრო მძაფრად განიცადა, თუმცა ქალისთვისაც მტკივნეული აღმოჩნდა ეს უეცარი სიცარიელე. წინათ ნათელ სხივებში ბანაობდნენ, ახლა კი შემზარავი არარას ტყვეებად იქცნენ. სიტკბოება მომაკვდინებელი გამოდგა. მაგრამ რატომ? ორივეს, თუმცა მამაკაცს ქალზე მეტად ის, რაც მოხდა, არაბუნებრივად ეჩვენა. ვისაც ერთხელ მაინც უვლია სიყვარულის მზიურ გზაზე, სხვაგვარად ვერ შეიგრძნობდა. ხედავდა, რომ თავისი არსის გულისგულს თვითონვე მიაყენა დარტყმა და ვერ გაეგო, როგორ უმტყუნა თავშეკავებამ. მძიმე კაეშანი დააწვა, თუმცა თავი დაიმშვიდა, იქნებ დროებითი სისუსტე დამეუფლაო. მაგრამ შემდგომში იგივე განმეორდა და დანაშაულის განცდაც გაუასმაგდა. ამიერიდან ამ ქალის ერთი შეხებაც კი დაუცხრომელ ცეცხლს ბადებდა მასში. მზემ შური იძია კაცზე მისი გზიდან გადახვევისათვის. ვნება ორივეს ხრავდა. ქალის სუნთქვა უდაბნოს ხვატივით

სწვავდა და მუდამ გამოფიტულნი, დამშრალნი მოდიოდნენ გონს. ორივეს ესმოდა, რომ ეს დაღუპვა იყო, მამაკაცს უფრო, ვიდრე ქალს, მაგრამ ცოდნა ერთია, ყოფნა კი სულ სხვა, ყოფნის წრებრუნვის შეჩერება მათ არ შეეძლოთ.

ორივე იტანჯებოდა, თუმცა ნორინას უფრო ლევანის გაუსაძლისი ყოფა სტანჯავდა. სურდა დახმარებოდა, მაგრამ მაცოცხლებელი ძალა აღარ ჰქონდა ქალს. მისი მარცხი ლევანმაც ნათლად დაინახა. უფსკრულს საზარელი ხახა დაეღო და ჩაყლაპვით ემუქრებოდა.

გასრესილი, დამარცხებული, დაფლეთილი იჯდა ერთ დღეს ნორინასთან. თავის დარდს მშვიდად ზიდავდა და ამის გამო კიდევ უფრო გულსაკლავი სანახავი იყო. ნორინა ისევ ნაზად, დასავით უსვამდა ხელს, უალერსებდა და ანუგეშებდა. ამჯერად ქალის შეხებას მასში ცეცხლი აღარ აუნთია, ამან ორივე გააკვირვა. მამაკაცი უხმოდ იჯდა გულჩათხრობილი.

– რა მოგდის? – ჰკითხა შეწუხებულმა ქალმა, – დღეს ისე მიყურებ, თითქოს უცხო ვიყო.

– უცხო? არა! არასოდეს ვყოფილვარ შენთან ასე ახლოს, – ჩურჩულით ჩაილაპარაკა კაცმა.

ქალმა დაჟინებით ჩახედა თვალებში.

– იქნებ მეც უცხო გავხდი შენთვის, – განაგრძო ლევანმა.

ქალი გაოგნებული მიაშტერდა. ლევანმა პატარა გასაღები ამოიღო ჯიბიდან.

– ხედავ ამას? – უჩვენა გასაღები ქალს.

ნორინა გაოცებული დუმდა. კაცმა წმინდა თასის შესახებ ყველაფერი უამბო. ქალი ყურს უგდებდა და გრძნობდა, რაოდენ იტანჯება მამაკაცი, თუმცა ამ ტანჯვაში გამოუთქმელად მშვიდი და თვინიერი ჩანდა. მით უფრო შემზარავი იყო ეს ტანჯვა. თხრობა რომ დაასრულა, კაცი დადუმდა და სივრცეს უღონოდ შეაშტერდა. ქალმა ყველაფერი განჭვრიტა, რაც სატრფოს სულში ხდებოდა: თავისი სულიერი ბირთვის დაზიანები-

სა ეშინოდა, ეგონა, სამუდამოდ დაკარგა სხივოსანი ძალა. მზიურ გზაზე ხელმოცარულს, რა უფლება ჰქონდა, გრალის მცველად დარჩენილიყო?

– შენ ხომ ჯერ კიდევ იტანჯები! – როგორც იქნა, აღმოხდა ქალს.

კაცი შეცბა. იგრძნო, სატრფომ თავისი სულის მადლიერი სალბუნი რომ შეახო მის ჭრილობას და უმალ შვება იგრძნო.

ასეა, გაიფიქრა კაცმა: ვიდრე ადამიანი იტანჯება, მას კიდევ რჩება ძალა აღორძინებისათვის. იმედის მკრთალმა სხივმა გაუნათა სული.

– გახსოვს, რა გიპასუხე მაშინ, ტყეში, როდესაც მკითხე, მართლაც ასე ცოდვილია თუ არა ხორცი? – ჩურჩულითვე ჰკითხა ქალს ცოტა ხნის შემდეგ.

– ჰო, მახსოვს, – უპასუხა ქალმა და მისი ნათქვამი გაიმეორა: – მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანში არ არის საკმარისი მზიური ძალა.

– ახლა კი რა ვქნა?

– შენ ფიქრობ, რომ მზიური ძალა მოგაკლდა?

– ასეა.

– მაგრამ იქნებ ჩემში ცოცხლობს ჯერ კიდევ ის მზე, შენ რომ დაანთე?

ეს სიტყვები ბავშვური სათნოებით წარმოსთქვა. ლევანი ნაზად მოეხვია. უცნაურია, მოაგონდა, რომ ზოგიერთ ხალხებს, მათ შორის ქართველებსა და გერმანელებს, მზე ქალის სახით წარმოედგინათ. რა მითოსური ახსნა მოეძებნება ამას? იფიქრა, იქნებ მზე სულიერ ძალთა დამბადებელი და მათი მასაზრდოვებელი საშოა. და, თუკი ასეა, მაშინ მზეს ქალივით უნდა შეეძლოს ჩასახვა და შობა. მზის ღმერთის, ოსირისის მშობელი ისიდა ხომ მზის ქალიშვილი იყო! სატრფო ახლა სულ ახლოს ეჯდა და მკერდზე ეკვროდა. მამაკაცი გრძნობდა მისგან გამოდენილ სხივებს, თითქოს მის გვერდით ღვთაებრივი ისიდა მჯდარიყო. მისი სიტყვებისათვის პასუხი არ გაუცია.

გარეთ წვიმის ხმა ისმოდა, თუმცა წვიმამ მალევე გადაიღო. საღამოს იისფერი ბინდი ჩამოწვა და ჰაერი წვიმისაგან დარწყულებული მიწის გამაბრუებელი სურნელით – მზის სურნელით – აივსო. არასოდეს არ მოს-

ჩვენებია კაცს ნორინა ასე მშვენიერი, როგორც ახლა. ქალი თითქმის უძრავად ეკვროდა სხეულზე: მარცხენა საფეთქელი კაცის მარჯვენა საფეთქელზე მიედო. მზიური ძალით ჩაისახა მათ შორის შინაგანი სიახლოვე. ამჯერად ქალი გაუძღვა მამაკაცს სინათლის გზაზე. ორივეს არსებაში სპეტაკი ცეცხლი ენთო და, ამავდროულად, არასოდეს არ ყოფილა სხეულებრივი შეხება ასე მძაფრი და მომნუსხველი. ქალის სული მზარდ სხივად ჩაეღვარა მამაკაცს მისი დაბინდული არსის წიაღში. ღვთაებრივ წამში განიცადა კაცმა ახალ ძალთა დაბადება. ეს იყო ნეტარი წამი. ქალთან ვერანაირი სხვა სიახლოვე ასეთ ნეტარებას ვერ აჩუქებდა. სულის ნატიფი განცდის ახალ სიმაღლეს მიაღწიეს, რომელიც ვნებაზე უფრო მათრობელიც კი იყო. დიდხანს ისხდნენ ერთურთს ჩაკონებულნი, თითოეულის სული გაფაციცებით აკვირდებოდა შინაგან ზეასვლას.

– ახლა ვხედავ, რომ ბეატრიჩეს თვით დანტეზე ბევრად მეტი მადლი ჰქონია სიცოცხლისა, – ჩურჩულით წარმოსთქვა მამაკაცმა და უფრო ჩუმად დაუმატა, – შენ გესმის, ეს რასაც ნიშნავს.

ნორინამ არაფერი უპასუხა, არ განძრეულა, გამოუთქმელი სიხარულით იყო გაცისკროვნებული. ეს წუთები იდუმალი მსვლელობისათვის უნდა მიენდოთ, რათა მათ მიერ დაბადებულ თესლს თავისით გამოეღო ნაყოფი. კიდევ ერთხანს ისხდნენ მდუმარედ, შემდეგ კი კაცი ქალს ჩუმად დაემშვიდობა და გავიდა.

სახენათელი პატიმარი

მოულოდნელად თბილისში დათა ჩამოვიდა და ცუდი ამბავი ჩამოიტანა: მამა დაუპატიმრებიათ და დედაქალაქში ჩამოუყვანიათ. კოსტასა და ნორინას ამ ამბავმა თავზარი დასცა. საბედნიეროდ, ლევანი მათთან იყო, მას სიმშვიდე არ დაუკარგავს. მტკიცე და ლბილი ხმით ძმები და ნორინა დაარწმუნა იმაში, რომ თავადს საფრთხე არ ემუქრება და ამან მართლაც ანუგეშა ყველანი.

სასახლე თუ გაჩხრიკესო, ჰკითხა ლევანმა დათას.

– მხოლოდ ზედაპირულად, – მიუგო იმან.

– რაიმეს კონფისკაცია თუ მოხდა?

– არა, მხოლოდ ზოგიერთი ქაღალდი წაიღეს თან.

ლევანი ჩაფიქრდა. მაშ, წმინდა თასი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ქაღალდები? დღიურიც მათ შორის ხომ არ იყო? რაღაცამ გაუელვა ფიქრებში, მწარე ჩხვლეტა იგრძნო, მაგრამ თავი მაშინვე აიყვანა ხელში. ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო, თავადისთვის უნდა ეშველა. იმავე საღამოს დათა და ნორინა საირმეში გაემგზავრნენ.

თავადი გ.პ.უ.-ს ვიწრო საკანში იჯდა. ამ საშინელ შენობას ასეთი პატიმარი ალბათ მანამდე არ ჰყოლია. შიშს აღარ განიცდიდა: არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, მით უმეტეს, კონტრრევოლუციონერი. ახალგაზრდულმა თავგადასავლის წყურვილმაც კი გამოიღვიძა მასში. რას უზამდნენ: დახვრეტდნენ? დახვრეტების ტალღამ უკვე გადაიარა. შიმშილით ამოხდიდნენ სულს? მისთვის შიმშილი მარხვას ნიშნავდა, მტკიცე ნებისყოფა გააძლებინებდა ამ განსაცდელს. აწამებდნენ? არც ეს აშინებდა, რადგან აღმოსავლურ საბრძოლო სიბრძნეში გაწაფულს ტკივილის გრძნობის მოთოკვა შეეძლო. ჯოჯოხეთური გარემო? მის სულს შეეძლო ცხოველივით მისცემოდა ზამთრის ძილს. სამ სხვა პატიმართან ერთად იჯდა. უცნაური კაცის დარბაისლური იერით გაოცებულნი, რიდით შეჰყურებდნენ. როდესაც შეიტყეს, რომ მათი თანასაკნელი თავა-

დი გიორგია, რიდი და გაოცება ღრმა მოწიწებამ შეცვალა. მასთან ერთ საკანში ყოფნა თავისთავად უკვე ღვთის მადლი იყო მათთვის.

თავადი დასაკითხად გაიყვანეს. მისი საქმის გამოძიება ერთ ქართველს დაეკისრა, მაგრამ მან უარი განაცხადა პატიმრის დაკითხვაზე. ეს არნახული დანაშაული იყო. გ.პ.უ.-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი შავდია, სწორედ ის, ლევანმა ერთხელ კაფეში რომ ნახა წითურთან ერთად, აღშფოთებას ვერ მალავდა.

– დაკავებული ჩემი ნათლიაა, მე ამას ვერ გავაკეთებ, – ასე დაასაბუთა ქართველმა თავისი დაუმორჩილებლობა.

– ბოლშევიკი ხართ თუ არა? – მკაცრად ჰკითხა უფროსმა.

– დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ...

– მაგრამ რა?! ბოლშევიკმა არ უნდა მისცეს თავს უფლება, ნათლიასი მოერიდოს.

– წმინდა თეორიულად მართალი ბრძანდებით, მაგრამ რაღაც მაკავებს, ვერ აგიხსნით, რა...

– თქვენ არ ხართ სათანადოდ მზად ჩვენი საქმისათვის.

– ეს ჩემთვის ნათელია. მართლაც, როგორც ბოლშევიკი, თქვენ როგორ შეგედრებით?

გულუბრყვილო იერით შენიღბულმა ამ პირფერობამ მართლაც გაჭრა.

– ჰმ, ნათლია! რა სენტიმენტალობაა! – დაცინვით ჩაილაპარაკა უფროსმა, მაგრამ თანამშრომელი დაკითხვის წარმოებისაგან გაათავისუფლა.

დანიშნეს სხვა გამომძიებელი, მაგრამ მან თავიდანვე შებოჭილობა იგრძნო თავადთან საუბარში და არაფერი გამოუვიდა. კიდევ ერთ თანამშრომელსაც იგივე დაემართა. გ.პ.უ.-ს უფროსობა სასტიკად განრისხდა. მაშინ ვიღაცამ წითურის სახელი ახსენა და ყველამ მაშინვე შვებით ამოისუნთქა.

თავადი გიორგი გაოგნდა, როცა დაკითხვის ოთახში ველსკი დახვდა. მაშინვე გაიფიქრა, ეს ის მახინჯი იქნება, ანდრი და ლევანი რომ შეაშ-

ფოთაო. თვითონაც უსიამო შიში იგრძნო, მაგრამ თავი მაშინვე აიყვანა ხელში. ეს ბევრად უკეთ შეეძლო, ვიდრე ლევანს და, მით უმეტეს, ანდრის. წითურის ალმაცერი მზერა მასაც თავგზას უბნევდა, მაგრამ თავადი მოსულს თვალს არიდებდა, თვითონაც განზე იყურებოდა. ეს საკმაოდ უსიამოვნო იყო, მაგრამ შებოჭილობას უხსნიდა. თანამოსაუბრეს ერთდროულად ორივე თვალში კი არ უყურებდა, არამედ ხან მარცხენაში, ხანაც მარჯვენაში. ველსკის თავი მშვიდად, ღირსეულად და თავაზიანად ეჭირა. თუმცა მთელი გულით სძულდა არისტოკრატია, თავადის დარბაისელმა პიროვნებამ ძალაუნებურად მაინც მოხიბლა.

– თუ ნებას დამრთავთ, რუსულად საუბარს თავს ავარიდებ, – უთხრა თავადმა.

– რატომ? – გაიკვირვა ველსკიმ.

– არა იმიტომ, რომ რუსული ენა მძულს, პირიქით. მაგრამ თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ცარისტულმა მთავრობამ ჩვენ, ქართველებს, გვიღალატა და უსათუოდ უნდა გამიგოთ, რომ ამ ენასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური დაბრკოლება მიჩნდება...

ცარისტული მთავრობის მოღალატედ შერაცხვა წითურს ეამა. კიდევ უფრო სასიამოვნოდ ეჩვენა ის მტკიცება, რომ მას ფსიქოლოგიური ნიუანსების წვდომა შეეძლო.

– მაგრამ მე ქართულად არ ვლაპარაკობ, – უპასუხა ველსკიმ თავადს.

– დარწმუნებული ვარ, რომელიმე ევროპულ ენას ფლობთ.

ეს აღიარებაც ძალზე ესიამოვნა ბოლშევიკს.

– მაშინ, იქნებ ფრანგულად ვისაუბროთ, – შესთავაზა თავადს.

– სიამოვნებით, – დათანხმდა პატიმარი.

ველსკი მაშინვე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, რადგან თავადი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულს, ველსკის ფრანგული კი, განსაკუთრებით გამოთქმა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. თავადი ღიმილს ძლივს იკავებდა. ეს უკვე სანახევრო გამარჯვებას ნიშნავდა.

ველსკის თავადის შესახებ მრავალი საარაკო რამ სმენოდა, მაგრამ დაკითხვამაც იმთავითვე ნათელი გახადა, რომ მის წინაშე უბრალო პა-

ტიმარი არ იჯდა. მასთან განსაკუთრებული მიდგომა იყო საჭირო. გარეგნულად დაკითხვა ისე წარმართა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, სხვათა შორის, ჩაურთო საუბარში ის, რომ რამდენიმე თვის წინათ თავადმა თავისთან მეამბოხე შეიკედლა.

– ეს მართალია, – უპასუხა პატიმარმა, – მე მას უბრალოდ მასპინძლობა გავუწიე.

– მასპინძლობა! – გაიმეორა ველსკიმ, – თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ მსგავს შემთხვევაში მასპინძლობის გაწევა თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი სასტიკად იკრძალება.

– დიახ, ვიცი, – მშვიდად დაუდასტურა თავადმა.

– და, მიუხედავად ამისა, მაინც..?

– იცით, ზოგიერთი რამ ჩვენს სისხლში განაგრძობს არსებობას.

– ჰმ... სისხლში...

– მთავრობა რომ გდევნიდეთ, თქვენც შეგიკედლებდით ჩემს ჭერქვეშ.

ველსკიმ პასუხი არ გასცა, თუმცა მისი დუმილი თანხმობას ნამდვილად არ ნიშნავდა. შემდეგ, კვლავაც, ვითომდა, სხვათა შორის, გადაიტანა საუბარი მიმოწერაზე, რომელსაც თავადი უცხოელ მეგობრებთან აწარმოებდა. თავადი მაშინვე მიუხვდა განზრახვას.

– აჰ, ჩემს რუს მეგობრებს წარმოდგენა არ აქვთ აქაურ მოვლენებზე, ამიტომ თავიანთ წერილებში გაუფრთხილებელ, თუმცა უვნებელ გამოთქმებს იყენებენ. მათთვის ამის განმარტების მცდელობა უფრო მეტ ეჭვსა და მიეთ-მოეთს გამოიწვევდა.

ეს განმარტება იმდენად ღია იყო, რომ, მისი ორაზროვნების მიუხედავად, ველსკიმ უპასუხოდ დატოვა. მის მიზანს სულ სხვა რამ წარმოადგენდა. მშვიდად გამოჰკითხა თავადი მისი პოლიტიკური შეხედულებების თაობაზე. თავადმა უპასუხა, პოლიტიკოსი არ ვარ და არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნიო.

– ამას ყველა ამტკიცებს, აქაც და რუსეთშიც, – ხმადაბლა მიუგო ველსკიმ, – მაგრამ არჩევანის წინაშე რომ იდგეთ, უთუოდ მოგიწევდათ რომელიმე პარტიისათვის უპირატესობის მინიჭება.

– არა, – მტკიცედ განუცხადა თავადმა.

– როგორ? არც მაშინ, როდესაც ამას ისტორიული მომენტი ითხოვს?

– არც მაშინ.

ველსკი გაკვირვებით მიაშტერდა თანამოსაუბრეს.

– წარმოუდგენელია, – ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

– როგორ გითხრათ, – განაგრძო თავადმა, – ვეცდები, ჩემი მოსაზრება შესატყვისობის ფენომენის მაგალითზე აგიხსნათ; ჩემი ვარაუდით, ის თქვენთვის უცნობია. მაგალითად, მე შემიძლია ხელზე ვაკოცო ქალს და ყველა ენაში ამის აღმნიშვნელი სიტყვა მოვძებნო. მაგრამ ღვთისმშობელს ვერ „ვაკოცებ“, საამისოდ სხვა შესატყვისი მესაჭიროება და ქართული ენა ასეთ სიტყვასაც მაწვდის: „ამბორი“. ანდა, მე შემიძლია აქ ვიმღერო – თუმცაღა ეს შენობა დიდად არ აღმიძრავს სიმღერის სურვილს – მაგრამ ტაძარში არ ვმღერივართ. პირველ შემთხვევაში ქართველი ამბობს „ვმღერი“, მეორეში კი: „ვგალობ“. კიდევ ერთი მაგალითი: წმინდა წერილისათვის განსხვავებული შრიფტია საჭირო, ისეთივე არა, როგორც საერო დამწერლობაშია. ქართველებს ორივე შემთხვევისათვის საგანგებო ანბანი აქვთ. ანდა... ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ როგორ მოგმართოთ?

– ველსკი მქვია, – ავტომატურად უპასუხა გამომძიებელმა.

– მაშ, ნებას დამრთავთ, ბატონი ველსკი გიწოდოთ? მომიტევეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შევეგუე მომართვას „მოქალაქე“, დღეს რომაა მიღებული. მაშასადამე, მე შემიძლია ვთქვა „ბატონი ველსკი“, მაგრამ არასოდეს ვიტყვი „ბატონი ღმერთი“. ქართველებს აქაც საგანგებო შესატყვისები შეუქმნიათ: „ბატონი“ – ადამიანთან დაკავშირებით და „უფალი“ – ღმერთთან დაკავშირებით. ახლა კი გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: სიტყვა „ძალაუფლება“ ქართულ ენაში არა პირველი, არამედ მეორე სიტყვისგანაა წარმოებული. აი, სად ძევს საიდუმლო.

თავადი დადუმდა.

– თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ძალაუფლება ღვთაებრივი ბუნებისაა? – წარმოსთქვა ცოტა ხნის შემდეგ ველსკიმ.

– ნამდვილად. ცხადია, ჭეშმარიტ ძალაუფლებას ვგულისხმობ, – მიუგო თავადმა.

ველსკიმ წარბები შეკრა.

– რაკიღა დღეს აღარ არსებობს საკრალური ძალაუფლება, არც ერთ არსებულ ძალაუფლებას არ სცნობთ, სწორად გავიგე?

– დიახ, – დაუდასტურა თავადმა.

საუბარი განაგრძეს. ეს დაკითხვა აღარ იყო, არამედ უფრო ფილოსოფიური საუბარი, თუმცა თავადისათვის ოდნავ დამაფიქრებელი, მაგრამ არცთუ უსიამოვნო, სადაც მოკლედ და არსებითად შეეხო თანამედროვეობის სხვადასხვა პრობლემებს. ველსკი თვითონ ცოტას საუბრობდა, მხოლოდ მოკლე შენიშვნებს ურთავდა და არც ისინი ჰგავდა პასუხებს. აშკარა იყო, რომ ველსკისთვის, უშუალოდ თუ არა, ირიბი გზებით მაინც, ცნობილი იყო ყველა ის თემა თუ პრობლემა, რომელიც თავადს აფიქრებდა. ამ შენიშვნებით ველსკიმ თითქმის არაადამიანური გონიერება გამოავლინა. თავადი აღელვებული ლაპარაკობდა და თან უცნაურ კაცს აკვირდებოდა.

პირველი დაკითხვა ასე დამთავრდა. საკანში რომ ბრუნდებოდა, თავადი იმაზე ფიქრობდა, თუ რა მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა გამომძიებლის ამგვარ საქციელს? უეცრად დერეფანში ახალგაზრდა კაცს შეეფეთა და შეკრთა: ბაგრატიონი იცნო. ნუთუ ისიც დაკავებულია? არა, გ.პ.უ.-ს თანამშრომლის გვერდიგვერდ არხეინად მიაბიჯებდა. შეუძლებელია: საქართველოს ტახტის ერთადერთი მემკვიდრე გ.პ.უ.-სთან თანამშრომლობს?! ბაგრატოვანთა დიადი გვარის ასეთი დაცემა თავადს წარმოუდგენლად მიაჩნდა. ახალგაზრდამ აშკარად იცნო თავადი და სასწრაფოდ გვერდითა ოთახში მიიმალა. რცხვენოდა? მაგრამ ამას რაღა აზრი ჰქონდა? ეს პირველი მძიმე დარტყმა იყო, რაც თავადმა პატიმრობისას განიცადა.

დათრგუნული დაბრუნდა საკანში და იმაზე განაგრძო ფიქრი, თუ რის გარკვევას ცდილობდა წითური მასთან საუბარში.

ველსკი კმაყოფილი იყო იმით, რომ საუბრისას შეძლო, არანაირად არ გამოემჟღავნებინა თავადისადმი სიძულვილი. ჯერ არასოდეს უამაყია ასე ძალიან საკუთარი თავდაჭერით. ოთახში მარტო დარჩენილმა სრული თავისუფლება მისცა თავის სიძულვილს. აი, სად არის თავი და თავი მავნებლობისა! – ბურტყუნებდა თავისთის. ამასთანავე ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე, რაკი მაინც მოექცა თავადის პიროვნული ხიბლის გავლენის ქვეშ.

ველსკის მუდამ ასე მოსდიოდა, ღრმა ბავშვობიდან. თვითონაც უჭირდა იმის განმარტება, თუ რა იყო მისი სიძულვილის სათავე. თავს მუდამ საკუთარ არსში მომწყვდეულად განიცდიდა. ეს განცდა ტკბილი იყო, მაგრამ ამავდროულად საკუთარი არსი საპყრობილედ ეჩვენებოდა. გონიერი იყო, მაგრამ უშუალობა აკლდა, ბავშვი არასოდეს ყოფილა. თვითდამკვიდრებისაკენ იღვწოდა, თავდავიწყებას კი ვერასოდეს ეძლეოდა და ეს სტანჯავდა. შურდა ისეთი ადამიანებისა, ვინც თამაშში, ვნებასა თუ ლხინში თავდაუზოგავად იხარჯებოდნენ. დროდადრო ნაძალადევად ეძიებდა თრობას, მაგრამ ეს თრობა გულწრფელი არასოდეს იყო და არ აკმაყოფილებდა. საკუთარ ნაჭუჭში მოქცეულს, გამანადგურებელი ანალიზი შეეძლო მხოლოდ. მხოლოდ სიძულვილში აღწევდა თავდავიწყებას, სიძულვილი ერთადერთი გულწრფელი განცდა იყო მისთვის. ყველაზე მეტად კი საკუთარი არსი სძულდა და სხვებზე გადმონთხეული სიძულვილიც მხოლოდ შურისძიება იყო მისი შებორკილი და უდღეური არსებისა, რომელსაც ვერსად გაექცა. თავადი გიორგი იმიტომ სძულდა, რომ თვითონ არ იყო თავადი გიორგი.

მოკვდეს! მოისპოს! ამ სიტყვებს სცრიდა კბილებს შორის. მაგრამ როგორ? დახვრეტა ასეთი კაცისთვის განადგურებას არ ნიშნავს. მაშინ მოაგონდა დოსტოევსკისთან კირილოვის სიტყვები: „წარმოიდგინეთ სახლისხელა ლოდი, თქვენს თავზე რომ ჰკიდია; მითხარით, თავში რომ დაგეცეთ, გეტკინებათ? – ცხადია, ვერანაირ ტკივილს ვერ ვიგრძნობ. –

მაგრამ ჩამოკიდებული ლოდის ქვეშ რომ დაგაწვინონ, ხომ საშინელი შიში გაგტანჯავთ?“ ეს შეშლილი გენიალურად მსჯელობს – ჩურჩულით წარმოსთქვა ველსკიმ. აი, ზუსტად ასეთი ტანჯვა უნდა მივაყენო თავად გიორგის, ვიდრე ტკივილი თავისთავად არ მოუღებს ბოლოს.

თავადის ქაღალდები მოითხოვა და, რომ მოუტანეს, მათ ქექვას შეუდგა, ვიდრე სქელ რვეულს არ მიაგნო. ეს თავადის დღიური იყო, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „თანამედროვეობისაგან განსმდგომი კაცის ჩანაწერები“. რვეული გადაფურცლა, ჩანაწერები ქართულ ენაზე იყო. შინ წაიღო და ქართველი თარჯიმანი გამოიძახა. მთელი ღამე შეისწავლიდა ამ რვეულს და რაიმე ცნობას დაეძებდა მასში ისეთს, რაც თავადის მოსაშხამად გამოადგებოდა. რაც უფრო მცირედი იქნება ეს ცნობა, მით უფრო ნატიფი და მოქმედი შხამი გამოვა მისგანო, ასე ფიქრობდა. უკვე წინასწარ აგემოვნებდა შურისძიებას. თავადთან იმდღევანდელი საუბრიდან ბევრი რამ აღმოაჩინა ჩანაწერებში. თარჯიმანი გულმოდგინედ კითხულობდა, ველსკი კი მოუთმენლობისაგან ცმუკავდა. უეცრად მოისმინა ის მონაკვეთი, სადაც გრალის თასის მემკვიდრეობით

გადაცემაზე იყო საუბარი. „როგორც იქნა!“ – დაიღრიალა ისე მრისხანედ, რომ თარჯიმანი, თუმცა ისიც გ.პ.უ.-ს თანამშრომელი იყო, შიშისაგან გადაფითრდა. ველსკიმ ხელმეორედ წააკითხა ეს მონაკვეთი. შემდეგ ფიქრებში ჩაიძირა და გაოგნებული თარჯიმანი დაითხოვა.

„შხამი ნაპოვნია“ – სიხარულით გაიფიქრა ველსკიმ. ახლა მომდევნო დაკითხვისას სასხვათაშორისოდ ჩამოაგდებდა სიტყვას ჯერ ზოგადად გრალზე, შემდეგ კი მის შესახებ თქმულების ქართულ ვარიანტზე. პატიმრის გულში მოხვედრილი შხამის წვეთი თავის მოქმედებას დაიწყებს და გარდუვალად მიიყვანს თვითგანადგურებამდე. ველსკი რაღაც ზებუნებრივს განიცდიდა. ერთბაშად გონებაში ლევანის სახელი ამოუტივტივდა. აჰ, ის კაცი, მატარებელში რომ დაემგზავრა! ის უსათუოდ უკანასკნელი ძალით შეეცდება თასის დაცვას, მაგრამ მას დააპატიმრებენ და გრალს ჩამოართმევენ. ამასობაში თავადის სულში ჩაწვეთებული შხამი თავისას იზამს. ერთხელაც დაინახავს თავადი მის თავს ჩამო-

კიდებულ კირილოვის ლოდს და მაშინ ვეღარაფერი უშველის. აი, მაშინ ველსკი, კვლავაც თითქოს სასხვათაშორისოდ ჩააწვეთებს შხამის მეორე წვეთს: ამცნობს, რომ გრალის მცველი, ლევანი, დაკავებულია და სასჯელი ემუქრება. თავადი ლევანის გადარჩენას ეცდება გრალის – და, მაშასადამე, საკუთარი თავის ღალატით. იტყვის, ლევანი მოტყუებითა და ხიბლით ვაიძულე, საკუთარ თავზე გრალის დაცვა აეღო, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ასეთი სისულელის გულისთვის არ ღირს სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაო. და, თუკი ეს მოხდება, მაშინ თავადი ის აღარ იქნება, რაც არის. მაშინ ის დამარცხდება.

ველსკი სიხარულით ხელებს იფშვნეტდა. მაგრამ ახლა კი საქმეს უნდა შედგომოდა! უპირველეს ყოვლისა გრალის ხელში ჩაგდება და ტაბუს დამსხვრევა იყო საჭირო. გ.პ.უ.-ს ორგანოებს უბრძანა ლევანისათვის ყოველ ნაბიჯზე თვალთვალი ეწარმოებინათ.

ბრძოლა გრალისათვის

ლევანს უეცრად მოაგონდა დათას სიტყვები, ზოგიერთი ქაღალდი ჩხრეკისას წაიღესო. წუხდა, მათ შორის თავადის დღიურიც ხომ არ არის, მასში უსათუოდ იქნება მოხსენიებული წმინდა თასიო. ლევანი მღელვარებამ აიტანა. თითოეული წუთი მძიმე ლოდად ეჩვენა, დაუყოვნებლივ გაემგზავრა საირმეში. გზად მატარებელში შეხვდა ზაქარას, რომელიც ქუთაისში ავადმყოფი დედის მოსანახულებლად მიდიოდა.

– მაშ, რაო? – ჰკითხა ლევანმა.

– ყველაფერი ზუსტად ისე დატრიალდა, თქვენ რომ განჭვრიტეთ, – უთხრა მფრინავმა.

– თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ აჯანყებაში.

– არა. იმ საუბრის შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა მანგლისში, როგორღა შევუერთდებოდი მეამბოხეებს?

ლევანმა თბილად შეხედა ახალგაზრდა კაცს.

– იცით, ამ დღეების მანძილზე თვალს გადევნებდით, – მღელვარედ განაგრძო ზაქარამ, – განადგურებული მეჩვენეთ. კარგად მესმის, რომ ახლა წარმოუდგენლად გიმძიმთ საქართველოში დარჩენა. იცოდეთ, მე ჩემი თვითმფრინავით ნებისმიერ დროს თქვენს განკარგულებაში ვარ.

– საქართველოდან გაქცევას მთავაზობთ? – გაოგნდა ლევანი.

– დიახ.

– არა, ჩემო კარგო ზაქარა! ახლა ჩვენს ქვეყანას ვერ მივატოვებ. აქ უნდა დავრჩე. ხალხი შინაგანად დამსხვრეულია, მაგრამ არა განადგურებული. ჩვენი ვალია, მისი ძალების აღორძინებას შევუწყოთ ხელი. უნდა შეიქმნას რჩეული კაცების მცირე გაერთიანება, რომელიც საკუთარ თავში ქართულ სულსა და არსს წმინდად და საიდუმლოდ შეინარჩუნებს. მაშასადამე, რაინდთა ორდენი. გჯერათ ჩემი?

– ჩემს საკუთარ თავზე მეტად თქვენ გენდობით!

– მაშინ ამ საძმოს ერთ-ერთი წევრი გახდებით.

ახალგაზრდა კაცი სიხარულით გაბრწყინდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან პასუხისმგებლობა

მეტისმეტად ემძიმა. ლევანმა განაგრძო საუბარი და განუმარტა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ ადამიანების გაერთიანება. ზაქარა მდუმარედ უსმენდა და თავი უკვე ორდენის წევრად წარმოედგინა. რიონში ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ეს დამშვიდობება შორეული საძმოსაგან მოღწეული სალამივით ჟღერდა.

ლევანი გზას მარტოდმარტო ფეხით მიუყვებოდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რა უნდა ეღონა. სასწრაფოდ სხვაგან უნდა გადაემალა წმინდა გრალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, გ.პ.უ. ამით არ დაკმაყოფილდებოდა. დაატიმრებდა და განადგურებით დაემუქრებოდა, თუკი საიდუმლოს არ გათქვამდა. უეცრად აზრად მოუვიდა, რომ გრალის ნაცვლად კოლოფში სხვა რამ ჩვეულებრივი ძველი თასის ჩადება შეიძლებოდა. ეს აზრი უეცარი შთაგონების მსგავსად ესტუმრა, მაგრამ მაშინვე დაფიქრდა: განა ასე მოიქცეოდა გრალის ჭეშმარიტი რაინდი? ეს დამამცირებლად ეჩვენა, მაგრამ, მეორე მხრივ, რაინდთა საძმოს ჩამოყალიბებას ძალზე მნიშვნელოვან საქმედ თვლიდა და მისი გულისთვის ეს ხრიკიც გამართლებულად მიიჩნია.

ამ ფიქრებში წასული მიუახლოვდა სასახლეს. როგორც კი ეზოში შედგა ფეხი, წამსვე საიდანღაც გაჩნდა შავდია გ.პ.უ.-ს ორ თანამშრომელთან ერთად. ველსკიც მათთან ერთად იყო. ლევანი მყისვე გამოერკვა.

– აჰ, მოქალაქე ორბელო, – ხალისიანად შესძახა ველსკიმ, – რა დამთხვევაა, რომ თქვენც აქ მობრძანებულხათ!

– თქვენ, როგორც საიდუმლოს უარმყოფელს, არა მგონია, დამთხვევებისა გწამდეთ, ხომ ასეა, ბატონო ველსკი? – ღიმილით მიუგო ლევანმა.

წითური ოდნავ შეცბა.

– და მაინც, – განაგრძო ლევანმა, – ჩვენს შეხვედრას მართლაც რაღაც იდუმალი საზრისი უნდა ჰქონდეს.

– ვერ მიგიხვდით, – ჩაიბურტყუნა ველსკიმ.

– ნება მომეცით, უცხო ენაზე დაგელაპარაკოთ, – ლევანმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ველსკის თანმხლებ პირებს.

– გთხოვთ. იქნებ ფრანგულად? – შესთავაზა გაოცებულმა ველსკიმ.

– კარგი, – დაიწყო ლევანმა ფრანგულად, – ხომ გახსოვთ ჩვენი შეხვედრა მატარებელში?

– აჰ, – ველსკის გუნება გამოუკეთდა, – იმის თქმა გნებავთ, რომ მაშინ წმინდა თასის შესახებ ვსაუბრობდით და ახლა...

– ახლაც სწორედ ასეთი თასის გამო შევხვდით ერთმანეთს!

– მართლაც რა უცნაურია! – ღიმილით შესძახა ველსკიმ.

ამასობაში კნეინა და დათა გამოჩნდნენ და შეშფოთებულნი შეაცქერდნენ გ.პ.უ.-ს თანამშრომლებს. ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ მოვიდა ლევანი მათთან ერთად.

– ერთი წუთით, – მიმართა მათ ველსკიმ, რათა შექმნილი ვითარება განემარტა, – მოქალაქე ორბელმა სასახლეში ისეთი რამ უნდა გვიჩვენოს, რაც თავადის ანდერძის თანახმად, მხოლოდ მისთვისაა ცნობილი.

ველსკის სიტყვებმა კიდევ უფრო შეაშფოთეს დათა და დედამისი: სახტად დარჩენილნი, ფიქრობდნენ, ალბათ დააკავეს და აქ მოიყვანესო. ლევანი მიესალმა, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს, თავს უკვე დაპატიმრებულად თვლიდა.

– ახლა კი წავიდეთ, – მიუბრუნდა მას ველსკი.

დათა და კნეინა უკან გაჰყვნენ, მაგრამ ველსკიმ დაუშალა. მასა და ლევანს შორის საუბარმა უწინდელი ხალისიანი კილო დაკარგა.

– მართლაც ყოვლად განსაკუთრებულმა შემთხვევამ შეგვყარა: თქვენ აქ გრალის მცველის მისიას ასრულებთ, მე კი – გრალის შემმუსვრელისა, ასე არ არის? – ნაძალადევად გაიღიმა ველსკიმ.

– გავართმევთ თუ არა თავს ჩვენ-ჩვენ ამოცანას? – გაიღიმა ლევანმაც.

– მაშ, ეჭვი გეპარებათ? – შენიშნა ველსკიმ.

– ჩემ თავში კი არა, თქვენში, – უცნაურად მოუჭრა ლევანმა. წითური გაოცებული უმზერდა: მის წინაშე ახლა სხვა ადამიანი იდგა.

– თქვენი აზრით, ტაბუს დამსხვრევას ვერ შევძლებ?

– სწორედ აღნიშნეთ, – მიუგო ლევანმა, – ჩემი აზრით, საამისო გამბედაობა არ გაგაჩნიათ.

– მე არ გამაჩნია?

– არანაირად.

– ცდებით!

– დამიმტკიცეთ, რომ ვცდები! შემომყევით იმ ოთახში, სადაც გრალი ინახება, ოღონდაც მარტო, თქვენი თანამშრომლების გარეშე.

– მერედა – რა, თუკი ოთახში მარტო შეგყვებით?

– ჩემი თანდასწრებით ვერ გაბედავთ შეეხოთ გრალს.

– ეს სასაცილოა!

– მაშინ სცადეთ!

ველსკი თავზარდაცემული იდგა. ეჭვი ხრავდა: ნუთუ ეს კაცი თავისი ყეყეჩობით ჩემთვის მახის გადებას აპირებსო. მაგრამ მისთვის აშკარა იყო, რომ მოწინააღმდეგე არ ყეყეჩობდა: ლევანისგან გამოსულ რაღაც გამოუცნობ გოლიათურ ძალას გრძნობდა.

– იცით, მე აქ ექსპერიმენტებისათვის არ მოვსულვარ, – როგორც იქნა, უპასუხა ლევანს წითურმა.

– აბა რისთვის მოხვედით?

– ჩემი დავალების შესასრულებლად.

– მაშინ არ ყოფილხართ გრალის შემმუსვრელი.

– მე თუ არა, ის არის, ვისაც მე ვემსახურები.

– ვინ არის ეს უსახელო?

ველსკი მაშინვე მიხვდა, რომ ლევანი პარტიას კი არა, იდუმალ ძალას გულისხმობდა.

– ამის შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ, – უპასუხა ბოლოს.

– სიამოვნებით, თუ ამის საშუალება მომეცემა, – შენიშნა ლევანმა.

– ო, გარწმუნებთ, ამის საშუალება ნამდვილად მოგეცემათ, – ხმადაბლა წარმოსთქვა ველსკიმ, რითაც ნათელი გახადა, რომ მოწინააღმდეგე დაკავებულია.

– სიხარულით მოველი ამ უცნობის უფრო ახლოს გაცნობას, – უპასუხა ლევანმა, – მაგრამ მაინც არ მწამს, რომ მას გრალის შემუსვრა ძალუძს.

– სულ რამდენიმე წუთში თქვენს აზრს გამოიცვლით, – წარმოსთქვა უკვე მოთმინებადაკარგულმა ველსკიმ.

– ძალიან მაინტერესებს, როგორ მოხდება ეს, – გამომწვევად მიუგო ლევანმა.

თავადის ოთახს უახლოვდებოდნენ. „რას ლაქლაქებს“ – გაიფიქრა ბრაზმორეულმა და თავგზააბნეულმა ველსკიმ. გ.პ.უ.-ს თანამშრომლებმა ამ საუბრიდან ვერაფერი გაიგეს. ჭაბუკი ბასილა და სვანი ყანსავი შეუმჩნევლად მიჰყვებოდნენ უკან. მთელი სასახლე შიშმა მოიცვა. როგორც იქნა, თავადის ოთახში შეაბიჯეს.

– წმინდა თასი ამ კარადაში ასვენია, – განაცხადა ლევანმა.

ყველანი ახლოს მივიდნენ.

– გააღეთ, – უბრძანა ველსკიმ ლევანს.

ლევანმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მშვიდად, აუჩქარებლად გააღო კარადა. თვითონაც ეუცნაურებოდა ეს სიმსუბუქე. უეცრად საკუთარ თავში არნახულ ძალთა მოზღვავება შეიგრძნო. ყოველი ადამიანის სიცოცხლეში დგება ის წამი, როდესაც მთელი ყოფიერება მის არსებაშია ჩართული. ლევანი ახლა ამგვარი წამის მოახლოებას განიცდიდა. მტკიცე და მრისხანე სულმა გამოიღვიძა მასში. განმგმირავი მზერა ესროლა ველსკის, რომელსაც ხელი გაეწვდინა გრალისაკენ. ლევანს უცნაურად მოეჩვენა ის, რომ ველსკის ხელსაც კი წითური ბალანი და ჭორფლი ფარავდა. ცხადად წარმოუდგა მატარებელში ნანახი კოშმარი: საქართველოს გრალის თასში შემძვრალი საზარელი ობობა.

– შეჩერდით! – არაადამიანურად მბრძანებლური ხმით დასჭექა ლევანმა. ეს იყო ხმა სრულყოფილი მამაკაცისა, აღმართულ ხელში ცეც-

ხლვანი მახვილი რომ ეპყრა, – ეს ხელი ვერ მიეკარება წმინდა თასს: მასში საქართველოს გულია მოქცეული! – თითოეული სიტყვით თითქოს ცეცხლის ალს გამოსტყორცნიდა.

ველსკის უეცრად ძალა გამოეცალა, მძიმედ, დამბლადაცემულივით მოაშორა ხელი გრალის თასს. დაცვა თავზარდაცემული იდგა. ლევანი სიტყვას ვეღარ ძრავდა. ერთთავად მართლაც ცეცხლოვანი ლოდის

ნამსხვრევად ქცეულიყო, ოღონდაც არა ძირს დაცემულის, არამედ ჰაერში გამოტყორცნილისა. ველსკიმ შიშნარევი მზერა გააპარა მისკენ და უკან დაიხია. უცხო, ცეცხლოვან სახებას ხედავდა. ელვანაკრავივით დახარა თავი.

– აიყვანეთ, – ხმადაბლა გასცა მან ბრძანება.

– ვერც ერთი ვერ მომეკარებით! – ისევ საშინელი ხმით დაიყვირა ლევანმა.

იმავ წამს ბასილა და ყანსავი გააფთრებულნი შემოიჭრნენ ოთახში. ამან დაცვა გამოაფხიზლა. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. დაცვაც და ველსკიც შეიარაღებულები იყვნენ. ყანსავი მრისხანე ვეფხივით იბრძოდა, ბასილა მარჯვე ილეთებს ხმარობდა, ლევანი თითქოს ცეცხლოვანი მახვილით უტევდა მტერს. ყანსავი და ბასილა მსუბუქად დაიჭრნენ. ყოველივე ელვის სისწრაფით მოხდა: ორიოდე წუთის შემდეგ ველსკი და გ.პ.უ.-ს თანამშრომლები დამარცხებულნი ძირს ეყარნენ.

– ამ მახინჯს ძვლები უნდა გადავუმტვრიო! – დაიყვირა ბასილამ.

– არ მოკლათ! – ბრძანა ლევანმა.

გ.პ.უ.-ს ფუნქციონერები განაიარაღეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. ველსკის ტანზე გახადეს, ეზოში გაათრიეს და არყის ხეზე ჯაჭვით მიაბეს.

– გვაპატიე ეს შეურაცხყოფა, კეთილო ხეო! – მიმართა არყის ხეს ლევანმა.

ველსკი ამას არ მოელოდა; ჩიხში მომწყვდეული ტახივით აბრიალებდა გადმოკარკლულ თვალებს. მათი მოყვითალო კაკლები საზარლად ბრწყინავდა, მაგრამ ძალა გამოცლილი ჰქონდა: დამარცხებამ და

დამცირებამ მთლიანად გასრისა, დარცხვენილი, უაზროდ მიშტერებოდა ერთ წერტილს და ამაზრზენ სანახაობას წარმოადგენდა.

ახლა რა უნდა ექნა? ლევანი მძიმედ სუნთქავდა, გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი. ერთბაშად ნათლად დაინახა თავისი მდგომარეობა. გონს მოეგო და საფრთხეს თვალი გაუსწორა. თავადის ოთახში დაბრუნდა და კედარის ხის მომცრო ზარდახშაში ჩასვენებული წმინდა თასი სინათლეზე გამოიტანა. სასახლის წინ ამასობაში გლეხები შეკრებილიყვნენ.

– თქვენ იცით, – მიმართა მათ აივნიდან ლევანმა, – რომ ბოლშევიკებმა ქვეყანა აგვიოხრეს, ახლა კი ამ სიწმინდის ხელყოფაც განუზრახავთ, – გაოგნებულ ხალხს ზარდახშა უჩვენა, – აქ ასვენია საქართველოს გული, საუკუნეების მანძილზე რომ ინახავდა ჩვენი ხალხი. მე მას გადავარჩენ!

ყველანი შესცქეროდნენ ამ საოცრებას.

– მივდივარ! – განაცხადა ლევანმა და ჭიშკრისკენ გაემართა.

– მეც მოგყვები! – უთხრა ბასილამ.

– მეც! – დაეწია ყანსავი.

ხალხიდან ზოგიერთი შეუერთდა მათ.

– წინ! – უჩვენა ლევანმა გზა და ყველამ ახლომდებარე ციხესიმაგრისაკენ აიღო გეზი.

ეს ლაშქრობა სრულად სტიქიურად დაიწყო. გადაკრიალებული ცის ქვეშ ლევანი ისე მიაბიჯებდა, როგორც ნათელ სიზმარში. მიდამო თითქოს სიზმარს აეტაცა მიწის ზედაპირიდან მაღლა, სამყაროულ სივრცეში.

უეცრად მოაგონდა ნორინა. ამ მოგონებამ უმძაფრესი ტკივილით გამსჭვალა. ნეტავ სად არის? – გაიფიქრა შეწუხებულმა. იმავ წამს დაინახა სატრფო: გვერდითა ბილიკზე იდგა თავადის ქალიშვილთან ერთად და მამაკაცი უეცრად ჩვილ ბავშვად იქცა.

– წმინდა გრალი გადავარჩინე, – სწრაფად უთხრა სახეგანათებულმა, – ახლა მე და შენ შეუღლებულნი ვართ, – ეს გერმანულად უთხრა.

ნორინა გაოცებული შეჰყურებდა. ლევანმა მოკლედ უამბო ყოველივე, რაც მოხდა. შიშმა და ტკივილმა მოიცვა ქალი, მუხლი მოეკვეთა და აქეთ-იქით გაიხედა, თითქოს შველას ითხოვსო.

– ეს შენმა სიყვარულმა შემაძლებინა, – წარმოსთქვა ლევანმა.

– მეც შენთან ერთად მოვდივარ, – როგორც იქნა, სიტყვა ამოთქვა ქალმა.

– არა, არ შეიძლება, – უთხრა ლევანმა, – შენ ისედაც ჩემთან ხარ.

სწრაფად, თითქოს უგონოდ დაემშვიდობნენ ერთი მეორეს.

როდესაც მამაკაცები თვალს მოეფარენ, ნორინას გული ტკივილმა განუგმირა. ღამით მოსასვენებლად არ დაწოლილა; თავდახრილი, განუწყვეტლივ ცახცახებდა.

თავადი კი განაგრძობდა ფიქრს: ეს უფრო საუბარი იყო, ვიდრე დაკითხვა. მაგრამ განა ეს მისი სულის ჩხრეკას არ ნიშნავდა? რა თქმა უნდა, ასე იყო. ველსკიმ ჩემი გულდაგულ გაცნობა განიზრახა, რათა შემდგომ, საჭირო წუთში სული წვეთ-წვეთად მომიწამლოსო, ფიქრობდა მოხუცი. მაგრამ შხამის როლი რას უნდა შეესრულებინა? უეცრად მოაგონდა ლევანისთვის დატოვებული ანდერძი, რომლის შესახებაც მის დღიურში ეწერა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა: დამღუპველი შხამის სახით მტერი აუცილებლად გრალის საიდუმლოს გამოიყენებდა. თვალწინ იმ უკეთური გეგმის ყველა წვრილმანი წარმოუდგა, ველსკიმ საიდუმლოდ რომ დასახა. ეს მხოლოდ ვარაუდი იყო, მაგარამ სინამდვილეზე უფრო ცხადი. ამ თავდასხმას მომზადებული უნდა შეხვედროდა. შინაგანი ძალები მოიკრიბა: მთავარია, სიცოცხლის წყაროსთვალი არ დაზიანდესო, ეუბნებოდა საკუთარ თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავდაცვის ნებისმიერი მცდელობა ამაო იქნება.

საკუთარ თავს ჩაუღრმავდა და დიდ დროს ატარებდა მედიტაციაში. ამაში გაწაფული იყო და ორი დღის მეცადინეობის შემდეგ მთელი თავისი არსება შეუვალ ატომურ ბირთვად აქცია. წარმატებამ გაამხნევა. ახლა იმაზე ფიქრს შეუდგა, ველსკიზე საპასუხო იერიში როგორ მიეტანა. თავადმა ყველა საშუალება აწონ-დაწონა. იქნებ ყველაზე სანდო

იდუმალი ძალების მხრიდან მხარდაჭერის მოპოვება იქნებოდა? მაგრამ გ.პ.უ.-ს მთელი ატმოსფერო მძლავრი ოკულტური ძალებით იყო განმსჭვალული, თუმცა ეს თვით გ.პ.უ.-ს თანამშრომლებისათვის უცნობი იყო. მაშ, როგორ მოქცეულიყო? თავადმა გადაწყვიტა, რომ თავდაპირველად ველსკის შინაგანი ხატის წვდომა იყო საჭირო. რას გვასწავლის უძველესი სიბრძნე? თავადი ჩაფიქრდა. ძველი დროის ადამიანი მტრის ხატსა თუ გამოსახულებას განგმირავდა და ამით თვით მოწინააღმდეგეს აყენებდა ზიანს. მაშ, მტრის შესამუსრად მხოლოდ მისი სურათი კმარა? არამც და არამც. ასე რომ იყოს, მაშინ ფოტოსურათის მეშვეობით ადამიანის მოკვლა იქნებოდა შესაძლებელი. არქაული საზოგადოების წარმომადგენელი სურათში მოწინააღმდეგის იმ პიროვნულ ხატს მოაქცევს, რომელსაც შინაგანი მზერით ჭვრეტს: მხოლოდ ამიტომ მოქმედებს მისი მაგია. ეს ხატი არც ხორციელია, არც სულიერი, მას შეიძლება გასულიერებული ვუწოდოთ. მცენარეში ამგვარი ხატი წინარე მცენარის სახითაა მიძინებული. ის ხორცს ისხამს მცენარეში, მაგრამ, ამავდროულად, თითქოს აირში ჰკიდია და თავის ხორცშესხმას თავს დასტრიალებს უხილავი. ბაყაყის ორად გაყოფილი უჯრედიდან დაბადებული ორი სრულყოფილი, მაგრამ მომცრო ზომის ბაყაყი საკუთარ თავში დაატარებენ განუხორციელებელ წინარე ბაყაყს: ის მათში ცოცხლობს, თუმცა მოუხელთებელია. მაშასადამე, ის ხატოვანი სინამდვილეა, თან არის და თან არ არის. ზუსტად ასევე წარმოუდგენიათ ადამიანის შინაგანი ხატიც, ფიქრობდა თავადი. როცა ადამიანი „საკუთარი თავიდან გადმოაბიჯებს“, მაშინ ატმოსფერულად შემჭიდროვებული ეს ხატი მის სხეულს ტოვებს და შორიახლოს დაფარფატებს. რაც უფრო შორს „გადმოაბიჯებს“ ადამიანი საკუთარი თავიდან, მით უფრო „შემჭიდროვებულ-გამკვრივებულია“ მისი შინაგანი ხატი. თუკი გულდასმით შევხედავთ მკვლელის სახეს, რომელმაც ეს-ესაა თავისი მტერი ხანჯლით განგმირა, მის სახეზე მოკლულის სწორედ ასეთ ხატს ამოვიკითხავთ. შინაგანი იერიშის მისატანად აუცილებელია მტრის ამ ხატის გამოხმობა, რაც დაშინებით, მისთვის თავგზის აბნევით ანდა სხვა მსგავსი საშუალე-

ბით მიიღწევა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ კმარა: ეს ხატი ეთერული ცეცხლის მახვილით უნდა განიგმიროს. ამ დარტყმის მიყენება კი ყველაზე ადვილი მაშინაა, როდესაც მეტოქემ, ეს წუთია, რაღაც მისთვის მანამდე უჩვეულო განიცადა.

ნაპოლეონი თითქმის ყოველი ბრძოლის წინ ხანმოკლე კატალეპტიკურ ძილს ეძლეოდა. გამოღვიძებისთანავე საკუთარ თავში დემონურ ძალებს შეიგრძნობდა. თავადმა გაიხსენა, რომ ეს უცნაური მდგომარეობა თავს იჩენს ჯერ კიდევ ეგვიპტელთა საკულტო ძილში. ის, ვინც ხელდასხმის რიტუალისათვის ემზადებოდა, მაგიურ ძილს ეძლეოდა. მასში თანდათან ყველაფერი კვდებოდა; მისი არსის მხოლოდ ერთი მოლეკულა რჩებოდა ფხიზლად. ეს სიკვდილის ზღვართან მიახლოებას ნიშნავდა, მაგრამ, ამავდროულად, ყოფიერების დამბადებელ წყაროსთან მიახლოვებაც იყო. ამ წყაროსაგან დარწყულებული, მისი არსის ის ერთადერთი მოლეკულა ზრდასა და განახლებულ სიცოცხლეს იწყებდა. გამოღვიძების შემდგომ ადამიანი უკვე ხელდასხმული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ უბრალო ცოდნას კი აღარ ფლობდა, არამედ ისეთ ცოდნას, რომელიც ქმედითია.

ასე ფიქრობდა თავადი. მრავალი თავგადასავლით აღსავსე ცხოვრებაში რამდენჯერმე სწვევია ამგვარი ძილი. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. შეძლებდა კი ახლა, თანაც გ.პ.უ.-ს გარემოში ამ მდგომარეობაში შესვლას? ეს რომც შეძლოს, ერთი რამ მაინც განუხორციელებელი დარჩება: შეუძლებელია ველსკისთვის მის მზიურ ფესვში ჭრილობის მიყენება, რადგან ის ადამიანი აღარ არის. ამით საპასუხო დარტყმის ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხა და ძალები მთლიანად თავდაცვაზე გადაიტანა. იცოდა, ველსკი მისი არსის დამსხვრევას შეეცდებოდა. როგორ გამკლავდებოდა ურჩხულს? გ.პ.უ.-ს წინაშე სულიერი ძალების შენარჩუნებას მხოლოდ ის შეძლებს, ვინც საკუთარ თავში სიკვდილის შიშს დაამარცხებს და შესაძლო გადარჩენაზე ყველა ფიქრს უკუაგდებს. ეს იცოდა თავადმა, მაგრამ როგორ მიეღწია ამისათვის, თუკი სიკვდილის შიში განუწყვეტლივ სტანჯავდა? ო, რა იდუმალია ყოფიერება! მაგ-

რამ ეს თავადის სულიერ უმწიფობას მოწმობდა, რადგან სრულყოფილი არსებისათვის სიკვდილი მხოლოდ აღსრულებაა. მაგრამ ახლა სწორედ ეს შიში გამოეცხადა ხსნად! სიკვდილით დასჯიან? ეს მხოლოდ ხანმოკლე „ოპერაცია“ იქნება, საწოლში განცდილ მგუდავ აგონიაზე ათასგზის უფრო უკეთესი! საკუთარი ფიქრებისა რცხვენოდა, მაგრამ მათ ვეღარ უმკლავდებოდა. ისევ გაიყვანეს დაკითხვაზე.

ველსკი უგუნებოდ იჯდა მაგიდასთან თავის პატარა კაბინეტში. გადატანილი მარცხი მოსვენებას არ აძლევდა. ვერ გაეგო, როგორ მოახერხა ლევან ორბელმა მისი სულიერად დამორჩილება. მტკივნეულად ეძებდა პასუხს. საკუთარი თავისათვის ვერ ეპატიებინა ის, რომ ასე გულუბრყვილოდ გაება მოწინააღმდეგის მიერ ოსტატურად დაგებულ მახეში. არაფერია, დაიმშვიდა თავი. ის ციხესიმაგრე, სადაც მოწინააღმდეგე დაბანაკდა ერთი მუჭა ერთგულებთან ერთად, უკვე ალყაშია მოქცეული. მალე დააკავებენ გრალის თასთან ერთად და მაშინ გ.პ.უ.-ს განკარგულებაში იქნება, სრულიად უსუსური. მაშინაც შეძლებს ველსკიზე ზეწოლის მოხდენას? წითური ხელებს იფშვნეტდა, შურისძიებას დახარბებული. მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, სულის სიღრმეში დაძაბუნებული იყო: როდესაც შიშველი მიაბეს ხეზე, ეს უბრალოდ გაშიშვლება კი არ იყო, არამედ ნიღბის ახდაც. ახლა წარმოუდგენელ შინაგან სისუსტეს გრძნობდა და იმ სამარცხვინო სცენის გახსენებისას სძულდა საკუთარი თავი. ამ სიძულვილის მოგერიებას ცდილობდა და, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიუხედავად, ასე მსჯელობდა: პიროვნება ხომ თავისი ხილული სახით უკვალოდ არ ქრება, მან შეიძლება გარეგნული იერ-სახე გველის პერანგივით

ჩამოიცილოს და, განახლებული ძალებით განაგრძობს არსებობას. მაგრამ ახალი აჰასფერის სული მაინც სულ ოდნავ შესამჩნევ ბზარს გადაესერა...

თავადის შემოსვლისთანავე ველსკი ლოკოკინასავით წამიერად ჩაიმალა საკუთარ თავში. ხელით ანიშნა, დამჯდარიყო. თავადი მშვიდად და ფხიზლად დაჯდა მის პირისპირ. ამჯერად ველსკის სახე უცნაურად

დაღარული და პირქუში ეჩვენა. გამომეტყველებაზევე შეატყო, რომ რაღაც განსაკუთრებული შეემთხვა. ველსკი მხოლოდ კარგა ხნის დუმილის შემდეგ ალაპარაკდა, ხმადაბლა, თითქმის ხრიალით მოიხსენია თავადის დღიური.

– თქვენ მას უკვე გაეცანით? – ღიმილით ჰკითხა თავადმა.

– დიახ, – უპასუხა თვალებდახრილმა ველსკიმ, – ერთმა ქართველმა გადმომითარგმნა, – ერთხანს შეყოვნდა და შემდეგ ნაძალადევი ღიმილით განაგრძო: – საინტერესო ჩანაწერებია.

– მართლაც ასე თვლით? – სანახევროდ ირონიულად იკითხა თავადმა.

– დიახ! თუმცა, – ველსკის სახე ზიზღით დაებრიცა, – რა შორსაა ეს ყველაფერი ჩვენი დროისაგან!

– ამიტომაც ვუწოდე თანამედროვეობისაგან განსმდგომი კაცის ჩანაწერები, – მიუგო თავადმა.

საუბარი კვლავ დაკითხვის სახით კი არა, ფილოსოფიური მსჯელობის მსგავსად წარიმართა. ველსკი ცდილობდა თავადს გაშინაურებოდა, მაგრამ ყოველი მცდელობისას შეუვალ კედელს აწყდებოდა. უეცრად ისეთი დუმილი ჩამოწვა, თითქოს საფარში განაბული მხეცი თავდასხმისათვის ემზადებაო. ველსკი უეცრად თავადს მიუბრუნდა და მზერით მის განგმირვას შეეცადა:

– მაშ, საქართველოსაც ჰქონია თავისი გრალი! – ეს სიტყვები ვერაგულად გამოსტყორცნა.

– დიახ, – მტკიცედ, მაგრამ მშვიდად წარმოსთქვა თავადმა.

ველსკი თავადის გამომეტყველებას აკვირდებოდა, მის სახეზე შეშფოთების ნახვას მოელოდა. გ.პ.უ.-ს გაქნილი უფროსი სულიერი ჭრილობის მიყენების ილეთებსაც ფლობდა.

იგი ფიქრობდა: საგნები ერთმანეთთან კოსმიურ კავშირში არიან, მაგრამ რა ძევს მათ შორის? თუკი ეს რაღაც საგნობრივია, მაშინ არც ერთი საგანი არ არის გათითოვებული და, აქედან გამომდინარე, მათი აღქმაც შეუძლებელია. ხოლო თუკი ეს ასე არ არის, მაშინ საგნები სიცარიე-

ლეში არსებობენ. სწორედ ამ სიცარიელის აღსანიშნად ფიზიკას შემოაქვს „ეთერის“ ცნება: ეს საგნებს შორის არსებული მატერიალური

და, ამავე დროს, არამატერიალური სუბსტანციაა. ეს სამყაროს აღქმას გვიადვილებს. ამგვარად, თითოეული საგანი, ერთი მხრივ, განცალკევებით დგას, მეორე მხრივ კი, უსასრულობასთანაა გადახლართული. შეიძლება წარმოვიდგინოთ ის უთხელესი ზღვარი, რომლის მიღმა ნებისმიერი არსი წყვეტს დამოუკიდებელ არსებობას და სამყაროს ერწყმის. ამ ზღვარს უწოდებენ პერისომას. ის ადამიანის სიცოცხლეში ჭიპლარის როლს თამაშობს და, თუკი რამენაირად დაზიანდა, თუნდაც ტლანქი სიტყვით, მაშინ ადამიანი საკუთარ თავში იკეტება და სამყაროსთან კავშირს წყვეტს: თითქოს სამყაროს სივრცეში აღარ არსებობს. ველსკის ეს მოსაზრება დიდად არ განსხვავდებოდა თავადის თვალსაზრისისგან.

ახლა ერთიმეორის პირისპირ ორი დიდოსტატი მოთამაშე იდგა: თავდაპირველად ორივე ძლიერი იყო, მაგრამ ორივეს გამოცლილი ჰქონდა ძალა: თავადზე გ.პ.უ.-ს დამთრგუნველმა გარემომ იმოქმედა, ველსკიზე – საირმეში განცდილმა მარცხმა.

ველსკი თავადს აკვირდებოდა: გრალის ხსენებას წესით მისი პერისომა უნდა დაეზიანებინა. იმედი გაუცრუვდა: თავადს არც ერთი ნაკვთი არ შეტოკებია. ველსკი გრალთან დაკავშირებული გადმოცემების შესახებ ალაპარაკდა. თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორდა მისი და ლევანის საუბარი მატარებელში. განსხვავება ის იყო, რომ თავადი ლევანზე ბევრად უფრო მშვიდად საუბრობდა. ველსკის ეს თვალში ეცა.

– თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ, – იდუმალად ჩაურთო საუბარში გ.პ.უ.-ს უფროსმა.

– რომელ არჩევანს გულისხმობთ? – ვერ მიხვდა თავადი.

– გრალის მცველის არჩევანს.

მორიგი „ჩხვლეტა“ – გაიფიქრა თავადმა და სიმშვიდე შეინარჩუნა.

– ლევან ორბელზე საუბრობთ? – იკითხა ხმადაბლა,– იცნობთ მას?

– დიახ, – უპასუხა გახალისებულმა ველსკიმ, – რამდენიმე თვის წინ გავიცანი. მართლაც დიდებული ადამიანია, – შემდეგ ჰაერი შეისუნთქა და განაგრძო: – სხვათა შორის, მან ჩინებულად აითვისა ის, რაც თქვენ ასწავლეთ გრალის შესახებ.

– ესაუბრეთ მას ამ თემაზე?

– თითქმის მთელი ღამე ვისაუბრეთ.

ამ კაცისათვის გრალი მეტისმეტად მნიშვნელოვანია, ეს უნდა დავიმახსოვროო, გაიფიქრა თავადმა.

– მაგრამ მე მისთვის არაფერი მისწავლებია, – უპასუხა ველსკის.

– როგორ? – გაოცდა ველსკი, – ის ზუსტად ისევე საუბრობდა გრალის შესახებ, როგორც თქვენ.

– რატომ გიკვირთ? გრალის მცველის პიროვნული ხატი ყველა დროში უცვლელია. მცველნი გრალისა ერთნაირად ფიქრობენ და ლაპარაკობენ მაშინაც კი, თუ ერთმანეთს არ იცნობენ.

ველსკი მდუმარედ იკვნეტდა ქვედა ტუჩს.

– ეს ლევან ორბელი ძალზე ნიჭიერი კაცი ჩანს, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბოლოს.

– უბრალოდ ნიჭიერი კი არა, ღვთის მადლითაა დაჯილდოვებული, – შენიშნა თავადმა.

სიტყვა „მადლი“ ველსკის უსიამოვნოდ მოხვდა ყურში.

– მით უფრო დასანანია, რომ... – დაიწყო, თითქოს სხვათა შორის.

– რა?

– მის ახლანდელ მდგომარეობას ვგულისხმობ.

კვლავ ჩხვლეტა. თავადი შინაგანად მოემზადა დარტყმის ასაცილებლად.

– უკვე დააკავეს?

– ჯერ არა, მაგრამ...

– რა – მაგრამ?

– მალე დააკავებენ.

– შეიძლება გკითხოთ, რის საფუძველზე?

– მან გ.პ.უ.-ს თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია.

– რა გარემოებაში გაუწია წინააღმდეგობა?

– თქვენი კარადიდან გრალის თასის გამოღება გადაწყდა, ცხადია, მისი შესწავლის მიზნით. გასაღები, როგორც მოგეხსენებათ, ორბელის ხელთ იყო...

– მერე?

– კარადა კი გააღო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში თქვენს სვანსა და თქვენს მეორე მსახურთან ერთად თავს დაესხა ფუნქციონერებს და განაიარაღა.

ველსკიმ მომხდარის დეტალები დაამახინჯა.

თავადის მოუთმენლობას ფრთაშესხმული სიმსუბუქე ანელებდა. მშვიდი და ნათელი სახით იკითხა:

– შემდეგ რა მოხდა?

– თქვენი სასახლის სიახლოვეს მდებარე ციხესიმაგრეში გამაგრდა თანამზრახველებთან ერთად, მაგრამ რამდენ ხანს გაძლებენ ასე? ციხესიმაგრე ალყაშემორტყმულია.

თავადი შეუმჩნევლად ცდილობდა ველსკის სიტყვების გამოუთქმელი შინაარსის ამოკითხვას. „თქვენი სასახლის სიახლოვეს“ – განა მან ამ სიტყვებით საკუთარი თავი არ გასცა? ან კი გ.პ.უ.-ს თანამშრომლებიდან თვით ველსკის გარდა ვის აღელვებდა თასი გრალისა? თავადმა გამჭრიახობა მოიკრიბა და ველსკის წვრილმანებიც დასტყუა.

– ერთ-ერთი ფუნქციონერი აჯანყებულებმა გააშიშვლეს და არყის ხეზე მიაბეს. ეს ყველაზე დიდი დანაშაულია... – წინადადება არ დაუსრულებია, რადგან მიხვდა: იმდენად აღელდა, რომ საკუთარი თავი გასცა, მაგრამ ამას ვეღარაფრით გამოასწორებდა.

თავადმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი შეუნიშნავს. ყურადღება მიაქცია იმას, რომ ველსკიმ არყის ხე ახსენა: თვითონაც რომ არ შესწრებოდა ამ სურათს, ეს ნიუანსი საიდან ეცოდინებოდაო, გაიფიქრა.

– ასე... – მწუხარედ წარმოსთქვა თავადმა.

– გრალის მცველის ბედი გადაწყვეტილია, – რამდენიმე წამის შემდეგ დაასკვნა ველსკიმ, რომელიც წინასწარ ტკბებოდა შურისძიებით.

– თქვენ ასე ფიქრობთ? – დარდიანად ჰკითხა თავადმა.

– ეჭვი გეპარებათ?

თავადმა პასუხი არ გასცა.

– მას აღარაფერი უშველის, – ისევ წამოიწყო ველსკიმ, – გარდა...

– გარდა რისა?

გ.პ.უ.-ს უფროსი დაფიქრდა.

– ერთადერთი საშუალება ისაა, თუ თქვენ მთელ ამ საქმეს სულელურ მონაგონად გამოაცხადებთ... – შეფარვით შენიშნა ველსკიმ.

აი, თურმე საით მიჰყავდა საქმე! – გაიფიქრა თავადმა და შინაგანად კიდევ უფრო გამტკიცდა.

– მესმის, ეს თქვენთვის დიდი მსხვერპლი იქნება, მაგრამ როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მით უმეტეს, ისეთი ადამიანისა, როგორიც ორბელია...

ესე იგი, წმიდათაწმიდა უნდა უარვყო და ფეხით გავთელო, სწორედ ეს უნდა, – გაიფიქრა თავადმა. ძალზე აღშფოთდა, თუმცა წარბი არ შეუხრია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამით ლევანს მართლაც ვუშველი? – იკითხა თავადმა ისე, თითქოს უკვე დათანხმებულიყო ველსკის წინადადებაზე.

– ცხადია, დააკავებენ, მაგრამ სიკვდილით აღარ დასჯიან, – უპასუხა ველსკიმ. გუნება უკვე საბოლოოდ გამოუკეთდა.

– შემიძლია ორბელს წერილობით დავუკავშირდე? – იკითხა თავადმა.

– არა, ეს შეუძლებელია, მაგრამ თქვენი განცხადება გაზეთებში გამოქვეყნდება და იმაზე ვიზრუნებთ, რომ მან ორბელამდე მიაღწიოს.

ველსკი უკვე ტკბებოდა მიღწეული წარმატებით.

თავადს ზიზღის გრძნობა ახრჩობდა, მაგრამ, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ, თუკი ისე მოვიქცევი, როგორც მირჩევთ, ორბელი ჩაგბარდებათ?

– უეჭველად.

– ესე იგი, მას კარგად არ იცნობთ.

– ეს – როგორ?

– ის მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნდება, რომ პატიმრობამ გამტეხა და ერის ღირსების დასაცავად მეტისმეტად სუსტი აღმოვჩნდი. მაშინ მით უმეტეს არ დანებდება.

– მაშ, თქვენი აზრით, ბოლომდე იბრძოლებს?

– დარწმუნებული ვარ ამაში. ის ყველა განსაცდელს ღიმილით ხვდება.

– მაშინ მისი საქმე წასულია.

– იგი დიადი წუთებით ცოცხლობს, და, შესაძლოა, ეს წუთი ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში მისთვის უდიადესიც იყოს.

– დიადია თუ მცირე არ ვიცი, მაგრამ ეს წუთი მას უსათუოდ სიკვდილს მოუტანს.

– არა, მხოლოდ ასრულება, ყოფიერების მწვერვალი.

ველსკიმ მკვახედ ჩაიღიმა.

– ნუთუ არც თავის სატრფოს დაინდობს?

– რომელ სატრფოს?

– თქვენს რძალს, – საზიზღარი ღიმილით მიუგო გ.პ.უ.-ს უფროსმა.

კიდევ ერთი ჩხვლეტა. თავადი თანამოსაუბრეს მიაშტერდა.

– ორბელთან მისი მიმოწერა მთლიანად ჩვენს ხელთაა, – განაგრძო ველსკიმ.

– ეს არ მაკვირვებს, – ჩურჩულით წარმოსთქვა თავადმა.

– თქვენ არაფერი იცით იმ ურთიერთობის შესახებ, რაც თქვენს რძალს ორბელთან აკავშირებს?

ველსკი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა პატიმარს.

– როგორ არა! – ღირსეულად უპასუხა მან, თუმცა არაფერი იცოდა, მხოლოდ ვარაუდობდა, – მაგრამ ეს სრულიად სხვა სახის ურთიერთობაა, ვიდრე ის, რასაც ჩვეულებრივ ფიქრობენ ასეთ შემთხვევაში.

– მაშ, ამაღლებული სიყვარული, არა? – დასცინა წითურმა.

– დიახ.

– თუ მართლაც ასეა, მით უფრო სათუთად უნდა გაუფრთხილდეს ამ ქალის გრძნობებს.

– გრალს თუ უღალატა, თავის სიყვარულსაც უღალატებს.

ველსკი გაშრა.

– შესაძლოა, მართლაც ასე იყოს ორბელის თვალსაზრისით, – განაგრძო მან, – მაგრამ ქალის პოზიციიდან...

– რატომ ფიქრობთ, რომ ჩემი რძალი სხვაგვარად ფიქრობს? – გააწყვეტინა თავადმა.

ველსკი დადუმდა, წუთის შემდეგ კი ჩაილაპარაკა:

– მე მგონია, ადამიანებზე მეტად გადარდებთ გრალი.

– ისინი, ვინც თავს გრალის მსახურებას უძღვნის, თავიანთი არსის ნაწილად აღიქვამენ მას, – მტკიცედ უპასუხა თავადმა.

– ეს თქვენც გეხებათ?

– რა თქმა უნდა!

– მაგრამ წეღან მზად იყავით, უარი გეთქვათ გრალზე, თუმცა გარკვეული პირობით, მაგრამ მაინც...

– სულაც არა, გცდიდით.

– ეს ძვირად დაგიჯდებათ.

– მზად ვარ. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, ჩემი მოდრეკა ან გატეხვა რომ შეძლოს, ეს თვით გ.პ.უ.-საც კი არ ძალუძს, – დაასრულა თავადმა.

პატიმარი ისეთ გასაოცარ ძალას ასხივებდა, რომ ველსკიმ უნებლიეთ უკან დაიხია.

ჩამავალი მზის მომაკვდავი სხივები ირიბად აღწევდა ოთახში. ნიავი ფარდას აჩრდილივით აფრიალებდა. ველსკის წუთით მოეჩვენა, თით-

ქოს მისი კაბინეტი შეირყა, თავბრუ დაეხვა, თვალიც კი დაებინდა და პირისპირ მჯდომ პატიმარს ვეღარ ხედავდა: მისი სახე გაბუნდოვნებულიყო და ერთბაშად თვალისმომჭრელი სინათლით გაცისკროვნდა. თავს ძალა დაატანა და წუთით გაუსწორა პატიმარს ელამი თვალების მზერა. სწორედ ამას ელოდა თავადი: პირველად ჩახედა თვალებში ველსკის და თავისი მზერით მოაჯადოვა. წუთის შემდეგ გ.პ.უ.-ს უფროსმა თითქოს ავტომატურად მიაბრუნა თავი გვერდზე. სახე ველურთა კერპს მიუგავდა, შუა მთქნარებისას გაქვავებულს.

– ის თქვენ იყავით, არყის ხეზე რომ მიაბეს, – სრულიად მოულოდნელად მიუბრუნდა თავადი ველსკის.

წითურმა თვალები აახამხამა. ამ წუთში ბევრად უფრო სამარცხვინოდ იგრძნო საკუთარი სიშიშვლე, ვიდრე გუშინ, როდესაც მართლა გააშიშვლეს.

– საიდან იცით? – უღონო ბრაზით დაიღრიალა.

– ჭეშმარიტი ცოდნა არსაიდან მოდის, – მიუგო თავადმა.

ველსკი მაშინღა მიხვდა, რომ მისი შეკითხვა მოწინააღმდეგის თვალში დასტურს ნიშნავდა და მღელვარებისაგან პირი გაუშრა.

– ეს არ არის მართალი, – ნაჩქარევად შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ეს უკვე ვერ უშველიდა.

თავადმა არაფერი უპასუხა: გამარჯვება ისედაც მას დარჩა.

ციხესიმაგრის მისადგომებთან ლევანსა და მის მეგობრებს კიდევ ოცდახუთიოდე ახალგაზრდა კაცისაგან შემდგარი ჯგუფი შეუერთდათ: ეს მეზობელი სოფლების მაცხოვრებლები იყვნენ, ვისაც, აჯანყების მარცხის მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამის გამო, ბრძოლის გაგრძელება სურდათ. ისინი ამ ძველისძველ გალავანში აპირებდნენ გამაგრებას, რათა ხელსაყრელ მომენტში დაუბრკოლებლად გახიზნულიყვნენ მთაში. ერთგული ძაღლი ჰასანიც მათთან ერთად იყო. ციხესიმაგრე მდინარის თავზე კლდოვან ფერდობზე იდგა. საუკუნეთა შეუპოვარ გუშაგად აღმართულიყო მიდამოს თავზე. მისი სანახევროდ ჩამოქცეული გალავნის ლოდები დოლმენებივით გოროზი და შემზარავი იყო.

მეამბოხეებმა ღამე ძილ-ღვიძილში გაატარეს, თითოეულ ფაჩუნს ფხიზლად აყურადებდნენ. ირიჟრაჟა თუ არა, დაინახეს ციხე-სიმაგრის გარშემო განლაგებული ხელისუფლების ჯარი, რომელმაც მათ გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი მოუჭრა. ყველას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ლევანი თითქოს ბუნდოვანი ხილვიდან დაუბრუნდა მძაფრ და ულმობელ სინამდვილეს. ერთხანს თავზარდაცემული იყო, მერე კი გამოერკვა და, როგორც მუდამ სჩვეოდა საშიშროების პირისპირ, შინაგანად მუშტად შეიკრა, ისე გამაგრდა, რომ თვით სიკვდილსაც კი უკუაგდებდა. უყოყმანოდ და თამამად ეთათბირა თავის მეგობრებს მათი სახიფათო მდგომარეობის შესახებ. მისმა ურყევმა და მტკიცე კილომ გავლენა იქონია: უკლებლივ ყველამ გამოხატა მზადყოფნა, შემდგომი გადაწყვეტილებები მისთვის მიენდოთ. ლევანს თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა, მაგრამ სულის სიღრმეში მშვიდი და უდრეკი დარჩა.

რა უნდა ექნათ? ემოქმედათ, არცერთი წამი არ უნდა დაეკარგათ, თანაც ელვისებრ გამობრწყინებულ გულისთქმას უნდა მიჰყოლოდნენ. ლევანმა წამიერად შეავლო თვალი ციხესიმაგრეს. გალავანი, მართალია, ჩამოქცეული იყო, მაგრამ მაინც შეუვალ კვადრატს ჰკრავდა კლდის თავზე. თუმცა ლევანმა შეატყო ისიც, რომ საარტილერიო ცეცხლს ეს კედლები დიდხანს ვერ გაუძლებდა. თუკი რომელიმე კედელი ჩამოიქცეოდა, თავი იმწამსვე სარდაფისათვის უნდა შეეფარებინათ, რომელიც ციხესიმაგრის ქვეშ კლდეში იყო გამოკვეთილი. ამის შემდგომ, როგორც ლევანი ვარაუდობდა, თავდამსხმელები ნანგრევების დაკავებას შეეცდებოდნენ. ყველაზე გონივრული იქნებოდა ამ დროს ხელსაყრელი წუთის შერჩევა და საფარიდან უეცარი იერიშის მიტანა, რათა ამგვარად თვითონ არმოჩენილიყვნენ თავდამსხმელთა როლში. ლევანმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ მდგომარეობა უიმედო სულაც არ იყო. კიდევ ერთმა იღბლიანმა შემთხვევამ გამოუკეთა გუნება: სარდაფში მრავლად აღმოაჩინეს ყველა სახის იარაღი, რომელიც აჯანყებულებს დაეტოვებინათ. იქვე იყო წამლებიც. მართალია, სურსათ-სანოვაგის საკითხი ჯერაც გაურკვევლად რჩებოდა. ლევანი დაფიქრდა და გადაწყვიტა, ამაზე

ზრუნვა ბასილასა და მისი თაოსნობით რამდენიმე სხვა ქაბუკისათვის მიენდო, ვინც ციხესიმაგრიდან ყველა საიდუმლო გასასვლელს იცნობდა და არც ტყის კლდოვან ბილიკებზე ცოცვა გაუჭირდებოდა ნადირის მოსახელთებლად. ასე რომ, ამ მხრივაც არაფერი იყო საგანგაშო.

მაგრამ რამდენ ხანს შეძლებდნენ ასე, ალყაშემორტყმულნი, წინააღმდეგობის გაწევას? ალბათ ორ-სამ კვირას, შემდეგ კი? ლევანს ამ ფიქრისაგან კვლავ დაეღარა შუბლი. სარდაფში მიწისქვეშა დერეფანს მიაგნეს, რომელიც, როგორც ჩანდა, მდინარის პირას გადიოდა. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ის არავის უხმარია და სანახევროდ ჩამონგრეული იყო. საჭირო იყო მისი დაუყოვნებლივ გასუფთავება. მაგრამ გამოადგებოდათ ეს გასასვლელი? შუა მდინარეშიც რომ გადიოდეს, მტრები მაინც შეიძლება ჩაუსაფრდნენ გაქცეულებს. ლევანს უეცრად ასეთი აზრი ეწვია: ნებისმიერ არსებას აქტიური ქმედების დროსაც კი უმოძრაობისა და გაფანტულობის მომენტები აქვს. ამისგან არც ხალხის მასაა დაზღვეული. მოწინააღმდეგის სწორედ ამგვარი მდგომარეობით უნდა ესარგებლათ გაქცევისას. ამისთვის კი განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო. ლევანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ციხის დამცველებს ამ დღეების მანძილზე გრძნობები უკიდურეს ზღვრამდე გაუნატიფდებოდათ და სწორი მომენტის შერჩევას შეძლებდნენ.

ეს ყოველივე ელვის სისწრაფით განჭვრიტა და შემდეგ თანამებრძოლებსაც გაუზიარა. მისი გეგმა მოიწონეს. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათგანი სამხედრო საქმეში ყოფილა გაწაფული. შემდეგ გულმოდგინედ და მტკიცედ შეუდგნენ საქმეს. ამ ადამიანებს სხვა სათნოებებთან ერთად არც იუმორი აკლდათ – ეს კი ღვთის საჩუქარია, ყველაზე უფრო გაუსაძლის ყოფასაც კი მსუბუქ და ხალისიან ელფერს რომ ანიჭებს. თავდამსხმელებმა თავიდანვე მოსთხოვეს, ხელები მაღლა ასწიეთ და ციხესიმაგრე სათითაოდ დატოვეთო, რაზეც გალავნიდან უპასუხეს: ჩვენ ხელებს მხოლოდ სალმის ნიშნად ან ბრძანების გასაცემად ვწევთ, სხვა არც ერთ შემთხვევაშიო.

ამის შემდეგ მტერმა ერთბაშად სცადა ციხესიმაგრის ხელში ჩაგდება: საარტილერიო ყუმბარებით გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს აჯანყებულთ. მაგრამ მათაც მძლავრად უპასუხეს იმავე იარაღით. ბოლშევიკები შედრკნენ: ეგონათ, ციხესიმაგრეს სულ ორიოდე კაცმა შეაფარა თავი, ახლა კი უეცრად ტყვიების სეტყვა იგემეს. ძალზე სერიოზულ ვითარებაში ამოჰყვეს თავი. მეამბოხეებმა მეორე დარტყმაც უკუაგდეს.

გაწეულ წინააღმდეგობასთან ერთად ლევანის ძალებიც განუზომლად მატულობდა. ასე გადიოდა გამარჯვების ნებელობითა და დაძაბულობით აღსავსე დღეები. მისი თანამოძმეები ყოველ წუთს შრომაში იყვნენ, კედლების გამაგრებითა და სარდაფის დასუფთავებით დაკავებულნი. ხოლო როდესაც ისვენებდნენ, ლევანი მათ ესაუბრებოდა. განსაკუთრებული უნარი ჰქონდა ხალხთან მისთვის მისაღებ ენაზე ლაპარაკისა. საქართველოს ისტორიის გმირული ხანის ამბებს მოუთხრობდა და თანამებრძოლნი გაფაციცებით უსმენდნენ. უამბო თქმულება იმ ციხესიმაგრის შესახებ, რომელშიც ამჟამად შეხიზნულიყვნენ. სინამდვილეში თვითონ შეთხზა ამბავი, მაგრამ ამის გამო ეს არანაკლებ ჭეშმარიტად ჟღერდა. ამგვარად ციხესიმაგრე თანდათან სხივოსან მითოსად გარდაისახა. საუკუნეების წინათ ასევე მსხდარან მებრძოლნი ამ ციხეში და მას მაშინაც მტერი ედგა გარშემო, ჰყვებოდა ლევანი. ვინ იყვნენ ეს მებრძოლნი? მათივე ძმები, სისხლითა და სულით. მებრძოლთა სულებში ყოფიერების ფესვები აწრიალდა, გარდასულ დროთა გმირები სულ ახლოს მოდგნენ, აჩრდილებმა ხორცი შეისხეს. თითოეულმა მებრძოლმა წარსულთან ბედისწერული კავშირი შეიგრძნო. თავდათან განუყრელ და მედგარ კლდედ შეეზარდნენ ერთიმეორეს და ბრძოლის ჟინი ფოლადის ნებელობად ექცათ. ლევანი მონუსხული ლაპარაკობდა და მსმენელებსაც ნუსხავდა. მღელვარე კრძალვით წამოსწია ქართულ საგმირო საქმეთაგან გრალის მითოსი. წმინდა თასი ხის ზარდახშაში ესვენა მის გვერდით, კუთხეში. მეამბოხეთა გულები წმინდა ალით იწვოდა, აცახცახებულნი შეჰყურებდნენ მთხრობელს: ლევანი მათთან ახლოს იყო და, ამავე დროს, განუზომლად შორს იყო მათგან. დროდადრო სახეზე უცხო,

შორეული ნათელი უკრთოდა, მაგრამ თითოეულ მებრძოლს მაინც ძმად ესახებოდა. შემდეგ სულშიჩამწვდომი სიტყვებით ახსენა ქართული მითოსის გმირი-წმინდანი ლაშარი. მისი სხივოსანი სახება ახლაც უხილავად იცავდა გრალს – ამას ყველა იქ მყოფი შეიგრძნობდა. და აი, მათ წინაშე მდგომ კაცს, მათ მეთაურსაც სახეზე ღვთაებრივი ნათელი ეფინა, ისიც მათ თვალწინ ლაშარის სხივოსან ნაპერწკლად ქცეულიყო. შემდეგ ღრმა დუმილის წუთი ჩამოწვა. ლევანის მარჯვნივ ჭაბუკი ბასილა იდგა გაფაციცებული, ხელის აქნევას ელოდა, რათა ყველაფერი გაეღო მისთვის, მარცხენა მხარს კი ყანსავი უმაგრებდა: გოლიათი სვანის სახეზე ურყევი ერთგულება აღბეჭდილიყო.

რამდენიმე დღემ ასე განვლო დაძაბული მოლოდინითა და სასწაულებრივი ხსნის იმედით. ლევანი შინაგანად ურყევი იყო, მაგრამ ერთხელ ისიც კი შედრკა. ერთ საღამოს თავდამსხმელთა ბანაკიდან სიმღერის ხმა მოისმა, მისი კრიალა ბგერები ბინდში ჩაფლულ მიდამოს მოედო. ალყაშემორტყმულმა მეომრებმა ერთხანს უსმინეს, შემდეგ კი გულმა ვეღარ გაუძლოთ და ისინიც აჰყვნენ სიმღერას. ლევანი თავზარდაცემული უგდებდა ყურს. ეს სიმღერა საუკუნეების მანძილზე აღმოცენდა ხალხის განუყოფელი სასიცოცხლო ხალისიდან და ახლა მას სასიკვდილოდ გადაკიდებული მტრები მღეროდნენ. ნუთუ, მკვლელობის ჟინის მიუხედავადაც კი, ჯერაც ცოცხლობდა ორივე ბანაკში იმ დასაბამიერი ერთობის სული? ლევანს გაფერმკრთალებულ ღაწვებზე ცრემლი ჩამოუგორდა, მაგრამ, რათა ეს არავის შეენიშნა, სხვებისაგან მოშორებით დადგა. ცოტა ხნის შემდეგ ჰასანმა, რომელიც ბასილას მარჯვედ გაეწვრთნა, ნორინასაგან წერილი მოუტანა. ყოველ სიტყვაში სიყვარულით მთვრალი გული ძგერდა, ყოველ ფრაზას ცხელი სისხლის ნაკადი მსჭვალავდა. ამ სტრიქონების კითხვისას ლევანმა ყოვლისმომცველი სითბო იგრძნო და მთელი არსებით მოლბა. სტრიქონებს შორის შეფარული შიშიც ამოიკითხა და უეცრად სატრფოსგან განუზომელი, იქნებ სამუდამო სიშორე შეიგრძნო. მაგრამ მის გულს ჯერაც არ შეეძლო ამ საბოლოო

ზღვარის გავლება. სუნთქვაშეკრული მიეყრდნო ხავსმოდებულ გალავანს.

ამასობაში გრალისათვის ბრძოლა ცეცხლივით მოედო იქაურ მხარეს. კვლავაც იტანჯებოდა საქართველოს გული: თბილისი. ხალხი დამარცხდა, მაგრამ ახლა საქმე მის ყველაზე სანუკვარ სიწმინდეს, გრალს ეხებოდა. ათასობით ადამიანმა ახლაღა შეიტყო, რომ საქართველოში მართლაც არის წმინდა გრალი. ბევრი გაოცებამ მოიცვა: ის, რასაც უწინ ზღაპრად ისმენდნენ, სისხლსავსე სინამდვილედ ქცეულიყო. ერთბაშად ყველამ უმძაფრესად შეიგრძნო საკუთარ თავში სიცოცხლის წმინდა წყაროს დინება, მაგრამ მით უფრო მძაფრად აღიძრა შიში ამ წყაროს დაშრობისა. ლევანი, ამ ხდომილების ცოცხალი ნაწილი, ყველასაგან განშორებული და ყველასათვის ახლობელი, ახლა ყოველმა ქართველმა ხალხის წიაღიდან მოსულ იდუმალ ძმად დაიგულა. ლევან ორბელის სახელი ყველასათვის მეტყველ სიმბოლოდ იქცა.

ლევანის ნაცნობები უკვე ჩამოსულიყვნენ თბილისში, მათ შორის იყვნენ მისი უახლოესი მეგობრები ოდილიანი და ავალა. შეწუხებულებმა იმაზე დაიწყეს ფიქრი, თუ რითი დახმარებოდნენ მას, მაგრამ რას გააწყობდნენ? სინამდვილე ულმობლად და გამანადგურებლად ესახებოდათ. მიუხედავად ამისა, ოდილიანი და ავალა ერთ-ერთი წამყვანი ბოლშევიკის, ლეგის კაბინეტში შევიდნენ თხოვნით. ლეგი იმ სამთაგან ერთ-ერთი იყო, ვისაც აჯანყების ჩახშობის შემდგომ დაკავებულთა მასობრივი დახვრეტა დაევალა. მათ უტყუარი არჩევანი გააკეთეს: ამ ნიჭიერ და მიზანდასახულ ადამიანს ნათელხილვასთან მიახლოვებული ინსტინქტი ახასიათებდა და თავის საქმეს მგზნებარედ და უდრეკად ემსახურებოდა. არავის ინდობდა, თავის უახლოეს ნათესავებსაც კი არა. ამასთანავე, ერთი სისუსტე ჰქონდა: პოეზია იტაცებდა და, რაც არ უნდა საკვირვლად ჟღერდეს, კარგადაც ესმოდა. ოდილიანისა და ავალას ლირიკას თავის თანაპარტიელთა ნაწერებზე ბევრად უფრო აფასებდა. ოდილიანი და ავალა მას ემეგობრებოდნენ კიდეც. როგორ შეეძლოთ ბოლშევიკთან მეგობრობა? საქართველოში ყოფიერების წიაღს მუდამ

ეროვნული ერთობა ჰკვებავდა, კლასობრივი და სხვა სახის უთანხმოებანი ზედაპირზე რჩებოდა. ალბათ სწორედ ეს ამოძრავებდათ ოდილიანსა და ავალას. მართალია, ბოლშევიკები არ იყვნენ, მაგრამ პატიოსნად

შრომობდნენ საბჭოეთის სამსახურში და ეს ახლა თხოვნას უადვილებდათ. ამას კიდევ ერთი რამ ემატებოდა: მათთვის გრალი წმინდა პოეტურ სახეს წარმოადგენდა და გულით ნატრობდნენ, მთელი ეს მოვლენები არ მომხდარიყო, მით უმეტეს, რომ ლევანის ბედი ძალზე აღელვებდათ. ამის გამო თავად გიორგიზე ბევრად უკეთ შეეძლოთ ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე თავიანთ მეგობარს გამოსარჩლებოდნენ. თავადიც, ცხადია, ლევანის გადასარჩენად ყველაფერს გაიღებდა, მაგრამ, ამავდროულად, მასში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გრალის მცველს ხედავდა.

ჯალათმა მთხოვნელთა სალამს არც კი უპასუხა, როგორც კი კარებში დაინახა, მაშინვე განმგმირავი ხმით უყვირა:

– ვიცი, რისთვისაც მოსულხართ ჩემთან!

ოდილიანს, თუმცა უმცროსი და უსაყვარლესი ძმის მკვლელობამ შინაგანად გატეხა, მაინც აღმოაჩნდა ძველი, ჩვეული ენამოსწრებულობა.

– მით უკეთესი, – უპასუხა მან ლეგს, – მაშ, ბევრი ლაპარაკი აღარ მოგვიწევს.

ლეგმა ოდნავშესამჩნევად გაიღიმა. ავალა მდუმარედ იჯდა და მზერა მუდარით ჰქონდა სავსე.

– ეს თქვენი მეგობარი ორბელი შესანიშნავად თამაშობს გმირის როლს, ასე არ არის? – დაცინვით იკითხა ლეგმა.

– ის არ თამაშობს, – უპასუხა ოდილიანმა.

– არაფერიც, მუდამ მსახიობობდა და ახლაც იგივეს სჩადის, – გაცხარდა ბოლშევიკი, – მე თქვენ გეკითხებით: რას ნიშნავს ამ ყოვლად სასაცილო გრალის თასის გარშემო ატეხილი მთელი ამბავი? განა ეს ჯამბაზობა არ არის?

– სასაცილოა თუ არა ეს თასი, ამის შესახებ სჯობს ველსკის ჰკითხო: ის ნებისმიერ ფასად ცდილობს თასის ხელში ჩაგდებას, – სანახევროდ ხუმრობით მიუგო ოდილიანმა, – და თუკი ეს ყველაფერი მართლაც ჯამ-ბაზობაა, მაშ, ნება დართეთ ორბელს, იჯამბაზოს! ნუთუ ამით საბჭოთა ხელისუფლებას უქმნის საფრთხეს?

– მეტისმეტად თავისუფლად ლაპარაკობ!

– გირჩევნია, სათქმელი სონეტის მკაცრ ჩარჩოებში მოვათავსო?

– დღეს რაღაც ხუმრობის ხასიათზე ხარ!

– ასე რომ არ იყოს, აქ მოვიდოდი?

– ზედმეტი ხომ არ მოგდის?

– არა, რას ბრძანებ!

ლეგი დადუმდა და ფანქარი თითებში ნერვიულად აათამაშა.

– მაშ, თქვენი მეგობრის მდგომარეობის შემსუბუქებას მთხოვთ? – განაგრძო ცივი ხმით.

– ასეა, – დაუდასტურა ოდილიანმა.

– მან ჩვენს თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია...

– ...იმ თანამშრომლებს, ვისაც ძალით სურდათ ამ, როგორც შენ ამ-ბობ, სასაცილო და უმნიშვნელო თასის ხელყოფა. გამოდის, რომ ჯამბა-ზობა სწორედ მათი დაწყებულია.

– შენ მართლაც მეტისმეტი მოგდის.

– უბრალოდ ფაქტებს ვასახელებ.

ლეგი პირქუშად დუმდა. ოდილიანის ნათქვამს ნაწილობრივ ეთან-ხმებოდა, ოღონდაც ამას არაფრის დიდებით არ იმჩნევდა და მრისხანე კილოს იფარებდა ნიღბად. მაგრამ პოეტის ნატიფ მგრძნობელობას ეს არ გამოჰპარვია და იგი ბოლშევიკის კიდევ უფრო გაღიზიანებას შეეცა-და.

– წინააღმდეგობა გაუწიეს, – ლეგი შეეცადა, საუბრისათვის წერტილი დაესვა, – ხოლო თუ რა მიზანს ემსახურებოდა გრალის კონფისკაცია, ეს თქვენ არ გეხებათ. თქვენ მაინც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება სასტიკად უსწორდება ნებისმიერს, ვინც

კი წინააღმდეგობას უწევს, – სული მოითქვა და, ოდნავ უფრო ლმობიერად დაასკვნა: – ვერაფრით დაგეხმარებით, ძალიან ვწუხვარ.

ლეგი წამოდგა იმის ნიშნად, რომ საუბარი დასრულებულია. დამშვიდობებისას ავალას მიუბრუნდა:

– დღეს ხმა არ ამოგიღია.

– ლაპარაკი არ შემიძლია, იმდენად ვარ თავზარდაცემული, – ამოილუღლუღა ახალგაზრდამ.

– ძალიან ვწუხვარ, – კიდევ უფრო ლმობიერად გაიმეორა ბოლშევიკმა.

პოეტები ქუჩაში გავიდნენ.

– მეტისმეტი მოგივიდა ხუმრობა, – უსაყვედურა მეგობარს ავალამ.

– პირიქით: ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო, – უპასუხა ოდილიანმა.

– როგორ?

– საქმე იცი რაშია? ვგრძნობ, რომ გრალთან დაკავშირებული ამბავი ლეგს აშკარად აღიზიანებს, რადგან ის თავგზას უბნევს ხელისუფალთ. ველსკის მოტივები მისთვის სრულიად უცხო და გაუგებარია. დარწმუნებული ვარ, წითურზე მოსდის ბრაზი.

– მერე?

– ჩემი ხუმრობით მისი ბრაზის გამოაშკარავებას შევეცადე. ვერ შენიშნე, რომ გაღიზიანებულია? დარწმუნებული ვარ, მისი გაღიზიანების მიზეზი ველსკია. ახლა მთელ ამ საქმეს უსათუოდ ველსკის გადააბრალებს.

– ლევანს თუ უშველის ეს ყველაფერი?

– როგორ არა! ლეგი ნაკლებ გზნებას გამოავლენს ლევანთან ბრძოლაში.

– ერთი ცხადია: მას ლევანი სძულს, რადგან მასში ძალზე სახიფათო მოწინააღმდეგეს ხედავს.

– მართალია, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ შორის განსაკუთრებული წინააღმდეგობა ამჯერად შეიძლება სულ სხვაგვარად შეტრიალდეს. ყური დამიგდე, ხომ იცი, რომ ნადირობა მიყვარს და მეხერხება კიდეც. გასულ

ზამთარს ერთ მგელს გამოვეკიდე: ამ მხეცმა პირდაპირ მომნუსხა თავისი განსაკუთრებული ზომით, ძალით, გონიერებით, სიცბიერით. ბოლოს, როგორც იქნა, მოვკალი. როგორც მონადირე, ცხადია, ამ გამარჯვებამ ძალზე გამახარა, მაგრამ, მეორე მხრივ, უცნაურად დამენანა კიდეც.

– საოცარია! – თქვა ავალამ, – ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ლეგი შეიძლება ისე დაჟინებით არ ეცადოს ლევანის დაღუპვას?

– ნამდვილად ასე იქნება! ლეგს შენზე უკეთ ვიცნობ, – დაუდასტურა ოდილიანმა, – ცხადია, ლევანიც მზად უნდა იყოს დათმობებისათვის.

– იგი ამაზე არასოდეს წავა!

– ასე გგონია?

– დარწმუნებული ვარ!

– მაშინ არაფერი ეშველება!

დარდით დამძიმებულნი დადუმდნენ.

– იცი, – დაიწყო ავალამ, – ჯარის იმ განაყოფს, რომელსაც ციხესიმაგრე ალყაში აქვს მოქცეული, ბესია მეთაურობს. ის ლევანთან ერთად მოინათლა და მას, შეიძლება ითქვას, თავის ძმად თვლის. ხელისუფლებაში ამის შესახებ არაფერი იციან.

– ფიქრობ, რომ რაიმეს მოიმოქმედებს? – ჰკითხა დაიმედებულმა ოდილიანმა.

– ძალიან მინდა ასე მჯეროდეს. შესაძლოა, ლევანს გაქცევის საშუალება მისცეს, მაგრამ, ამასთან, თავი ისე დაიჭიროს, თითქოს მის დაჭერას გაშმაგებით ცდილობდეს. ასეთი რამეები კარგად გამოსდის.

– ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს! – ჩურჩულით წარმოსთქვა ოდილიანმა.

მეგობრებს ოდნავი იმედი მაინც გაუჩნდათ.

ოდილიანმა ლეგს შინაგანი მდგომარეობა უტყუარი ინსტინქტით განჭვრიტა. ეს ულმობელი მკვლელი გრძნობდა, რომ ციხესიმაგრესთან დაკავშირებული ამბავი მის ბოლშევიკურ თვითშეგნებას უქმნის საფრთხეს. ველსკიმ გრალისთვის ბრძოლა ისე დაიწყო, რომ თვითონ ლეგი

საქმის კურსში არ ჩაუყენებია. ეს ძალზე აბრაზებდა, მაგრამ იცოდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ რჩებოდა: ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა დასრულებულიყო. როგორ? ერთადერთი გამოსავლის სახით ძალების გაორმაგება და ციხის შტურმით აღება ესახებოდა. მაგრამ ლევანის ბედი მართლაც აღელვებდა: ამასაც სწორად მიხვდა ოდილიანი. ლეგი თვითონაც ვერ გარკვეულიყო თავის გრძნობებში, მაგრამ ასე თუ ისე, გრალის მცველისთვის სიცოცხლის შენარჩუნება სურდა. ამიტომაც უბრძანა ბესიას ციხესიმაგრეზე იერიშის მიტანა და თან დაამატა, სასურველია, აჯანყებულები ტყვედ აიყვანოთო. იმედს იტოვებდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ლევანი დანებებას ამჯობინებდა. ამ ჭოჭმანში იყო ლეგი, პოეტების ვიზიტის შემდეგ, როდესაც ამიერკავკასიის უმაღლესმა ხელისუფალმა, ს. ო.-მ თავისთან გამოიძახა.

– ბოლოს და ბოლოს, რა ამბავია ამ ციხესიმაგრესთან დაკავშირებით, – იკითხა მან ცივი გაღიზიანებით.

– ალბათ ამის შესახებ უმჯობესია ველსკის ჰკითხოთ, – ასეთივე ცივი გაღიზიანებით მიუგო ლეგმა.

– ველსკისთან შენ რა საქმე გაქვს?! – მრისხანედ დაუყვირა უფროსმა თავის ახალგაზრდა მეგობარს, – შენი მოვალეობაა ამ საქმის უსწრაფესად მოგვარება, მაგრამ ამის მაგიერ რას ვხედავ? აჯანყება სულ რამდენიმე დღეში ჩავახშეთ და ეს ერთი ბეწო კლდე ამდენ ხანს წინააღმდეგობას გვიწევს?

– ჩვენმა წინაპრებმა ისე მტკიცედ ააგეს, რომ ადვილი ასაღები სულაც არ არის! – ჩაიცინა ლეგმა. აშკარად იმაზე მიანიშნებდა, რომ ორივენი ხალხის ოდინდელ მფარველს, თავად-აზნაურობას ეკუთვნოდნენ.

– რაო? – გაცხარდა ს. ო.

ლეგმა არაფერი უპასუხა. მას ბოლშევიკობის გარდა კიდევ რაღაც არსებითი შერჩენოდა, ს. ო. კი, თუმცა ქართული სისხლი ჰქონდა, მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკი იყო. ლეგს ეს აღარ ახსოვდა.

– სისულელეა! – დასცინა უფროსმა, – უნდა ამიხსნა: რა იწვევს ამ დაყოვნებას?

– ამ კითხვაზე ველსკი ჩემზე უკეთ გიპასუხებს, – მშვიდად მიუგო ლეგმა.

– ისევ ეს ველსკი! – წარბი შეკრა ო.-მ. ველსკი არც მას ესიმპათიურებოდა, თუმცა მასში რაღაც მძლავრ და უცხო ძალას გრძნობდა. ველსკის მსჯელობები არასოდეს ესმოდა და მუდამ უკვირდა, რა ესაქმება ამ კაცს გ.პ.უ.-შიო, რადგან გ.პ.უ. ბოლშევიკური ძალაუფლების მძლავრი ინსტრუმენტია, ეს კაცი კი მას სულ სხვა გეზს აძლევდა. რადგან გ.პ.უ. „საიდუმლო სამსახურია“, ამიტომაცაა ალბათ ველსკის საქმიანობა „იდუმალებით“ მოცული. ასე თუ ისე, ველსკის განზრახვებში ვერ გარკვეულიყო და საბოლოოდ გამოუტყდა საკუთარ თავს იმაში, რომ ველსკი არამხოლოდ არ მოსწონს, არამედ ბუნდოვან შიშსაც აღუძრავს, რადგან მოსკოვისაკენ ფარული გზები სწორედ ველსკის გავლით მიემართებოდა.

– რას აპირებს ველსკი? – იკითხა მოკლე ხნის შემდეგ.

– უპირველეს ყოვლისა, თავადის განადგურება უნდა, – განუმარტა ლეგმა.

– ამით რისი მიღწევა სურს?

– აღიარება უნდა გამოსძალოს.

– რის აღიარება?

– უნდა, რომ თავადმა გრალი უმნიშვნელო სათამაშოდ გამოაცხადოს.

– ჰმ... და ამით – რა?

– ამით ორბელის საბრძოლო შემართების გატეხვა უნდა.

– ესე იგი, ცოცხლად უნდა ორბელის ხელში ჩაგდება, მასთან ერთად კი – იმ დამთხვეული თასისა?

– მართალია!

– ჰმ... როგორც ჩანს, მას ეს თასი იმ გადარეულ მისტიკოს ორბელზე ნაკლებად არ აღელვებს, რა თქმა უნდა, მასთან სრულებით საპირისპირო დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ ცვლის.

– მეც ასე მგონია.

ორივე დადუმდა. ს. ო. ჩაფიქრდა.

– ეშმაკსაც წაუღია ველსკი! – ისე დაიყვირა, თითქოს საკუთარ ფიქრებზე მოსდიოდა ბრაზი, – მისი ექსპერიმენტები მეტისმეტად გაიწელა და რეპუტაციას გვიფუჭებს, – ბოღმით სავსე ჩასისხლიანებული თვალები ააბრიალა, – დაუყოვნებლივ აიღეთ ციხესიმაგრე! – მიუბრუნდა ლეგს და განაგრძო, – გაეცი ბრძანება, ციხესიმაგრე ყუმბარებით ააფეთქონ!

ლეგი შეკრთა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ასე განრისხებული ს. ო.-სათვის შეპასუხება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.

საჩქაროდ მოძებნა ველსკი და ს. ო.-ს განკარგულება შეატყობინა. იმედოვნებდა, იქნებ წითურმა გააწყოს რაიმე მეთაურთანო. ველსკი მოიღუშა, მაგრამ წამსვე თავი ხელში აიყვანა. შემდეგ ხელი წაავლო შიდასალაპარაკო ტელეფონის ყურმილს. ს. ო.-სთან მოკლე საუბრისას ლეგისთვის გაუგებრად ჩაიბურტყუნა რაღაც. შემდეგ ყურმილი დადო.

– ერთი დღე გვაქვს, ამის შემდეგ ბრძანება უნდა გავცეთ, – არცთუ ხალისიანი კილოთი ამცნო მან ლეგს.

– კარგი, – ლეგი დაემშვიდობა. თან აბრაზებდა და თან ახალისებდა ის ამბავი, რომ ამ საქმემ ველსკისთან „მეგობრულად“ შეაკავშირა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ თავადი ველსკის წინაშე იჯდა.

ამჯერად დაკითხვა ხანმოკლე და მკაცრი იყო.

– ისევ უარს ამბობთ გრალის შესახებ ჩვენს მიერ მითითებული განცხადების გაკეთებაზე? – ცივად და უგუნებოდ იკითხა ველსკიმ.

თავადმა სიმშვიდე შეინარჩუნა:

– ჩემი სიტყვა უკვე ვთქვი.

– მაშინ ორბელს სიკვდილი ელის.

– ამით გრალი გადარჩება.

– გრალსაც და მის მცველსაც ფერფლად ვაქცევთ.

– მაგრამ ეს ფერფლი ისეთ სინათლედ გამობრწყინდება, რომელსაც ვეღარაფერს დააკლებთ.

ველსკი თავადს მიაშტერდა. ძალზე ძნელი იყო მასთან კამათი.

– მოსაფიქრებლად ერთ წუთს გაძლევთ, – დაიწყო თავიდან, – ნაბრძანები გვაქვს, დღესვე ყუმბარებით ავაფეთქოთ ის კლდე, რომელზედაც ციხესიმაგრეა განლაგებული.

თავადს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. მისი მზერა უნებლიეთ მოხვდა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს, რომელზედაც უცხოდ ბზინავდა დიდი ოპალი, თითქოს საკუთარი სხივით თავისავე წიაღს ანათებდა. დაკავებისას მისი ჩამორთმევა გამორჩათ. ის თავისი მფლობელისათვის გულითადი მესაიდუმლეც იყო და, ამავე დროს, ავგაროზიც. თავადმა დაღლილი ქუთუთოები დაუშვა.

– მზად ხართ განცხადების გასაკეთებლად? კი თუ არა? – არ ცხრებოდა ველსკი.

თავადი თითქოს უგონოდ იჯდა, სახეგაქვავებული. ველსკიმ სიხარულით იფიქრა, რომ თავისი ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ შეძლო მოექცია პატიმარი და გადაწყვიტა, ან ახლა, ან არასოდესო. აზარტული მოთამაშის მსგავსად მოიკრიბა მთელი მაგნეტული ძალა.

– კი თუ არა? – დაიღრიალა და შემდეგ ჩურჩულით უკარნახა: – კი, კი!

თავადი არ პასუხობდა; სიკვდილთან მიახლოვებული ძილის სიღრმეებში ჩაეშვა. მაგრამ იქაც კი საკუთარ

თავს ებრძოდა და, თითქოს სიკვდილის ზღვარი უკვე გადაელახა, თვალწინ სხივებით განმსჭვალული გრალის მცველის სახე წარმოუდგა.

– კი თუ არა?! კი, კი! – უტევდა მტერი.

– არა! – გაისმა თავადის მტკიცე ხმა; მან ხანმოკლე კატალეპტური ძილისაგან გამოიღვიძა.

ველსკი სკამზე წაბარბაცდა: მის წინაშე გამარჯვებული იჯდა, რომელსაც ნატანჯ სახეზე გამოუცნობი შუქი ეფინა.

– არაადამიანო! – ბრაზით ლამის გაიგუდა ველსკი.

თავადი დუმდა, ის განუზომლად შორს იყო; გ.პ.უ.-ს ხელმძღვანელის რისხვა მის სიმშვიდეს უღონოდ აწყდებოდა.

იმავე საღამოს ბესიამ ციხესიმაგრის აფეთქების განკარგულება მიიღო.

ბესია ბოლშევიზმისაგან ძალზე შორს იყო და, მიუხედავად ამისა, მაინც მმართველი პარტიის რიგებში შევიდა. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ის წითელ ხროვასა და თეთრ გვარდიას შორის მოექცა. „თეთრები“ რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდნენ. მათი დევიზი – „ერთიანი რუსეთი“, ბესიასათვის, როგორც ქართველისთვის, მიუღებელი იყო. არც ბოლშევიზმს იზიარებდა, მაგრამ მისი წინამძღოლები დაშლილი იმპერიის ხალხებს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ჰპირდებოდნენ. ბესიას არჩევანიც სწორედ ამან გადაწყვიტა. ამას ის სიახლეები დაემატა, რაც ბოლშევიზმს მოჰყვა და რამაც ბესია მოხიბლა. ასე აღმოჩნდა ბოლშევიკთა რიგებში. მოქნილ, მედგარ და მზიური ნათლით დაჯილდოვებულ ბესიას ბრძოლა ეხალისებოდა, ნამდვილ მეომრად იყო გაჩენილი. კარგი მოჯირითე და მსროლელიც იყო და, თავგადასავლებისაკენ სწრაფვა რომ არა, უთუოდ გმირი გახდებოდა. ცოტა არ იყოს, დარდობდა თავისი სიდაბლის გამო, სამაგიეროდ, კეხიანი ცხვირით ამაყობდა. არწივისებრ გამჭოლი, მაგრამ არა სისხლიანი მზერა ჰქონდა. ძალზე სხარტი და დაუნაწევრებელი ბუნების პატრონი იყო. ბოლშევიკების შემოსვლამ იმედგაცრუება მოუტანა, რადგან მათ მიერ აღთქმული დამოუკიდებლობა მხოლოდ ლიტონი სიტყვა აღმოჩნდა, ხოლო ის სიახლეები, რაც თავდაპირველად რომანტიულად მიიჩნია, მექანიკურ, უსულგულო რუტინად გადაიქცა. მაგრამ პოზიციის შეცვლა მის ხასიათს ეწინააღმდეგებოდა. ასე დარჩა ახალი ხელისუფლების მომხრეთა რიგებში, თუმცა რწმენა უკვე დაკარგული ჰქონდა.

ლევანი იმდენად უყვარდა, რომ ლამის აღმერთებდა. მასზე ლაპარაკისას სულ იმეორებდა ხოლმე: „არა, ის სულ სხვაა!“ ახლა კი ბედმა ასე ინება, რომ სწორედ ამ „სულ სხვა“ ადამიანს დაუპირისპირდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მაინც სულ იმით იმშვიდებდა თავს, რომ ვითარება რამენაირად სიკეთისაკენ

შეტრიალდებოდა. მაგრამ როდესაც საბედისწერო ბრძანება მიიღო, გული მძლავრად შეუტოკდა. იფიქრა, იქნებ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლევანი ხელისუფლებას ჩაბარდესო. მაგრამ ამის წარ-

მოდგენისთანავე გული შემზარავად შეეკუმშა: მოწინააღმდეგის წინაშე ქედმოხრილი ლევანი მისთვის გაუსაძლისი სანახავი იქნებოდა. მწარე ფიქრებში ჩაეფლო. იქნებ ლევანს მოეხერხებინა საიდუმლო დერეფნით მდინარესთან ჩასვლა: ხომ ლაპარაკობდნენ მისი მეომრები ამ გასასვლელის არსებობაზე. გულდამძიმებულმა უბრძანა თავის განაყოფს, კლდის გარშემო ნაღმები შემოეწყოთ. თვითონ მხოლოდ ბრმა იარაღად ქცეულიყო. მეომრები მუშაობას შეუდგნენ. წუთის შემდეგ ბესია გონს მოეგო: ერჩივნა აჯანყებულებს მიმხრობოდა და ლევანთან ერთად გმირულად დაესრულებინა სიცოცხლე. სწორედ ასე მოიქცეოდა ლევანი და მასაც ხომ სწორედ ამ შეუპოვრობის გამო უყვარდა ეს ადამიანი! მაგრამ ეს ხომ სიგიჟე იყო! ბესია უშიშარი იყო, მაგრამ ასეთი ნაბიჯი მის ძალებს აღემატებოდა. მხოლოდ წამით გაუნათდა გონება და შემდეგ ისევ ბრმა იარაღად გადაიქცა.

ალყაშემორტყმულებს მოწინააღმდეგეთა ქმედების დანახვაზე ცივმა ოფლმა დაასხა. საარტილერიო ცეცხლს რახანია შეეგუენ, მაგრამ ეს ჩუმი, მეთოდური სამუშაო გაუსაძლისი სანახავი იყო, რადგან სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. ულმობელი აღსასრული ახლოვდებოდა. ბევრს უმტყუნა გამბედაობამ. ლევანი მდუმარედ იჯდა ჩაფიქრებული. საფრთხეს ვერ აიცილებდა, მხოლოდ მასში უშიშრად გავლა შეეძლო. მთელი ღამე ფიქრობდა. ყოფიერების ფესვის მატლივით მთხრელი შიშის დამარცხება იყო საჭირო. მომავალში ჩახედვა კვლავინდებურად აშინებდა, მაგრამ წინ, ბუნდოვან სიშორეში, სინათლეს ხედავდა. რაც მოსახდენია, მოხდესო, გაიფიქრა. მეორე დღეს ნორინასაგან მიიღო ცნობა, რომ მოწინააღმდეგეებს ბესია მეთაურობდა. ქალმა ეს საიდუმლო ჰიდირისაგან შეიტყო. ლევანის გულში ხელახლა აღსდგა გადარჩენის იმედი. შეეცადა ბესიას მდგომარეობა წარმოედგინა და ყველაფერი სწორად განჭვრიტა კიდეც. გონებაში ამოუტივტივდა ბუნდოვანი „იქნებ“, თუმცა ამ ვითარებაში ვარაუდი არ უშველიდა, დაუყოვნებელი და უტყუარი ქმედება იყო საჭირო. გაქცევა ვერ მოხერხდებოდა, რადგან დე-

რეფნის გაწმენდა ჯერაც არ დაესრულებინათ. საბოლოოდ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და თანამებრძოლები გარს შემოიკრიბა.

– თქვენ იცით, რომ ციხესიმაგრე დანაღმულია, – მძიმედ დაიწყო მან საუბარი, – მას ააფეთქებენ და გადარჩენის არანაირი იმედი აღარ არსებობს, – შემდეგ მგლოვიარე ხმით წარმოსთქვა: – უნდა დავნებდეთ.

ყველანი დუმდნენ შეძრწუნებულნი. მაგრამ კიდურებს ცეცხლივით უწვავდათ მოუსვენრობა.

– მაგრამ ერთი ჩვენგანი აქ უნდა დარჩეს, – განაგრძო ლევანმა, – როდესაც ერი ქედს უხრის დამპყრობელს, მისი სულიერი სიმრთელე სასიკვდილოდ ზიანდება. ხოლო თუ ვინმე ერთი მაინც არ დანებდა, ამით ერის სასიცოცხლო დვრიტა გადარჩება. ერთმა უნდა შესწიროს თავი ერის გადარჩენას და ეს ერთი მე ვიქნები!

ვერც ახლა დასძრა ვერავინ სიტყვა. შიშს რაღაც ბასილას მომაკვდინებელი ნაღველი დაემატა. ლევანს გვერდით თვალცრემლიანი ედგა, მეორე მხრიდან კი ყანსავი გვერდში ამოსდგომოდა, გლოვას წელში მოეხარა გოლიათი სვანი.

– ნუ იდარდებთ! – განაგრძო ლევანმა, – რამდენიმე წლით ციმბირში ანდა სხვაგან გადაგასახლებენ, შემდეგ კი კვლავაც დაუბრუნდებით თქვენ-თქვენ კერას. თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი ვალი, – ლევანი დადუმდა და შემდეგ განაგრძო, – ჩემზე არ იდარდოთ! ის, რაც აქ, თქვენთან განვიცადე, თვით სიკვდილსაც კი დამაძლევინებს. მხოლოდ ამ უმაღლესი წუთისთვის ღირდა ცხოვრება. მე აქ დავრჩები გრალთან ერთად. სიკვდილის წინ ჩვენს თასს წმინდა ცეცხლს გადავცემ, რათა უწმინდური ხელი არ შეეხოს. ის საქართველოს უკვდავ გულში განაგრძობს სიცოცხლეს. ამიერიდან მისი მცველი სხივოსანი ლაშარი იქნება.

კვლავაც დუმილი სუფევდა. მხოლოდ გულების ძგერა ისმოდა.

– ეს წუთი განუყრელად გვაკავშირებს ერთმანეთთან, – განაგრძო ლევანმა, – მსოფლიოს ვერც ერთი ძალა ვერ ამოშლის მას საუკუნეთა

მეხსიერებიდან. იქ ვერაფერი დაგვაშორებს, მხოლოდ აქ, დროში ვცილ-დებით ერთმანეთს.

დადუმდა, ლაპარაკი აღარ შეეძლო. ქვითინი ახრჩობდა, მაგრამ თა-ვი დაიოკა. მეომრები სუნთქვაშეკრულნი უმზერდნენ. ახლა უწინდელზე უფრო ეუცნაურებოდათ ეს კაცი, რომელიც თითქოს ადამიანი კი არა, ცეცხლი იყო – სიყვარულით ანთებული. ვერც ერთი იძვროდა ადგილი-დან. ლევანი დუმდა. ასეთი სიჩუმე საყდარში დგას ხოლმე ლოცვის დროს. უეცრად ბასილა ალაპარაკდა.

– კარგი, ჩვენ დავნებდებით, ოღონდ ლევანი უნდა გავაპაროთ. ნან-გრევებს შორის ლოდებისაგან თავშესაფარი მოვაწყოთ. ლევანი თასით მასში ჩაიმალება, მოწინააღმდეგეებს კი ვეტყვით, რომ მიწისქვეშა დე-რეფნით გაიპარა.

აჯანყებულთათვის კვლავაც იმედი გამობრწყინდა. ლევანს ესიამოვ-ნა ბასილას მზრუნველობა, მაგრამ, ამავდროულად, იგრძნო, რომ ამან მისი სიმტკიცე შეარყია.

– და ამ ტყუილმა თუ არ გაჭრა? – ჩურჩულით იკითხა ვიღაცამ.

– მაშინ ლევანის მიერ შემოთავაზებული გეგმაღა გვრჩება! – უპასუხა ბასილამ.

ლევანმა იგრძნო, რომ ბასილას პასუხმა უწინდელი სიმტკიცე დაუბ-რუნა.

– კარგი! – დათანხმდა მეთაური, – ვცადოთ!

საჩქაროდ დაიწყეს ლოდების ზიდვა და ნანგრევებს შორის ისე და-ახვავეს, რომ არავის თავში არ მოუვიდოდა, რომ ლოდებქვეშ თავშესა-ფარია. შემდეგ ყველამ იმ ზარდახშას დაუჩოქა, რომელშიც გრალი

ესვენა, ილოცეს და ყველა სათითაოდ ემთხვია სიწმინდეს. ლევანიც სათითაოდ გამოემშვიდობა ყველა მებრძოლს. კაცები გაოცებით აშ-ტერდებოდნენ: სრულებით გამოცვლილიყო, სხვა სამყაროდან მოსულ არსებას ჰგავდა. როდესაც ყანსავს მიუახლოვდა, გაოგნდა: უდრეკი სვა-ნი ქვითინებდა:

– თავადი გიორგი გრალს ემსახურებოდა, – ენის ბორგვით წარმოსთქვა ყანსავმა, – მე კი ჩემს ბატონს ვემსახურებოდი. ახლა შენ ხარ მცველი გრალისა. მე შენთან უნდა დავრჩე!

ლევანი ხმას ვერ იღებდა. თვალზე ცრემლი მოადგა.

– მეც ვრჩები! – შეჰყვირა ათრთოლებულმა ბასილამ.

ლევანმა ვერც მას გასცა პასუხი და მალულად მოიწმინდა ცრემლი.

ამგვარად სამნი დარჩნენ.

თავშესაფარს რომ მიუახლოვდნენ, ძაღლი ჰასანი მათთან გაჩნდა. ბასილასთან განშორება არაფრით მოინდომა. მაგრამ თავშესაფარში მასთან ერთად დარჩენა სახიფათო იყო: მტრის მოახლოვებისას აუცილებლად დაიყეფებდა. ბასილამ ხელი გადაუსვა მეგობარს და დაამშვიდა. რა უნდა ექნათ?

– შინ უნდა გავგზავნოთ, – გადაწყვიტა ჭაბუკმა, – იქნებ წერილი დაწეროთ, – ჩასჩურჩულა მან ლევანს.

ლევანმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და ნაჩქარევად შეუდგა წერას. ახლაღა დაინახეს მისმა თანამებრძოლებმა, თუ რა ძლიერ იტანჯებოდა. ნორინასადმი მიწერილი წერილი ბასილამ ჰასანს პირში ჩაუდო, ერთხელაც მიეფერა მგრძნობიარე ცხოველს და იმ ენაზე დაელაპარაკა, მხოლოდ მათ ორს რომ ესმოდათ. ბოლოს ძაღლი შეტრიალდა და ნაღვლიანად გასწია. ბასილას გული ტკივილით შეეკუმშა.

სამნი თავშესაფარში მიიმალნენ, დანარჩენებმა კი ციხე-სიმაგრის თავზე თეთრი ალამი ააფრიალეს. წუთები მტანჯველად იწურებოდა. შემდეგ კი ბოლშევიკები მრისხანედ შეცვივდნენ გალავნის შიგნით. მათ წინ მიუძღოდათ ფერწასული ბესია: იმაზე ფიქრი სტანჯავდა, თუ როგორ უნდა გაესწორებინა თვალი დამარცხებული ლევანისათვის.

– სად არის ამბოხის წინამძღოლი? – დაიღრიალა ბესიას თანაშემწემ.

– ჩანს, ღამით გაიპარა საიდუმლო დერეფნის გავლით, – უპასუხა ერთ-ერთმა მეამბოხემ. მისმა ხმამ ურყევად და დამაჯერებლად გაიჟღერა. ლევანმა საგანგებოდ შეარჩია ეს ადამიანი პასუხის გასაცემად.

ბესიამ შვება იგრძნო.

– ტყუილია! – იღრიალა მისმა თანაშემწემ.

– სწრაფად, საქმეს შეუდექით! – თავს ძალა დაატანა ბესიამ, – მეამბოხე უნდა დავაკავოთ, – თანაშემწეს მიუბრუნდა, – ამ საქმეს შენ გაბარებ, მე აქ დავრჩები რამდენიმე კაცთან ერთად ციხე-სიმაგრის გასაჩხრეკად. ტყვეებს თან წაიყვან.

ციხესიმაგრე თანდათან დაცარიელდა და სიჩუმე ჩამოწვა. ტყვეები მდუმარედ გაჰყვნენ გ.პ.უ.-ს ჯარისკაცებს. ბესია ციხე-სიმაგრის დათვალიერებას შეუდგა. სამალავში სამი გული შეშფოთებით ძგერდა, ოღონდაც მათგან ერთი უფრო მშვიდი იყო: ლევანს მაინც იმედი ჰქონდა „მამლუქისა“ – ასე უწოდა მან ბესიას. მაგრამ იქნებ ტყუილად ჰქონდა იმედი? კაეშანი მოაწვა. ბესიამ მოჩვენებითი გულმოდგინებით გაჩხრიკა ციხესიმაგრე. ლოდების გროვას რომ მიადგა, შეჩერდა და საკუთარი გულის ძგერას მიაყურადა. ბრმა ნათელხილვა ეწვია, რომელიც ზოგჯერ ბანქოს თამაშის დროს ეუფლებოდა. აქ იქნებაო, გაიფიქრა.

– ეს ლოდების გროვა გავჩხრიკოთ? – მიმართა ერთ-ერთმა დაქვემდებარებულმა.

– ამას მე თვითონ მივხედავ, – უპასუხა ბესიამ, – თქვენ აგერ, იმ გალავანთან ნახეთ.

ლევანმა შვებით ამოისუნთქა.

ბესია უძრავად იდგა. მთელი სხეულით ცახცახებდა.

– ოჰ, სიცოცხლე! – თითქმის უხმოდ ამოიოხრა.

– ყოჩაღ, მამლუქო! – ჩურჩულით წარმოსთქვა ლევანმა სამალავში. გაიგონა თუ არა იდუმალმა მეგობარმა მისი სიტყვები?

ლევანსა და მის მეგობრებს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ.

COR ARDENS[15]

სოფელში სწრაფად გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აჯანყებულები ხელისუფლებას ჩაბარდნენ, ხოლო ლევანი, ყანსავი და ბასილა გრალთან ერთად მთაში მიიმალნენ. ნორინა სიხარულით მთვრალი მიმოდიოდა მიდამოში. ერთ ხევში თავზარდაცემული შედგა: მის წინაშე მკვდარი ძაღლი ეგდო. საბრალო ერთგული ჰასანი! ჩანს, ბოლშევიკთა ტყვია მოხვდა. ნორინამ ნაზად გადაუსვა ხელი საყვარელ ჰასანს. მარცხენა ყურის ქვეშ სისხლი მუქად ჰქონდა შემხმარი. ერთხანს აკვირდებოდა და უეცრად ცხოველის გახსნილ პირში ქაღალდის ნაგლეჯი შენიშნა. ამოაძრო და ლევანის წერილი აღმოაჩინა: „გახსოვს, ნორინა, ტყეში გვერდიგვერდ რომ მივსეირნობდით? მე იმ წუთებში ზეციური ფურ-ირმის ძუძუს ვეწაფებოდი. მის ნაყოფად და სხივად ჩაისახა ჩემში ზებუნებრივი ძალა. ახლა მზად ვარ „ირმის ნახტომისათვის“, შენ მიხვდები, თუ რას ვგულისხმობ. ამ ნახტომისათვის საჭირო გამბედაობა შენმა სიყვარულმა მომანიჭა. ეს უმაღლესი წუთია, როცა უსასრულოდ შორს ხარ და მაინც სამუდამოდ ვარ შენთან შეუღლებული. იქნებ ღვთაებრივი ნათელი ამქვეყნად მხოლოდ ადამიანებში მჟღავნდება? იგი ჩვენს სიცოცხლესთან ერთად როდი ქრება, არამედ სანუკვარ ფესვებს უბრუნდება. ეს წამი უსასრულოდ გაგრძელდება, ხოლო მე და შენ მისი სუნთქვა ვართ“. ნორინამ შიშით გადაავლო თვალი ამ სტრიქონებს. კიდევ უფრო შემაშფოთებლად იმოქმედა მასზე იმან, რომ წერილი მკვდარი ძაღლის პირში აღმოაჩინა. წერილის კილო ეუცნაურა: ისეთი მღელვარება იგრძნო, როგორიც სატრფოსთან შეხვედრისას კი არა, მასთან განშორებისას ეუფლებოდა. აწრიალდა და საჩქაროდ თბილისში გაემგზავრა.

დედაქალაქი გაცისკროვნებული სახეებით იყო სავსე. ლევანის გადარჩენა უკვე ყველამ შეიტყო. ქვეყანა დაჩოქილი იყო, მაგრამ წმინდა სიმბოლო – გრალი – შეუბღალავი დარჩა. იმასაც ამბობდნენ, რომ ლევანს უკვე გადაელახა საზღვარი და საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ნორი-

[15] (ლათ.) ცეცხლოვანი გული.

ნა მეტწილად ავალასა და ოდილიანთან ერთად იყო. ქვეყნის სიხარული გულზე სალბუნად ედებოდა. ერთ დღეს ოდილიანთან ერთად ძველ ქალაქში სეირნობდა. უეცრად ქუჩის კუთხეში პატარა იეზიდი გოგონა, აიშა გამოჩნდა.

– ოდილ! ძია ოდილ! – გახარებულმა დაიძახა პოეტის დანახვაზე.

– აჰ, აიშა! როგორ ხარ? – ჰკითხა ოდილიანმა.

– კარგად! – უპასუხა გოგომ, – ლევანი სად არის?

– შორსაა.

– როდის დაბრუნდება?

როდის დაბრუნდებაო? ეს კითხვა ტვირთად დააწვა კაცს.

– არ ვიცი, – ძლივს ამოილუღლუღა.

გოგონას გველის თვალები სევდით დაებინდა. თავი დახარა და მიწაზე ფეხით პატარა კენჭი აათამაშა.

– არა, – შიშით წარმოსთქვა ბოლოს, – ის არასოდეს დაბრუნდება.

ნორინა გაფითრდა; ოდილიანი გაშრა. აიშამ გამჭოლი მზერით შენიშნა ქალის სახეზე დარდის ჩრდილი.

– რა ლამაზი ქალია, – წარმოსთქვა გოგონამ, თითქოს ამით დარდიანი ქალის ნუგეშისცემა სურდა.

ოდილიანმა და ნორინამ გზა განაგრძეს.

– ამ გოგონას ნათელხილვის ნიჭი აქვს, – თქვა ნორინამ.

ოდილიანმა არაფერი უპასუხა: ნებისმიერი განმარტება ახლა გაუსაძლის ტკივილს მიაყენებდა.

სამი კვირა გავიდა. ერთ საღამოს თბილისმა შეიტყო, რომ სიხარული ხანმოკლე გამოდგა: ჰიდირმა ლევანის გარდაცვალების ამბავი ჩამოიტანა. მან უამბო ლევანის მეგობრებს, რომ გაქცეულებმა თავდაპირველად გურიას შეაფარეს თავი. ერთგულმა კაცმა, რომელიც მათ მოლოდინში დაუღალავად დარაჯობდა იმერეთიდან გურიაში გადასასვლელ გზას, ისინი აჭარის საზღვართან მიაცილა. აქ კი ჰიდირი ელოდათ. ერთი კვირა გავიდა, ვიდრე გაქცეულებს მიაგნო, მაგრამ მხოლოდ ბასილა და ყანსავი შეხვდა, ლევანი მათთან ერთად არ ყოფილა.

როდესაც ჰკითხა, თუ სად იყო ლევანი, ყანსავმა ამოიოხრა, ცოცხალი აღარ არისო.

ჰიდირს სუნთქვა ჩაუწყდა. მდუმარედ ისმენდა მათ მონათხრობს:

ყანსავი: ის თავისი სიკვდილით მიიცვალა; დაჭრილიც კი არ ყოფილა. ბასილა: მუდამ ხუმრობდა, ტყვია ვერაფერს დამაკლებსო. ყანსავი: ბოლოს უკვე ცეცხლი აღარ იყო, შეიცვალა. ბასილა: მხოლოდ ნათელი იყო. ყანსავი: წმინდა ნათელი; მუდამ მტკიცე და პირქუში, ახლა ლბილი და სათუთი გახდა. ბასილა: თვალები ლბილად უნათებდა. ყანსავი: ეს უცხო, არაამქვეყნიური ნათელი იყო. ბასილა: სიკვდილს ეზიარა. ყანსავი: ჰო, სახეზე სიკვდილის დაღი აჩნდა. ბასილა: როგორ ლაპარაკობდა! თვინიერად, გულისმომთუთქავად, სათუთად! ყანსავი: თითქოს ყველას და ყოველივეს ეთხოვებოდა. ბასილა: სიყვარულით იხსენებდა თავის მეგობრებს. ყანსავი: შენც გაგიხსენა, ჰიდირ. ბასილა: უდიდესი მოწიწებით

ლაპარაკობდა თავადსა და ახალგაზრდა ქალბატონზე. ყანსავი: აგრეთვე თავის მხცოვან დედაზე, რომელიც, მისი თქმით, სოფელში ცხოვრობს მარტოდმარტო. ბასილა: ძალზე უმძიმდა სამშობლოს დატოვება. ყანსავი: დროდადრო ფიქრში წასული ჩურჩულებდა, გრალი საქართველოში უნდა დარჩესო. ბასილა: განუწყვეტლივ რაღაც ფიქრი სტანჯავდა. ყანსავი: მიდამოს ისე გაჰყურებდა, თითქოს გულში იკრავს, თითქოს მას უკანასკნელად ხედავსო. ბასილა: განსაკუთრებულად მოაჯადოვა ერთმა ადგილმა. კლდის თავზე ვიდექით. ჩვენ პირისპირ მაღალი მთის მწვერვალი ღრუბლებში იკარგებოდა, შუაში კი ფართო ხეობა გადაფენილიყო. მზე ჩადიოდა, სხივები ჯერაც კიაფობდნენ მთის ქიმებზე. ხეობას კი ვეება ლურჯი ჩრდილი ეფინა. ყანსავი: მაშინ ლევანმა ასეთი სიტყვები წარმოსთქვა: ერთ წამში მოხელთებული უსასრულობა სივრცის. ვერ გავიგე, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ მისი სიტყვები მკაფიოდ დამამახსოვრდა. ბასილა: მერე კი დაგვტოვა, ერთი წუთითო, ასე გვითხრა. ყანსავი: დიდხანს ველოდეთ, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. შევშინდით და მის საძებნელად წავედით. ბასილა: უეცრად ფერდობზე დიდი, მშვე-

ნიერი მუხა დავინახეთ. მას ხომ ძალიან უყვარდა მუხა. ყანსავი: ასე ამ-ბობდა – მუხა ჩვენი ხეა; უცხოტომელებმა წმინდა მუხის რტოებზე ჩამო-კიდებული ოქროს საწმისი მოგვტაცესო. ბასილა: ისიც გვითხრა, რომ მიჯნურობის წმინდა სიტყვები პირველ მგოსანს ოქროს მუხის რტოზე შემომჯდარმა შევარდენმა შთააგონა. ყანსავი: მუხას რომ მივუახლოვ-დით, უეცრად მის ჩრდილში მწოლარე ლევანი დავინახეთ. ბასილა: მხარზე უცნაური ფრინველი ეჯდა: გავაზი უნდა ყოფილიყო, დიდი, თოვლივით სპეტაკი შევარდენი. ყანსავი: სულ ახლოს მივედით, მაგრამ ფრინველი არ შერხეულა. მერე კი უეცრად გაქრა. ბასილა: ჰო, გაქრა! არ დაგვინახავს, როგორ აფრინდა. ყანსავი: გვეგონა, ლევანს ჩაეძინა, მაგ-რამ რომ შევეხეთ, მივხვდით – აღარ სუნთქავდა. ბასილა: გული აღარ უცემდა – მისი გული! ვის აქვს მისთანა გული! ყანსავი: გული მომიკვდა. ბიჭი ცახცახებდა: ცრემლები ახრჩობდა. შემდეგ მუხის ძირში დავმარ-ხეთ და სამარეს ტოტები მივაფარეთ. ბასილა: ყანსავმა მუხის ტანში ღრმა ნიში ამოჭრა: მასში ჩავასვენეთ გრალი. ყანსავი: ღრმული ნაფო-ტებით ამოვავსეთ და ქერქი მის ძველ ადგილას ისე მივაფარეთ, რომ არავის შეენიშნა. ბასილა: მერე დიდხანს ვლოცულობდით გრალის მცველზე ჩაფიქრებულნი. ყანსავი: როცა იქაურობას ვშორდებოდით, უკან მივიხედეთ, რათა სამარე უკანასკნელად გვეხილა. შევარდენი ისევ იქ იჯდა.

ასე გადასცა ჰიდირმა მეგობრებს ლევანის გარდაცვალების ამბავი.

მედგარი კაცი ღრმა დარდმა მოდრიკა, სხვებიც სევდამ მოიცვა, მაგ-რამ ეს მძიმე, დამთრგუნველი სევდა არ იყო. ლევან ორბელი ქვეყნად აღარ იყო და მაინც განაგრძობდა სიცოცხლეს, ყოველ მათგანში განზა-ვებული.

– ყანსავმა და ბასილამ თურქეთში გაქცევა შეძლეს, – განაგრძო ჰი-დირმა, – ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა სანუკვარი სამარე და წმინდა გრალი წაუბილწავად შემოვინახოთ.

– ამას გავაკეთებთ, – დაუდასტურა ყველამ.

შემდეგ დაიშალნენ.

ოდილიანმა და ავალამ რამდენიმე საათის შემდეგ შეიტყეს სამწუხარო ამბავი და დაუყოვნებლივ კოსტასთან წავიდნენ, რადგან ამას მის გარდა ნორინას ვერავინ ამცნობდა. ორივენი გრძნობდნენ იმ სიახლოვეს, ნორინას ლევანთან რომ აკავშირებდა, თუმცა არ იცოდნენ, როგორი იყო ეს სიახლოვე. შინ ნორინა დახვდათ. ოდილიანს ძალზე უმძიმდა საუბარი, გადამწყვეტ სათქმელს აყოვნებდა, უცნაურად სახეგანათებული ლაპარაკობდა და ქალს თავზე ხელიც კი გადაუსვა ალერსიანად.

– ძვირფასო ოდილ, დღეს განსაკუთრებული ნათელი გადგათ სახეზე, – უთხრა ნორინამ, – ჩემი გული არასოდეს ცდება: რა ხდება?

– თქვენი გული მართლაც არ ცდება, – დაუდასტურა პოეტმა და ერთბაშად დასევდიანდა.

– ლევანს შეემთხვა რაიმე? – მღელვარედ იკითხა ნორინამ. თვალები აემღვრა და გაუფართოვდა.

ოდილიანი დუმდა. ქალს თვალში მოხვდა ავალა, იქვე, კუთხეში რომ ქვითინებდა. ნარინას ისე გაუშტერდა მზერა, თითქოს თვალის ჩინი წაერთვა.

– ჩვენი ლევანი ამქვეყნად აღარ არის, – როგორც იქნა ამოთქვა ოდილიანმა. თვალები მასაც ცრემლით აევსო.

ნორინა უძრავად მიშტერებოდა ერთ წერტილს. ოდილიანმა უამბო, რაც მოხდა. თითოეული სიტყვა თითქოს სხვა სამყაროდან ჩაესმოდა ქალს... მავანი დედა, დღეს თუ ხვალ ჩვილი რომ უნდა შობოს, ტყვიამ განგმირა. ციცქნა არსება ალბათ კიდევ ორიოდე წამს იცოცხლებს, ვიდრე სისხლისმიერი საკვების მიწოდება არ შეუწყდება. ერთი გულისძგერის განმავლობაში ის კიდევ სუნთქავს მკვდარ საშოში... ნორინამ სამყარო დედის გაცივებულ სხეულად შეიგრძნო.

– ახლა რა უნდა ვქნა? – იკითხა და მიხვდა, რომ ვერც თვითონ, ვერც ოდილიანი თუ ავალა დავერავინ ამ ქვეყნად ვერ გასცემდა პასუხს.

ქალი არ ტიროდა და ეს კიდევ უფრო მძიმე სანახავი იყო. ახლა ავალა ეჯდა მარჯვნივ, ოდილიანი კი მარცხნივ. ასე ისხდნენ მდუმარედ, ტკივილით მოცულნი. მხოლოდ დროდადრო წარმოსთქვამდნენ ორი-

ოდ სიტყვას, მაგრამ ისიც ყრუდ და უნუგეშოდ ისმოდა. ქალი ისე იტანჯებოდა, თითქოს აუჩქარებლად კლავდა გველის ნაკბენი. ვეღარ გრძნობდა იმ გულითად სითბოს, რითაც ლევანის მეგობრები მის განკურნებას ცდილობდნენ.

რამდენიმე დღემ განვლო. მთელი ქვეყნის გულებს გადაუქროლა ლევანის სიკვდილის ცნობამ. მაგრამ გლოვას სანთელივით ანათებდა ცოდნა იმისა, რომ გრალი უვნებლად გადარჩა.

ერთ დღეს ავალამ და ოდილიანმა ნორინას გაუარეს, რათა ყველანი ერთად იმ საგმირო დრამის პრემიერაზე წასულიყვნენ, რომლის დასადგმელად ასე დიდხანს იღვწოდა მარჯანი. ნორინამ თავიდან უარი უთხრა, მაგრამ როცა შეიტყო, პიესის ერთ-ერთი სცენა ლევანის დაწერილიაო, წამოსვლაზე დათანხმდა.

ერთ ლოჟაში ისხდნენ: ნორინა, კოსტა მეუღლესთან ერთად, ოდილიანი და ავალა. დარბაზი სავსე იყო. ნორინა გულჩათხრობილი იჯდა და მზერას არავის უსწორებდა. მაგრამ მისი უცხო მშვენება, დარდისაგან უფრო განატიფებული, მრავალთა მზერას იპყრობდა. ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენ იმ სცენას, როდესაც მებრძოლებს დაღუპული გმირის გული წმინდა ჭალაში უნდა წაესვენებინათ. ფარდა ნელა და უხმოდ აიწია. დეკორაცია ისეთნაირად მოეწყოთ, რომ ჭალისაკენ მიმავალი გზა უსასრულობაში იკარგებოდა. ხმადაბლა, თითქოს შესაქმისეული სიშორიდან გაისმა ორკესტრის ჰანგები. გამოჩნდა სამი გმირი, რომელთა როლებს მსახიობები – ხორავი, უშანგი და ვასა ასრულებდნენ. უშანგის ბზისაგან ნაკვეთ თასში ჩასვენებული გული მოჰქონდა. მის მარჯვნივ მოაბიჯებდა ვასა, მარცხნივ – ხორავი. ისეთი სიჩუმე იდგა, როგორც უდაბნოში, სადაც დროდადრო ქვიშის შორეული შრიალი ისმის. და უეცრად გაისმა პირველი სიტყვები, სათითაოდ, მძიმედ. თავიდან უშანგმა დაიწყო, შემდეგ ვასა და ხორავი აჰყვნენ. ეს იყო სადა და გულისგამგმირავი სიტყვები. მძიმედ და ბარბაცით მოაბიჯებდნენ, შემდეგ კი მომნუსხველი გალობა გაისმა.

გულო, გრძნეულო ნიჟარავ, წმინდად

დაგგრიხა ღმერთმა მზიურ ტალღისგან,
რათა იჟღეროს შენში ექოდ დაუსაბამოდ
ცხოველმა სულმა. ჯერაც ცახცახებს
შენში ღვთიური მისი ქროლვა და
ქვეყანას ათბობს ნეტარ სხივებით.
უბოძა შენი თავი ფრინველთა
თვალებს და მწიფე, ოქროსფერ მტევნებს,
მხედართა ხმლების ელვარე რისხვას,
და უწინარეს ყოვლის აჩუქა
ეს გული მოყვასს, ნანდაურ-ძმობილს.
ახლა ცახცახებ, სისხლი გდის ღვარად,
და თრთის ეს ხელიც, უპყრიხარ რომელს,
ვაგლახ! მძიმეა ტვირთი სამგლოვიარო!
ბორგავ და ჩვენი გულისძგერა გერთვის მღელვარედ,
ჩვენ არასოდეს მიგატოვებთ. თვით მზეც კი გლოვობს,
უძლიერესი, გამოსტყორცნის სხივებს ძალუმად
და შეგისრუტავს თავის წიაღში. იყუჩე, გულო,
მოიშუშე ჭრილობა მწველი მზიურ ტალღებში.
ოდესმე
კვლავაც ახალ რიჟრაჟს იხილავ მისი
სუნთქვით აღვსილი, მის გულ-მკერდზე გაშლილი ვარდად.

გალობა ღრმა და მშვიდი ჰანგებით მიწყდა და მასთან ერთად დადუმდა მუსიკაც. გმირები მიაბიჯებდნენ, ცრემლივით მძიმედ ჩამოსწყდა მათ ბაგეს უკანასკნელი სიტყვები:

ვინც არარაში ჩაიძირა და წყვდიადიდან
იხილა სულის დაბადება, ნათელ ნაპერწკლად,
მისი მწიფობა მზის ნეტარ შვილად, დაუსაბამოდ,
მაშინღა იგრძნობს ვაებას ხრწნისას და ატირდება.

გულს, რომელიც გმირებს ეპყრათ, ჯერაც სისხლი სდიოდა: ასე ეჩვენებოდათ მონუსხულ მაყურებლებს და მათი გულებიც თითქოს სისხლი-

საგან იცლებოდა. სიჩუმით მოცულ დარბაზში უეცრად გაისმა გულის-გამყინავი შეძახილი, რომელიც ადამიანის ხმას არც კი ჰგავდა. თითქოს სამყაროს სიღრმიდან მოსულმა გოდებამ გააპო დარბაზი: ლეეეეევაااან! ვისი ხმა იყო ეს? დარბაზში მსხდომს არც ერთ ადამიანს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ერთი იჯდა მათ შორის, ვინც ამ ხმას თავისად აღიარებდა: ეს ნორინა იყო. სიჩუმე გრგვინვასავით შეიძრა ტაშით: ყველანი აიტაცა თავ-დავიწყებამ, თითქოს მთელი დარბაზი შეიშალაო.

სპექტაკლის შემდეგ საზეიმო შეკრება შედგა, ასამდე მამაკაცი და ქალი შეიკრიბა, მსახიობებისა და რეჟისორისათვის ამ წარმატების მისალოცად. იქ იყო ყველა, ვინც უწინ თავადს ესტუმრა. მხოლოდ სამნი აკლდნენ: თავადი გიორგი, ჯერაც გ.პ.უ.-ს დილეგში მჯდომი, მუშნი, რომელიც დახვრიტეს და ლევანი, სამუდამოდ რომ განისვენებდა მუხის ჩრდილში. ნორინა ოდილიანსა და ავალას შორის იჯდა. ნადიმი ქუხდა, ყველა ადიდებდა უშანგის, ვასასა და ხორავის ნიჭს, მარჯანის მხატვრული ჩანაფიქრი ერთხმად მიიჩნიეს გენიალურად. უეცრად ერთი მამაკაცი ფეხზე წამოდგა.

– ერთი გვაკლია! – შეჰყვირა ყელს მობჯენილი აღტკინებით და ტირილი წასკდა.

ყველას გული დაუმძიმდა. მგლოვიარე სიჩუმე ჩამოწვა. ყველამ იცოდა, თუ ვინ აკლდათ: ლევანი. ნორინას გული გაუსაძლისი ტკივილით შეეკუმშა, მთელი სხეულით აცახცახდა.

– ის, ვინც ყველას გამოუთქმელად გვენატრება, ჩვენთანაა! – განაცხადა მარჯანმა. სახე ხალისით უნათებდა, თუმცა წამწამებზე ორი დიდრონი ცრემლი უბრწყინავდა.

ხმა არავის გაუღია.

შემდეგ წამოდგა მფრინავი ზაქარა, მთელი საღამოს განმავლობაში სიტყვაც რომ არ დასცდენია, და

ჯიბიდან ოდესღაც ლევანის ნაჩუქარი ფურცელი ამოაძვრინა. ხმამაღლა წაიკითხა, რაც ზედ ეწერა: „მას, ვინც თავს სწირავს უხვად, მთლიანად, ის არ იგემებს შხამს განშორების!“ ეს სიტყვები რომ წარ-

მოსთქვა, გააჟრჟოლა. – ალბათ ხვდებით, ეს ვისი სიტყვებია, – დაუმატა და გასასვლელისაკენ გასწია. უეცარმა სიშმაგემ აიტანა და უსათუოდ რაიმე თავზეხელაღებულს მოიმოქმედებდა, რომ არა ჰიდირის ძლიერი ხელი, ახალგაზრდა კაცი რომ შეაჩერა და დააშოშმინა.

– მოდით, ყველამ უხვად და მთლიანად შევწიროთ თავი იმას, რაც გვიყვარს! – განაცხადა ჰიდირმა.

– და განშორების შხამს არ ვიგემებთ! – აჰყვნენ ყველანი.

ნადიმი კვლავინდებურად გაგრძელდა. ყველა მზად იყო, თავი უსასრულოდ და მთლიანად გაეჩუქებინა მოყვასისათვის, ნორინაც ამ განცდით ეწირებოდა რაღაც გამოუთქმელს და თავს უსასრულობის ნაწილად შეიგრძნობდა. საქართველოს გული კვლავაც ძალუმად და მზიურად ძგერდა.

იმავე ღამით თბილისისაგან შორს, სოფლად მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა ნახა სიზმარი: შვილი ძუძუს სწოვდა. უცნაურად შეკრთა და გამოეღვიძა: რახანი იყო ძუძუ ცარიელი და გამომშრალი ჰქონდა. კვლავ ჩაეძინა და ესიზმრა, თითქოს მისი ბიჭუნა წყალს სვამდა ვარსკვლავივით მბრწყინავი თასიდან. გამოეღვიძა და მეტად ვეღარ დაიძინა. საწოლიდან წამოდგა, ეზოში გავიდა და სახე აღაპყრო ღამის სიცარიელეში. სიზმარეული მზერით აჰყურებდა ზეცას და ერთი ვარსკვლავი დაინახა, სინათლით სავსე თასივით რომ ეკიდა ძალზე დაბლა. წამით ენიშნა, თითქოს ეს ვარსკვლავი გრალი ყოფილიყო, რომლის შესახებ დიდი ხნის წინათ ვაჟიშვილს უამბობდა. ნეტავ რასა იქმს ძვირფასი შვილიო, გაიფიქრა, იქნებ ამ წამს ისიც აჰყურებს ამ საოცარ ვარსკვლავს? ამ ფიქრმა წამიერად გაუელვა და განქარდა. ქალს ჯერაც არ შეეტყო ლევანის, მისი ვაჟის სიკვდილის ამბავი.

ეპილოგი

პარიზში, ერთ მანსარდაში, უკვე რამდენიმე წელია ერთი უცნაური კაცი ცხოვრობს. პარიზელი არ არის, არც ევროპელია და არც ქალაქელი. ორმოცდაათს გადააბიჯა და მაინც ბრგე, მხარბეჭიანი და ღონიერია. რაც მშობლიურ მიწას მოსწყდა (აგერ უკვე რვა წელიწადი შესრულდება), მის ბავშვურ ხალისსა და უშუალობას დროდადრო თავის გუნდს მოწყვეტილი ცხოველის სევდა და დარდი სერავს. დიდი ქალაქი, სადაც მიწის გულ-მკერდს ქვა და ასფალტი ბოჭავს, ამ კაცს უმძიმესად თრგუნავს. მუდამ დაბინდული და გულჩათხრობილია, დროდადრო გაუელვებს წარმოსახვაში მშობლიური ქვეყნის ლანდი. იქ ალბათ ფართო ზოლებად ეფინება მდელოებს მზის სხივები. რა საამო იქნებოდა კაკლის ჩრდილში წამოწოლა. რა ნეტარად შეუშვერდა სხეულს მაისის ჟუჟუნა წვიმას. რა წარმტაცია იქ საღამოს ლბილი ბინდი და ქლიავისფერი ჩრდილები. რა დიდებულად მდუმარებს ტყებნელი და რა საამოდ შრიალებენ ფოთლები. ასეთ წუთებში მარტოხელა კაცი გაუსაძლისი მონატრებით იტანჯება. ხშირ-ხშირად გადის ქალაქგარეთ და ხარბად ისუნთქავს მზეზე გამშრალი და შემდეგ წვიმით დარწყულებული ბელტების სურნელს. შინ მიაქვს მოტეხილი დაფოთლილი რტოები. ტირიფს აგლეჯს წებოვან კანს და მისი შიშველი ხორცის სურნელს ყნოსავს. ამით იოკებს მონატრებას, რომელიც გრძნობებს უსასრულოდ უნატიფებს. ზოგჯერ ეჩვენება, თითქოს მშობლიურ მიწაზე ხელის ცეცებით აგნებს იმ ადგილს, ჯერაც რომ ინახავს ღამით მასზე გაწოლილი დათვის სითბოს. მაგრამ მის მონატრებას დაოკება არ უწერია. დღეებსა და ღამეებს უღონოდ ატარებს, მანსარდის სივიწროვეში დათვივით მომწყვდეული. მეზობელი ოთახიდან ნიადაგ რადიოს ზუზუნი ისმის, უსაშველოდ რომ აღიზიანებს. დღეს რაღაც განსაკუთრებით მოსდის ბრაზი: ნეტავ რას წრიპინებსო, ამას ფიქრობს. სიტყვები არ ესმის. შემდეგ კონცერტს გადასცემენ. ჯერ უხალისოდ უგდებს ყურს, შემდეგ კი მუსიკა თანდათან იტაცებს. შეუძლებელია! თავისი მშობლიური ქვეყნის სიმღერა ესმის. როგორ მოხ-

და, ეს ტალღა რომ აქ აჟღერდა? მარჯვენა ხელს იდებს გულზე, სადაც მწვანე ნეფრიტისაგან ამოჭრილი ავგაროზი უკიდია – მისი კეთილშობილი ბატონის ნაჩუქარი. ავგაროზი გულთან აქვს მიდებული, გული კი გამალებით უცემს. ყანსავს თვალები ენამება. ცახცახებს. უეცრად კარზე ზარი ისმის. ოთახში მზესავით სახენათელი ახალგაზრდა კაცი შემოდის – მისი თანამემამულე, მისი მეგობარი ბასილა. პარიზში მძღოლად მუშაობს და კარგი შემოსავალიც აქვს. ცოტა ხნის წინათ მანქანაც კი შეიძინა.

– რაო, მოხუცო, როგორ ხარ? ისევ ბუზღუნებ? – ღიმილით ჰკითხა ბასილამ.

– შემოდი, დაჯექი! – უთხრა გახარებულმა ყანსავმა: ბასილა მისთვის საქართველოს პატარა ნაწილია.

– იცი, გუშინ აუარება ფული მოვიგე.

– ისევ არ ეშვები თამაშს? ამ ქალაქმა მთლად გაგაფუჭა!

– ნუ ბუზღუნებ! იღბალი მაქვს.

– სწორედ ესაა, კაცს რომ აფუჭებს.

– არ იდარდო! – მიუგო ახალგაზრდამ, – ხომ იცი, ივლისის სიცხეს ვერ ვიტან, ერთი კვირით რივიერაზე მივემგზავრები და შენც ჩემთან ერთად მოდიხარ.

ყანსავმა არაფერი უპასუხა.

– შენც მოდიხარ-მეთქი, ხომ გაიგე? და, გთხოვ, უარის თქმას ნუ ეცდები, – მხარზე წაუთათუნა მოხუცს ბასილამ.

ყანსავი კვლავაც არაფერს პასუხობს. ბასილას ახირებებს არასოდეს ეწინააღმდეგება.

მეორე დღეს უკვე სამხრეთისკენ მიემართებიან, ბასილა შეშლილი სისწრაფით მიაქროლებს მანქანას.

– რა გადარეულივით ატარებ?! – აღმოხდა ყანსავს.

– რაო, ხომ არ გეშინია?

– არა! – გაიღიმა მოხუცმა, რადგან მძღოლის ოსტატობაში ეჭვი არ ეპარებოდა.

როცა სახელგანთქმული სანაპიროს ერთ-ერთ დასახლებაში შეჩერდნენ, ბასილამ ალერსიანად გადაუსვა ხელი მანქანას:

– ხომ კარგად მოგვიყვანა?

– მე მგონია, მარჯზე ამხედრებული თავს უფრო უკეთ გრძნობდი, ასე არ არის? – შენიშნა სვანმა, – მარჯი თუ გახსოვს?

როგორ არ ახსოვდა? მწველი მახვილივით ჩაესო ბასილას გულში სამშობლოს მონატრება. არაფერი უთქვამს.

რამდენიმე დღე გავიდა. მეგობრები ტკბებოდნენ ბუნების მშვენებით. მზე შიშველი, მგზნებარე და უმწიკვლოა, ცა – უშფოთველი და კრიალა. მიწის ბელტები შედედებული სისხლის ფერია და განხმულ საშოსავით მოელის მარწყულებელ თესლს. ზღვის ტალღოვანი სილურჯე უსასრულო სივრცეს ერთვის. შიშველი მოწითალო კლდეები მარადისობიდან მოსულ წუთებს სდარაჯობენ.

– მშვენიერია, – ჩურჩულებს ყანსავი.

– ჩვენი კავკასიონივით მძლავრი მაინც არ არის, – შენიშნავს ბასილა.

– მართალია, ჩვენს ქვეყანას აქაური სილბო აკლია, კლდის ყოველ წახნაგს რომ არჯულებს და ანატიფებს, – მიუგო სვანმა, – ეს თავად გიორგის სიტყვებია. ოდესღაც მასთან ერთად ვიმოგზაურე ამ მხარეში.

თავადის სახელმა ორივენი ჩააფიქრა.

გვიან ნაშუადღევს, როცა მზის მცხუნვარება ოდნავ განელდა, ბასილამ სანაპიროზე გაისეირნა, მაგრამ მალევე უკან დაბრუნდა.

– ეს-ესაა ერთი უმშვენიერესი ქალი ვნახე, – უთხრა მეგობარს.

– ეჰ, ჩემო ბიჭო, შენს ასაკში ყველა ქალი უმშვენიერესად მეჩვენებოდა, – გაიღიმა სვანმა.

– ხუმრობა იქით იყოს და, მომეჩვენა, რომ ნორინა იყო!

– ჩვენი ახალგაზრდა ქალბატონი? შეუძლებელია! – გაიკვირვა სვანმა, – მერე, რატომ არ მიხვედი და პირდაპირ არ ჰკითხე?

– ვერ გავბედე.

დუქანში ისხდნენ. საუბარი აღარ გამოსდიოდათ. ყანსავი უეცრად ფეხზე წამოხტა და შეჰყვირა:

– წამოდი, ის ქალი უნდა მოვძებნოთ!

– თუ კიდევ იქ არის, – ხმადაბლა გამოეხმაურა ბასილა.

სწრაფად გავიდნენ.

ქალი ზღვისპირა კლდეზე იჯდა. გარშემო არავინ იყო. ორი კვირის წინ ჩამოვიდა აქ. თეთრი ფარფლებიანი ქუდის ჩრდილი ფართო ქუთუთოების კუთხეებს ნუშისებრ უგრძელებდა. გრძელი, ტალღოვანი, ჩალისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა, მის თხელ ტან-ფეხს უფრო მოხდენილად რომ გამოჰკვეთავდა. სანაპიროზე მუდამ მარტო გამოდიოდა, იშვიათად – მოზარდი ბიჭის თანხლებით, რომელიც მისი ვაჟიშვილი უნდა ყოფილიყო. ხალხს ერიდებოდა. ახლაც გარინდული იჯდა კლდეზე, თითქოს მქროლავ სივრცეს ესაუბრებოდა. წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ასევე იჯდა სულ სხვა ზღვის სანაპიროზე და სისხლი მზის სითბოთი ევსებოდა. იმხანად ჯერაც ტკბილი მოლოდინით ესწრაფოდა

მომავალს, მაგრამ აღსრულების ზღვარზე მისი ქალური ბედი ყვავილივით მოიცელა. მას შემდეგ გზააბნეულივით მიმოდიოდა ამ სამყაროში, საკუთარ არსში ჩაღრმავებული.

მამაკაცები მორიდებით მიუახლოვდნენ. ქალი მათ ვერ ამჩნევს, მზერით ლურჯ ტალღების უკუქცევას მიჰყვება. სინამდვილეზე ცოცხლად მოგონებანი ესახება. წარსულის ერთი სურათი ეცხადება ახლაც: ცხენზე ამხედრებულ ჭაბუკს ხედავს, გამარჯვებული რომ აღწევს მიზანთან.

– ქალბატონო ნორინა! – უეცრად მოესმის ქართული საუბარი.

ქალი შებრუნდა და გაოცებით მიაჩერდა ახალგაზრდა კაცს.

– ბასილა ვარ, – ბორძიკით წარმოსთქვა მან.

ეს წუთია ბასილა ზმანებაში იხილა, ახლა კი ცხადში ხედავს, თუმცა ოდნავ სხვაგვარად, რადგან ჭაბუკი დაკაცებულა. ერთურთს უძრავად შესცქერიან.

– ბასილა, ჩემო კეთილო! – ამბობს ცრემლმორეული ქალი.

ბასილა ხმას ვერ იღებს, მღელვარებისაგან აცახცახებული. ახლა ყანსავიც უახლოვდება კრძალვით.

– ყანსავ, შენც აქ ყოფილხარ! – შესძახებს ქალი, – ღმერთო ჩემო, რა საოცრებაა!

ვერც სვანი პოულობს სიტყვებს.

– წამოდით ჩემთან! – ამბობს ქალი.

წინ მიუძღვის სტუმრებს. ისევ ძველებურად ჭაბუკივით თხელი, ასხმული ტანი აქვს. სამივეს გული სწრაფად უცემს. სახლიდან ქალს ყმაწვილი გამოეგებება. ისიც ტანაშოლტილია, ირმისებრ დაძარღვულ ფეხებზე შემდგარი, ვარსკვლავივით ელვარე მზერით – ნამდვილი ბატონიშვილი.

– აბა, გოგი, თუ ცნობ ჩვენს სტუმრებს? – ეკითხება დედა.

შემცბარ ბიჭს მზერა მოგონების ბურუსით ებინდება.

– ყანსავ, – ეჩურჩულება სვანს, ათრთოლებული და გახარებული.

– მე კი ბასილა ვარ! – ამ სიტყვებით ბასილა ბიჭთან მიდის, ეხვევა, ჰაერში იტაცებს და კვლავ ძირს ჩამოსვამს. შემდეგ ყველანი აივანზე სხედან. ნორინა უამბობს, ერთი წლის წინათ მამამ ხუთასი დოლარის საფასურად მოახერხა მათთვის სამგზავრო პასპორტის შოვნა. ბასილამაც მოკლედ მოუთხრო, თუ როგორ ცხოვრობდნენ ის და ყანსავი დევნილობაში.

– მშვენიერი კაცი დამდგარხარ, – უთხრა მას ნორინამ, – შენ კი, ყანსავ, სრულებით არ შეცვლილხარ.

– არც თქვენ, ქალბატონო, – გულუბრყვილოდ უპასუხა სვანმა, – მხოლოდ თვალებში სევდა გიდგას.

– თავადი გიორგი ცოცხალი აღარ არის, – უპასუხა ქალმა.

სტუმრებს თავზარი ეცათ.

კეთილშობილი, ბრძენი თავადი! დახვრიტეს? არა, უამბობს ნორინა, საკუთარი სიკვდილით განისვენა. უხმოდ, მშვიდად შეუერთდა მარადისობას.

– უკვე მეორე დარტყმას მაყენებს სიკვდილი, – ამბობს თავდახრილი ყანსავი. პირველ დარტყმაზე არაფერს ამბობს: ნორინას წინაშე ვერ ბე-

დავს ლევანის სახელის ხსენებას, – მაგრამ თქვენთან შეხვედრა, ქალბატონო, დარდს მიმსუბუქებს.

– კეთილო ყანსავ!

ნორინა განაგრძობს თხრობას: მისი „რაინდებიდან“ ხუთია ცოცხალი, ორი ევროპაში ცხოვრობს – დაღლილი ღიმილით შეჰყურებს ყანსავსა და ბასილას, – სამიც საქართველოში დარჩა: ავალა, ოდილიანი და ჰიდირი. გარდაცვლილებს არ ასახელებს: უსაშველოდ უმძიმს ლევანის სახელის წარმოთქმა. სტუმრები გულში წარმოსთქვამენ ძვირფას სახელებს: ლევანი, მუშნი, თავადი გიორგი...

– ზაქარა რასა იქმს? – იკითხა ბასილამ.

ნორინამ მოუთხრო, რომ რამდენიმე თვის წინათ ზაქარას თვითმფრინავი თბილისის მახლობლად ჩამოვარდა და აფეთქდა. სამი მაღალჩინოსანი ბოლშევიკი ამ თვითმფრინავით სოხუმში მიემგზავრებოდა. ისინი დაიღუპნენ. მათთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო ს. ო.-ც, მაგრამ წინათგრძნობამ გადაარჩინა, გაფრენამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე შეცვალა გეგმები და გამგზავრებაზე უარი განაცხადა. საჭესთან ზაქარა იჯდა, ისიც დაიღუპა. გამოძიებამ დაადგინა, რომ თვითმფრინავის მექანიზმი სრულ წესრიგში იყო. ახალგაზრდამ შური იძია.

ყანსავმა და ბასილამ მდუმარედ მოისმინეს ეს სამწუხარო ცნობა.

– ლევანი ძლიერ უყვარდა, – თქვა ბასილამ, – ეს საირმეში შევნიშნე.

ასე გაჟღერდა ძვირფასი სახელი. ახლა კი ყანსავმა წვრილად მოუთხრო ქალს ლევანის უკანასკნელი დღეების შესახებ. შიგადაშიგ ბასილაც ჩაურთავდა თავის სათქმელს. ნორინა უკიდურესად დაძაბული და გაფაციცებული უგდებდა ყურს. ყოველი სიტყვა სულის სიღრმეში ეღვრებოდა, სატრფოს ტანჯული სახება მასში კვლავაც ხორცს ისხამდა. ბასილა და ყანსავი მოწიწებით განაგრძობდნენ თხრობას. როდესაც დაასრულეს, ქალი მზად იყო, დაჭრილი არწივივით ველური ხმით ეყვირა, მაგრამ უკანასკნელი ძალით შეინარჩუნა გარეგნული სიმშვიდე. მძიმე დუმილი ჩამოწვა, ვეღარავინ პოულობდა სიტყვებს. ასე გაგრძელდა ერთხანს.

– თქვენ ორივენი თავად გიორგის ემსახურებოდით, – თქვა ნორინამ, – კარგად მოგეხსენებათ, თქვენ მისთვის მხოლოდ მსახურები არ ყოფილხართ. მე მისი რძალი ვარ, ღვიძლი შვილივით რომ ვუყვარდი. ამიერიდან ჩემთან დარჩებით და ჩემს ვაჟიშვილს ამოუდგებით მხარში.

ყანსავსა და ბასილას თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგათ.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ბასილა გოგისთან ერთად ეზოში გავიდა სათამაშოდ. მაშინ ყანსავმა ტყავის გაცვეთილი საფულიდან ფრთხილად ამოიღო დაკეცილი ქაღალდი და ქალს მიაწოდა.

– ეს დაწერა ლევანმა გარდაცვალების წინა დღეს, – აუხსნა მან ქალს, – ხუმრობით მითხრა: შენ, ჩემო ძვირფასო ცალრქავ (ასე მიწოდებდა ხოლმე), ჩემზე დიდხანს იცოცხლებ, მე ამას ვგრძნობ. ეს წერილი გადაეცი შენს ახალგაზრდა ქალბატონს. ასე თქვა სახეგანათებულმა.

ნორინამ წაიკითხა: „სიყვარული ღვთაებრივია. ადრე თუ გვიან მიჯნურებს ურთიერთს სიკვდილი ართმევს. ის მონატრება, განშორებულთ რომ სტანჯავთ, ასევე ღვთაებრივი ბუნებისაა. სადღაც, ოდესღაც კვლავ შეხვდებიან ერთიმეორეს. ნორინა, დამეხმარე შენს პოვნაში, როცა ჩემს თავს სიკვდილი წაგართმევს“.

ქალმა თავი ვეღარ დაიოკა. საბედნიეროდ ბასილა და გოგი შემობრუნდნენ. ნორინამ წუთით მიატოვა სტუმრები და თავის საძინებელში განმარტოვდა. ფანჯარა ფართოდ იყო გაღებული, იისფრად ღამდებოდა. უეცრად ფანჯარაში ლევანის სახე იხილა, სინათლით იყო განმსჭვალული და ნათელს ასხივებდა. მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა ხილვა და ჩაქრა. ბედნიერებისა და ძრწოლისაგან დაუძლურებული ქალი კედელს მიეყრდნო. მხრები აუცახცახდა.

ხმელთაშუა ზღვა ფანჯრის მიღმა გაწოლილიყო. ყრუდ და იდუმალად ისოდა მისი ბუტბუტი. რას ბუტბუტებდა? ამ ზღვის ტალღებში მოცურავდა ღვთაებრივი ხარი, თვალსხივოსანი ქალღმერთი ევროპა

რომ გაიტაცა. ახლა კი მის ქალიშვილთაგან ერთ-ერთი მწუხარე ცრემლს ღვრიდა და დედას უხმოდ ეედრებოდა შველას.

გრიგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისას“ შესახებ

ავიღოთ „მცველნი გრალისა“. „თვალი ჩასულა მტევანში“ – რომანის ენგადი. იმ ვაზის ლერწებიდან, რომელთაც ეს მტევანი გამოუსხამთ, წმინდა ნინოს ჯვარი გამოუჭრია და იგი თავისი თმებით შეუხვევია. მითიური ნაწილი: ჟამთა უბედურობისა ვაზის ჯვარს მტევნები გამოუღია. ამ მტევნებიდან ზედაში რაინდებს შეუნახავთ თასით. ეს თასი „გრალი“ -ა, საქართველოს გული. იგი მცველთა ხელშია, რომელნიც მას ინახავენ. წვეთი დიდდება ნელ-ნელა უჩინარად. დიდდება რწმენაც და იმედიც საქართველოს უკეთესი მომავლისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „მცველნი გრალისა“-ს მომქმედნი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა სათანადო წერილის დართვით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს:

ოდილიანი – პაოლო იაშვილი; ავალა – ტიციან ტაბიძე; მამია ოდიშელი – შალვა დადიანი; მზისავარ – აპოლონ წულაძე; დათა და კოსტა – ძმანი ჯაფარიძენი: ლადო და გრიშა (ტყუპები); ჰიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე; საღარა – მფრინავი საღარაძე; ს. ო. – სერგო ორჯონიკიძე; აიშა: აისორი გოგონა; შავდია – ლავრენტი ბერია; ლეგი – ლევან ღოღობერიძე; ბესია – შაქრო ფალავანდიშვილი; მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი; უშანგ – უშანგ ჩხეიძე; ხორავ – აკაკი ხორავა; ვასსა – აკაკი ვასაძე; ვანო – იაკ. ნიკოლაძე (გამოყვანილია როგორც მხატვარი); სანდრო – ვანო ნანიშვილი (მროკავი); ყარანგოზი – ყარანგოზიშვილი (მროკავი) და მუშნი დადიანი.

კალისტრატე სალია

კრებულიდან

„გრიგოლ რობაქიძე – ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“

არა მგონია, მსოფლიო მწერლობაში მდგარიყოს ვინმე ასეთი სიძნელის წინაშე: „მითიური“ აცხადო „რეალურში“ და „რეალური“ აცნაურო

„მითიურად“. ვფიქრობ, ვსძლიე სიძნელე. „მცველნი გრალისა“. „ვაზის ჯვარი“. ეს ჯვარი გამოჭრილია სწორეთ იმ ვაზისაგან, რომლის მტევანში „თვალი ჩასულა“. ჯვარს – განსაცდელისას – მტევანნი გამოუსხამს თავის მხრით. მტევანის „ტკბილი“ რაინდებს თასში შეუნახავთ: გრალში. ეს გრალი: გულია საქართველოსი. ასე: მითური „წვეთი“. იგია – რომანში რომ დიდდება და მდინარედ იქცევა.

წერილი მიხაკო წერეთელს

2. VI. 1949, ჟენევა

წაიკითხეთ ერთხელ კიდევ ის ბარათი, წაიკითხეთ გულდაზმით. დაინახავთ: 1. რომ მე ერთად-ერთი ვყოფილვარ დღეს, რომელიც რომანებით „ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“ უკანასკნელ ფესვამდე წვდენია რევოლუციურ ტეხილს ისტორიისა; 2. რომ შემძლებია ეს როგორც ქართველს; 3. რომ ამით გამართულა „აპოთეოზი საქართველოსი“; 4. რომ ამ რომანებთან ერთად მერმისში უნდა გამოცემულ იქნას „გველის პერანგი“ როგორც მათი პრელუდია; 5. რომ ამ სამ წიგნს დაერქმევის „ქართული ტრილოგია“. ამას ამტკიცებს კაცი, რომელიც მისხლობით წონის თავისს სიტყვას, კაცი, ვიმეორებ: უღრმესი ფილოსოფოსი ჩვენი დროისა.

წერილი კალისტრატე სალიას

20. 5. 1953, ჟენევა